


K 218 170

3

ՅԱՀՈՅԱՅԻ  
ՑԱՌԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

ԱՅԽՈՅԱՅՄԱՅՈ

ՋԱՅՐԱՅՅԵՄՈ



ଖୁବୀ ପରେଣ୍ଯାବାଦ



ସାହିତ୍ୟକାଳୀ  
ମାତ୍ରାକଷେତ୍ର

K 218 170  
3




ეს მოთხოვთ შეთხზულია ცნობილი ქართველი მოღვაწის ზურაბ ავალიშვილის მოგონებების (ერთი ეპიზოდიდან აღტბული ფაქტების) კალდაკვალ. ამიტომაც მსურს გავიმეოროთ მისი სიტყვები:

„ისტორიის... მოვლენათა სწრაფ თრთოლვაში საჭიროა მოვნა-  
ხოთ ძირითადი თემები, მუდმივი განმეორებული მტკიცე ძაფები,  
ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისადმი, დამოუკიდებელი შემოქ-  
მედებითი არსებობისადმი, საიდუმლოებით მოცული ერთობა ეროვ-  
ნული კოლექტივისა — აი, ეს არის ერთი ამ თემათაგანი, ერთი  
მხოლოდ მოჩენებითი გაწყვეტილი ძაფაგანი...“

୩୮. ଉତ୍ସବରୀତି

ଶ୍ରୀମତୀ କୁମାର ପାତ୍ର ଜୀବନପଥ



© ვამომცემლობა „მერანი“



ପ୍ରକାଶକ ପରିବାର

ვალიკო არადელი ჰეტროგრადის ვაგზლიდან გამოვიდა თუ არა, „ლიგვეცაზე“ შეა ქუჩაში დანთებული კოცონი დაინახა. იგი შეჩერდა, ერთხანს ყოყმანით გახედა ნეების პროსპექტს, საითაც გზა ედო, ქურქის საყელო აიშრა, შეტრიალდა, თითქოს გადაწყვიტა სხვა მიმართულებით წასვლა, ისევ შეყოვნდა, უაზროდ მიიხედ-მოიხედს, გაახსენდა, რომ უბის ჯიბეში ერთი პაპიროსის თუთუნი ჰქონდა გაბნეული და კოცონისაკენ გასწია. ცეცხლს ჯარისკაცები დასდგომოდნენ თავს, შეიგ ფარტოფილი შეეყარათ და საგუშაგოზე მოშეიბულებს ერთი სული ჰქონდათ, უანგისფრად დახეთქილი კაზტოფილი ნაკვერცხლებიდან დაეთრიათ. არადელმა ჯიბე გადმოაბრუნა, თუთუნი ხელისგულზე გადმოიბერტყა, ქალალდი მოითხოვა. დამხვდლურებმა უნდობლად შეათვალიერეს ახალმოსული, უხალისოდ მოიჩინიკეს ჯიბეები და უარი უთხრეს. არადელი თუთუნს ხილად თუ მოსწევდა ხოლმე—განსაკუთრებულად კარგ ან ცუდ გუნებაზე დამდგარი, ხანდახანაც

სე, უსაქმობის დროს, მაგრამ ახლა რაღაც დაუოკებელმა კინძილა-  
უარა — თბილი კვამლით სურდა ჩაესრული გული „Неужели не на-  
айдется клочек бумаги?“ საყვედლურივით გაიმეორა მან და როდე-  
საც გაბურდებული ჭარისკაცის დაძაბულ შეერას წააწყდა, ცივად გა-  
მობრუნდა.

ქალაქი ბოროვიჩი, საიდანაც არადელი ახლა მოდიოდა და სადაც  
ოჯახივით მყუდრო ჰისპიტალში ექვს თვეს იწვა მიმედ დაჭრილი,  
მოსკოვ-პეტროგრადის მაგისტრალიდან ორმოცი ვერსით იყო დაშო-  
რებული და ჩვინიგზაზე რომ ეგმოსულიყო, სოფელ-სოფელ უნდა  
გეწოწიალა. უახლოეს ქალაქ ნოვგოროდამდეც ასევე ჭაობიანი ტუე-  
ებითა და განცალევებული გზით შეიძლებოდა მიღწევა. უდროობისა  
და უგზოობის უამს ამ პატარა, ჭერ კიდევ ძველებურად წყნარ ქალაქ-  
ში, რევოლუციის ექი ყოფით და სათავეადასავლო ამბებად ისმოდა.  
მოსახლეობა დაწვრილებით ყვებოდა მკვლელობების, ძარცვა-გლეჭის,  
შურისძიების, გაუბატიურებისა და „სამოსუდების“ ახალ-ახალ შემ-  
თხვევებს. მოძალებულ ჭორებსა და სინაშდევილის მღვრიუ ამბებში  
კი შეუმჩნევლად იძირებოდა დეპეშებით მოკლედ დასათაურებული  
ისტორიული მოვლენები. ამ ზნის განმავლობაში არადელმა მხოლოდ  
ის გაიგო, რომ ბოლშევიკების ფადატრიალება მოეხდინათ, რუსეთის  
ყოფილ იმპერიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა და გერმანელები  
პეტროგრადს მოსდგომოდნენ.

ბინდდებოდა. რევოლუციით აფორიაქებული პეტროგრადის ობი-  
ვატელი შიუსაფარი ღამის ჩამოდგომამდე ლამობდა საქმეების მოთა-  
ვებას და ჩქარობდა. არადელი კი მოსეირნის ნაბიჯით ნება-ნება შე-  
უყვა ნევის პროსპექტს. მას შემდეგ, რაც სადგურ უგლოვკაზე პირ-  
ველ შემხვდურ საბარგო მატარებელს მოახტა და პეტროგრადისაკენ  
გამოსწია, სულ არჩევანში იყო, — ვერ გადაეწყვიტა ვისთან მისული-  
ყო, ვინ შეეწუხებინა ასეთ არეულ დროს. მისი აქ ჩამოსვლაც კი შემ-  
თხვევითი აღმოჩნდა: მოსკოვისკენ მიმავალი მატარებელი უფრო აღ-  
რე რომ გამოჩენილიყო უგლოვკის ბაქანზე, იმას მოახტებოდა და,  
აღბათ, ახლა მოსკოველი ნაცნობების არჩევანში იქნებოდა. გადარ-  
ჩენილი თანაპოლუტელების ოფიცერთა ჯგუფის უმრავლესობა, პეტრო-  
გრადისა და მოსკოვის მკვიდრნი, სადღაც უკრაინაში იყვნენ ჩარჩე-  
ნილნი, ქართველი ნაცნობებისა კი არსაიდან არაფერი ისმოდა.

თავდაპირველად, როცა რუსეთ-გერმანის ფრონტზე მოხვდა, ბუ-  
ნებისათვის მაშინ მოიცალა: კავკასიისა და ჩრდილო სპარსეთის შთი-

ან პორიზონტს შეჩვეულს, რუსეთის მინდორ-ველის თვალისწილი  
ახლო ჩამოჭრილი და მოკლე მოეჩვენა. მაგრამ შემდეგ, შეუწყობელ  
ნაბიჯთა გამულმებულმა თქარათქურმა, ლაშქრობის გაუთავებელმა  
გადასცლებშია, წვიმია-წუნწუხსა და ყინვებში ხეტებამ, ბოლოს — უკი-  
დეგანო თოვლზე ამოსულმა შზემ, რამაც თვალები დაუჩირქა, არამც-  
თუ ბუნებაზე დაკვირვების ხალის დაუკარგეს, გამოთაყვანების  
ზღვარზე დააყენეს. მხოლოდ მოგონებაზე იღმოცენებული ოცნება  
თუ აპოვნინებდა ხოლმე თავის თავს, მეხსიერებისა და ფანტაზიის ნა-  
რევი თუ დაუბრუნებდა ხოლმე ადამიანურ მნიშვნელობას ამ უსას-  
რულო, გადამწვარ ტრამალებში თივის ბულულივით ჩაკარგულ არა-  
რაობას. ყაზარმაში ბრძანების მოლოდინში ღამისთვევისას, ბრძოლის  
შემდეგ ნეტარად დასადაგურებულ სანერის სიჩუმეში, პოსპიტალში —  
იარების ყრუ ტკივილთან შერეული მამაკაცური ვნებააშლილობის  
დროს ეს ზემანებანი დამაამებელ მალაზოდ ედებოდნენ ხოლმე სინამ-  
დვილეს. მაშინ სულ სხვანაირად ეხატებოდა პეტერბურგში დაბრუ-  
ნების სურათი, ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, რომ გაზაფხულზე,  
საღამოს შვიდ საათზე, ნევის პროსპექტზე შეიძლებოდა ასე უცხოდ  
და გამოშიგნულად ეგრძნო თავი. რუხად დაბინძული დედაქალაქი.  
მარტის შეყინული ჭყაპი, ჩაბნელებული სახლების სილუეტები, ლან-  
დებად მოფუსფუსე ადამიანები სულაც არ შევლოდნენ იმ განწყობი-  
ლების აღდგენაში, რომლის გამოკვესას ასე უშედეგოდ ცდილობდა  
ახლა იყი. რასაკვირველია, სამი წელიწადი მცირე დრო არ არის, ბევ-  
რი რამ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ რატომ აქ არ შეუძ-  
ლია განეწყოს ხალისიანად, რატომ ძველებურად არ აღვლვებს თუნ-  
დაც ცხოვრების ორმტრიალში ჩაბმის სიახლოვე? ვთომ გარემოც-  
ვა მოქმედებს? სპარსეთში ხომ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფე-  
ბოდა... და მაინც იმედიანად ფიქრობდა მომავალზე?! შესაძლოა პე-  
ტერბურგში ნააღრევი გაზაფხული სულაც არ დამდგარა და ნაზამ-  
თრალ განწყობას ჯერ მზე არ შეხებია. იქნებ წლოვანების ბრალია —  
ოცდაჩვიდმეტი წელი... ბევრია განა? იქნებ ხუთი წლის წინანდელი  
ადამიანი სულ სხვა ვინმეა, კიდრე დღვევანდელი?! ყოველ შემთხვე-  
ვაში, ადამიანი სიცოცხლის ზოგიერთ ეპიზოდში სულაც არ ჰგავს თა-  
ვის თავს? ნაწყვეტ-ნაწყვეტი უკავშირო წარმოდგენები, შეგრძნების  
მიუვალი კუნძულები, გარემოსა და საგანზე ურთიერთგამომრიცხვე-  
ლი აზრების ნამსხვრევები — სიცოცხლის ერთ დინებად რატომ  
აღიქმება?

არადელს ვიღაცამ გადაუსწრო და სახეში შემოხედა. ვისაც არ უნდა მიადგე, ყველას თავის შესაფარებლად მისული ეგონები, ნაწილობრივ ეს ასეც არის, მაგრამ იგი ხომ დიდხანს არ და- ყოვნდება, მას მხოლოდ სურს გაიგოს, სად არიან მისი ნაცნობები; გიდრე ამას მიახვედრებ ვითომ ზრდილობით დაფაცურებულ ნირწამ- ხდარ მასპინძელს, სანამ დაუწყნარდება საპატიო მიზეზის საძიებლად მორბენალი თვალები და შესძლებს შენ გავებას, არ გინდა თავი შე- რკავო? სჯობს რაიმე ხიფათს გადაეყარო, ვიდრე ცხვარში მგლის რი- ალს წაგავდეს შენი გამოჩენა.

კნიგინია მარია პავლოვნა სიხარულით მიიღებდა „ვალიას“, მაგ- რამ მის გადამეტებულ მეურვეობას სითბოს ნაცვლად რაღაც დემონ- სტრაციულობის ელფერი დაჰკრავს, გარდა ამისა, ვინ გააჩერებდა ახლა მას პეტროვრადში? უამრავმა პარიზელმა ნათესავმა, ალბათ დიდი ხანია შეიხიზნეს ლტოლვილი კნიგინია.

საკვირველი ის იყო, რომ უნივერსიტეტის ამხანაგები არც კი მო- ჰვინებია არადელს, თუმცა საერთო არც არაფერი პქონდა მეოთხე ათეულში გადამდგარ ადამიანს ოცი-ოცდახუთი წლის ბიჭებთან. რა თქმა უნდა, თუ რომელიმე მათგანი პეტროვრადშია, ძალიანაც გაეხარ- დება და საამაყოდ მიიჩნევს არადელთან კავშირს, მაგრამ მან მათი სახელებიც კი არ იცის, არა თუ სახლი.

ვის გაეხარდება კიდევ ვალიკოს ჩამოსკლა? ლიტეინზე ფინელ დიასახლისს. ბავშვისა და ავადმყოფი დედის პატრონი ხომ ვერსად წავიდოდა... რომ მიხვიდე და გათხოვილი დაგიხვდეს ან ფინეთში იყოს გადახვეწილი? არადა ურიგო არ იქნებოდა მზრუნველი ხელი და თეთრი მკლავები, ნებიერად გაზმორება სუფთა ლოგინში... მო- წყდე და გამოეთიშო ყველაფერს, დაივიწყო ღრიალი, გრუხუნი, კი- ვილი, ჭუჭყი, შიმშილი, სისხლი, ბოროტი თვალები, შეშლილი სახე- ები, წარსული და მომავალი. მართალია, მის საწოლ ოთახს ძველი ავეჯის, მოუვლელი სხეულის თუ ობის სუნი გადაკრავდა, მაგრამ მა- შინ ქალების ყურადღებით განებივრებულს გრძნობები თითქმის ხე- ლოვნური მოთხოვნილებით პქონდა გამახული. ამჟამად კი აუცილე- ბელი იყო: ძილი, ალერსი და შავი პური.

არადელმა ნაბიჯს უჩატა, უნებურად შეშფოთებამ მოიცვა, შემდეგ შეამჩნია, რომ ხალხმრავალი ჭუჩის რიტმი დარღვეულიყო: შემხვდუ- რები გაუსწორდებოდნენ თუ არა, რატომღაც თავდაპირველ გეზს იცვლიდნენ, ზურგსუკან კი ლანდები ბორძივით ენაცვლებოდნენ ერთ- 8




განეთს, თითქოს გასწრებას ცდილობდნენ. „უნდა გავიქცე“, — გადამდებრებული იყიდება არადელმა. ის-ის იყო ადგილიდან მოწყდომა დააპირებული იყო ინც მიიხედა. იმშამსვე რამდენიმე ჭარისკაცი ეცა, ხელები გადაუგრისება, თავზე ქუდი ჩამოაფხატეს, ერთი ზურგზეც კი შეახტა და რდაყვები დააჭირა წელში გაღასაღრეკად. არადელი უძალიანდებოდა და ვერ ამოეცნ — მის დაკავება-დაპატიმრებას მოასწავებდა ეს ბლოკრენი თუ გალახვა-შეურაცხყოს. მოსარჩევ არავინ ჩანდა, გამვლელები თოფნაკრავით ერიდებოდნენ ამ ზედახორას. ერთიდა დარჩენოდა არადელს — როგორმე მარჯვენა ხელი გაენთავისუფლებინა და ქამარში გაჩრიალი ბრაუნინგი მოეხელთა, ამიტომ მარცხენა შეკლავით აქტიურობდა, მარჯვენა მკლავი კი განგებ მიეშვა — მომენტს ელოდა. უცებ წინ ოქროსფრად მოკიაფე ათინათი ატოკდა, ყვითელი ბრჭყვიალები აციმციმდა, სადღაც ზარის წკრიალი გაისმა და თვალთ დაუბნელდა.

— Курить захотел, немчура окаянная, сволочь офицерская! — Нიშნისმოგებით დაიღრინა გაბურძგნულმა ნასალდათარმა და ოდნავ დაბნეული, მაგრამ ფიზიკური სიამოვნებით ალტკინებული სახით, წაქცეულს გასძისხლიანებული თოფის კონდახი შეაწმინდა.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ, დამფუძნებელი კრების გარეკვის ფაქტმა, რუსეთის იმპერიის დედაქალაქში არასტაბილურ-მა სულიერმა და მატერიალურმა ვითარებამ ქართველთა ახალშენის უმრავლესობას სამშობლოში დაუყოვნებელი დაბრუნების სურვილი აღუძრა.

პეტროგრადში, ფურშტატის ქუჩაზე, გრაფინია პანინის სახლში, სადაც დისახლისის ნებართვით ახლადშექმნილი ეროვნული კომიტეტი იქრიბებოდა ხოლმე, 1918 წლის 18 მარტს, საღამოს რვა საათისათვის ელოდნენ ყოფილ სენატორ ზაქარია ავალიშვილს, რომელიც სომხების წარმომალებელ გენერალ ტიგრანოვთან ერთად იმ დღეს სმოლნში იყო წასული გავლენიან ბოლშევიკთან — აბელ ენუქიძესთან შესახვედრად. ჰკუადამჯდარ ადამიანთა აზრით, ამ შეხვედრაზე იმედის დამყარება თავის მოტყუებას ჰგავდა. მართლაცდა დაუჭერებელი იყო, რომ ბოლშევიკთა მთავრობა უფლებას მისცემდა რომელიმე ნაკლებად ლოიალურ ორგანიზაციას თავისი წამოწყებული საქმე გაეტანა, რარიგ უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო იგი. გარდა ამისა,



რცინიგზაზე გამეფებული უწესრიგობა, უსახსრობა და კავკასიაშიან  
კავშირის გაწყვეტა სათვალავში ჩასაგდები მიზეზები გახლდათამართა

სმოლნის მთავრობის წარმომადგენელთან შეხვედრა საიდუმლოდ  
არ მომზადებულა, მაგრამ კომიტეტის გარშემო მოფუსფუსე ხალხის  
თანდასწრებით ამ საკითხზე არ ლაპარაკობდნენ, თუმცა ახალშენის  
ზოგიერთი გავლენიანი პირი თუ ოჯახი ყოველი წერილმანით დაინტე-  
რესებული და გათვითცნობიერებული ჩანდა.

გრაფინიას სახლის მცირე დარბაზში ეროვნული კომიტეტის ორი-  
ოდე წევრთან ერთად იშხნელების ოჯახი ჩაის მიირთმევდა. ქალბა-  
ტონი შუნია იშხნელი, თავის დროზე საქართველოში და პეტერბურ-  
გშიც სილამაზით განთქმული მანდილოსანი, სამოც წელს იქნებოდა  
ინტანებული, მაგრამ ქალური პეწი დაკარგული მაინც არ პქონდა.  
თეთრად აფიცესული თმა, მოგრძო, საფეხულისაკენ გაზიდული დიდი  
ჭროლა თვალები, საღი კბილები, მოვარდისფრო პირისკანი, ყელიდან  
ლარებად შეპარული ნაოჭები — ბავშვობასაც, ახალგაზრდობასაც,  
ხანდაზმულობასაც ერთად წარმოადგენდა და ირგვლივ დამამშვიდე-  
ბელ სიბრძნედ იფინებოდა.

— მიირთვით, გადაიღეთ, მშვენიერი ნამცხვარია, ჭვავისგან გამო-  
ვაცხე. ჭვავი ერთ გლეხს მოაქვს ჩვენთან ლიუბანიდან, ძალიან პა-  
ტიოსანი კაცია, შიგ არაფერს ურევს და, წარმოიდგინეთ, სულ იაფად  
გვაძლევს.

— პირდაპირ მუქთად! ერთი გირვანქა ჭვავი — ერთი ოქროს სა-  
მაჯური, — ხასგასმული ირონიით ჩაურთო ირაკლი იშხნელმა, ქალ-  
ბატონ შუნიას მელოტმა ვაჟიშვილმა.

— ირაკლი, ნე ვალი დურაკ! — ის სამაჯური, ჯერ ერთი, ვიწრო  
შეონდა, ანდა რად გვინდოდა ისეთი უგემოვნო ჯანდაბები ამ რაზბო-  
ნიერის დროს? მიირთვით, ბატონო ლადი, ყველაფერი კარგია, ჭვა-  
ვიც, შაქარიც, ნამდვილი შაქრითა და კარაქითა გამოცხობილი. აქ  
საერთოდ ყველაფერი კარგია. — ბატონი ლადი ჭყონია ერთ დროს  
სახელმწიფო სათათბიროში მოღვაწეობდა, რუსეთის იმპერიაში აზ-  
რთა აღრევისას კი სოციალ-დემოკრატი გახდა, თუმცა რევოლუციის  
„მეცხრე ტალლას“ არ აჰყვა და, როგორც თვითონ თვლიდა, პოლიტი-  
კურ ცხოვრებას დროულად ჩამოსცილდა. ახლა იგი პეტროგრადში  
ბენუას წიგნის „რუსეთის ხელოვნების ისტორიის“ მეორე გამოცემა-  
ზე ზრუნავდა და ეროვნულ კომიტეტში მრჩევლის როლს ასრულებდა.

— ცხადია, ქალბატონი შუნია, ახალი მთავრობის კვალობაზე



ფრიად კარგი მომარაგება აქვს პეტროგრადს, დღეისსწორს, ხომ გან-  
სოვთ, ტვინი გვეონდა ვახშმად, დღეს კი ჭვავის დღეა.

— მაგათ გაუხმათ ტვინი, გაღმოგვიგდეს რაღაც ვინუჩие მозги,  
чтоб они сдохли, сдохли!

ყველამ ერთხმად გაიცინა.

— ბატონო ლადი, რა უნდათ ამ ახალგაზრდა ქართველებს რუსე-  
თის მთავრობაში, ან რაში ესაქმებათ მათი დავიდარაბა? ვინ არიან  
მერე? შუმი გლეხები, ორი ღერი რუსული არ იციან და რუსეთის  
შედილბლის გადაწყვეტაში ყოფენ ცხვირს!

— ქალბატონო შუნია, — წარბები აზიდა ლადი ჭყონიამ, — ქარ-  
თველი ადამიანის ამპარტავნობისა და პატივმოყვარეობის ჰიპერტონ-  
ფირებულ გრძნობას არ ყოფნის ქართული მიწა-წყლის და ხალხის  
სიმცირე, ამიტომ ასპარეზად დიდ ერს ირჩევს.

— ჰოდა, ამიტომ ჩვენ ჯერ კიდევ დიდხანს უნა ვიყოთ ნაციონა-  
ლური მონობის ქვეშ, რომ თვითეულ ადამიანში მოტყდეს ეს უსა-  
ფუძვლო ამპარტავნული მანია, — წარმოთქვა ქალბატონ შუნიას ქა-  
ლიშვილმა ნინო იშხნელმა, რომელიც ფანჯარასთან მიმჯდარიყო და  
ქველი უურნალის ილუსტრაციებს ზერელედ ათვალიერებდა.

— ასეთი ქვეცნობიერი ლტოლვა მხოლოდ ასიმილაციის შემდეგ  
შეიძლება დაკმაყოფილდეს, — დაამთავრა თავისი აზრი ლადი ჭყო-  
ნიამ, სავარძლის სახელურზე აათავაშა თითები და დაუმატა: — სა-  
ერთოდ კი პატარა ერის სარქე დიდი ერია.

ავალიშვილის დაბრუნებას ყველაზე იმედიანად და მოუთმენლად  
ირაკლი იშხნელი მოელოდა.

— ხომ შესაძლებელია, რომ ბატონი ავალიშვილი დღეს სულაც  
არ მოვიდეს, ან იქნებ ვერც ნახა ენუქიძემ?! — იგი წამოდგა, უსამ-  
ხრებო ფრენჩი გაისწორა, ხელში მოვარაყებული ჭოხი აიღო, კოჭ-  
ლობით გაიარ-გამოიარა ოთახში და როდესაც მის კითხვას პასუხი  
არავინ გასცა, ლადი ჭყონიას წინ გაჩერდა, — ახლა ყველა ნამდვილი  
პატრიოტი კავკასიისენ უნდა მიისწრაფოდეს. რევოლუცია არ ით-  
მენს, ბატონებო, არის შესაძლებლობა, რომ საქართველო მკვდრე-  
თით აღსდგეს!

— ამას ჩვენ რუსეთის რევოლუციას უნდა ვუმადლოდეთ, — ისევ  
აათავაშა თითები ჭყონიამ.

— Бросьте ради бога! ჩა რევოლუცია და ჩის თავისუფლება!

ბავშვებს, უბრალოდ, სწავლა ეზარებათ, უსწავლელად უნდათ კარი-  
ერა გაიკეთონ!

ისევ ყველამ გაიცინა.

— აბა ავილოთ პროფესიონალი რევოლუციონერის ცხოვრება,  
რომლისაც გნებავთ, გადავხედოთ, თუ „ნედაუჩივში“ სტუდენტი არ  
გამოდგეს! რად უნდათ, ბატონი, სწავლა, როდესაც ერთბაშად შეიძ-  
ლება მიაღწიონ ყველაფერს. ჯოჯოხეთიც „ნეუდაჩივებისა“ და შუ-  
რისმაძიებლების მოგონილია, ამქვეყნიურ ცხოვრებაში რომ ვერავის  
ვერაფერი დაკლეს — საიჭიო გამოიგონეს.

— ასე ნუ მოვთხოთ, ქალბატონო შუნია, რევოლუციის და მის  
მოღვაწეებს, რევოლუცია აერთიანებს დახაგრულთ, ცხოვრებაში ბევრ  
რამეს მოკლებულ აღამიანებს მათ ოცნებაში, იმედში, მათ განუხორ-  
ციელებელ ლტოლვაში, ნდომაში, სურვილში და ეს ვნებათა ნაკადუ-  
ლები რევოლუციის სახით ჰქონდეთ მკეანეს, ამიტომ ბელა-  
დებს დემაგოგის უდიდესი ნიჭი უნდა ჰქონდეთ. ეს უბრალო საქმე  
როდია.

— მე კი მეონია, ბელადი შეზღუდული ჰქუისა უნდა იყოს, წი-  
ნააღმდეგ შემთხვევაში ბრბო მას არ აჲყვება და არ დაუჭერებს —  
დინგად, კატეგორიული უესტით გადასდო უურნალი ნინომ, მოცურა-  
ვის გრაციოზული მოძრაობით წამოდგა, არავისთვის შეუხედავს, მე-  
ორე ფანჯარასთან ზურგით დადგა, თითქოს ამით უნდოდა მისთვის  
უინტერესო კამათისათვის მოელო ბოლო.

— რევოლუცია ველურობისკენ შემობრუნებაა, ეს არის საზოგა-  
დოებრივი ატავიზმი, — გამომწვევად წამოიძახა ირაკლი იშხნელმა.

— სამაგიეროდ რევოლუციის სამზადისი და მისი წინადღე ჰუმა-  
ნიზმის აპოთეოზია, ვინაიდან ერთის მხრივ, ხალხის უმრავლესობა მი-  
იღებულის მშვენიერი და უკეთესი ცხოვრებისაკენ, მეორე მხრივ, მთავ-  
რობა მაქსიმუმ სირბილესა და აღამიანობას იჩენს, — თავისაზე იდგა  
ჭყონია.

— საქართველომ უნდა ისარგებლოს მომენტით, რადაც არ უნდა  
დაუჭდეს, უნდა იღადგინოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.  
ქართველმა კაცმა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში უებარი  
მეომრის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, უნდა დაიცვას თავისი ინტერე-  
სები. და, გარდა ამისა...

— არა, გენაცვალე, არა! — გააწყვეტინა სიტყვა ქალბატონმა შუ-  
ნიამ ირაკლის, — მე მაგის არ მჟერა!.. სადღაც წამიუითხავს, რომ ქარ-



თველები ჯერ კიდევ მონლოლებს შემწვარი ქათმებით უმასხილესული გადნენ. პო, ქათმის ტაბაკათი ქრთამავდნენ და ისე აღწევდნენ პოლიტიკურ მიზნებს, ბრძოლებში კი არა, პურ-მარილში ატარებდნენ დროს და სადლეგრძელოების გამოთქმით იყლავდნენ პატრიოტული გრძნობების უინს.

— ამშობენ, ბოლშევიკებს გერმანელების შემოშვება უნდათ პეტერბურგში და ამით ორი კურდღლის მოყვლა, რომ გერმანელთა საშუალებით გაუმკლავდნენ შინაგან ოპოზიციას და ზავის პირობებში შეიტანონ ეს დათმობა, — თქვა აქამდე გაჩუმებულმა ხანში შესულმა ექიმმა გვინიფაძემ. ამ დროს დერეფანში რაღაც ხმაური გაისმა. კვინიკაძე სავარდლიდან წამოდგა, შემდეგ უხერხულად შეყოვნდა, დარბაზში მყოფთ გადახედა, დერეფანისაკენ გაემართა და დამნაშავესავით ჩაილაპარაკა: — ბუცხრიკიძეა, ვარდენი...

ცარდენ ბუცხრიკიძე რატომ და როგორ მოხვდა წმინდა პეტრეს ქალაქში, ალაპმა უწყის. ამბობდნენ, სამტრედიის ერთ-ერთი სოფლიდან „ბესპერესადკი“ ჩამოსული, თბილისა და მოსკოვში კი არა, სამტრედიაშიც არ არისო ნაყოფი. იმასაც ჰყვებოდნენ, ვითომ ბუცხრიკიძეს პიტერში ორი ტომარა ვაშლი ჩამოუტანია გასაყიდად, ბევრი უხეტიალია და ქალაქებით „ლესნოიში“ ქართველი სტუდენტების-თვის მიუგნია, დროებით დაუბინავებიათ თუ არა, იმავე დღიდან ღრეჭით დასდევდა თურმე სტუდენტებს — ე ბორო, მოისხით მადლი და ერთი ვინმე რუსის ქალი გამაცანითო. ბიჭებს ლიგოვების ქუჩიდან როსკიპი მოუყვანიათ და მთელი ლამით მასთან დაუტოვებიათ, დილით როცა ჰკითხეს, როგორ იყო, რას ელაპარაკებოდი, რუსული რომ არ იციო, ვარდეს უპასუხნია — რა გვეონდა სალაპარაკო, ყოველ მისვლაზე „თიო-თიო“ ვაშლს ვაძლევდიო. ქალმა კი სტუდენტებს ხითხითით გაანდო — ჩემს სიცოცხლეში ამდენი ვაშლი არ მიჰამია და არც ამდენი...

ეს ერთი ხუთი წლის წინანდელი ამბავია, ახლა ვარდენი რუსულს კარგა გვარიანად ამტრევდა და რომ გეკითხათ, რატომ და როგორ ჩამოხვედი, იმსიშორეს რა გინდოდაო, — თვალები ეშმაკურად აუცილებელდა და სიცილით ამბობდა: „ჩამომიარა მატარებელმა და რა მექნა?!“ ამ ხნის განმავლობაში ვარდენი ცნობილი და გავლენიანი კაცი გახდა პეტერბურგის ხელოსანთა, მეწვრილმანეთა და ე. წ. ბურუაზიულ წრეშიც. მდიდარი გამტრის ერთადერთი ქალიშვილი შეირთო ცოლად. მართალია, სიმამრი ჯერჯერობით სახლში არ იღებდა ახალ-



გაზრდებს, წინააღმდეგი იყო ვიღაც ლატაკი „ბუსურმანი“ შეუვებისა, სამაგიეროდ შორსმჭვრეტელი საქმის კაცნი ვარდენს უკ-  
ნე ენდობოდნენ და კავშირი პქონლათ მასთან. შვილი შვილია, — ამ-  
ბობდნენ ისინი — დღეს არა, ხვალ ახალგაზრდებს მიიღებენ ოჯახში,  
მით უმეტეს, რომ თურმე სიძე „ბუსურმანი“ კი არა, ნამდვილი  
მართლმადიდებელი ქრისტიანი ყოფილა და სიმამრის საქმესაც მალე  
ეგ გაუძლევება. ასე რომ, თითქოს არაფერი ელობებოდა წინ. მარ-  
თლაცდა, თუ სიმამრი ბოლომდე ჯიუტი გამოდგებოდა, ვარდენი მა-  
ნქიდის თავისას იზამდა, თანაც ღვთის წინაშე, ერთი-ორი კაპიკი უკ-  
ნე ნაშოვნიც პქონდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგიანად ეწყო-  
ბოდა, მხოლოდ ამ ოქტომბრის რევოლუციამ ცოტა არ იყოს შეაფიქ-  
რიანა ვარდენი. უკვე ხუთი თვის განმავლობაში რაღაც არასესიამოვ-  
ნო ამბები ხდებოდა ირგვლივ. სხვა თუ არაფერი, წვრილი ხელოსნე-  
ბის გამომწვევი ქცევები, ერთნაირად ნამარდული ღიმილი საბჭოების  
მომხრეთა სახეებზე შავბნელ და ხანგრძლივ ჩანაფიქრზე მიუთითებ-  
და ბუცხრიყიძეს, ამიტომაც არ იზიარებდა იგი იმ აზრს, თითქოს  
ბოლშეციკებს დიდი დღე არ უწერიათო. არც იზიარებდა და საწინა-  
აღმდევოსაც არ გამოთქვამდა, ვინაიდან მისი ნაცნობები ასეთი შეხე-  
დულების მქონე ადამიანს მხდალობას, უნამუსობას და არასამარ-  
თლიანობას მიაწერდნენ. საქართველოში დაბრუნებაზე ლაპარაკის  
გაონებაც არ სურდა. ეს ხუთი წელი ისე იტრიალა და იძრომიალა,  
იმდენი რამე ნახა და იმდენ რამეს მიაღწია უბრალო გლეხმა, რომ  
შართლაც ძნელი იყო მისგან მაღალი პატრიოტული გადაწყვეტილე-  
ბები მოგეთხოვა. ისიც საკმარისი იყო, რომ ვარდენს პატერბურგში  
უქართველებოდ გაძლება არ შეეძლო. ჩამოვიდოდა თუ არა ვინმე,  
აუცილებლად თავის სამსახურს შესთავაზებდა, ვინც უნდა ყოფილი-  
ყო იგი — ოჯახურ საქმეებში ჩაფლული თავადი თუ დროს გასატა-  
რებლად ჩამოსული დარდიმანდი, რუს ბოგანოს აკიდებული სტუდენ-  
ტი, წმინდა სინოდის შეკრებაზე ჩამოსული სასულიერო პირი, თუ  
კატორლიდან გამოქცეული ბედისმაძიებელი. ვარდენი ყველა ქართვე-  
ლისთვის გაჭირვების ტალგვესი იყო. რაც უნდა გავლენიანი და შეძ-  
ლებული იყოს კაცი, არ შეიძლება უცხო მხარეში რაიმე, თუგინდ  
უმნიშვნელო დახმარება არ დასჭირდეს, ჰოდა, ვარდენი დაბარებუ-  
ლივით გამოჩნდებოდა ხოლმე სწორედ კრიტიკულ მომენტში და ყვე-  
ლაფერს ისე გაყენებდა, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა. სა-  
მაგიეროდ მეგობრულად ეოხუნჯებოდნენ, თვითონაც, ამ გამოჩენილ



ხალხთან, ვისთანაც ურთიერთობას საქართველოში ვერც ჟოკებებდა, შესუმრებული და გაფამილარებული გახლდათ. ამით გუნებაში ამაყობდა. თუმცა, კაცმა რომ სიმართლე თქვას, ამ შეხვედრებიდან დიდი არაფერი გამორჩენა ჰქონდა, მაგრამ რა ექნა — ერთი კარგი ქართული ლაზლანდარობა მთელ ქვეყანას ერჩია.

ბუცხრიკიძეს უამრავი ნაცნობი ჰყავდა და საერთო ენა ყველასთან შეეძლო გამოენახა (ამის შესახებ ლადი ჭყონია ასე ქინდილობდა: კაცმა როცა არც ერთი ენა არ იცის, იგი ყველასთან იპოვის საერთო ენასო). ზოგს დაპირდებოდა რამეს, ზოგს მართლაც მიუტანდა, ზოგს მოატყუბდა, ან გააცინებდა, დაუყვირებდა ან შეაბრალებდა თავს.

ეროვნულმა კომიტეტმა დაარსების პირველივე დღეს ვარდენი გაიხსნა და ისიც იქვე გაჩნდა, თუმცა კი შეეხვეწა კომიტეტის ერთერთ ხელმძღვანელს, ქორქიას, რომ კომიტეტში მისი მონაწილეობისათვის ოფიციალური სახე არ მიეცათ.

გრაფინიას სახლის მცირე დარბაზში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ბუცხრიკიძეს ოთახში არ უშვებდნენ და ძალით შემოიქრა. მისი ხმამაღალი ლაპარაკი და ფართო უესტიულაცია, მისი ჩვევა საუბრის ყველა მონაწილესთან სიტყვით თუ არა, მიმიკით, თვალის ჩაჯრით ან პირდაპირი კითხვით აპელირებისა ყოველთვის სასეირო განწყობას ქმნიდა და ამ არხეინი სიტუაციების შემზადების შემდეგ იწყებოდა შორსწასული გეგმის ჩახლართვა.

— უღრმესად პატივცემულო ქალბატონო შუნია, რაც თქვენი გამოცხარი ტკბილული გეახელით, მოსვენება დავკარგე, ჩემი ოჯახობის, რომელიც ქე რაღაც მიმაჩნდა, შეხედვა აღარ შემიძლია, ასე არაა, ბატონო ლადი? შვილიც მიყვარს, ცოლიც მიყვარს. მარა ნამცხვარი ყველას მირჩევნია.

ბატონი ლადი ამ შეუფარავ ლაქუცა ხერხს გულმოწყალე ღიმილით შეხვდა.

— ჰოდა, თუ გირჩევნია, შენთვისაც არის შენახული ერთი ნაჭერი, მოდი და აიღე, მიირთვი!

— საქმე იმაშია, საყვარელო ბატონებო, — განაგრძო ვარდენმა და ხაზგასმული მოწიწებით ქალბატონ შუნიასკენ გაემართა, — ჩვენი დოხტორის ნათქვამი ტყუილია, პირიქით, ენუქიძეს უთქვამს, რომ გერმანელებს უნდა შევუტიოთო და ამისათვის ფრონტიდან განთავისუფ-



ლებულ ქართველებს შეუძლიათ შეკრიბონ პოლკი, მივცემოთ და იბრძოლონ და მერე საქართველოში გავუშვებთო.

— ვინ თქვა ეს? — მკვახედ იყითხა ირაკლი იშხნელმა.

— მე ვამბობ, ბატონო, არ გჭერათ? მალე ბატონი ავალიშვილიც გეახლებათ და თვითონ მოგახსენებთ.

ქალბატონმა შუნიამ ბუცხრიკიძეს თეფში დაუდგა და თქვა:

— გასაოცარია პირდაპირ, ამ ხნიერ ხალხს როგორ უყვართ ომების გამოცხადება, მე რომ ვიყო, კინონს შემოვიღებდი: გამოაცხადე ომი — წადი და შენ თვითონ ებრძოლე, ვისაც გამოუცხადე. ავტორალავდი ახალგაზრდობის ფრონტზე წყვიანას, ჯარში, თუ მაინც დამარციც ორმოც წელს გადაცილებულებს უნდა მიერეკებოდნენ და არა თვრამეტი წლის ბავშვებს.

— სმოლნის მთავრობა თვალთმაქცობს, — ირონიულად გაიღიმა ჰყონიამ. — უპირველესი მიზანი მათთვის სწორედ გერმანიასთან ზავია, რომელიც უკვე საში თვეა მზადდება ბრესტლიტოვსკში. ბოლშევიკები, მიუხედავად თავისი იდეალისტური ლოზუნებისა, ზედმი-წევნით პრატიკული ხალხია. მათ მშვენივრად იციან, რომ რევოლუცია ამ გაუთავებელმა ომმა გამოიწვია და დროებითი მთავრობის ყველაზე დიდი შეცდომა იყო სწორედ ამის შეუგნებლობა და ბრახუნა ლოზუნები „დი პიბენი კონკა“. ფრანგული ისტორიის ცოდნა და ნაპოლეონის მაგალითი ძვირად დაუჭდათ კერენსკის კაბინეტის პატივმოყვარე ინტელიგენტებს.

— სრული ჭეშმარიტებაა, ბოლშევიზები აუცილებლად შეწყვეტინ გერმანიასთან ომს! — ისტერიულად წამოიყვირა ეჭიმშა.

— სამაგიეროდ დაიწყება უფრო ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი და დაუნდობელი სამოქალაქო ომი. — ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ნინო ვილაც დამსწრეზე იყო გამწყრალი და პირდაპირი კონფლიქტის ასარიდებლად, თქვა თუ არა ეს, ოთახიდან გავიღა. მას არ უყვარდა დავა და მორიული სიბრძნე, რომ კამათში იბადება ჭეშმარიტება, დემაგოგების ფარად მიაჩნდა. საერთოდ, ნინო იშხნელი ბავშვობიდან ჭირვეულ, უფრო სწორედ, უხასათო ქალად მონათლეს და ისიც საჭიროებისამებრ არ აყოვნებდა ამ რეპუტაციის განმტკიცებას. სამხედრო ეჭიმის ოჯახში დაბადებულია და ამიტომ მრავალ ქალაქში ნაცხვარებ, უამრავი შთაბეჭდილებით დატვირთულ, ბების მიერ უზომოდ ნაფერებ ბავშვებს მოსალოდნელი პატივმოყვარული ურთიერთობის მაგიერ გულწითხობილობა და განმარტოებისაკენ მი-

სწრაფება დასჩემდა. ნინო ძალზე ერიდებოდა ახალ ნაცნობებს, მაგრა უკარება ხსიათი რომ იცოდნენ, სტუმრებთანაც იშვიათად გომოყვავ-დათ იგი მშობლებს. გარეშე თვალში ასეთი ქცევა, რასაცვირველია, უფრო ამპარტავნობისა და გოროზობის ნიშანი იყო, ვიდრე დამო-უკიდებელი ახროვნების გამოშულავნება, რითაც ცდილობდნენ მის გამართლებას მისი მოყვარული ახლობლები. ქალიშვილობის დრო-საც კი, როცა გიმნაზიაში სწავლობდა, „ყველაფერში გამოსხლეტილ“ ნინოს (როგორც მეორე, ზესტაფონელი დიდედა ამბობდა და რო-მელსაც ირაფლი უფრო უყვარდა) ტოლ-მეგობრებშიც განცალკევ-ბულად ეჭირა თავი და ვაგლახად არავის აყვებოდა.

კაპიტალისტ დიმიტრი ლებანიძესთან მისი შეუღლება ისე სწრაფ-  
ფად მოხდა, რომ მითქმა-მოთქმისა, ჭორებისა, ტრადიციული მოსამ-  
ზიდებილი პერიოდისა და სცენებისათვის დრო აღარც დარჩენილა.  
შეუყვარდა ნინოს, უკეთესი ვერავინ ნახა, თუ საქმიანად მოკიდა  
ამას ორივე შხარე — დამარწმუნებელ პასუხს ვერავინ გაცემდათ.  
დედმათან ერთად ძმის წამოსაყვანად ჩამოსული ნინო, ოქტომბრის  
დღეებთან დაკავშირებული არეულობის გამო, უკვე ხუთ თვეზე მე-  
ტი პეტროგრადში შერჩა. მის მეუღლეს გადაუდებელი საქმეები  
სპარსეთში იყვაებდნენ, მათი შვილი კი, ათი წლის გოგონა, ბებისა  
და ბაბუის ზედამხედველობის ქვეშ საქართველოში ჰყავდათ დატო-  
ვიბოლო.

გრაფინის სახლში სინათლე ჩაქრა. პეტროვის მიმართ ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახდათ და ნინო იძულებული შეიქმნა მცირე დარბაზში დაბრუნებულიყო. შანდლებთან ბუცხრივიდე, ექიმი და ნინოსთვის უცნობი კაცი ტრიალებდნენ. სანთლები საიდანლაც გაეჩინათ, იქნებ თადარიგიან დიასახლისს ჰქონდა შემორჩენილი, შესაძლოა, ამ უცნობმა კაცმა მოიტანა ისინი, მაგრამ ვარდენი ისე მასპინძელივით მოქმედებდა, რომ ეჭვიც არავის შეპარვია, რომ აქაც მან გამოიჩინა თავისი მარიფათი. გარედან შემოწოლილმა მწუხრმა, სანთლების შერთალმა სინათლემ, მოგრძო ჩრდილების კანკალმა მცირე დარბაზში მყოფი ადამიანები ერთად შეაქუჩა, თითქოს გაამრავლა, დაასახლოვა და ერთი ოჯახის წევრებად აქცია: ქართველების სუბარმა რაღაც ინტიმური ინტონაცია მიიღო.

სულ მაღვე ბატონი ავალიშვილი მობრძანდა, მას კომიტეტის გამ-  
ცემის სხვა წევრებიც მოჰყვნენ. ავალიშვილმა დაწვრილებით იღწე-

რა აბელ ენუქიძესთან შეხვედრა, კომენტარი გაუკეთა სმოლნის მთავ-  
რობის დაპირებებს და დასძინა:

— ასეა თუ ისე, ორმოში ჩავარდნილი კაცის იგავისა არ იყოს,  
ჩვენ ჩვენი უნდა მოვიმოქმედოთ. რაკი სამშობლოში დაბრუნების  
უფლება მოგვცეს, ახლა მატარებელი უნდა ვეძებოთ.

— ეგ ლიტონი სიტყვებია, ბატონო ჩემო, ასეთ სიტუაციაში ვა-  
სილევსამდე ვერ იშოვი კონკას, არა თუ საქართველომდე მთელ მა-  
ტარებელს!

ლადი ჭყონიას ამ შეპასუხებამ ყველას თავისი აზრი გამოათქმე-  
ვინა და მცირე კამათი გამოიწვია. ავალიშვილის მონაყოლში იყო ერ-  
თი პუნქტი, რომელსაც მხოლოდ ირაკლი იშხნელმა მიაქცია სერი-  
ოზული ყურადღება:

— მე ვფიქრობ, ბოლშევიკების წინადადებაში არის საქართვე-  
ლოსთვის გამოსაყენებელი მომენტი, ახლა, როდესაც საქართველოს  
ასე უჭირს, გერმანიის ფრონტზე გამობრძმედილი, ნაომარი, კარგად  
შეიარაღებული ქართველების მთელი პოლკი, რომლის ორგანიზება-  
საც ვთავაზობენ სმოლნიდან, საგრძნობ მეშველ ნაკადად მოევლი-  
ნება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ საქართველოს.

— საქართველოში როგორია ჩავლენ, თუ აქ გერმანელებმა და-  
ხოცეს?! — წამოიძახა ქალბატონმა შუნიამ.

— როგორც სმოლნში, ისევე თქვენ, ბატონო ჩემო, გადაჭიარბე-  
ბული წარმოდგენა გაქვთ დასავლეთის ფრონტზე ნამყოფ ქართველთა  
რიცხვზე. დავუშვათ, რომ ერთი პოლკის შეღენის ეყოს, სად უნდა  
ეძებოთ? ისინი ხომ დაქსაქსულები არიან, ან არიან კი საერთოდ ახ-  
ლა პეტერბურგში?

— მაგას მოევლება, ბატონო ლადი, მაგი მე მომანდეთ, არ გაჭი-  
ჭანდება უჩემოდ ქართველი, ბატონო, ამ ჩვენ პეტერბურგში, — გა-  
დაიხარხარა ბუცხრიკიძემ, — ახლა სწორედ თქვენ მოსვლას ველო-  
დი, ბატონო ქორქია, ერთი მეზობელი მყავს, დეზერტირია, მარა  
ბოლშევიკობს, და თუ საღმე შეხვდა, ეტანება არაყს, ხანდახან პაწი-  
ას მეც ვუწყობ ხელს, რა იცი, რაში გამოგადგეს, ჰოდა დღეს მევი-  
და — ერთი „აგრუზინეცი“ დავიჭირეთ, გერმანელი ოფიცერი გვეგო-  
ნაო, და ახლა თუ მთავრობიდან რამე ქალალდს მოგვიტან, ქე გოუშ-  
ვებთ, რავარც შენს ზემლიაკს, თუ არა და დავხვრეტთ, რავარც კონ-  
ტრასო. წავედი, ვნახე და ვინ გამოდგა, ბატონებო („ბატონებოს“

ვარდენი განსაკუთრებული კმაყოფილებით გამოსთქვამდა  სოლი, იცით? — ვალიკო არადელი!

— ვალიკო არადელი? — დაინტერესდნენ დარბაზში. ვალიკო არადელი, საქართველოში ერთ დროს პოპულარული ახალგაზრდა, მოხდენილი ვაჟკაცი, შეძლებული და დარბაისელი ოჯახის შვილი, საზოგადოების სხვადასხვა წრეში სხვადასხვაგვარ პიროვნებად იყო ცნობილი. ოჯახის დედები და მამები მას ერთ ლოთიფოთ, ფუქსიაგატ კაცად მიიჩნევდნენ, გასათხოვარი და მოსწავლე ქალიშვილებისათვის უკანასკნელი მოდის რაინდი გახლდათ, მაღალი საზოგადოების ახალგაზრდებისათვის — ვაჟკაციბის თვალნათლივი განსახიერება. სტუდეტობა და საქმიანი ხალხი ერიდებოდა მასთან შეხვედრას და, თუ შემთხვევა მოიტანდა, ქათინაურებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე დაეღწიათ თავი მისი საზოგადოებისგან, სახლში დაბრუნებულნი კი გაკილვას მოჰყვებოდნენ ხოლმე და მოულოდნელად აღშფოთებულნი უადგილო ადგილას ჩართავდნენ არადელის ამორალურ ქცევაზე განაგონ ამბავს, რითაც უფრო მეტად აინტერესებდნენ თავის ცოლებსა თუ საცოლეებს ამ არაჩვეულებრივი პიროვნებით. წელი არ გავიდოდა, რომ მის შესახებ რაიმე სენსაცია არ გავრცელებულიყო: არადელმა შვიდი თუ ცხრა ავაზაკი მტკვარში გადაყარსო, ქალაქის თავი დუელში გამოიწვია, იტალიის კონსულის ცოლი გაიტაცა, სპარსეთის რევოლუციის მონაწილე გახდაო და სხვა. ყველაზე გასაოცარ ამბად ხალხს მაინც ის მიაჩნდა, რომ ოცდაათს წელს გადაცილებული კაცი პეტერბურგში გაემგზავრა სასწავლებლად. და აი, ახლა ისევ საბჭოების პოლიციის ხელში ჩავარდნილა არადელი. ამ ცნობამ ქართველთა მეტ წილს ღიმილი მოპგვიარა. „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“ — რევოლუცია მაგისტანა ავანტიურისტებისათვის პირდაპირ მისწრებაა, მაგან საქართველოში გაგვიწყალა გული, გენაცვალე, აქ კისერი უტეხია და კინჩხიც ზედ მიუყოლებია. ქალბატონ შენის ეს რებლიკა, ასაკვირველია, სერიოზულად არავის მიუღია. ირაკლი იშხნელს მიაჩნდა, რომ არადელი სასწრაფოდ უნდა დაეხსნათ და სწორედ მისთვის დაევალებინათ ივერიელთა პოლკის შედგენა. უმრავლესობა დაეთანხმა ამ აზრს. თუმცა ივერიელთა პოლკის ორგანიზაციის საკითხს კომიტეტი მაინც საცერში გასული წყალივით მოეკიდა. უგვევ გვიან იყო, სჯა-ბაასის დრო აღარ რჩებოდა, ჩაღვენთილი, აქა-იქ პარბარებული სანთლები დასაძინებლად შიერეკებოდნენ ქართველებს. პეტერბურგში იშვიათად თუ ვინმეს ჰქონდა საკუ-

თარი სახლი, თითქმის ყველანი სამოწყალოდ შეხიზნულიყვნენ გა-  
დიდგულებულ სახლის პატრონებთან და უცხვირპირო ნაცემობებე-  
გობრებთან, ამიტომ დროშე ცდილობდნენ შინ დაბრუნებას. საჩქა-  
როდ გადაწყდა, რომ ხვალ დილით კომიტეტის ერთ-ერთი წევრი  
დასტურის ჭილალდით ხელში, პოლიციაში გაცყვება ბუცხრიყიძეს ვა-  
ლიკო არადელის გასანთავისუფლებლად. მატარებლის პრობლემა კი  
ღმერთსა და ბედნიერი შემთხვევას მიანდეს.

არადელი ხან მოდიოდა გონს, ხან ისევ მოლივლივე სივრცეში  
დაცურავდა, ვერაფრით ვერ გარკვეულიყო, სად იმყოფებოდა. მხო-  
ლოდ სინოტივითა და დახუთული ჰაერით გამოწვეული ნაცნობი შე-  
გრძნება რაღაცნაირად ამშვიდებდა, იმედს აძლევდა. რომელიღაც  
დროს წამოიწია, წამოკდა ამ უკუნეთში, ცდილობდა მიმხვდარიყო,  
რამდენი ხანი გავიდა, რაც ასეთ მდგომარეობაშია. პაპანაჯება სიცხე  
ჩამოწვა... შევანე ხასხასა ბალაზზე იწვა და მის წინ ბორცვზე თით-  
ქოს ლეკურის საცეკვაოდ მომზადებული ორტოტგაშლილი და ფეხ-  
ჭინჭადგმული, ამიტომაც გვერდზე გრაციოზულად წაზნეჯილი, ფოთ-  
ლებგაცვენილი ხე იდგა. არადელი ხეებს მხოლოდ ნაყოფით სცნობ-  
და და თუმცა ეს ხე მანაშიდის სადღაც ენახა, ვერაფრით ვერ იხსე-  
ნებდა, რა ერქვა. იგონებდა და მისჩერებოდა, თავს ძალას ატანდა  
და დაუინებით უცქერდა. შემდეგ ხე დაიძრა, ტანშეურხევლად გამო-  
ცურდა; ტიტველი, ტალახმიმბარი, დახეთქილი, გრძელთითა ფეხე-  
ბი ხან ნელა რიგრიგობით, ხან კი თვალისშომჭრელი სისწრაფით ჭვა-  
რედინ ილეთებს ხაზავდნენ. არადელი უმზერდა, უნდოდა დაჭირა  
ამ ცეკვის რიტმი, ამოეკითხა კავშირები: ბუნებრივი იყო, რომ ასეთ  
ტანშეურხეველ და ხელგაშლილ ქართულ გაცურებას ფეხის ქართუ-  
ლი გასმაც მოჰყოლოდა და არა ქაოტიური და კონცულსიური მოძ-  
რაობები, რომლებიც ტანის შესაფერ გიურ რხევასა და სულ სხვა  
კონფიგურაციას მოითხოვდა. მოულოდნელად ხე თავდაყირა დადგა  
და თრთოლვა დაიწყო; გრძელი ფესვებიდან განთავისუფლებული მი-  
წა ზაფხულის წვიმასავით შორი-შორ ცვიოდა და ოქრო-ვერცხლის-  
ფრად ელვარებდა. თანდათან მიწის ცვენის ხმა მიწყნარდა, ხე გა-  
დატრიალდა და რაც უფრო მეტად მოწევდა არადელისაკენ, მით  
მეტად ემსგავსებოდა საფრთხობელას — გამხმარი იყო მგონი... ამან  
ძლიერ შეაწუხა არადელი. ნარინჯისფერი ბორცვი... მწვანე მოლი...  
იდაყვში ცალხელმოღული და მეორეთი მკლავგაშლილი, გაქუცულ



შევ ჩოხაში ჩაცმული ხე ისე საცოდავად გამოიყურებოდა, კონტარა-  
დელს ტირილიც კი მოუნდა. დიდი უბედურება იქნებოდა, თუ ხე,  
მართლაც, გამხმარი გამოდგებოდა. ვალივ შეეგება მას, ჩაეხუტა  
და შეძრწუნებულმა იგრძნო მისი გახევებული სხეული, აფორია-  
და, კიდევ მოხვია ხელი, ფაცი-ფუცით შოსინჯა ჭირქი, უნდოდა დარ-  
წმუნებულიყო და გაქურთნა... იქვე საშინელი ტკივილი იგრძნო, შემ-  
დეგ ხემ ტანი შეისხა, საფრთხობელას აღარ ჰეთვიდა, გამწვანდა და  
გაიფურჩქნა, ამოიყარა ტოტები და ირგვლივ მოლზე მუქი ჩრდილი  
შემოფარგლა. არადელმა ისევ მოისურვა გაეგო, რა ხე იყო ეს — მუ-  
ხა, ცაცხვი თუ კაცალი, და ნაყოფს დაკვირდა. კაცალი მოშავო-მოყა-  
ვისფრო ჩენჩებად ქცეულიყო და ლენჯოებში რაღაც მოძრაობა შე-  
ინიშნებოდა. უცებ კველაფერი მოაგონდა, იცნო მკერდზე ჯვარედი-  
ნად გადაკიდებული სავაზნეებითა და თავზე ჯვარედინი თეთრი სირ-  
მებიანი ნაბღის ქუდებით ქართული მოხალისები. ნელა წმოგდა,  
შუბლზე ცივი ოფლი მოიწმინდა. გახარებულს გაახსენდა, რომ კვე-  
ლაფერი ეს მას ერთხელ უკვე ესიზმრა თუ მოელანდა სპარსეთში  
სიკვდილით დასჯის წინა ღამეს ჩამწყვდებულს. დილით კი სასწაული  
მოხდა — მის წასაყვანად მოსული დამსჯელი რაზმი და ქურთი დამ-  
ცველები ისეთი გულდაფერებულები გამოდგენ და იმდენად გართულ-  
ნი იყვნენ დასჯის რიტუალის სამზადისით, რომ საპატიმროს დათვა-  
ლიერების შემდეგ ერთიმეორეს მინდობილები რამდენიმე წუ-  
თით დილეგი გადაურაზავი დატოვეს. და როცა შემთხვევით ვალიკო  
კარს მიეყრდნო, რათა მიეყურებინა, თუ რა ხდებოდა ეზოში, კარი  
ანაზდად თავისით გაიღო და ვალიკო მოჰამედ ალი შაჰის დამცველ  
ქურთებსა და მის წასაყვანად მოსული დამსჯელი რაზმის მოღლაბუ-  
ცე ჯარისკაცთა შორის აღმოჩნდა. იგი აუქენებელი ნაბიჯით და მომ-  
ღიმარი სახით პირდაპირ ალაყაფის კარისკენ გემშურა, საღაც დრო-  
გი გაჩერილიყო და მედროვე ყარაულს მურდლად აგინებდა. ვალი-  
კოს ეცინებოდა. ყოველი ნაბიჯის გადადგმისს ელოდა პანიკურ შე-  
ყვირების, წარმოდგენილი ჰქონდა, თუ რა დაბრეული და დოყლაპია  
სახეებით ჰა-და-ჰა შემოესეოდა მას გონს მოსული დაცვა. მაგრამ  
სასწაული გრძელდებოდა, საყარაულოც არხეინი იერით ჩაიარა; ალ-  
ყაფის კარს გასცდა თუ არა, მაშინ კი იყალრა გაქცევა, ისე მოუსვა,  
რომ საკუთარი ფეხის ხმისა და გულისცემის მეტი აღარაფერი ესმო-  
და. ისიც კი ვერ გაეგო, დაედევნა თუ არა ვიზმე, თუ ასე თვალსა და  
ხელს შეა გაუჩინარდა და აორთქლდა პირისაგან მიწისა საშსხვერ-

პლოდ გამზადებული ზვარაკი. და ახლაც მოლი, ის ბორცვი, ზუსტად ის ხე... როცა აღამიანთა ხმები დაგუბულ ხმაურთან ერთხელ საქმიანად დატრიალდა იმ არე-მარეში, საღაც ამჟამად არადელი იმყოფებოდა, მას სულაც არ გაყვირვებია, რომ გაიღო კარები და, როგორც საქათმიდან, ვთომეც არაფერი, ისე გამოუშვეს ეს მოსაკლავად გამეტებული კაცი. დღის სინათლე და სუფთა ჰაერი თითქოს ერთბაშად შეისხესო სახეში, რომ არ წაქცეულიყო, დაბალ კარაბას მიეყრდნო, იქვე ვიღაც შოეხვია და გამამხნევებელი სიტყვების კორიანტელი და აყენა. ვაღლეომ იცნო ბუცხრიყიძე, მიხვდა, რომ ეს არის მისი მხსნელი, გაუღიმა, მაგრამ სახელი ვერ გაიხსენა, „შაქრო, მგონი“ — გაიფიქრა და მადლობის ნიშნად მხარზე უხერხულად წაეხახუნა. კიდევ უფრო უხერხულმა გრძნობამ მოიცვა იგი, როცა დატუჭისული და ნაპატიები ბავშვივით ხელჩაკიდებული მიიყვანეს ქართველთა კომიტეტში. გასისხლიანებული პერანგით შემობურული, დამძიმებული თავი, მუდმივ თავბრუდ დატრიალებული ქვეყანა დამოუკიდებელი როქმედების უნარს უკარგავდა. გზაბნეული ძალაუნებურად დინებას უნდა მიჰყოლოდა.

— გრაფინიას სახლში ვალიოს ექიმი მოუყვანეს, ჭრილობა შეუხვიეს, დაბანეს, ვიღაცის ნაქონი ცივილური კოსტუმი მოარეეს და შეკითხვები დააყარეს. უცებ საკმაო ჭირისუფალი გამოუჩნდა, მაგრამ ვარდენ ბუცხრიყიძე არ იყო ის კაცი, რომელიც მოკრძალებულად გადგებოდა განზე და თავის გაკეთებულ საქმეს სხვას დააჩრდილინებდა.

— გადამრევს ეს ხალხი! — ხელებს ფართოდ შლიდა ვარდენი. — ჩვენ გვეჩარება, იშხნელებთან ვართ სადილად დაპატიუებული, რა დროს ამისთანა შეკითხვებია, ვალიკოს მოსვენება სჭირდება, ბატონებო!

— იშხნელებშა ამ ხუთი თვის განმავლობაში რამდენიმე ბინა გამოიცვალეს. ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ყერ კიდევ დიმიტრი ლებანიძის მათთან ყოფნის დროს, სასტუმროში „ასტორიაში“ ცხოვრობდნენ, შემდეგ, როცა გამოირჩვა, რომ ირაკლი მგზავრობას ვერ აიტანდა და ხინგრძლივი მოვლა ესაჭიროებოდა, ლებანიძემ მეულე, სიდედრი და ექიმი „სადოვაიაზე“ მშვენიერ ცალკე მდგარ სახლში, თავის ახლობელ ბელიაევის ოჯახში დააბინავა და თვითონ საჩქარო საქმეების გამო საქართველოში დაბრუნდა. დროებითი მთავრობის დაცემისთანავე ბელიაევები საფრანგეთში გაემგზავრნენ და იხშნელებიც იძულებული შეიქნენ რამდენიმე ხნით ნაცნობ ქართველება



თან შეეფარებინათ თავი, სადაც მალე უსიამოვნება შეხვდათა ანინო  
იშხნელს დღისით-მზისით ძვირფასი სამკაულები დაეკარგა. ეჭვის მი-  
ტანა, რა თქმა უნდა, არავის ჩე არ შეიძლებოდა, ამ დროისათვის  
ირყლიც გამოვიდა პოსპიტალიდან და ქართველთა კომიტეტმა ფურ-  
შტატის ქუჩაზე, გრაფინიას სახლის მეზობლად უშოვა მათ სამი  
ოთახი.

გიმნაზიაში სწავლისა და დაჭაბუკებისას ირყლი იშხნელი კარგად  
უცნობდა არადელს. ის თავგადასავლები, რომლებსაც მასზე პყვებო-  
დნენ, ზეპირად იცოდა, ერთი ხანობა ულვაშებიც კი ისეთნაირად აპ-  
რეხილად პქონდა გაშვებული, როგორსაც მისი კერპი ატარებდა. ერ-  
თხელ თბილისში „ახალ დლუბში“ ბაკარას თამაშში შეხვდა კიდეც  
საერთო მაგიდაზე. არადელმა მაშინ დიდი ფული მოიგდო და ეგრე-  
ვე, დაუთვლელად ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ სიმფონიურ ორ-  
კესტრს უფეშაში, ირყლის და მის პარტნიორებს კი უთხრა: ასე წა-  
გებული არავინ დარჩებაო. გაიგო თუ არა არადელი მოიყანესო,  
რყალი კომიტეტში გადავიდა და ხელმძღვანელობას დაეინებითი მო-  
თხოვნა წაუყენა, კონკრეტული ზომები მიეღოთ ივერიელთა პოლკის  
შესადგენად. ვიდრე არადელს უგლიდნენ, ბუცხრიკიძე მონახა და ვა-  
ლიკო სადილად დაიპატიუა, თვითონ კი ჯოხზე დაყრდნობილი, კოჭ-  
ლობით, თადარიგის დასაჭერად დაბრუნდა შინ.

ვალიკოს ბუცხრიკიძემ ჯერ კიდევ გზაში მოუყვა ყველაფერი, რაც  
კი იცოდა „მიმღინარე მომენტისა“ და, კერძოდ, საქართველოს მდგო-  
მარეობის შესახებ, ისიც უთხრა, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის  
ტერიტორიაზე იქმნება ნაციონალური კომიტეტი სომხების, აზერ-  
ბაიჯანელების, ლიტვიელების, ესტონელების და, რასაკვირველია,  
ქართველებისაც, რომ პეტროგრადში შექმნილია ასეთი კომიტეტი და  
ქართველების საშობლოში დასაბრუნებლად მოლაპარაკება წარმო-  
ებს სმოლნის მთავრობასთან. მიუხედავად იმისა, რომ ვალიკოსთვის  
ყველაფერი ეს ახალი იუ და ბოლო თვეების გამმავლობაში ფაქტი-  
ურად ამ ამბების მოღოლინში იმყოფებოდა, ახლა რატომლაც გულ-  
აყრილად უგდებდა ყურს ბუცხრიკიძეს, მხოლოდ ერთხელ გამო-  
ფხიზლდა, მხოლოდ ერთხელ გადაუარა გულზე თბილმა ტალღამ,  
როდესაც ბუცხრიკიძემ ივერიელთა პოლკის შედგენის გაგმაზე და-  
იწყო ლაპარაკი და იშხნელების ოჯახი ახსნა.

ვალიკოს ირყლი იშხნელი, მისი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი,  
ბუცხრიკი ახსოვდა, სამაგიეროდ მისი დას ნინო იშხნელის სახე-



ლის გაგონება ყოველთვის აფორიაქებდა, საზოგადოებაში საკუთრებული წაუხდენდა და თუ ამას გარეშემყოფნიც ამჩნევდნენ, უკეთესს ვერა-ფერს მოიმოქმედებდა — თუ არ ჭარხალივით ვაწითლდებოდა ხოლ-მე. არადა ნინო სულ ორჯერ ყავდა ნანახი, პირველად თეატრის ფო-იეში გაცნობისას ისე უცნაურად განეწყო, რომ უმიზეზო სიცილი აუტყდა და სახაზინო თეატრის მთელი შენობის შემორბენა მოუნდა ოცდაათი წლის კაცს. შემდეგ რამდენსაც კი არ იგონებდა, ვერაფრით გაეხსენებინა თუ რა უთხრა, ან საერთოდ რას ლაპარაკობდნენ მის გარშემო, ვისთან იყო, ან რა ეცვა ნინოს, იმის ტქმაც კი არ შეეძლო, თუ რა ფერისა იყვნენ ის თვალები, ასე რბილად და ყურადღებით რომ ჩასწერდნენ სულში. მეორე შეხვედრა, თუ შეიძლება ამას შეხ-ვედრა ეწოდოს, ასეთრიგი იყო. ვალიკო პოლიციელებს დახურული ფურგონით „უჩასტკიდან“ ციხეში გადაყავდათ. ფურგონის უკანა და-კეტილ კარებს სათვალთვალო ჰქონდა დატანებული, რომლის წინ ორივე მხარეს პოლიციელები ისხდნენ. ცხენები ნელა მიჩაქაქებ-დნენ. ვალიკო დროის მოსაკლავად სათვალთვალოდან ნაცნობ ქუ-ჩებს გაპყურებდა, უცებ ფურგონის თანამდევი ხმალამოლებული მხედრის გვერდზე გადახსნილი ეტლი გამოჩნდა და ვალიკომ თვალე-ბიც კი მოისრისა, ხომ არ მელანდებათ: ნინო დაინახა, მას ყელი მო-ელერებინა და თავშეკვებულად იღიმებოდა, როგორც მოსალოდნე-ლი იყო, ნინო სულ მალე დააინტერესა პოლიციელთა ფურგონმა, თავის მეულლეს რაღაც გადაულაბარავა და თვალებით მიანიშნა. ლე-ბანიძემ გულგრილად ჩაიქნია ხელი, ფეხი ფეხზე შემოიდგა, გადაწვა და მეტლის ზურგს მიეფარა. ნინომ კი შეამჩნია, რომ სათვალთვა-ლოს შიგნიდან ვიღაც მოსდგომოდა, თვითონაც მოიწადინა გაერჩია, რა ხდებოდა ფურგონში, წამოიწია კიდეც, ჩაბნელებულ ლრეჭოში ვერ გაატანა მისმა თნებაშეუვალმა და ლმობიერმა შჩერამ. ვალიკომ იცოდა, რომ ნინო მას ვერ ხედავდა და მაინც თვალს ვერ უსწორებ-და, დამწაშვედ თვლიდა თავს, მაგრამ სათვალთვალოს ვერ სცილ-დებოდა. ერთხელ უკვე განცდილმა თავისუფალმა, ლაღმა გრძნობამ იიტანა, ამ ქალისაგან უხილავად მოედინებოდა სათხოების ნაზი და ფერადი სხივები. ასე თვითშეუცნობლად მხოლოდ ხატება ესალბუ-ნება სულის მტკივნეულ წიაღებს, თავის მხრივ, ასე უპასუხოდ მარ-ტო სურათს ან ოცნებას შეიძლება ესათუთოს კაცი. მერე ეტლმა გა-დაუხვიდა. ვალიკო უმწეოდ ჩამოჯდა სელზე, ერთხანს გონებამოუკ-რეფლად ჩაშტერებოდა სკამად გადებულ ფიცარს, თავის თავით გა-

ღიზიანებული და უკმაყოფილო იყო. შეეცადა არეულად მოწოდებული ფიქრები განეფანტა, მაგრამ ვიღაც სხვა ჩასაფრებული ნიშანი მოგებით ისევ მოერეკებოდა მათ და ყოველ არათანმიმდევრულ აზრს კითხვის ნიშანს უსვამდა. „რატომ უნდა იყო შენ ფუტკრნში და ლება? ნიძე კი ფეხი-ფეხ გადადებული ამ სრულებრივი ქალის გვერდზე? რატომ დაერიე და ტყუილუბრალოდ გალახე პოლიციელები? შენ რა, სიმართლის მაძიებელი ხარ? რა გამოქმედებს? იაფასიანი პატივმოყვარეობა? და, საერთოდ, რას ეძიებ, რისკენ მიიღოთგი?“ ეს კითხვები პირველად მაშინ წამოიჭრა არადელის ცხოვრებაში და მიუხედავად იმისა, რომ პრიმიტიული ფორმით ამოტივტივდა, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ღონივრად იყიდებდა ფეხს მის შეენებაში, სულ უფრო მიუწვდომელი ხდებოდა ამ საკითხების შორსწასული ხლართი. დროდადრო ზედაპირული დასკვნებით იტყუებდა თავს, მაგრამ ის ჩასაფრებული ირონიული ღიმილით არ დააყოვნებდა, ხელად მონაჩახად ქუცევდა თავისთვად თითქოს ცხად პასუხებს, რის შემდეგ არადელი აღარაფერზე ფიქრობდა და მორიგ სიგიჟეებს ჩადიოდა. გავიდოდა დრო და კვლავ იწყებოდა „ან და ბანი“. „ვინ ხარ შენ? რა გინდა, რისკენ მიიღოთგი?“ და ისევ გრძასავით ფათური, მზარდი აფორიაქება ან სრული აპათია. ხანდახან, როდესაც სასოწარკვეთილება უკიდურეს წერტილს აღწევდა, არ იყო და არა გამოსავალი, როდესაც ამოუხსნელი საკითხების აბლაბუდაში მწერივით გაბმული უიმედოდ ფართხალებდა, უცებ ფურგონში ნანახი სურათი შემოსცინებდა, თავისი კეთილი მზერით ჩასწვდებოდა მის სულ-სა და გულს, გააშლევინებდა ფრთებს და ახალგაზრდულ, დაუდგრომელ სილალეს უბრუნებდა.

კოშიტეტში იშხნელების ოჯახი უსიამოვნოდ შეხვდა ივერიელთა ბოლვის შედეგნაზე გამართულ საუბარს, განსაკუთრებით ირაკლის აქტიურობას. მისი ხასიათის ამბავი რომ იცოდნენ, პირდაპირ ჩარევას მოერიდნენ და ფარული ზემოქმედების საშუალებად თვით ამ ფაქტის გაბიაბრუება არჩიეს. როცა კი ნახეს, რომ კოშიტეტის ხელმძღვანელობამაც მაინცდამაინც არ გამოიდო თვით კონკრეტული ღონისძიებების დასასახად, იმედი მიეცათ, რომ ეს გეგმა თანდათანობით მივიწყებას მიეცემოდა, ამიტომ არადელის სადილად დაპატიჟებაშ დავთრები არია და ქალბატონი შუნია შეაშფოთა.

— არა, მე ვერ გამიგია, ჯერ ხომ უნდა იყითხო კაცმა, გვაქვს სადილი, შეგვიძლია თუ არა წესიერად გავუშაპინძლდეთ ვინმეს?

— არა უშავს, დედა, რაცა გვაქვს — გვაქვს, რა ამისთანა გურმა-  
ნი ნახეთ არადელი, სადილი რომ დაგვიწუნოს.

— მამა უცხონდა, დაგვიწუნოს!.. დაწუნება რა შუაში, არაფერი  
საქმე გაქვს მაგ ბრანდახლისტთან და ბუცხრიკიძეს მოგონილ, რაღაც  
სისულელე — ივერიელთა პოლყთან. ანდა უთხარით, ექიმო, შეძ-  
ლება მისი ამდენი სიარული და ნერვიულობა?

ექიმი კვინიკაძე ნინო იშხნელის ქმრის, საქართველოს ერთ-ერთი  
უმდიდრესი კაპიტალისტის დიმიტრი ლებანიძის შორეული ნათესავი  
და ოჯახის მურნალი იყო, იგი იშხნელების ოჯახში პეტერბურგში  
წამოიყოლა, რათა საქართველოში ჩაეყვანათ ფრონტზე დაჭრილი  
რიაკლი.

კვინიკაძე ოდესის გარდა, სადაც ახალგაზრდობაში სწავლობდა,  
თავის ცხოვრებაში არსად ყოფილა. ამ ხანგრძლივმა მგზავრობამ,  
უცხო გარემომ და ჩრევოლუციამ საბოლოოდ დააშინა პოლიტიკურ  
ამბებში ისედაც გაურკვეველი ექიმი; სამშობლოს, ნაცნობ-ნათესა-  
ვებს მოკლებული, თავის საყვარელ საქმეს — საექიმო პრაქტიკას  
მოცილებული მარტოხელა დამიანი ნიადაგგამოცლილად გრძნობდა  
თავს და გულუბრყვილოდ ხვდებოდა ყოველ ახალ ამბავს. მას სერ-  
იონდა ყველასი. ოლონდაც დამაჯერებელი ტონით ყოფილიყო რამე  
წარმოთქმული, ჟანსაკუთრებით სხეროდა ბუცხრიკიძის, რაღაცნა-  
ირად აწყნარებდა მისი ხალისიანი ლაპარაკი, მიზანდასახული მოქ-  
მედება, იმედის მომცემი უდარდელი ხარხარი. ამიტომ ბუცხრიკი-  
ძის დაუღვევრად ჸსენებამ ცოტა არ იყოს ზროტესტის სურვილი და-  
ბადა გასში და უნებურად გაუბედავად ითქმევინა: „არა, ქ-ნო შუ-  
ნია, ირაკლი უკეთ არის, გაცილებით უკეთ, და მოძრაობაც შეიძლე-  
ბა. დიახ“.

მოულოდნელად ქ-ნ შუნიას ნინოც გამოეცალა ხელიდან, რომელ-  
მაც განაცხადა:

— რაკი დავპატიუეთ, ახლა უკვე აღარაფერია სალაპარაკო. სჯობს  
მოვითიქროთ, რა შეიძლება სადილად გაკეთდეს.

— Делайте как хотите, че ле с ар га ван дар е з, — ткъя დაბ-  
ნეულმა ქალბატონმა შუნიამ და შუა ოთახში სქამზე ხელდაჭდობილი  
ჩამორჩდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიღვა, როცა ნინომ ნამცხრი-  
სათვის ფეხილი გამოიტანა, ვერ მოითმინა, მთელი რიგი შენიშვნების  
შემდეგ წინსაფარი აითვარა, ხელები გადაიბანა და მოფუსფუსე ირაკ-  
ლი და ექიმი სამზარეულოდან გამოყარა.

სადარბაზოდან ფურშტატის ქუჩაზე გამოვიდნენ თუ არა, ბო-  
ცხრიყიძე ვიღოც დადარაჯებულმა ახალგაზრდა რუსშა გაიხმოა—ფლი-  
კომეს მოგვიანებით შეამჩნია, ბიჭი აღელვებული ჰყვებოდა, რაღა-  
ცაში აგრებდა, მის წაყვანას ლამობდა, ვარდენმა პატრონი რომ  
ძალს დატუქსავს, ისე მოიშორა იგი და ვალიკოსთან დამნაშავდს ლი-  
მილით დაბრუნდა.

გაზაფხულის ბუნიობა იყო, მაგრამ ისეთი ამინდი იდგა, ვერ  
იტყოდით ადრე გაზაფხული იყო თუ გვიანი შემოლგომა. ბრძა, უმ-  
ზეო დღე ვერც იმას მიგანვედრებდათ, საღამო იყო, შუადღე თუ  
დილა. სინოტივით დაწნებილი ჰაერიც არ იძროდა. არადელს თავის  
ტკივილი ყურებში უზუზუნებდა, მაინც ესიამოვნა ქუჩაში გამოსვლა,  
სუფთა, წესიერად დაგებულ ქვაფენილზე ფეხის მჩატედ, დაუბრკო-  
ლებლად გადადგმა. მისი სხეული სიცოცხლისკენ შემობრუნებას  
გრძნობდა, კიდევ რაღაც უსახელო იმედი ყრუ მოლოდინად უღვი-  
ვოდა გულში.

ნინომ ვალიკოს მამაკაცურად, უხეშად გაუწოდა ხელი. ტრადი-  
ციული ქართული მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ ყველანი მრგვალ მა-  
გიდას შემოუსხლნენ. არადელს მესაშე დღე იყო, პირში ლუკმა არ  
ჩასვლოდა, მაგრამ ახლა სულაც არ შიოდა, მხოლოდ ლაზათიანად გა-  
წყობილი სუფრის შეხედვისას თვალები კიდევ უფრო ღრმად ჩა-  
უცვივდა და თავისივე ხმა შორიდან ჩაესმა. ირაკლი იშხნელი ყველა-  
ზე მეტს ლაპარაკობდა, სურდა ძალდაუტანებელი ატმოსფერო შე-  
ქმნილიყო, მაგრამ კონტაქტები არ მყარდებოდა. ქალბატონი შუნია  
საერთოდ არ უგდებდა ყურს ირაკლის, ნინო პირდაპირი შეკითხვის  
დროს თუ იტყოდა რამეს, ექიმი ბუცხრიკიძეს შესციცინებდა და პა-  
ნიკურად იყო განწყობილი, რადგანაც ამჯერად ვარდენი უჩვეულოდ  
იქცეოდა, გერ ერთი, რატომლაც ზედმეტი ყურადღებით ეპყრობო-  
და ამ არადელს, მეორეც — საუბარში ნაკლებ მონაწილეობას იღებ-  
და და შეფიქრიანებული სახე ჰქონდა. ვარდენი მოულოდნელად წა-  
მოდგა, ექიმს ცალყბად გაულიმა, მხარზე ხელი დაადო, ქ-ნ შუნიას  
მოუბოდიშა, მიღლობა გადაუხადა და თქვა:

— ერთი სასწრაფო საქმეზე გევიქცევი, ნახევარ საათში აქ ვარ,  
სანამდე ბატონი ვალიკო არ მორჩება, ჩემთან იქნება სახლში, ჩვენ  
უკვე მევილაპარაკეთ.

არადელმა შეპასუხება მოინდომა, მაგრამ ბუცხრიკიძემ არ და-  
აცილდა.

— აპ, აპ, არ ვიცი არაფერი, ბატონო, ჩემი სტუმარი ჭრაშვილები, ნახევარ საათში აქ გავჩნდები.

სადილი ისე მთავრდებოდა, რომ ნინოს ერთხელაც არ შეუხედავს არადელისთვის თვალებში, ის ღრმად დაინტერესებული, სულისამ-წვდომი მზერა, რომელიც პირველი შეხვედრის სამუდამო საჩუქარი გამოდგა, აღარა კრთოდა. მაშინ გაუთხოვარი იყო, — დაასკვნა არა-დელმა. ქალს, რომელიც ახლა დიასახლისობდა, არაფერი ჰქონდა სა-ერთო იმ კეთილ, ალერსიან, სალოლიავებელ ხატთან, რომელიც წლების განმავლობაში ხან დროულად, ხან უდრიოდ წარმოჩინდე-ბოდა ხოლმე მის ფიქრებში. მართალია, არც ეს სახე იყო სილაშაზე-სა და სანდომიანობას ზოკლებული, მაგრამ ეს სხვა, უცხო ქალი გახ-ლდათ, უცნობი მოქცევაში და ქედმაღალი დამოკიდებულებაში, გა-ბუდულივით სიტყვაძუნწი და შტერივით გამჭრიახი.

სადილის წინ ირაკლიმ საჭიროდ სცნო დედამისი გაეფრთხილე-ბინა, არაფერი არ ჩაურთო შენებური, საპატიო სტუმარს არ აწყე-ნინოო, მაგრამ ცოტაც და ყველაფერი კინალამ პირიქით შემობრუნ-და: ჩიხტიკოპში საგანგებოდ მორთულმა ქ-ნმა შუნიამ იქვე დაყარა ფარ-ხმალი, როგორც კი არადელმა მამაპაპურ ქართულ ზრდილობა-ში ზესარულობა გამოიჩინა და ივერიელთა პოლკზე ჩამოგდებულ საუბარს დაუფარავი სკეპსისით შეხვდა.

— თქვენი მსჯელობიდან გამოდის, რომ საქართველომ არ უნდა იზრდოლოს თავისი დამოუკიდებლობის აღსაღენად, — თქვა გაწი-ლებულმა ირაკლიმ.

— არა, მე სხვა რამა მაქვს მხედველობაში.

გალიკო ერთხანს შეეცადა თავიდან აეცდინა მისთვის მეტად სა-ჭირობოროტო საკითხების მუქთად, ლიტონ სიტყვებად დახურდავება, იცოდა, ასეთ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაში ვერ შესძლებ-და ემოციურად აღედგინა ტანჯვით ზოპოვებული შეხედულებების დამაჯერებლობა. მაგრამ სუფრაზე ისეთი სიჩუშე ჩამოვარდა, რომ უთქმელობა აღარ ივარგებდა.

— თქვენი აზრით, რა ორიენტაციას უნდა დაადგეს კავკასია და, კერძოდ, საქართველო — სამხრეთის, დასავლეთის თუ ჩრდილოეთი-სას, და ვისი თავდასხმისაგან ფიქრობთ თავდაცვას? — შეეკითხა იგი ირაკლის.

— განა ერეკლე მეორს პოლიტიკის სისწორე არ დამტკიცდა ამ ასი წლის მანძილზე, განა ამ პოლიტიკას გადასინჯვა ესაჭიროება?!

- ეგ შორს წაგვიყვანს... ესე იგი, თქვენ თვლით, რომ საქართველოსთვის ყველაზე გამოსაღებია რუსეთის ფრთის ქვეშ ყმაზე!
- რასაკვირველია.
- მაშასადამე, კავკასიაზე თავდასხმა მხოლოდ თურქეთიდან და სპარსეთიდანაა მოსალოდნელი?
- რასაკვირველია.
- მაშ, ყველაფერი რიგზე ყოფილი. რუსეთის შემწეობით, თურქეთია და სპარსეთის ჩვენ გავუმკლავდებით.
- ი, მაგრამ ბოლშევიკურ რუსეთი ჯერ ჩვენთვის არ სცალია.
- აი, როცა მოიცლის, მაშინ გვეტირება ყოფა, — სარკასტულად ჩაილიმა არადელმა.
- მანამდე ჩვენც მოვმაგრდებით და დამოუკიდებლობას გამოვაცხადებთ.
- რამდენადაც მე ვიცი, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები არიან, რომელნიც თავის ძირითად მოძღვრებად ბოლშევიკებისდაგვარად იგივე კლასთა გრძელის პროპაგანდას თვლიან, რაც რომაული „დივიდე ეტ იმპერას“ ხელებური ფორმულაა და ერთს დაქუცმაცების, შინაგანი ქიშ-პობის წყაროა. აგრძარული რეფორმის განხორციელება ძირითად მოსახლეობას — გლეხობას ინდიფერენციულს წდის პოლიტიკური წყობილებისაღმი. ხალხთა ზე-ჩვეულების, აღათ-წესის სისტემატური უარყოფა ერთს თვითმყოფადობის მოშლისა და სულიერი ეროვნისათვის არის გამიზნული, ჩვენს რელიგიას საერთო საქმისათვის ორივე ხელი აქვს წაჭრილი, მართლმადიდებელ ეკლესიას არაფერი აქვს დასაბირისპირებელი სხვა ერთს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მეორე მხრივ ურჯულობისა და ათეისტების ნამუშავარის წყალობით (რასაც ჩვენი ლიდერები პროგრესულ მოვლენად თვლიან), სარწმუნოების გავლენა თანამედროვე ქართველ კაცზე მეტად უმნიშვნელოა. მაშ რალა რჩება იმ უროვნული ფასეულობიდან, რომელსაც უნდა შესწოროს თავი ქართველზე მეომარმა? იქნება ის ორიოდ დიდებული, ან ბოგანოდ ქცეული ორიოდ მესაკუთრე, რომელთა უმრავლესობაც ქართული წარმოშობისა არ არის? და, ბოლოს, ვინ დაუჭერებს ჩევიძესა და წერეთელს, რომ მათ პარტიული დავალებებისა და ყრილობების შემდეგ მამულიშვილური პრობლემები აწუხებთ, ისინი ხომ რუსეთის რევოლუციის წიაღიძან არიან გამოსულნი?
- მე აქვენ რევოლუციონერი მცგონეთ, — გადაულო და გადა-



ულო ვალიკოს ისედაც გადატვირთულ თევზე რაც რომ ქართველები უკავშირდნენ ეს სუფრაზე ქ-ნმა შუნიამ, მაგრამ შასი სიხარული ნაადოვევი გამოდგა.

— განა წითელი რუსეთი ისევ მოინდომებს იმპერიის აღდგენას? — იყითხა ჩავარდნილი ხმით ირაკლიმ.

— ვინ იცის, იქნებ სულაც იმიტომ გაშითლდა რუსეთი.

— მაშ რატომ გვაძლევენ უფლებას საკუთარი ჯარი შევჭმათ? — წამოიძახა ექიმმა.

ნახევარი საათიც გავიდა და 'შეტიც, ბუცხრიკიძე აღარ დაბრუნებული. ცოტა ღვინო, რომელიც დალია ვალიკომ და ენერგია შოშმატა. ახლა გამოუნელდა, სასტიკად მოდუნდა. საჭირო იყო მდგომარეობის გამოცვლა, ჰაერზე გასვლა, წამოწოლა, დაძინება. მან თავს ძალა დაატანა, წამოდგა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— მე თანახმა ვარ 'მოვხვეტო ყველა ქართველი, ვინც კი მო-ისურვებს, და საქართველოსკენ გავსწიო, ივერიელთა პოლკის სახელით ზოხდება ეს, თუ სხვა რამ საშუალებით — სულერთია.

ყველანი სუფრიდან წამოიშალნენ, ირაკლი შეეპატიუა არადელს — ჩვენთან დარჩითო, შემდეგ გაცილება მოინდომა, ვალიკომ არც ეს დაანებს. როცა კიბეზე ემშვიდობებოდა იშხნელებს, უცებ წინომ უყვირა დედამისის: „სად უშვებთ, ვერ ხედავთ, რომ კაცი ძლივსა დგას ფეხზე?!“ ამან მცირედი დაბნეულობა გაშოიწვია, ქ-ნი შუნია უხერხულად დაებლაუჭა ვალიკოს, ირაკლიმაც კიდევ ერთხელ სთხოვა დარჩენა, მაგრამ ვალიკომ მადლიერების გამოსახატავად მშვიდად, ორივე ხელი გაუწოდა ირაკლის და დინჯად თავისი გაიტანა.

რაც უფრო უახლოვდებოდა ლიტეინის ქუჩის ვალიკო, მით უფრო ფეხები უკან ჩემი რჩებოდა, არადა შეტი მისასიცლელი იდგილი აღარსად ეგულებოდა. ქუჩაში ისევ 'შინდდებოდა და კიდევ რამეს რომ არ გადაპყროდა, სწრაფი დაბინავება იყო საჭირო. ფანჯრის კუთხეში სინათლე ენთო, ერთი პირობა თითქოს გაეხარდა კიდეც და ნაბიჯს მოუმატა, მაგრამ 'საღარბაზოში შესვლისას უკვე იცოდა, რომ ფინელ დიასახლისთან ვერ მოხვდებოდა. 'შაინც ავიდა შეორე სართულზე, კართან დაღვა, ხელიც კი ასწია ზარის ჩამოსაკრავად, შემდეგ ნელა ჩამოუშვა, რამდენიმე საფეხურით ზემოთ ადგა, ფეხი და კიბეზე ჩამოჭდა: ის, რაც ორი დღის წინ სანატრელად ესახებოდა, ახლა გულისამრევ გრძნობას იწვევდა — ძევლი ავეჯის, ოშისა თუ ოფლის სვნით ნაჯერი ჰაერი ტრიალებდა მის წარმოდგენაში. გაიფიქრა კი,



რომ ეს ჩემი ავადმყოფობის ბრალიაო, მაგრამ იქავე ნინოს დღევან-  
დელი წამოყვირებია გაახსენდა და გახარებულმა გაიღიმა აშაკლოს  
ჯარს იქიდან შემოესმა, წაშოლგა, კიდევ უფრო მაღლა ავიდა  
კიბეზე, მერე გადაწყვიტა სხვენზე ასულიყო და იქ გაეთენებინა ღამე.

ყოველი ადამიანის ცხოვრების აზრი ერთხელ მაინც ჩაივლის შის-  
თვის განკუთვნილ აფეთქების არეში, ერთხელ მაინც დაენახვება ამა-  
თუ იმ სახით თავის პატრონს და თუ ადამიანი შეიცნობს, დაედევნე-  
ბა, ჩასჭიდებს მას ხელს, სულ მალე დიდი მეტი გავარდება ან შუშ-  
ხუნასამებრ მრავალფერად გადიგამარებს. ვალიკოს რატომღაც მო-  
ეჩვენა, რომ სწორედ დღეს მოიყარეს თავი ყველა იმ გამოუხსნელმა  
კვანძებმა, რომლებიც დღენიადაგ ებლანდებოდნენ შას ფეხებში,  
რომ დღეს უნდა გადაწყდეს ძლიერ მნიშვნელოვანი რამ მის ცხოვ-  
რებაში. იყო დრო, როცა საქართველო, ქართველობა, მამულიშვი-  
ლობა არადელს ჩოხაზე 'დაჭერებულ საშხრებად, სუფრაზე ლამაზ  
სადღეგრძელოდ, სხვა ეროვნების ქალთა ფარულ 'სექსუალურ ყუ-  
რადღებას და გიტარაზე დამლორებულ ევროპეიზებულ რომანსებად  
ეჩვენებოდა, შემდეგ შეზღუდული ჭკუის, გაუნათლებელი, 'ცრუ ინ-  
ტელიგენტების უსაფუძვლო პრეტენზიად, პროვინციული აზროვნე-  
ბის სიღუპტეირედ. შის ინტერნაციონალისტობას იმ დღიდან შეეპარა  
კრიტიკის ჭია, როდესაც თბილისში საღიხოვის ქარვასლაში მიიყვა-  
ნეს, სადაც ფარულად ხდებოდა სპარსეთის რევოლუციის მოხალისე-  
თა მოკრეფა. შენობის შესასვლელში კონსპირაციის მიზნით ხილაბან-  
დის ოვალებზე აკვრა მოუნდომეს, ამან ირონიულად განაწყო: სხვა  
თუ არაფერი, იგი აშ უბანში იყო გაზრდილი. ზემოთ კი უძვირფასეს  
წოხზე ნახევარრეგალად მსხდომარე სპარსელი სოვდაგრების დანახვამ,  
რომელთაც დღისით ზალიჩებით ჩაებნელებინათ დიდი დარბაზი და  
ვერცხლის შანდლებში ჩაჭედილი სანთლების 'შუქზე ფეხმორთხმულ-  
ენ ჩაძე შეექცეოდნენ, ვალიკოს „ათას ერთი ღამის“ ზღაპარი შოაგო-  
ნა და თავშესაქცევი სანახაობის სახილველად მოამზადა. მაგრამ საქ-  
მე სულ მთლიად ასე არ გახლდათ. მდიდარმა ვაჭრებში შისი დანახვის-  
თანავე ნაქარგი ბალიშები, დიბრი შუთაქები მოიტანეს! და ისე დაყვა-  
ვებით მიიპატიუეს, რომ ეტყობოდა, ვალიკოს ვინაობის შესახებ ორი-  
ოდ სიტყვა აქ უცვე შეწილული იყო. მათ პირმოთნე ლიმილით ილაპა-  
რაკეს თავისუფლების იდეებზე, ადამიანის ვაჟკაცობაზე, კოსმოპო-  
ლიტიზმზე და შემპარავად შესთავაზეს არადელს მოქმედების გეგმა.  
ვალიკო ყურს უგდებდა ამ უქრო-ცერცხლის ხურჯინებზე მსხდომ

(როგორც მას მოეჩვენა) ცბიერთვალება ადამიანებს და კულტურულ  
ვერ დაეჭვრებინა, რომ ისინი უბრალო ხალხის სუვ-ბედით დაწერან-  
ტერნაციონალისტური იდეებით იყვნენ შეწუხებულნი. კიდევ მეტ  
საგონებელში ჩააგდო მოხალისეთა შემადგენლობამ, რომელიც თვით  
ირანის რევოლუციის ხელმძღვანელმა, თბილისელი მოლას გარეგნო-  
ბის მქონე სათარ-ხანმა გააცნო ვალიკოს. აქ იყვნენ რუსი, ებრაელი  
და ქართველი პროფესიონალი რევოლუციონერები; ულუკმაცურიო  
დარჩენილი იძონის ამის ვეტერანები, ერთი ქართველი ნასტუდენ-  
ტარი და გამოქცეული კატორლელები. ისინი ირანის შინაგან პრობ-  
ლემებს არ იცნობდნენ, არც მას ხალხსა და სტორიას. მათს უმეტე-  
სობას ამ კამპანიაში მონაწილეობის საკუთარი მიზეზები ჰქონდა —  
ერთი რუსეთის 1905 წლის რევოლუციით გამოწვეულ რეაქციის  
წლებს არიდებდნენ თავს, მეორენი საშოგარზე იყვნენ ჩამოსულნი,  
სხვანი პოლიციის ძიებაში იმყოფებოდნენ.

ერთ ღამეს, კოკისპირულ წვიმაში ქალაქ ყაზვინზე თავდასხმის  
მომზადების დროს, მათთან ბანაუში ცხენები მოყარეს. დღიდ, ახმახი  
და ჩოფურა მეჯოგე ქართველი გამოიდგა. მან ცხენებითან ერთად რა-  
ღაც წერილი გადასცა რაზმის უფროსს, პასუხს აღარ დაელოდა და  
წვიმისაგან გალუმპული ავდარში გაუჩინარდა. შუალამე გადასული  
იყო, როდესაც მომავალი ბრძოლის ფიქრებით ძილგატეხილმა „მე-  
ბომბე ნიკომ“ სხვათაშორის თქვა:

— ეს მეჯოგე გიგლა ზერბიჭაშვილია — ილია ჭავჭავაძის მკვლე-  
ლი. სოციალ-დემოკრატებმა მოარიდეს იგი პოლიციას და აქეთ გა-  
მოგზავნეს.

არადელი სახელდექელოდ მოწყობილი საწოლიდან გველნაკბენი-  
ვით წამოხტა.

— ილია ჭავჭავაძის მკვლელი?  
— ჟო, რა გაყვირებს?  
— ეგეც ჩვენ კამპანიაშია?!

— მერე რაა? ილია კარგი პოეტი იყო, მაგრამ გავლენიანი ფე-  
ოდალისა და რეაქციონერის თავიდან მოცილება არცთუ ისეთი დი-  
დი ცოდვაა.

ამ შეხვედრაშ გულისამრევი შთაბეჭდილება დატოვა ვალიკზე  
და წინააღმდეგობით სავსე საკითხების პირისპირ დააყენა.

მართალია, აღვილობრივი მოსახლეობა ქართველ მოსახლეებს  
გურჯებს ეძახდა და რევოლუციის სხვა მონაწილეებისაგან ასხვავებ-

და, მაინც ყველამ იცოდა, რომ ეს დამხმარებლური მოძრაობა რესტუ-  
ლი ორეოლუციური ცენტრებიდან იგეგმებოდა. ვალიკოს ფრანგიშვილი  
დევ იმან აუბნია, რომ სპარსულ რევოლუციას, ან როგორც ზოგნი  
ეძახდნენ, „კონსტიტუციურ მოძრაობას“ სწორედ რუსი მეფის მიერ  
გამოგზავნილმა კაზაკებმა, პოლკოვნიკ ლიახოვის შეთაურობით შო-  
ულეს ბოლო. რევოლუციური პროპანდა ამ ფაქტს კლასთა პრძ-  
ლად, სოციალურ ანტიაღინიზმად და ინტერნაციონალურ სოლიდარო-  
ბად აცხადებდა, მაგრამ ვალიკოს ერთი ყოფილი პოტიომკინელის  
ლრევით ნათევამშა სიტყვამ გადაასხა ცივი წყალი: „Вот, Пяхов по-  
казал им почем фунт лиха!

საქმე ის იყო, რომ თვით რევოლუციის მონაწილეს, კლასობრივად  
მტრულ პოზიციაზე მდგარ მატროსს არ უნდა გახარებოდა უბრალო  
სპარსელების ამოუსუვა.

რუსეთ-გერმანიის ფრონტზე გატარებულ ორწელიწადნახევარსაც  
არ ჩაუვლია ამ მხრივ უქმად: პატრიოტულად გამახვილებულმა ატ-  
იონისფერომ, რომელიც შექმნილი იყო ფრონტზე მყოფ რუს ოფიცერ-  
თა წრეში, შემწყნარებლურმა დამოკიდებულებამ „ინორდცების“  
მიმართ, რომელსაც გამოწვლილვით დაკვირვება არ სჭირდებოდა,  
მორწმუნე, თვითმყმარი და პატრიარქალური რუსი ჯარისკაცის ანარ-  
ქისტულად გაგულისების თანდათანობითმა: პროცესმა, რომელიც  
წრესგადასულ შექება-შეგონებას ემყარებოდა, ვალიკოს საბოლოოდ  
დაარწმუნა, რომ იმპერიალიზმის ტრადიციულმა პოლიტიკამ თავისი  
დრო მოჰამა და რუსეთი სულსწრაფულ ახალი ნახტომისათვის ემზა-  
დებოდა.

ფინელი დიასახლისს სხვენი ვალიკოს დიდი ბოქლომით დახვდა  
დაკეტილი — რაღა გაეწყობოდა, აქვე უნდა ჩაცუდებულიყო და სხვე-  
ნის ხის კიბის ქვეშ შეკუჭულს მოესვენა. გვარიანად ციოდა, ქურქი  
იატატზე დააგდო, პიჯაკის სახელოებიდან ხელები ამოილო, ყველა დი-  
ლი შეიკრა, საყელო აიწია და სახე შიგ ჩარგო: თავისივე სუნთქვით  
ცდილობდა ჩათბუნებულიყო. ქუჩიდან დანჯლრეული ტრამვაის ხრი-  
გინი მოისმა, წინ ჯერ კიდევ დიდი ღამე იღვა.

ვალიკოს ხშირად უფიქრია, რომ იქნებ განგებამ ყველა ადამიანს  
ბედისა და ტხოვრების საკუთარი გეოგრაფია მიაკუთვნა; სადაც უნ-  
და იყოს, სადაც უნდა წავიდეს კაცი, — მისი ცხოვრების ქარტეხი-  
ლები ერთსა და იმავე სივრცეს, ერთსა და იმავე კონკრეტულ გეო-  
გრაფიულ გარემოს უნდა დაუბრუნდნენ და როგორც არენაზე, იქ  
ვ. ქ. იოსელიანი

გათამაშდნენ. ახლა, ამაზე რომ ფიქრობდა, ისევ გაახსენდა თბილისი,  
სიონიდან ილია ჭავჭავაძის გამოსვენება, საღიხოვის ქარვასლის კიბე,  
რაზედაც შეაგდო იგი ყოველი ქუჩიდან, ყოველი მხრიდან წყალდი-  
დობასაცით მოვარდნილმა შემოწოლილმა სულამლვრეულმა ხალხმა;  
მაგამისი, შავ ჩოხაში გამოშეყობილი, წარბშეკრული, ტუჩმოკუმული  
ჟირშაგი გიორგი არადელი, ნეტავი რას ფიქრობდა მაშინ? არადე-  
ლებს იქვე ახლოს სალაყბოსთან, რომელსაც ახლა ეგზარქოსის მო-  
ედანი ეწოდებოდა, ას საუკუნი ჰქონდათ ორსართულიანი სახლი, ზავ-  
შვილბაში ვალიკო ხშირად გამოეპარებოდა ხოლმე მამიდამისს (დედა  
მასზე მუხლიარობას გადაჰყვა), აეკიდებოდა „ცხვირმოუხოცავ“, რო-  
გორც მამიდა მმდობლის ბიჭებს, დაეხეტებოდა უბანში  
და ლახტის, ართურმის, კაჯლობანასა ან კოჭობანას თამაშით ერთო-  
ბოდა. ერთხელ სიონის ეზოში, როცა ლახტის ბოლო ქამარს გადა-  
უგორდა. და ყიუინით მოიტაცა, შამამისის ძახილი შეშოესმა. მოტრი-  
ალდა. მამის გვერდით ცილინდროსანი კაცი იდგა. უკან დასახევი გზა  
მოჭრილი იყო, მორიცხულით მივიდა მათთან და გაოფლიანებულმა თა-  
ვი ჩაქინდრა, უცნობმა ალერსიანად გადაუსვა ზელი და თქვა:

— კარგი ვაჟებაცი გეზრდება, გიორგიტა, მშვენიერი.

მაშინ ეჭვისი თუ შვიდი წლისა ქნებოდა, მხოლოდ მერე, მოგვა-  
ანებით გაიგო ვალიკომ, რომ ის კაცი ილია ჭავჭავაძე, ყოფილა.

შემოთ სადარბაზო კარებს წინებით აბრახუნებდნენ.

ბუცხრიყიძის უპირობას საკმაოდ სერიოზული და გასამართლებელი საბუთი ჰქონდა: იშხნელებთან ვალიკოს წასაყვანად იშიტომ ველარ ლაპრუნდა, რომ სწორედ იმ ნახევარს სათში გაირკვა მისი უთვისტომობის ამბავი. ობოლი მეზობლის ზიჭი, რომელიც ვარდენს შეჩვეულობრივ მართვას და მისი უთვისტომობის ამბავი.



лн ჰყავდა და გაგზავნა-გამოგზავნაში ემსახურებოდა ხოლმეტა წელი და რად ფურშტატის ქუჩაზე უსიამოვნო ამბის შესატყობინებლად მოსულა: სიმამრს შენი ცოლი მიჰყავს სახლიდანო. ვარდენმა იმ წუთში არ დაიჯრა, იფიქრა, ალბათ შვილის სანახავად თუ მოვიდა და ბიჭი აზვიადებსო, მაგრამ ზოგიერთი რამ როცა აწონ-დაწონა, თანდათან მოუსცენრობაშ შეიძყრო: „რა იცი, რ'უსს კი არა, ქართველს ვერ გაუგებ, რა უდევს თავში“. ბოლოს გადაწყვიტა, თვითონ დაეხედა იქაურობისათვის, თვითონ გაეგო საქმის ვითარება. შორიდანვე მიხვდა, რომ ბიჭს მართალი ეთქვა. გზაში შემხვდური მეზობლები ჭირი-უფალსავით ესალმებოდნენ, კარი მოფრიალებული დახვდა. მაგიდაზე დიდი ასოებით დაწერილი მოკლე ბარათი იდო: „Извини, мы с папочкой уезжаем за границу“.

პირველი სურვილი გამოდევნება, დაწევა, ცოლის გალახვა და შინ მოთრევა იყო, თუკი სიმამრი საქმეს გააწყილებდა, იმის მიბეგვაც. მერე მიხვდა, რომ ასეთი ფიქრები სიზმრის შელამაზებულად მოყოლის წააგავდა და საქმიან გადაწყვეტილებასთან ცოტა კავშირი ჰქონდა. უცებ გააქსენდა საკუთარი განძი, რომელიც საწოლ ოთახში ინახებოდა, მივარდა, გადაჩხრივა, მადლობა ღმერტს, ყველაფერი ხელუხლებელი ჩანდა. აზრების მოსაკრეფად ჩამოჯდა. „წევიღნენ თუ არა, შავებს ჩევიცვამ“, — წაიბურდოუნა, მაინც ვერ მოითმინა, სახლის კარები გამოკეტა და ძუნძულით „ნიკოლოზის“ სადგურისკენ გაეშურა.

ვაგზლის ორომტრიალმა, ბრძოებად და ჯგუფ-ჯგუფად შოძრავმა ხალხმა, ცალ-ცალკე მოჩურჩულე და გაყვან-გამოყვანით მოჩალიჩე პირთა სიმრავლემ ცოლთან შეხვედრის იმედი გადაუწურა. „ვითომ ახლა მაინცდამაინც აქედან წაეთრევიან, როცა ქალაქში ამდენი რკინიგზის სადგურია? ამდენ ხალხში ვერ დაგემალება თუ?“ არა. ბოლო ხანებში გული ეუბნებოდა, იცოდა, რომ ცოლი რაცხას მაიმუნობდა, მამამისზე ძვირს ვეღარ ათქმევინებდი, მარა ფიქრობდა — შერიც გებას პირებსო. ჯანდაბამდის გზა ქონიათ... რუსულად შეიკურთხა ვარდენმა, — შეიძლება ასე ჯობს ამ შფოთიან დროს. სადგურის ნაცნობი მორიგე არ დაუხვდა, უთხრეს, ხვალ იქნებაო. სახლში წასვლა ეზარებოდა, იშნელებთან დაბრუნების ყავლი გასული იყო. „ეგება არც ქე მიღიან და მე მიღორიებენ“, ყოველ შემთხვევისთვის სიმამრის სახლისკენ გისწია. გზაში სულ სხვადასხვა გეგმებს აწყობდა, ხანთავისთავს სიმამრის მოსაკლავად გაწეულსა და ვედრებით მუხლებ-



ზე დავისრული ცოლს ხედავდა, ხან ერთ ჩემოდან ოქროებში ამოსყურე ვრნებდა და რევოლუციის სახელით აპატიმრებდა ორივეს, მაგრამ შემდეგ შეიწყნარებდა და მოსანანიებლად სახლში აბრუნებდა. არა, არა, შეაფურისხებს ერთსაც, მეორესაც სახეში და წვა.

სიმამრის სახლის საღარბაზო გარედან ურდულით დახვდა გაღარაზული, ჩაუარა და წინა სთხლიშა.

— ვერ ხედავთ, რომ დაკეტილია? — მოესმა კიკლუცი ხმა...

კარგა ხანი იყო, უჭვე ბნელოდა, მაგრამ გამდინარე ლრუბლები გაუსსნელი ფარდა დროდადრო, გამჭვირვალე ხდებოდა და ქალაქი სინათლეს მატებდა. მის წინ ახალგაზრდა ქალი იდგა, უწინაც შემჩნეული პყავდა ამ უბანში. ჯერ კიდევ სასიძოდ როცა ემზადებოდა, ხშირად შეხვედრია ქუჩაში, ილბათ აქვე ახლო-მახლო ცხოვრობდა. მოსწონდა მისი ტანსრულობა, მიხვრა-მოხვრა, არც ქალი ჩანდა გულგრილად განწყობილი; დაუახლოვდებოდა თუ არა, ატეხილი ცხენივით ჩაუვლიდა და გამომწვევ მზერას სტყორცნიდა ხოლმე. ვარდენმა რამდენჯერმე დაბირა კიდეც მისი შეჩერება, მაგრამ კეთილგონიერება აყავებდა: არ ლირს სარისკოდ, სერიოზული საქმე არ ჩამეშალოსო. ახლა კი მასი დანახვა ისე გაეხარდა, რომ პირდაპირ მკლავში სტაცა ხელი და სიცილ-სიცილში ძველი ნაცნობივით აეკიდა. ქალს უდაოდ სურდა კონტაქტის დამყარება, მაგრამ ისე უცებ ავარდნას არ მოელოდა, ამიტომ ცოტათი შეფრთხა.

— როგორ შეიძლება, ჩვენ ზომ არ ვიცნობთ ერთმანეთს, — იქვა და ხელიდან დაძვრენას შეეცადა.

ვარდენი საწინააღმდეგოს უმტკიცებდა. უთხრა, რომ დიდი ხანია უყვარს, გიუდება მისთვის და ლოცავს ღლევანდელ შემთხვევას, რომელიც უმშეველად ღმერთმა გამოუგზავნა, რომ ჩვენ ყველანი უნდა მოვკვდეთ და დავიძარხოთ, ამიტომ ბუნების წინააღმდეგ არ უნდა ვმოქმედებდეთ, „Природа требует“ — იმეორებდა იგი, საჩვენებელ თითებს ერთიმეორეს უხასუნებდა და გადამდებად ხარხარხებდა. ვარდენის სიტყვებისა ქალს, ცხადია, არ სჯეროდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით უგდებდა ყურს და თავი მთლად მიამიტად რომ გაესალებინა, აღნიშნა — იქვენ ცოლს ვიცნობო. ამაზე ვარდენმა გამოიდო თავი, უარყო ყველაფერი, მოხსნა გუდა და დაუნიდობლად აგინა ცოლიც. სიმამრიც, ნათესავებიც და მეზობლებიც მიაყოლა ზედ.

— ჩვენ უცე მოვედით, მეტს ნუღარ გამაცილებთ, თორებ უსიამოვნებას გადაეყრებით, — შეანელა ნაბიჯი ქალმა და შეფიქრიანე-

შულმა მრავალმნიშვნელოვნად გაულიმა. ამის გაგონებაზე, ვარდენმა ისეთი ტემპერამენტი გამოამჟღავნა, ისეთი რამეები იღავა არა-  
მელსაც ვერც ქალი ხედებოდა და აღბათ არც თვითონ ესმოდა, მაგ-  
რამ ერთი აზრის გამოტანა მისი ნათქვამიდან მაინც შეიძლებოდა: ქა-  
ლი დღეს, ახლავე უნდა წამოყვეს შპს სახლში, იგი ახლო ცხოვრობს;  
უნდა გაიცნოს ოჯახი, საქართველოდან სპეციალურად ჩამოსული დე-  
დამისი, რომელმაც გადასარევი ვაშლები ჩამოიტანა, ყველაფერი იცის  
და მათ ელოდება, თუ არა და თავს მოიკლავს აქვე, ნუ იცინის, მარ-  
თლა ასე იქნება! ქალს მოსწონდა ეს სასეირო სცენა, მოსწონდა ეს  
აბდა-უბდა, დამახინჯებული რუსული, ელიმებოდა მის შეტყველ უეს-  
ტებსა და დაფინებულ ერთდაიგივე ფრაზაზე „Природа требует“.

— ერთი შუთით შივიდეთ, — არ ცხრებოდა იგი, — გაგაცნობთ  
დედაქემს, დავლევთ თითო ჭიქა ქართულ კარგ ღვინოს, თქვენ სა-  
დღეგრძელოს, თითო ვაშლს შევჭამთ და — все! — მეტს არაფერს  
არ სიხოვს. ქალი ყოყმანობდა, წამით ანცმა იერმა გადაჰქრა და თქვა:  
— კარგი, წავიდეთ, მხოლოდ ხუთი შუთით.

იმის შიშით, არ გადაიფიქროსო, მიეტშასნა და ხელკავგამოდე-  
ბულს სახლამდე ენა არ გაუჩერებია. ჩაბნელებულ ოთახს რომ აღებ-  
და, პასუხი შზად ჰქონდა; ეს სხვა შესავალია, დედას ოთახი მეორე  
მხრიდან არასო. მაგრამ ქალმა არაფერი იყითხა, არც მაშინ არაფერი  
თქვა, როცა ვარდენმა ლამპას მოუკიდა და პალტოს გახდაში შეეშვე-  
ლა, შხოლოდ მოტრიალების დროს გულმკერდით შეეხოცა. ვარდენს  
მოეჩენა, რომ ქალს ორი ქვა ედო უბეში.

— ვახ! — წამოიძახა და ხელი მათკენ წაიღო, ქალი მოელოდა  
ამას, მოფარიგავესავით განზე გახტა, სიცილით თქვა:

— Рукам волю не давать!

ვარდენი ჯარასავით დატრიალდა: კარადიდან ღვინო, არაყი და  
რაღაც საჭმელი გამოიტანა, ჭიქები აავსო, ერთი სადღეგრძელო მე-  
ორეს მიაყოლა, დალია, ქალსაც დააძალა და როგორც იქნა, ერთი  
ჭიქა დაალევინა. საუბარი არ ეწყობოდა, ვარდენი ჩქარობდა, ქალი კი  
გაუნძრევლად იჯდა, ირონიულად უყურებდა. იგი ქალის მზერას მიძ-  
ყვა და მაგიდის კუთხეში ცოლის წერილს ჰკიდა თვალი, წამოხტა,  
გადაფხრიწა, კიდევ დალია და კიდევ დააძალა, მაგრამ ქალი აღარ  
სკამდა. მერე მიუჩოჩდა, კოცნა დაუწყო. ქალი ჯერ არ პასუხობდა,  
შემდეგ ერთი-ორჯერ ისე სულამოუთქმელად გადაიქცა და გადაიყო-



ლი, რომ დააბნია კიდევ. სულ მალე ორივენი შიშვლებით ფიციუნენ. ქალს მართლაც თეთრი მარმარილოსაგან გამოქანდაკებული გულ-მყერდი და თეძოები ჰქონდა. საწოლთან დაკიდებულ სარკეში შე-ათვალიერა თავისთავი:

— იცი, ერთი ძუძუ მეორეზე პატარა მაქვს.

ვარდენი მივარდა, მაგრამ ქალი მთელი ღონით გაუძალიანდა, ისე-თი ძლიერი გამოდგა, რომ ტაქტიკას გამოცვლა დასჭირდა, ჩაბლუჭული ჰყავდა და დაყვავება დაუწყო.

— გამიშვი ხელი, — უთხრა ქოშინით ქალმა, — თორემ ვიყვირებ.

— იყვირე, ჰა, თუ გინდა, მე თვითონ ვიყვირებ, აქ არავინ შოვა, ჰაპა. — აბლავლდა ვარდენი. ქალმა დრო იხელთა, დაუსხლტა და ჩატა დაიწყო. ვარდენმა კიდევ გადაპკრა ერთი ჭიქა, სასმელი მალე მო-ეკიდა, თვალებარეული ხელახლა მიექრა, ქალი ახლა უფრო მიუდგო-მელი გამოდგა, ვარდენი დაიღალა, ჭიდაობას აზრი აღარ ჰქონდა.

— თუ არ გინდოდა, მაშ ჩალას მოდიოდი?

— სად არის დედაშენი?

— თქვენი დედა!.. — შეუკურთხა ვარდენმა და სილა გააწნა, ქალ-მა ხმა არ მოიღო და ჩატამა მოუჩქარა.

— წადი, გაეთრიე აქედან! — ჭიქავ-ჭიკავით კარებიდან გააგდო, დარჩენილი ტანძსამოსი ფანჯრიდან გადაუყარა ეზოში, „თქვენი სინ-სილა გაწყდა“, — გაიფიქრა და რუსულად ხმაშალლა შეიგინა, ისევ დაისხა არაყი, გადაკრა, ჩაქრო ლამპა და ლოგინზე დაეგდო. მალე ბურანმა მოიცვა, ცოტა ზანში თითქოს კაკუნი ჩაესმა, გაეღვიძა, გა-ახსენდა ყველაფერი, იფიქრა, აღზათ ქალი აბრახუნებს, შეეშინდა, შე-ცივდა, ან ჭკუაზე მოვიდაო. წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა, ვერავინ დაინახა, კარიც გააღო, იქაც არავინ იყო. შემდეგ მოინდომა დაეძახა, მაგრამ სახელი არ იცოდა, მიიხედ-მოიხედა. „ეй, კто თამ“ და როცა არავინ უპასუხა, დასაძინებლად შებრუნდა.

არადელის წასკლის შემდეგ სუფრას ალაგება ვერ მოასწრეს, რომ ვიღაცამ იშხნელები იკითხა. უცნობი გამორჩეულ რუსულ სიტყვებს ხმარობდა და ზედმიწევნით სწორად გამოთქვამდა, რაც მის არარუ-სულ წარმოშობაზე მეტყველებდა. მან ისეთი მოკრძალებული ტონით, რომელიც ბაქიაობას უფრო წააგავს, გაანდო იშხნელებს, რომ იგი რუსეთის ყოფილი იმპერიის დედაქალაქში სხვადასხვა ფორმირებები-სა და, შესაძლოა, სახელმწიფოებისაც საკონსულო ფუნქციების დრო-



ებითი შემსრულებელია. იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს შოგი-  
ერთი კერძო დავალება, რაც ეგზომ სახიფათოა მის მდგომარეობაში  
მყოფი კაცისათვის, მაგრამ ამჯერად თხოვნა, რომლითაც მიმართეს,  
ასეთი პატივსაცემი პირისაგან გამომდინარეობდა, რომ მას, უბრა-  
ლოდ, მორალური უფლება არ ჰქონდა უარი ეთქვა. რასაკვირველია,  
მისი მოღვაწეობა საიდუმლო ფორმებს ატარებს, მაგრამ მთელი  
ზიბლი იმაში მდგომარეობს, რომ „Моя деятельность является  
секретом Полишинеля.“ თვითკმაყოფილად ჩაიცინა მან. ამ კაცმა,  
რომელიც იუზბაშევის გვარით გვაცნო იშხნელებს, მათ ბაქომდე მე-  
ორე კლასის ვაგონში სამი ადგილი შესთავაზა. მატარებელი საიდუმ-  
ლო დანიშნულების არისო, მთავრობის დაცვის ქვეშ იმყოფება და  
ერთი ვაგონი, რომელშიც დიდი ვაივაგლახოთ მოვახერხე სამი ადგი-  
ლის შოვნა, სხვადასხვა ჭურის გავლენიანი პირებით შეივსებათ.

— მატარებელი გავა ზეგ, ოცდაერთ მარტს, საღამოს ათ საათზე.

— ჩვენ რომ ოთხი ვართ? — თქვა ქალბატონმა შუნიამ.

— ქალბატონო, ეს გულუბრყვილობაა, თქვენ წარმოგიდგენიათ,  
რას ნიშნავს სამი ადგილის შოვნა მშვიდობიანობით დაზღვეულ შატა-  
რებელში, ეს დღეს არ ძალუდს თვით ლენის, გეთაყვათ.

— ესე იგი პეტროვრადში უნდა დარჩეს რომელიმე ჩვენთაგა-  
ნი?! — იკითხა ნინომ.

— ბატონმა ლებანიქემ, ქალბატონო, ერთი ფრიად ანგარიშჩასავ-  
დები კაცის პირით შემომითვალა, რომ როგორმე მეზრუნა მისი მე-  
უღლის დაბრუნებისათვის და რაღა იქმა უნდა, უპრიანი იქნებოდა  
ოჯახის მთელი შემადგენლობით, მაგრამ გამიგეთ, რასაც მე გთავა-  
ზობთ, ეს არის სასწაული. მე ჯერხნობით მეტი არაფერი შემიძლია.

— ძალიან კარგი, — წამოდგა ირაკლი, — სწორედ, რომ ზედგა-  
მოჭრილია, თქვენ სამნი წახვალთ, მე კი ივერიელთა პოლქს გამოვ-  
ყვები.

— Что ты дурака валяешь в конце-то концов! — აფეთქდა  
ქალბატონი შუნია.

ირაკლის დედისათვის შეურაცხყოფა რომ არ მიეყენებინა, იუზბა-  
შეეს ბოდიში მოუხადა და ოთახიდან ამ სიტყვებით გავიდა: „რაც  
გინდათ, ისა ჰქენით, მე წამომსვლელი არა ვარ“.

— Этих молодых людей надо женить, дорогой Юзбашев,



проверьте, никаких драк, дуэлей, революций не будет и вообще все будет спокойно.

სტუმარმა ეს პატარა წაყინკლავება დელიკატურად ვერ შეამჩნია  
და ყურადღება დავალების შეორე პუნქტზე გადაიტანა: მან პაკეტად  
შეხვეული ოქროს ფული, რასაც პატარა ბარათი ჰქონდა დართული,  
ძმოილო, ნინოს გადასცა, წამოდგა და ვიდრე წავიდოდა, ხაზგასშული  
მდუმარებით მოსთხოვა მასპინძლებს საბოლოო გადაწყვეტილების გა-  
ნონქმა. ნინომ მადლობა გადაუხადა, დედამისს გაითხედა და თქვა:

— თუ არ შეწუხდებით, იქნებ პასუხისათვის ხვალ შემოგვიაროთ.

— ქეთილი და პატიოსანი, — ისეთნაირად დაუკრა თავი იუზბა-  
შევმა, რომ დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რაც შუბლზე ეწერა:  
ასეთი ბედი გეწიათ და გაუგებარია, რატომ ყოყმანობთ.

საოცარი რამ ხდებოდა. ნინომ წუხელის ისეთი ეროტიული სიზმა-რი ნახა და ისე დაწვრილებით, რომ გუნება აერია. თითქოს მართლა რაღაც მომხდარიყოს, ისე დამნაშავედ გრძნობდა დღეს თავს. არ გინ-და დაგესიზმროს ასეთი სისულელე? საიდან? რატომ? არასოდეს უფიქრია, მსგავს რამეზე, მომწიფების ხანაშიც კი, რაც ბუნებრივი იქნებოდა, გაშინაც კი არ გამოუჩენია საონადო ცნობისმოყვარეობა მა საკითხში. ქალიშვილობის დროს ხომ ტოლების შეირ მის გასაგო-ნად მა მიზეზით წარმოითქმებოდა კლემამოსილების ირონიული ეპი-ორეტები. გათხოვების შემდეგ ქმართან გატარებული თერმოეტი წე-

ლოც, რაღაც უმწყნარებლურ, უმთხვევით და გაუგებარ აუცილებლობად — ქალისა და კაცის ბუნების გამსხვავების თვალნათლივ ვა-მოვლინებად ეჩვენებოდა. მთელი დღე ჩვეულებრივი სიმშვიდე ვერ დაიბრუნა, მხოლოდ ერთი გარემოება ანუგეშებდა — ობიექტი და-უდგენელი დარჩა, თუმცა კი, რომ არ გამოფხიზლებულიყო და თვით ნინოს არ მოეკვეთა ეს წარმოდგენა, ვინ იცნა, იქნებ ვინაობაც გარ-გვიულიყო. მის სულში, სადღაც ლრმად დაბუდებულიყო შისი სახე-ლი, რის აღიარებაც არაფრით არ ეწადა. ექვსმა თვემ, რომელიც ძა-ლუნებურად პეტერბურგში გაატარა, რევოლუციის კონდენცირე-ბულმა და მოკლე ვადამ, რომელმაც ცხოვრების წინაუკმობა მის თვალწინ გაათავაშა, მონატრებულ შვილზე ფიქრმა, მოუწყობლობაშ და ბედნიერი შემთხვევის უსაფუძვლო მოლოდინმა აღამიანებთან ურთიერთობის დაჭიმული, გაღიზიანებული, უნდო და უკმეხი ჩვევა გაუმძაფრა ისედაც განმარტოების მოყვარულ ნინოს. დიდი თავშეკა-ვება დასჭირდა, რომ არ ესაყვედურა იუზბაშევისათვის, ამდენი ხანი

სად იყავითო. ვითომდა იგი ყოფილიყოს რამეში დამნაშავე. როგორის ჭირვეულობამ კი იმდენად იმოქმედა, რომ სტუმრის გასცვლისთვის ავავე თავის თავი უბედურად გამოაცხადა. მისთვის უჩვეულო წუწუნს მოჰყვა, მისდაუნებურად ყველას ყველაფერი დააყვედრა. ამ მდაბიო მოქცევაშ კიდევ მეტად აუშალა ნერვები, მთელი საღამო ქვითინში გაატარებინა და ღამეც თეთრად გაათენებინა.

მეორე დილით ირაფლი იშხნელი კომიტეტში აღრე მივიდა. ქორქია, ჩერქეზიშვილი, ავალიშვილი და ჭყონია რამდენიმე ჯარისკაცს ესაუბრებოდნენ. ისინი რუსეთის ფრონტიდან განთავისუფლებული ქართველები იყვნენ, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება სურდათ, და რომ გაეგოთ „ეროვნული კომიტეტი“ ივერიელთა პოლკს ადგენსო, მოსულიყვნენ პირობების გასაგებად. იშხნელის გამოჩენამ კომიტეტის ხელმძღვანელები გაიხარა, ჯარისკაცები, რომლებიც უმეტესად მთიულები უნდა ყოფილიყვნენ, ირაკლის გადმოაბარეს, თვით კი სომხების ეროვნულ კომიტეტთან გაერთიანებული სხდომის მოსაწყობ თადარის შეუდგნენ. ამ დროს დარბაზში ვალიკო არადელი შემოვიდა, კრიჭაშეკრულივით ყბები და ნიკაპი წინ პეტროვი შამოწეული, ცხვირი დაგრძელებოდა, ჩავარდნილი თვალები არაბუნებრივად უბრწყინავდა.

— რა ფაციფუცია? — სალამძის შემდეგ ჰკითხა მან ირაკლის.

— სომეხთა და ქართველთა კომიტეტების გაერთიანებულ კრებას აწყობენ, უნდათ ერთობლივი შოქმედების გეგმა შეიმუშაონ იმ შემთხვევისათვის, თუ გერმანელები პეტროგრადს დაიკავებენ.


ვალიკომ ირონიულად ჩაიღიმა:

— უწინარეს ყოვლისა, ვიდრე პოლკი შედგებოდეს და მართლა თუ სმოლნის მთავრობა დახმარებას გვპირდება, აუცილებელია მოვთხოვოთ ავანსი, იარალიც, რაღა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა დაწეროს დასაბუთებული აზრი. მოვნახოთ კაცი, რომელიც ამას კუდში სდევს.

— ეგ საქმე კომიტეტის ხელმძღვანელებმა უნდა ითავონ.

ვალიკომ სკეპტიკურად გადააქნია თავი.

— მე დამავალე, შენი კვნესამე, „მუჟჩინსკი ჩალავექ!“ — ღრეჭით დაირტყა მხილა გულში და მზაყვრული ნაპერწყლები გადმოყარა პატარა, შავი თვალებიდან შავვრემანმა. ჯარისკაცებმა გაიცინეს, შავვრემანმა თვითონაც ღიმილით მიშედა თავისიანებს. ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრიბით შეუტია ერთ-ერთ ახლო მდგომს:



— გეეთერ იქით, შე გონჯო!

— ვნახოთ, — წარმოთქვა ვალიკომ. წამიდგა, წყლის დაზალუფვად  
ბარბაცით წავიდა, შუა ოთახიმდე ძლიეს მიაღწია და გონებამიხდილი  
ჩაიკეცა. მას ნიშადური აყნოსეს, წყალი დაალევინეს, მიუხედავად წი-  
ნააღმდეგობისა, რომელსაც გონს მოსული ვალიკო იჩენდა, ცალკე  
ოთახში დააწვინეს. ექიმმა სისხლის მოწამვლა აღნიშნა და საჩქაროდ  
საწოლი მოატანინა. არადელს მალე ციებ-ცხელება დაეწყო.

ხუთი წლის განმავლობაში, რაც ვარდენი პეტერბურგში ცხოვრიბ-  
და, პირველი შემთხვევა იყო, რომ დილით აღრე აღგომა არ მოუნდა.  
რა დროსაც უნდა დაეძინა, შუალამეც რომ ყოფილიყო ვადასული,  
მაინც ექვს საათზე უკვე ფეხზე იდგა. დღესაც თავის ღროზე გაიღვი-  
ა, უმიზნოდ იცვალა გვერდი და ისევ შეიბრუნა ძილი. კარგა ვამო-  
ძინებულად გრძნობდა თავს, კარზე რომ დააყაյუნეს. ქართველთა კო-  
მიტეტიდან მოვიდა შიკრიკი; თავმჯდომარე ქორქია სთხოვდა ბუცხრი-  
კიძეს, დღეს აუცილებლად შეევლო ფურშტატის ქუჩაზე. საცვლების  
ამარა დაბორიალობდა ვარდენი ოთახიდან ოთახში. უჩვეულო სიჩუ-  
მემ, აყრილმა სახლმა, უსაქმობამ ისე დამთრგუნველად იმოქმედა,  
როგორც პირველად წმ. პეტრეს ქალაქის დანახვამ. ცოტა არ იყოს,  
შეეშინდა კიდევც. „ვინ ვარ მე, ამ ოთახიდან ოთახში რომ დავდივარ  
მარტო? ვინ ვარ ან რა მინდა აქ?“ მერე სასწრაფოდ, თითქოს ვინმე  
მოსდევსო, პირი დაიბანა, ჩაიცვა, გონების თვალი ფადაავლო პეტრო-  
გრადის ყველა ნაცნობს, ვისთანაც მისვლა და თავის რითიმე დასაქ-  
მება შეიძლებოდა. ცოლის ოჯახში გაცნობილი ერთი სომეხი მიკიტა-  
ნი სულ ეხვეწებოდა, თუ რამე საქმე გამოჩნდეს ამიყვანეო, და მას-  
თან როცა მივიდოდა, თავისებურად პატივსა სცემდა. ხან ღვინით გა-  
უმასპინძლდებოდა, ხან ცხარე კავკასიური საჭმელით, ან არა და შაქ-  
რად დატებებოდა ხოლმე, რაც ვარდენს ნამეტან სიამოვნებას ანიჭებ-  
და. „წავალ, სანამ არ გაუგიათ ჩემი ამბავი, ფულს ვესესხები, — განა  
ფული სჭირდებოდა, უნდოდა სიმამრისთვის ევნო, როგორც შეეძ-  
ლო, — აღარ დავუბრუნებ, ის ხომ სიმამრის ხათრით მასესხებს თუ  
შასესხა“. და პირდაპირ მის სანახავად გაემართა. სარდაფში მიკიტნის  
პეტი არავინ იყო. დახლზე დადგმულ პატარა კასრში შილის ღვინოს  
ასხამდა, კიბეზე ჩამომავალ ვარდენს ერთი ამოხედა და ვითომც არა-  
ფერი, თავისი საქმე განაგრძო. ვარდენმა იფიქრა, აღბათ ვერ დამი-  
ნახაო და პირველი მიესალმა.

— გამარჯობა, ვარდენგან, გამარჯობა, — უპასუხა გულგრილად



მიკიტანმა და გაცლილი ქათხა საკუჭნაოში შეიტანა. მეტი რამდენიმე უნდა ჰქონოდა იმ ერთი ციცქა აღგილას, რომ ვეღარ იქნა და ვეღარ გამოეტია, „გაუგია, — გაიფიქრა ვარდენმა, — ამას ფულს ვერ წაგართმევ“. და მაინც დაელოდა მის გამოსვლას.

— კარგი, მიკიჩ, კარგი, მე წავედი, — გაურია შუქარის ტონი და კიბეს შეუყვა.

— გამოიარე ხოლმე, ვარდენ-ჯან, გამოიარე, — მიაძხა მიკიტანმა.

ბუცხრიკიძე საქართველოს ეროვნულ კომიტეტისკენ მიიღონდა და ფიქრობდა... სანამ დროა, ეგებ მთავრობის სამსახურში ჩაღეს — ქართველი ბოლშევიკები რომ არიან, იქ, ყველას ქე იცნობს, რავა ღოუჭერენ ახლა კაი სამსახურს. გლეხი კაცია და გამრჯე, მარა... არა, გამანებე თავი, ეს რომ ხუთი წლის წინათ ყოფილიყო, იცოცხლე, სამისო იქნებოდა. ახლა, როცა გეიგო ცხოვრების გემო, შავი და თეთრი, ახლა დეიწყოს თავიდან ყველაფერი?! მართალია, ვარდენს გული სხვა რამეს უგრძნობდა, მაგრამ ჰქუით ვერ დაეჭერებინა, რომ ამდენი ნაღვაწ-ნაჯაფი, ღასაბამიდან წესრიგად აწყობილი ქვეყნის დანგრევას დაანებებს განვება, ღმერთია თუ თვითონ იდამიანის ჰქუა, იმნარი შეგბნელ ზალს, მისი მეზობელი რომა?.. ქვეყანა საზღვარ-გარეთ გარბის და ისიც რომ წავიდეს, რა მოხდება?! პატარა ნაჯახი-რალი ქე აქვს, რაღაც საქმეს წამოიწყებდა კაცი, მარა ენას რა უყოს, ენს, უუ! ერთი სიმამრის თავი მიცა, რა გულიანად დაძუყნიდა!..

თავმჯდომარის ოთახში ხალხმრავლობა იყო, ვიღაც საეკლესიო პირი ფეხზე იდგა, რაღაცას კითხულობდა. ქორქიამ მაღლიერად დაუკრა თავი ბუცხრიკიძეს, თვალებით ანიშნა — მალე შორჩება, მან-დვე დაგვექიო. ისიც კარებთან მდგარ სავარძელში ჩაჯდა და ზეღმე-ტად სერიოზული სახით მიაყურა მოლაპარაკეს:

— ქართველ კეთილშობილთა შორის განცოცხლდა იგი მხედრობითი სული, რომელიცა წარსულთა დროთა განაცხოელებდა ამა კე-თილშობილსა წოდებისა წინაპართა, — მღვდელს სიტყვა ვერ დამ-თავრებული არა ჰქონდა, რომ ქორქია წამოდგა, მორიდებით გამოიარა დაშსწრეთა ჩიგები, ბუცხრიკიძეს ხელი გაუყარა და გარეთ გა-რხმო:

— ჩემო ვარდენ, ქართველების საევაფუაციო ჯგუფებს ბედ-ილ-ბალი შენზეა დამოკიდებული, თუ გინდა საშვილიშვილო საქმე გა-კეთო, საჩქაროდ უნდა წახვიდე იაროსლავში.

— იაროსლავში?

— პო, კამიტეტმა გაიგო, რომ იაროსლავში ჩარჩენილი და უსარგებლოდ დგას ქალაქ ბაქოს მიერ მოწყობილი სანიტარული მატარებელი. უცელაფერი უნდა იღონო და ის მატარებელი აქ ჩამოიყანო.

ქორქიას ჰყონია და ჩერქეზიშვილიც შეემატნენ, დაუსურაოეს ვარდენს, თუ რას ნიშნავდა სამშობლოში დაბრუნებას მოწადინებული ქართველებისთვის მთელი მატარებელი, ისიც უთხრეს, შენს მეტი მაგას თავს ვერავინ მოაბამსო, ბოლოს სარგებლიან გასამრჯელოზეც გადაუკრეს სიტყვა.

— რავა გეკადრებათ, მაგაში კი არ არის საქმე, ბიჭო, ვინ ვგდივარ ახლა მე, რომ უსაბუთოდ, უღონოდ და უნაცნობოდ მატარებელი თავის შემადგენლობით გამომატანონ, მე შენ გეტყვო, ნიკოლოზის ბაჭალლო ოქროებს ჩაუჩხრიალებ ჯიბეში. ასე არაა, ბატონო ლადი?

ირაკლის ჯიუტობის გამო იშხნელებმა იუზბაშევს წასვლაზე უარი უთხრეს, სამაგიეროდ სულ რამდენიმე დღეში ცნობილი გახდა, რომ წითელმა რუსეთმა გერმანიასთან ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკება დაამთავრი და ზავი შეიკრა, ამიტომ ივერიელთა პოლკის შედგენაც აღარაფერში ეპიტნავებოდათ სმოლნში, მით უმეტეს, რომ გამალებით მიმდინარეობდა რეგულარული წითელი არმიის ჩამოყალიბება. ამრიგად, ქართველ ნაფრინტალთა წამოწყებაც თავისითავად ჩაიშალა, ოუმცა რამდენიმე ათეულმა ჯარისკაცმა ბედისწერის მანქანებით საქართველოში დასაბრუნებელი ერთი „ტეპლუშეა“ ვაგონი საიდანლაც იშოვნა და რაღაცნაირად მოახერხეს საბარგო მატარებელზე მისი შიბმა. „აი, — იმპარატორებდა ოჯახის წინაშე თავს ირაკლი, — თქვენ რომ ჩემთვის დაგეჯერებინათ და წასულიყავით, ახლა მეც ამ „ტეპლუშეათი“ დაგეწეოდით“.

ქალაქში ათასნაირი ხმები დადიოდა, ამბობდნენ — წითელი ტერორი დაიწყებაო, ყველა არასაბჭოთა ორგანიზაცია კონტრტევოლუციურად გამოცხადდება და ლიკვიდირებული იქნებაო. კავკასიიდან კიდევ ურთიერთგამაბათილებელი მწირი ცნობები მოვიდა, ვითომ რუსეთმა კავკასიის ბედ-ილბალი ისევ თავის ჭავის მიხედვით არაკანონიერად გადაწყვიტა. იმ დადგენილების შესახებ, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავში იყო შეტანილი და კავკასიის ეხებოდა, ავალი-შვილმა სპეციალური წერილიც კი გამოაქვეუნა უურნალ „მეუღლუნა-

როდნაია პოლიტიკაში“. ზოგი ამბობდა, ბათუმი და ყარსი საქართველოს აქტების წყალობით დაუბრუნდა. ასე იყო თუ ისე, ზორავრების გებმა გარე მეტოქისაგან მოისვენეს და ჩახლაფორთხებული შინაგანი საქმეებისათვის შოიცალეს. დედაქალაქში გახშირდა ჩხრეკები, ლაჭერები, მიტინგები, კრებები, ჩამოყალიბდა რაღაც განსაკუთრებული კომისია — „Чрезвычайная комиссия“, რომლის წევრებსაც უფლება ეძლეოდათ რევოლუციის სახელით გაუსამართლებლად შუა ქუჩაში მოეკლათ კაცი. პურითა და სანოვაგით კერძო ვაჭრობა რამდენიმე დღეში ამდიდრებდა თავშემონახულ გლეხებსა, და სპეცუალურებს, მაგრამ ამაზე ბოლშევიკებმა დახვრეტის კანონი შემოიღეს. ყველაფერი ისე გადაიხლართა, ურთიერთდამოკიდებული გახდა ახალი სახელმწიფოს ტოტალური მიჩევების გამო, რომ არაემიგრირებული რუსი რწელოგენტი შიმშილით სიკვდილს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმ შემთხვევაში გადაურჩებოდა, თუკი ზელისუფლების აქტიურ სამსახურში ჩადგებოდა. ასე რომ, საფრანგეთის რევოლუციის მოწმე ერთ-ერთი აბატის ცნობილი პუმანისტური პასუხი კითხვაზე, — რას აკეთებდით რევოლუციის დროს, — „მე მხოლოდ ვცხოვრობდი, ბატონებო, მხოლოდ ვცხოვრობდიო“, ერთ პატარა დაზუსტებას საჭიროებდა: კი, მაგრამ რით, ბატონო აბატო, თავს რით იჩიენდით?

ლადი ჭყონია საერთოდ თვლიდა, რომ რუსეთს სხვა ერთა აღმოჩენებისა თუ მიღწევების მზამზარეულად მონელებისა ანუ ჩინებული მექვიდრის ნიჭი აქვს, რუსულ ყაიდაზე გარდაქმნილი ყოველი პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერული ან სხვა მოვლენა, მართლია, გარეგნულად ნაკლებად მიმზიდველია, მაგრამ ყოველთვის უფრო ღრმაა და შედეგიანი თავის პროტოტიპთან შედარებით, რუსეთის პოლიტიკის მიმდინარე მომენტისაც იაყობინელთა დიქტატურის ხანას მსგავსებდა, ამიტომ სულაც არ გაჰყიორვებია, რომ საბჭოთა ზელისუფლებამ ერთ მშენიერ დღეს გამომცემლობა „ოგნის“, როგორც ჯერჯერობით უსარგებლო დაწესებულების, შიკეტვა მოინდომა. მართლია, ამან ერთი თავსატეხი გაუჩინა ჭყონიას, საჭირო გახდა ლუპაპურზე ზრუნვა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ასეთი მდგომარეობა ხომ დიდხანს არ გაგრძელდებოდა? მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკთა ლონისძიებები მიზანშეწონილად მიაჩნდა, მაინც ახალ მთავრობასთან თანამშრომლობა რატომდაც ეთავილებოდა.

ერთი კვირაც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ვარდენ ბუცხრიკიძე დათანხმდა იაროსლავში გამგზავრებას, და ქართველთა ახალშენ-



ში სენსაცია სენსაციას მოჰყვა. სალამოხანს თავშედომართულ-ოთახში, როდესაც კომიტეტის გამგეობა მიმდინარე საკითხებს იხილავდა, კარები გაიღო, ბუცხრიკიძე შემოვიდა, ირგვლივ სალამი მოახსენა და დაუბატიუებლად სავარძელში ჩაჯდა. ყველამ ერთმანეთს გადახედა.

— რა მოხდა, ვარდენ, რატომ არ წახვედი? — იკითხა ქორქიამ.

— ბატონებო, — წამოდგა ვარდენი, — ბევრი ვიფიქრე, ნაცნობებშიც მივიყის!-შოვიყითხე, შარა არ გამოვა მაგ ამბავი... მეხუმრებით?! იაროსლავამდე სულ ცოტა ათასი ვერსტი მაინც არის, იქიდანაც ათასი — ორიათასი, არა, ბატონებო, ასეთ დროს?! მერედა რა, ჩემია ის მატარებელი, მაქვს რამე საბუთი, თუ წაყვანა ვიცი, რომ მევიტაცო? არ კითხულობ, დაგხვდება იქ, რომ ჩახვიდე, ან უჩემოდ არავის გაატანდნენ — ვარდენი უნდა ჩამევიდესო?

— ცდა ბედის მონახევრეა, შენს მეტი წამსვლელი არავინაა, ნამუსი მაინც სუფთა გვექნებოდა, — დარდიანად თქვა ჩერქეზი-ზეილმა.

— კი, ბატონო — ზღაპარი იყო, მაგრამ პატარა იმედი გვქონდა შენი, — ჩაიღლაპარაკა ნაწყენმა ქორქიამ.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა, ვარდენმა ეშმაკურად გადავლო ყველას თვალი და გადაიხარხარა.

— ჰოდა, თუ ზღაპარი იყო, მობრძანდით ფინეთის სადგურზე და ის თქვენი სანიტარული მატარებელი ერთ-ერთ ტუპიკში გაშანშალებული გველოდებათ, აპა!

რაიმე საქმეს გამოსასვლელი პირი თუ უჩანს, ყველაფერი დაბარებულივით აეწყობა. მეორე დღესვე არანაკლებ განსაცვიფრებელი აშბავი შოხდა: აბელ ენუქიძემ დაპირება შეასრულა და № 113 სანიტარული მატარებლის საქართველოში გაგზავნის ფორმალური ნებართვა დართო იმ ჭირობით, რომ კომიტეტი თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ მას უკანვე დააბრუნებდა. კომიტეტის შენობაში დიდი მოძრაობა ატყდა, რეინიგზის ადმინისტრაციამ მოითხოვა იმ ავადმყოფთა სია, ვისაც სანიტარულ მატარებელში უნდა ემგზავრა, სათანადო დიაგნოზებითურთ. ექიმი კვინიკაძე მეორედ შობილს ჰელვდა, გრაფინის სახლში დიდი უურნალით ხელში ოთახიდან ოთახში დარბოდა და გვარების გვერდზე სახელების მაგიერ ლათინურ დიაგნოზებს იწერდა.

საევაკუაციო ჯგუფის წევრები და საქართველოს ეროვნული კომიტეტის სიაში შოხვედრილი სხვა „ქვეშევრდომები“ გაფრთხილებულნი იყვნენ 28 მარტისთვის, რაც შეიძლება ნაკლები ბარგით ფი-

ნეთის სადგურის მთავარ შესასვლელთან გამოცხადებულიყვნენ. ვა-  
იტარულ მატარებელს ავსტრო-უნგრული ტყვევები ემსახურებიან  
და მათ დაეკისრათ ნელ-ნელა, ისე რომ მაინცდამაინც თვალში არა-  
ვის მოხვედროდა, თავმოყრილი ქართველების მატარებელში დაბინა-  
ვება. კომიტეტის ხელმძღვანელობას უკანასკნელ წუთაშედე ეშინოდა,  
რომელიმე უწყებას, დაწესებულებას ან გავლენიან პირს არ მოესურ-  
ვებინა და არ წაერთმია ეს განვებით შოვლენილი ძვირფასი მატარე-  
ბელი. ყველანი დანიშნულ დროზე აღრე მოვიდნენ, არ ჩანდა შხო-  
ლოდ არადელი, რომელიც ილფაბეტისა და ავადმყოფობის გამო სი-  
აში პირველი ეწერა. მატარებლისა და ნებართვის ასე იოლად შოვნამ,  
დაუბრკოლებელმა ჩასტდომამ, სუფთად გაწყობილმა ვაგონებმა ქარ-  
თველებს შორის ძველი წესრიგის ატმოსფერო შექმნა. შორს, სად-  
ლაც ყუბანის ველზე, სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ამბობდნენ —  
ბოლშევიკებმა ეკატერინოდარის<sup>1</sup> მხარე „კორნილოველებისაგან“  
მთლიანად გაწმინდესო, პირუკუსაც ლაბარაკობდნენ, მაგრამ ყველა-  
ფერი ეს ისე ბუნდოვანი, ურთიერთვამომრიცხველი და დაშორებუ-  
ლი იყო არსებულ რეალობასთან, რომ ადამიანის ბუნების მიღრეკი-  
ლება — თავიდან მოიცილოს არასასურველი წარმოდგენები, ჩევ-  
ულებრივად მოქმედებდა და ქართველებს შორის სასიამოვნო, ზეაწე-  
ული სამგზავრო განწყობილება სუფევდა.

როდესაც სიით ყველა ერთხელ კიდევ შემოწმდა, ექიმ კვინიკაძის  
დაგთარის ორი მგზავრის გვარიც დაემატა: ბუცხრიკიძე — „ლუისი“,  
ჭყონია — „შიზოფრენია“.

იშხნელების კუპეში ზანგრძლივი მგზავრობისთვის პირველი თა-  
დარიგი დამთავრებულიყო. მაფრაშიდან ამოელაგებინათ თეთრეულით  
გაწყობილი ლოგინები, თავისუფალი საშინაო ტანსაცმელი; ქალბა-  
ტონმა შუნიამ დაბლა საწოლზე თავისი კუთხე მოიწყო, თავქვეშ პა-  
ტარა სასთუმალი ამოიღო, დაგორგლილ ლოგინს მიეყრინო და მატა-  
რებლის წასვლის მოლოდინში თვალები მიღულა. მატარებელი კი  
გვიან ღამით დაიძრა. ნინოს, ირაკლისა და იმ დროს მათთან კუპეში  
უკანასკნელი ცნობების შესატყობინებლად შემოსულ კვინიკაძეს ეგო-  
ნათ, რომ ქალბატონი შუნია თვლემდა, მაგრამ ორთქლმავლის პირვე-  
ლი ბიძგისთანავე იყო წამოიწია და ქასური მრავალუამიერი წაიმდერა.

მიუწედავად იმისა, რომ მატარებელშა საქართველოში დაბრუნე-

<sup>1</sup> ახლანდელი ქრისნოდარი.

ბის ყველა მსურველი დაიტია, ვაგონებში მაინც ხალვათობა<sup>ა</sup> მაყრისათუ  
ბოლო წლების შევიწროვებას, ყველაფრის უკმარისობას შეჩვეულ მგზავ-  
რებს სულის სიმშვიდეს უმღვრევდა, იმის მაგიერ, რომ ცალ-ცალჭმ,  
თავისუფლად განლაგებულიყვნენ, ძანი აჭახებად, ნაცნობ-მეგობ-  
რებად შეიცუჭნენ ვიწრო კუპეებში. არადელი, ჰუკონია და ბუცხრივი-  
ძე ერთად შოთავსდნენ. ვალიუო თრი დღის წინათ წამომდგარიყო ფეხ-  
ზე და თავს შედარებით უკეთ გრძნობდა. ჰუკონიამ, მას შემდეგ, რაც  
გამომცემლობაში სამუშაო შეიცვეცა და პოლიტიკურ ცხოვრებაში  
ჩაურევლობის პერსპექტივა მოიცარა, გადაწყვიტა საქართველოში  
დაბრუნებულიყო, რათა საქართველოს ლიდერებისათვის, რომლებსაც  
კარგად იცნობდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მოღვაწეობის  
დროიდან, ზოგიერთი რჩევა-დარიგება მიეცა. კერძოდ, მას მიაჩნდა,  
რომ საქართველოს ისევ ბოლშევიკური რუსეთი უნდა ჰყოლოდა მწედ  
და მოსახლეობა, ვიდრე რომელიმე დასავლეთის ქვეყანა. ბუცხრივი-  
ძე ხმაურისად გადაღიალა ვაგონიდან ვაგონში. ყველამ იცოდა, რომ  
მას ცოლი გაექცა და საქართველოში მისი დაბრუნების მიზეზად სწო-  
რედ ამ გარემოებას ასახელებდნენ, თუმცა ვარდენი ყოველ დაინტე-  
რესებულს (როგორც მას ეჩვენებოდა) "სხვადასხვა მიზეზებს უბლან-  
დავდა და თუ შეატყობდა, მოსაუბრე ვერაფრით დავარწმუნეო, წინას-  
წარ მომზადებული სახუმარო ფრაზით იძვრენდა თავს: „მამასისხლად  
ჩაშვენ აშ ჩემ მატარებელში ერთი მაინც არ გვიყატავო?!"

სანიტარული მატარებელი № 113 დაუბრუკოლებლად იტოვებდა  
შიდა რუსეთის დაცარიელებულ სადგურებს; შეგადაშიგ რომელიმე  
სადგურზე ძველი ინერციით მოქმედი მორიგე თუ გამოვიდოდა მწვანე  
დროშით ხელში, ან გზის დარსები თუ გაყოლებდა თვალს თეთრ წრე-  
ში წითლად ჩახატულ ჯვარს და რინოდებს, რყინიგზა გვალვით ჩაშ-  
რალ მდინარეს წარადგია.

მატარებელში სურსათ-სანოვაგე ჯერჯერობით ქმაროდა. ნაწილი  
შეგზავრებს პეტროგრადიდან უზურად შემონახული გამორჩყვა, ნაწილ-  
საც მატარებლის მომსახურე ავსტრო-უნგრელებისაგან ყიდულობ-  
დნენ. სხვადასხვა ქალაქებსა და სადგურებს შორის მაზანდის საგრძნობ-  
მა სხვაობამ უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენა, გამორჩენის საშუ-  
ალება გაუჩინა ტყვეებს, ამ საქმეში ისინი კარგად გიშაფულიყვნენ და  
ახლაც ძეირფასი ჩიგთების ყველის მცოდნე ეგროპელებმა იღარ და-  
უოვნეს ქართველებთან აღებ-მიცემობის გაჩაღება.

ქალბატონ შუნიას კუპე ნაქარგი კონტა ფარდებით, მუქი შინდის-

ფერი ატლასის გადასაფარებელითა და თეთრი „მერეშკიანი“ სუსტორით  
მოქმინაურებინა, ფანჯარასთან ბოთლში ჩაღვებული მწვანე ცუკრტლის-  
ბაგვარი ტოტი მისმა ძველმა თაყვანის მცემელმა, როგორც თვითონ ამ-  
ბობდა — „უხაუორშა“ ჭყონიამ მოართვა მოკრძალებით. ერთ-ერთი  
უარიელი კუპე სამზარეულოდ გადაეცეია და ბუცხრიკიძის მიერ სა-  
ჩიურად მოტანილა მსუბუქი ღუმელი — „ბურუუიგაც“ კი ხშირად  
გუგუნებდა შიგ. ასე რომ თითო ფინჯან ჩაიზე შეკრება კვლავ გრძელ-  
დებოდა. ქალბატონ შუნის დაუინებით დროდადრო ბანქოსაც წამო-  
იწყებდნენ. უფრო ხშირად „პადკიდნი ღურაჩქას“ თამაშობდნენ და  
წყვილებულნი. ვალიკო ერთხელ და სამუდამოდ ნინოს საწინააღმდე-  
ვო სამეულში მოხვდა, რამაც სულ გამოუნელა მოგების ინტერესი.  
როცა მასთან პირისპირ რჩებოდა, ცდილობდა ფარულად დაეთმო.  
ჩინოც, თავის მხრივ, რაღაც უყურადღებოდ თამაშობდა. მათი სვლე-  
ბი ბოაის, ან უცოდინარის თამაშს წააგავდა, — ისეთ უაზრობას ჩა-  
დიოდა ხან ერთი და ხან მეორე, ეს კი პარტნიორების შეძანილებსა  
და შემჩნევებს იწვევდა. შემდეგ ხელახლა პოლიტიკაზე ჩამოვარდე-  
ბოდა საუბარი.

უამათს ირაკლი და ჭყონია იწყებდნენ. ირაკლის ალიზანებდა ბა-  
ტონ ლადის ფილოსოფიური აზრთა წყობა, ბოლშევკებისადმი მი-  
კერძოებად და საქართველოს ლალატად მიაჩნდა მისი შემრიგებლური  
ტონი. ჯერ კიდევ თბილისში, ქართულ კლუბში, ირაკლი ეროვნული  
მისწრაფებებით ეპიზოდის მანიშვილა, მაგრამ ვერ მოასწრო მათი რიგიანად  
შესძლებორცება, მამულიშვილურიც ვერაფერი მოიღვაწა. კადეტთა  
კორპუსის დამთავრებისთანავე გოლოვინის პროსპექტიდან ფრონტზე  
უკრეს თავი, ხოლო სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ზრუნვამ და ყო-  
ველდღიურშა ნაყე-ნაყემ დანაცრა ის ერთადერთი, სასიამოვნოდ თავ-  
ბრულამხვევი, გათვითავადებული ხელსავსობის გრძნობა, რაც შან  
თბილისში განიცადა. ქართველი პორტუჩიკისა და რუსი შტაცკაპიტა-  
ნის შეტაცების გამო წარმოშობილი დემონსტრაციის დროს, სადაც იყი  
თავდავიწყებით ქეტიურობდა, საჭირო შეიქმნა მისი მალალ — ყოვ-  
ლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის ონნოცენტი ბე-  
ლიავის ჩარევა, რომ ეს სტიქიური პროტესტი სისხლისღრით არ  
დამთავრებულიყო.

ბატონი ლადი მოკამათეს სახეში არ უყურებდა და მოციმციმე  
ფანჯარას შესცემოდა.

— რუსეთის მემამულურ-ბიუროკრატიული მმართველობა მო-  
4. ქ. ოსელიანი



რომელიც ასეთივე მყარ ბიუროკრატიულ ფორმებს. ჩვენ ყველანი მათხოვრები გამოვდექით გადამწყვეტ მომენტში. არც ნამდვილი დემოქრატია და არც ნამდვილი ინტელიგენცია. ძალასნაც კარგი, ყოველ შემთხვევაში, თავის მოსატყუებელი აღარაფერი დარჩა.

— ბატონი ლადი, თქვენ ვის ეკუთვნით, თქვენ თავს მაინც ვის მიარიცხავთ — რუს თუ ქართველ ინტელიგენციას?

— ნამდვილი ინტელიგენცია მსოფლიოში ერთი ერთა ბოლოს დაბოლოს.

— სხვა სიტყვებით — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით?

— ეს არის ერთადერთი გზა ოშებისა და სისხლისლვრის აღმოსაფეხრელად.

— თქვენ გსურთ, რომ რუსი მსოფლიოს ჰეგემონი გახდეს?

— მთავარია მსოფლიოში შეიქმნას ერთი სამყარო, მერე, ჩემი ირაკლი, რუსებს ვინ რაღასა ჰქითხავს.

ბანქოს თამაში, პოლიტიკაზე სჭა-ბასი, ფინანსი ჩაი, თუ ქალბატონ შუნიას ნახელავი ნამცხვარი ვალიკოსთვის სულ ერთი იყო, ოღონდ აქ ყოფილიყო ამ წყნარ, თბილ, სურნელოვან და მათრობელი მყუდრო კუთხეში, ოღონდ ნინოს სიახლოვე ეგრძნო, ეჭვრიტა მის სევდადასაღვურებულ ჭკვიან თვალებში, დაეჭირა ყოველი მისი სურვილი, გამსჭვალულიყო ყოველი მისი განწყობით. ვალიკოს თვალს ჭრიდა სახის კანზე ნაზად ავარდნილი, თეთრ მიღუდებულ კენჭებიდან გამომყრთალი ღიმილი, თავბრუს ხვევდა ვიწრო წელი, ქალწულის გულმკერდი და მოქნილი შოძრისობები. იგი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ არ დამთავრებულიყო ეს სიზმარეული. სინამდვილე, მატარებლის ჩქარი სრბოლა, მისი ტკბილი რიტმი: დიგინ-დიგინ, დიგინ-დიგინ.

ეს, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ერთხელ ქალბატონმა შუნიამ დერეფანში მარტო მდგომ ნინოს უთხრა: „ბატონი არადელი ვლიბლენ ვ თება იუში!“

— ექიმ კვინიკაძეს იშნელებისთვის აღარ ეცალა, მან, როგორც იტყვიან, თავის თავი მონახა — საოპერაციოში გადასახლდა, დღე და ღამე ავადმყოფებს იღებდა, რომლებიც უსაქმურობის გამო მეტად შომრავლდნენ. სს კი არა და ბუცხრიკიძის ავტორიტეტიც დაფოლდა მის თვალში.

ვარდენიც, თავის მხრივ, შეეკილოკავა ახალ დამოკიდებულებას. თუმცა აქ კიდევ სხვა გარემოებას ჰქონდა ადგილი, ვარდენს თავის

სადარდებელი პკლავდა: განძი, რის იმედითაც იგი საქართველოში  
მოდიოდა, დაუბინავებელი დარჩა. ბალიშად ამოკერილი აქტორს ფუ-  
ლით და ძვირფასი ნივთებით პირსავს მოზრდილი ტომისია ვაგონის  
ბოლო, ცარიელ კუპეში მიმაღა, მაგრამ გული საგულეში არ ედო, ეს  
ავსტრო-უნგრელი გამყოლნი ვირთხებივთ დაძვრებოდნენ და ადვი-  
ლი შესაძლებელი იყო, საწოლქვეშ შეყუულ ზედმეტ ნივთისთვის  
მოეკრათ თვალი. ვარდენი სულ მოუსვენრად წრიალებდა — დღისით  
ვაგონს დადი ხნით ვერა სცილდებოდა, ღამით კი ყველი საეჭვო  
ხმაური ძილს უფრთხობდა. რამდენჯერმე დააპირა თავის კუპეში გა-  
მოეტანა, მაგრამ გადაიტოვრა, იცოდა — განძი ასეთ დროს ყველაზე  
მეტ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. ბევრი ყოყმანის შემ-  
დეგ მაინც საოპერაციოში არჩა შენაზვა. უმთავრესად ამიტომაც  
შეცვალა კვინიცაძესთან დამოკიდებულების თარგი. ძველებური ვა-  
ხუმრება პირმოთნეობით შეკაზმა. ანეკლოტების ავტორების ვინაობი-  
სა არ იყოს, ვინ ავტორებდა ახალ ამბებს, ჭორებს, ბიოგრაფიულ  
ცნობებს მატარებლის მოსახლეობის შესახებ, კაციშვილმა არ იცოდა.  
ახლა ბუცხრიკიძე ჰყავდათ აშოჩემებული, საკვირველი ის იყო, რომ  
რასაც მასზე ჰყვებოდნენ, თითქმის ჰყველაფერი სიმართლეს შეეფე-  
რებოდა. განსაკუთრებული ავალა ცოლის გაქცევის მბავს მიეცა. ჩუმ-  
ხუმად იმასაც კი ამშობდნენ, თან განძი აქვს წამოლებულიო. ვარდენმა  
მყისვე შეამჩნია ვაგონიდან ვაგონში გადაპარულ-გაღმოპარული ჩურ-  
ჩული; ვიდრე ცოლის გაქცევაზე იყო ღამარავი, როგორც ითქვა, ხუმ-  
რობაში გადაქვნდა, მაგრამ განძი?.. გადაწყვიტა სასწრაფოდ ჩაეხ-  
ზო ეს მითქმა-მოთქმა. შემკლავება უპირველეს ყოვლისა იშნელე-  
ბის კუპეში უნდა დაწყებულიყო. თუკი იშნელების კუპეში ეს ხმები  
ფეხს ვერ მოიკიდებდნენ, სხვა მგზავრების ლაილაის ყველა მაინც  
ჭორად ჩათვლიდა. გულახდილად რომ თქვას კაცმა, სხვისი აზრი, ბო-  
დიში და, ფეხებზე ეკიდა, მაგრამ ლაქლაქიდან რომ რამე ვამო-  
ტყვრეს? ვიღაცამ გაძარცვა მოუნდომოს? ან ხელისუფლების ყურამ-  
დე რომ მიაღწიოს ამ ჭორმა? კი, ჭორმა, აბა ას, სად აქვს განძი?!  
განძი ხომ ცოლს დაუტოვა და შეარცხვინა სიმამრი და მათი მოღვემა.  
ჰოდა, ასე უნდა ითიქროს ყველამ. ვარდენი მოხერხებულ შემთხვევას  
ელოდებოდა. როგორც კი დაიხელთა იშნელები, არადელი და ჭყო-  
ნია ერთად, იმ წამსვე მათთან შევიდა. მატარებელი ახალი დაძრული  
იყო. ქალბატონი შუნია სარკმლის კუთხიდან გაქცეული ბაქანის პერ-  
სპექტივის ყოველ უკიდურეს წერტილს ეჭიდებოდა მზერით და ოდ-

ნავ დაბნეული გაიძახოდა: „არა, გეთაყვა, ვერ მოასწრო მუსკვლა,  
ატყობა, შორს ცხოვრობს“.

უველა იცინოდა. თურშე, მატარებელი საღეურზე რომ გაჩერდა,  
ქალბატონში შუნიამ ბაქანზე მდგომი ხანშიშესული დედაკაცი სარ-  
კმელთან მოიხმო და შეეჭითხა — ერთი ტომარა კარტოფილი ხომ არ  
შეგიძლია მოყიდოო. ქალს უნდოდ გადაუქნევის თავი, რაც იმას ნიშ-  
ნავდა, რომ საეჭვო ხალხთან არავითარი კონტაქტის დაყარება არ  
სურდა. ქალბატონი შუნია არ მოშვებია: იქნებ იშოვნო, გეტყობა, ახ-  
ლოს ცხოვრობ, მოასწრებ — მომიტანე, ფულს წინდაწინ მოგცემ,  
თუ ფული არ გინდა, ოქროს ნივთებსო. ქალი დაინტერესებულა და  
სარტყელს მიახლოვებია, კუპეში ქალბატონ შუნიას მეტი რომ ვერა-  
ვინ დაუნახავს, უკითხავს — რა ნივთებსო?

პასუხად სიმინდის კუკალივით ჩაყვითლებული, ორი ძეწკვეგაყრილი  
ფოლაქი დავარდნილა შიწაზე. ქალმა ბაქანს მოავლო თვალი, პირგვა-  
რი გადაიწერა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

— მეორე ხომ არ გადამიგდია, — ირწმუნებოდა ქალბატონი შუ-  
ნია, — აბა რად უნდა ცალი საკინძე?

— აღარც მე დამჭირდება ეს ცალი, დედაჩემო. — სარკაზმნარე-  
ვად აშბობდა ირაფლი, — შეგიძლია შეორე ტოშარა კარტოფილში  
გაცვალო.

ბუცხრიკიძემ გარემოება შესაფერად მიიჩნია, ოლონდ საჭირო იქ-  
ნება ცწორი გამოთქმების ამორჩევა, უთანაზომო პასუხების შერჩე-  
ვა. მან უნდა მიშართოს ყველას, ისე, სხვათაშორისს, რახან სიტყვამ  
ძვირფასეულობა მოიტანა, მაგრამ ეს მიმართვა მოკლე და შთამბეჭ-  
დავი უნდა იყოს, რომლითც დაიწყება და დამთავრდება შუსაიფი: „მეც  
ჩემი ძვირფასეულობა სიმამრსა და ცოლს მივუგდე, მაგათ ვათ-  
ქმევინებდი, ჩვენი წყალობით გამდიდრდაო?“ პირველი ქნა შუნია  
გამოეხმაურება, თანაც ამჟამად თავისი მოუფიქრებელი მოქცევა  
უთანალრებს გულს, ამიტომ ზედმეტად გახარებული იტყვის: „კეთილ-  
შობილურად მოქცეულხარ, ვარდენ, ბარაქალა. ყველანი თავს შეიგა-  
ვებენ, შემდევ ჭყონია ვერ მოისვენებს და დასხლოებით ასე წაიქინ-  
დილებს: „დარჩენილიყავი პიტერში, ბოლშევიკები უარესს ვერაფერს  
გიზამდნენ“.

— მე რომ კაი ცხოვრება მდომოდა, საზღვარგარეთ წავიდოდი,  
გველა პატიოსანი ქართველი დღეს საქართველოში არ უნდა იყოს? —



შეექითხება ვარდენი ირაკლის. ირაკლიც გულგრილი ვერ დაწინებულა  
მხარს დაუჭირს.

ნინო ლაპარაკში არ ჩაერევა, მაგრამ უნდობლობას რაღაცით გა-  
მოხატავს: „უუ, რა კუდიანი ქალია!“ და, არ, აქ შეიქმნება ყველაზე  
დიდი საშიშროება, იმიტომ რომ ნინოს მოქმედება უსაქციელო და  
იოულოდნელი იქნება. ქ-ნი შუნია გულუბრყვილოდ დაინტერესდება  
წვრილმანებით, რა ძვირფასეულობა ჰქონდა და ნუთუ სულ მაუგდო,  
არაფერი დაიტოვა თავისთვის? ამ დროს აუცილებელია სიტყვის ბან-  
ზე აგდება. შემდეგ პამპულაობა და მერე თავდაპირველი წინადადე-  
ბის სიტყვასიტყვით გამეორება. ვალიკო სათვალავში არ არის ჩასაგ-  
დები, იგი მთვარეულივით გამოაშტერა ნინომ და ავადმყოფობამ.

მართლაც ყველაფერი ასე მოხდა. ქ-ნმა შუნიამ ნაკარნახევივით  
გაიმეორა ნავარაუდევი წინადადება, ჭყონიამაც იგივე თქვა, ირაკ-  
ლიმ გაუთვალისწინებელი ფამილარობით მხარზე დაარტყა ხელი და  
ლოზუნგი წარმოოქვა: „სამშობლო მამულიშვილებს უზმობს“. ნინო  
წამოდგა და დერეფანში გავიდა. „ჩემი მამის ძვლები ვჭამე, თუ  
ვტყულდე“, — წამოიძახა ვარდენმა. უხერხული სიჩუმე ჩამოწვა წა-  
შით, მერე ქ-ნმა შუნიამ იყითხა: „ლამაზი ნივთები გქონდა, ვარდენ,  
თუ მხოლოდ ფული?“

— თოვლი, თოვლი! — შეჰყვირა ვარდენმა და ყველანი ფანჯარისა-  
თან შეკყარდა. მატარებელმა სკლა შეანელა და მალე შეჩერდა კადეც.  
ბუნებას ჯერ გაზაფხულის სითბო არ შეპაროდა, მაგრამ ქარს თოვ-  
ლი უკვე მიეფანტ-მოეფანტა, ნაცარი შეეყარა ზამთრისათვის თვალებ-  
ში. დოინჯშემოყრილი ძალად გატიტვლებული კაცივით, პირქუშად  
ელოდებოდა იქაურობა მორიგ ძალმომრეობას. იშნელების ფანჯა-  
რასთან თოვლის ოაზისი გაჩნდა. პაწაწა ბექობზე სამი თეთრად დახუნ-  
ძლული ნაძვი ხელიხელჩაუიდებული შემოხვეოდა ნაზად აყორწლილ  
არყის ხეს. თოვლის უმწიუგლო ფართიაგა წვრილ მოვგირისტებულ არ-  
შად ბექობის ქვემოდან გამომდინარე ბინული დაჰყვებოდა; ალაგ-  
ალაგ შსხვილი შეკონილი ფიფქები შაქარყინულივით ბზინავდა ზღვა-  
სავით გაშლილ რუს მიწაზე. ეს პატარი დათოვლილი ზელუხლებელი  
უბანი გამომწვევად და ამავე დროს განწირულად გამოიყურებოდა —  
ცოტაც და მისი უმანკოება გადამწიფებულ გასათხოვარ ქალივით  
ტყუილუბრალოდ ჩაიმჭლეოდა.

ქართველები უკვე ხუთი დღეა გზაში არიან. რამდენიმე სადგურში  
სხვადასხვა მიზეზების გამო შეაჩერეს. ზოგან მატარებელმა კარგა

ხანიც დაპყო, მაგრამ მგზავრები ვაგონებიდან არ გადშეოსტისადნენ, სხვის მიწაზე ფეხის დადგმისაც კი ერიდებოდნენ — არათერი დაგვაბრალონო.

მატარებელი შედგა თუ არა, ბუცხრიყიძე კიბიდან თოვლში მაღაყით გყდა უშა, სხვებიც ბავშვებივით ყიუინით ჩაცვივდნენ ძირს, მეზობელი ვაგონებიდანაც ჩამოხტნენ მგზავრები, მოულოდნელად სიცილ-სიცილში ვახურებული გუნდობა გაიმართა. არადელი რაღაცა ყვიროდა, როცა გუნდა მოხვდა პირში, მიავლ-მოავლო თვალები და ნინოს ანც შეერას შეეჩეხა, გუნდით ხელში მისცენ გაიქცა, ნინო არ გარბოდა, ელოდებოდა, იგრძნობოდა, რაღაც მალული ფანდი ჰქონდა თავდამსხმელის საწინააღმდეგოდ მომზადებული; მიუახლოვდა თუ არა, მოწყდა ნინო, ცოტა გაირბინა და უცებ შეჩერდა. აქმშინებული ვალიკო თავს წამოადგა, ნინომ შეხედა თვალებში კვლავ ისე ოდესაც უცებურად, სულში ჩამწვდომად, თითქოს თოფი ესროლა, ვალიკოს გუნდა ხელიდან გაუვარდა, მისდაუნებურად წინ წაიწია. „დედა და ირაკლი გვიყურებენ ფანჯრიდან“, — გააფრთხილა ნინომ, გვერდზე გაეცალა, ჩაიქრებული მატარებლისკენ წავიდა.

მალე ორთქლმავალმაც დაიფშვინა და მგზავრები ვაგონებისკენ გაიქცნენ. ჩვეულ სამგზავრო რიტმში შიჩინინებდა მატარებელი, როდესაც ვარდენმა ყველას გისაგონად თქვა: „ასე, ჩემო ბატონო, მიკვებებდი განს, აბა რუს გომბიოს ვალაპარაკებდი?“ და ნაძალადევად გაიცინა.

წესით შუადღეს გადაცილებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინათლე ააწონა-დაიწონას თამაშობდა და დრო საით იხტებოდა ვერ მიხვდებოდა ადიმიანი. ყველას იშხნელების კუპეში მოეყარა თავი, ღია კარებთან კვინიკაძეც კი დაყურადებულიყო. ვალიკო ფეხს ითრევდა, ეხამუშებოდა მისვლა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ნინოს მოულოდნელმა გაფრთხილებამ სძხარულით აავსო და დააბნია. დაერდვა იძისფრად მბუღტავი მყუდრო სავანე, შედედებულ ოცნებას ბოლო ეღებოდა. მოჯადოებულ გარემოსა და ავადმყოფობით მოღუნებულ ტანში რაღაც ამოძრავებდა, თითქოს მიძინებული ციცინათელები წამოიშალნენ, ან მისი სულის ნაირფერ ნალექს ამოურიეს და მზის შუქზე გახედეს; შეთქმულის მღელვარება, გაურკვეველი შედეგის მოლოდინი, ნეტიარი ძრწოლა ერთმანეთში ირეოდა.

კვინიკაძემ ვაგონის კუპეები დაიარა და ყველა გააფრთხილა: მატარებელს წითელ მეთაურთა ჭვეფი მოჰყვება როსტოვამდის და მა-



თი განკარგულებით, თუ ვისმეს იარაღი აქვს, უნდა ჩააბაროს მალე  
ჩხრეკას დაიწყებენო. „რა საჭიროა ჩხრეკა, ჩავაბარებთ, აბა რას ვი-  
ზამო?“ — წამოიყვირა ბუცხრიკიძემ.

— მე არ მივცემ, — თქვა ირაკლიმ.

— არ მიცემ და ქათმებივით დაგვაცლავენ ზედ, — გაფიცხდა ქალ-  
ბატონი შუნია. — თქვენ რას იტყვით, ვალიკო?

— არ ვიცი, ქალბატონო შუნია, — დაიწყო ვალიკომ და როცა  
ნინოს დაძაბული მზერა შეამჩნია, დაუმატა: „რასაკვირველია, არ  
არის საჭირო.

— მე იარაღს არ მივცემ, — ჯიუტად გაიმეორა ირაკლიმ და  
ცხვირსახოცში შეხვეული რევოლვერი უბიდან გალიფეს ჯიბეში გა-  
დაიტანა.

— ჩხრეკამდე არც მივა საქმე, ჯერ ერთი, ჩვენ ავადმყოფები  
ვართ, ბატონო, სმოლნის მთავრობის ქალალდი გვაქვს, მეორეც, თუ  
გაწყრა ღმერთი, შევაგროვებთ და ჩვენ თვითონ მივუტანთ, — აწ-  
რიალდა ბუცხრიკიძე.

— სწორია, სჯობს ჩვენ თვითონ მივუტანოთ, წამომყევი სხვებ-  
საც ასევე ავუჩსნათ, — შეეხვეწა კვინკაძე.

კუპეში ქ-ნი შუნია, ნინო, ირაკლი და ვალიკო დარჩნენ.

— მე შენ გეტყვი, один сможешь держать оборону, — დამ-  
თავრებულ ამბად ჩათვალა ბუცხრიკიძის წინადადება ქ-ნმა შუნიამ.  
შემდეგ კუპეში საუბარი ასე წარიმართა:

ნინო: — ყველაფერმა თავისი აზრი დაყარგა, საგნები თითქოს  
მიწას აწყვეტილან და უწესრიგოდ ყურყუმალაობენ.

ვალიკო: — ეს მხოლოდ მანამდე, ვიდრე თქვენ თვითონ ახალი  
წესით არ განალაგებთ მათ.

ნინო: — რა არის მერე ეგ ახალი წესი?

ვალიკო: — ეს ადამიანის სულმი მზის ამოსვლასა ჰეთვს, რაც ირ-  
ვვლივ მისთვის ყველაფერს ბრწყინვალებას ანიჭებს.

ნინო: — ჩვენთვის ასეთი განსაკუთრებული პირობები მართლაც  
მხოლოდ რევოლუციის დროს თუ შეიქმნებოდა.

ირაკლი: — განსაკუთრებული პირობები შეექმნათ ახლა არა მარ-  
ტო ქართველებს, არამედ რუსეთის იმპერიის ყველა „ინოროდცებს“.

— ჩაგვახწევი, გეთაყვა, საქართველომდე და მერე თუ გინდა  
ზარბაზანი ჩირდე მაგ გალიფეს ჯიბეში, მაღლობა ღმერთს, ჩაეტევა, —  
არ ცხრებოდა ქ-ნი შუნია.

ვალიკომ ნინოს თვალებში რაღაც მხიარული ნაპერწყალი შენიშვნა  
და მხურვალედ წარმოიქვა: „მარტო ამიტომ ღირდა, რომ რევოლუ-  
ცია მომხდარიყო“.

მალე მძიმე ნაბიჯების ზმაური შემოზვავდა ტალანში. კარები გა-  
რღო, ზღურბლზე ტყავის პიჯაუში ჩაცმული მაღალი კაცი გამოჩნდა,  
მის გვერდით მკერდგალელილი ახალგაზრდა გამოიჭიმა, უკან ჯგროდ  
სამხედრო გუნდი იდგა. ტყავის პიჯავიანი ცდილობდა დისციპლინი-  
რებული მჯაცრი იერი მიეღო, მაგრამ ზაბნეულ გამომეტყველებას  
კერ იცილებდა. მკერდგალელილს კი შეტრიალებული, ძვირფასი ბეწ-  
ვის ქუდის უურები განგებ შეუკვრელი და რქებივთ წინ ჰქონდა ვალ-  
მოზნექილი — ალბათ, იმის საჩვენებლად, რომ თავზეხელალებული  
ვინმეა.

— Сдайте оружие, прошу от имени Советской власти, —  
თქვა ტყავის პიჯავიანმა.

— По-хорошему, — დაუმატა მკერდგალელიმა და თვალები არ-  
ტისტულად გადატრიალა.

კუპეში დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, ვალიკომ გვერდით მჯდომი  
ირალის ჯიბისაკენ გააცურა ხელი, უცებ წამოიჭრა, ხელებაწეული  
მათვენ წავიდა:

— У нас нет оружия, пожалуйста, обывщите.

რამდენიმე კაცმა დერუფანში გაიყვანა, უბეები და ქვედატანი გა-  
უსინჯეს. მერე ირაკლიც გაჩხრივეს. არავის არაფერი აღმოაჩნდა.

ტყავის პიჯავიანმა ზერელედ შეათვალიერა ზემო და ქვემო საწო-  
ლებრი, გულგალელილმა კი ტალანიდან გასვლისას უყვირა ვალიკოს:

— Отпусти руки, идол!

მომხდეურებმა და მგზავრებმაც ზედმეტად მხიარულად გადაიხარ-  
ხარეს, — გაეხარდათ, ასე იოლად რომ დამთავრდა უველაფერი.

— რა ხრინწიანი და უსიმოვნო ხმა ჰქონდა, — აღნიშნა ქალბა-  
ტონმა შუნიამ.

— შიტინგებზე ჩაეხლიჩა ალბათ, — თქვა დერეფანში ახლა შემო-  
შვებულმა ჭყონიამ.

როცა გარეთ უველაფერი მიწყნარდა, იშხნელების კუპეში მძაფრი  
შეხლა-შემოხლა გაიმართა იმის თაობაზე, თუ სად წაელოთ რევოლ-  
ცერი, რომელიც ვალიკომ ირაკლის დაუბრუნა.

— Выкиньте эту паршивую железяку, — зиთომ ჩურჩულით  
უვიროდა ქალბატონი შუნია.

ვალიკოს მოქმედებით სახტად დარჩენილ ირაკლის ხელები ზურგზე ამოედო, გაბუტული ბავშვივით, რომელსაც სათამაშოს შეკრიფულას უბირებენ, ვაგონის კედელს მიყრდნობოდა. ნაწყენიც იყო, რომ ვაჟკაცობაში შეეცილნენ და მეურვეობა გაუწიოს, ამავე დროს, ვალიკოს მოხერხებული მოქცევით წახალისებულიცა. და გულმოცემულიც — დედა, ძალიან გთხოვ, ნუ ერევი შენ ამ ამბებში!

— არა, რა საჭიროა, გამაგებინეთ, ბატონო ლადი.

— Что он выдумывает, რა-უნ-და!

ბატონმა ლადიმ თავისი ხშირი წარბები აწყიბა, ტუჩები და ამრგვალა, წინ გამოსწია, ბუს დაემსგავსა.

— იარალი გვავალდებულებს რაიმე მოიმოქმედო, რა აზრი არის...

— აზრი ის არის, რომ საქართველოს მტლედ დავედოთ! — გა-აწყვეტინა სატქმელი ირაკლიმ არადელს.

— მაღალი იდეალების სახელით იმდენი ბოროტებაა ჩადენილი, რომ იქნებ ბოროტებისათვის ბრძოლა ნაკლებ სიავეს გამოიწვევდა ქვეყანაზე, — დინჯად წარმოსთქვა ჰყონიამ.

მეყსეულად ქ-ნმა შუნიამ ირაკლის ხელიდან რევოლვერი გამოსტაცა და კუპედან გასაქცევად გაიწია. ირაკლის თითქოს სილა გააწნეს ისე შეცხა, შემდეგ იენთო და გახელებული მიწვდა დედამისს. ქ-ნი შუნია არ შეეპუა, „ირაკლი!“ — საყვედურით გაისმა აქეთ-იქიდან. იარალი კი გონისგადასული აყვირდა: „დააგდე იარალი, გეუბნები შენ, დააგდე იარალი!“ ძლიერად გამოგლეჭილი იდაყვი ფანჯარას მოხვდა, მინა დაიმსხვრა და ქ-ნი შუნიას კაბის სახელო დასველდა, გადაფრიალებული ჩიქილა წითლად შეიღება. უთავბოლო ჩიჩქოლის შემდეგ კუპეში სიჩუმემ დაისადგურა. ბ-ნი ლადი ქ-ნ შუნიას ჭრილობას უხვევდა, ქვედა საწოლის კუთხეში შეფარებულ ირაკლის მკვდრის ფერი დასდებოდა. მაგიდაზე რევოლვერი იდო. არადელი მივიდა, რაღაც გალიზიანებული უესტით იარალი ჯიბეში ჩაიდო და კუპედან გავიდა.

— ჯერ არ გვიომია და უკვე სისხლი გვდის, რათა ისინი სისხლი, ეძინები, ეძინები, — უნებლიერ დამნაშავესავით წამოიძახა ქალბატონმა შუნიამ.

არადელს ჯიბეში ხელი ჩაეყო, იარალს უქერხულად ატრიალებდა. ღამა ფანჯრებიდან ქარი ურტყამდა სახეში. მატარებელი ბექობებად გოხვეტილ ხერეშსა თუ კლდის ნაშალს მიჰყვებოდა ტაატით. პოსპიტალში გაგონილი ამბავი მოაგონდა ვალიკოს. ნიკოლოზ მეორესთან მისულან დეპუტატები შულგინი და გუჩქოვი, მოუთხოვიათ — ტახ-

ტიდან გაღადესწიო, ამ კანონიერების დამსწრე მეფის პირადი მცველები — ორი კაზაკი გამოჭიმულა და შეპხვეშიან: „მეფევარავითა და ჩვენ მოვლავთ მათ“. „ამაო არს ყოველი და გვან ყოველი აწ“, — უპასუხია ნიკოლოზის ნაღვლიანად. შემდეგ ტფილისში შეძლებარი ერთი არალეგალური კრება წარმოუდგა თვალშინ, რკინიგზის რამდენიმე აქტივისტი მუშა, მარაქაში გარეული სახელოსნო-სამწავლებლის უწვერულვაშო მოსწავლეები, რაღაც სულ სხვა კონკრეტული საქმით დაინტერესებული კანტორშჩიკები, „ამხანაგო“ ძახილით თავმოწონებული ქალაქის ორიოდ ინტელიგენტი, მოკამათე შენშევიყი და ბოლშევიკი, რომელთა სახეებიც აღარ ახსოვდა, ჰაგრძე ერთ-ერთის სიტყვებმა ფალიოს აზრი გამოხატა: „რა უნდა ბოლოს და ბოლოს მუშათა კლასს? ყოველი მოკამათე მხარე, ბუნებრივია, ამტკიცებს, რომ მუშათა კლასს სწორედ ის უნდა, რაც სურს თვით ამ მხარეს“...

არადელმა იარაღი ამოილო, დახედა, ხელი ფანჯარაში გაყო და ძლიერად მოსტყორცნა. მზეზე ამოგდებული თევზივით გაბრჭყვიალდი რეგოლვერი, ბრტყლად ჩავარდა სილიან ორწობში და ისევ თავიდან გამეორდა ყველაფერი, კიდევ და კიდევ, კიდევ და კიდევ, ვერცხლის ხაზი სერავდა სივრცეს, ისმოდა ფარდნის შსუყე ხმა. დაგროვდა იარაღი, ვალიფოს თვალშინ ვეებერთოელა მთა აელვარდა, ყოველი გადაგდებული იარაღი წინააღმდეგობის შეწყვეტას ნიშნავს, დამარცხებულად თავის აღიარებას, გამარჯვებულის სამოწყვალოდ დარჩენას. ამ მთის ყოველი ნატეხი, ყოველი პისტოლეტი წართმეული თავისუფლების ექვივალენტი იყო. შემდეგ ბურუსად დატრასულდა დიდი დათოვლილი ველი, შავად აშვერილი ფეხები, მავთულხლართში გაყვალთული ცხედარი, ჯარად შოდენილი თავჩაქინდრული ხალხის ულევი ნაკადი, მუხლმალლა შეჭრილ გაზიპულ შინელებში, ფოლაქების ნაცვლად წელზე დახვეული ბაზარი ან ზონარი, იარაღის მაგიერ ფიშტოსსვით დაციდებული ქვაბი ან კონსერვის ცარიელი ქილა, შიმშილით შეშუპებული სახეები, ციებ-ცხელებით აღგზნებული თვალები, დასიებულ-დაიარებული ფეხები. ირგვლივ არავითარი ბადრავი, არავითარი ყარაული, მხოლოდ ხანდახან მოვარდება წინა რიგებიდან ზედამხედველი, დაუნდობლად დასცხებს რკინის ჯოხს პირველ შემზღვურს, განზე გადება, ჯოხს შეატოვებს, წააქეზებს, შექმნის დაკადაგას; ვინც ყველაზე მარდია, ის იტაცებს რკინის სახრეს, სახეში, თავში, საღაც მოხვდება, მთელი ძალლონით ძალლივით დორბლმორე-

ული ურტყამს ყოფილ მოქიშპეს. ჩამორჩენილებსაც გადაჰკრავებული-  
თი-ორს, თვალებს დაუბრიალებს. ყველანი თავს დამნაშავედ გრძნო-  
ბენ, იბუზებიან და მადლიერად, განწყობილნი თვალს აყოლებენ ზე-  
დამხედველს, რომელსაც ჯოხიანი წინა რიგები გადაყავს. ისეც ხდე-  
ბა, რომ ყველაზე მარტი პირჩალაგამოვლებული რჩება, რაღაც არ  
მოეშონება ზედამხედველს; რატომლაც უფრო მოუქნელს მიემსრო-  
ბა — მოჩერებს ჯოხს, ვინ იცის, რატომ, ისიც ხომ ადამიანია? რაღაც  
აზრი მოსდის ხანდახან; ყველა შეპნატრის ბეღნიერს — წინ ნაკლები  
თავდასხმაა მოსალოდნელი.

ერთგულების დაუშრეტელი წყარო მიგნებულია! სულ წინ რამდე-  
ნიმე ცხენოსანია, თეთრ ტაიჭზე ვიღაცაა? ნუთუ გაბურძვნული ნა-  
სალტათარი ნევის პროსპექტიდან?

მხედრებიც ირევიან ხანდახან, იქაც შემჩნევა დროდადრო ჩოჩ-  
ქოლი, თუმცა რიგიანად ვერაფერს გაარჩევ, ისე შორს არიან. შხო-  
ლოდ მაშინ მიხვდები რამეს, როცა შენს გვერდით დაინახავ დეპუ-  
ტატებს გუჩკოვსა და შულგინს, რომელთაც ქუდის მაგიერ გამოხუ-  
ნებული ზურგჩანთები დაუხურავთ. შემდეგ დაგელანდება კრების  
მონაწილე მუშა ან „კონტორშჩიკი“, ან „ამხანაგი ინტელიგენტი“, წი-  
ნა რიგებიდან გადმოყრილი „სელიოდეის“ დალრღნილი თავების აქ-  
რეფით გატაცებული და იმავე რიგში, ანაზდად თავპირდასისხლიანე-  
ბული ყოფილი ზედამხედველი, ან ბავშვივით აზლუქუნებული გა-  
ბურძგნული ნასალტათარი ნევის პროსპექტიდან.

ალფემული მიწა და სამოთხე? შიში არ იძლევა ფიქრის საშუალე-  
ბას და როგორც აღამიანის ჯერ კიდევ ბუნებრივი მოთხოვნილება, იქ-  
ვე სადღაც მოძრაობს აზრი: რა იცი, იქნებ მართლაც არსებობს?! რაც  
მთავარია, ხომ მივდივართ საითლაც, ჩვენ თუ არა, სხვები ხომ შიალ-  
წევენ? მართალია, პეიზაჟი არ იცვლება, შეიძლება არც კი მივდი-  
ვართ, მაგრამ რა საჭიროა გარკვევა, ვინც წინ არის, ძს უკეთ ხედავს;  
ასე ყოფილა და ასე იქნება... ახლა ვიღაა თეთრ ტაიჭზე? ჩვენი ჯოხის  
მომტაცებელი?

რაინდების დაუშრეტელი წყაროც მიგნებულა! რაღად გვინდა  
მოსე ან ქრისტე?

ვალიკომ პირქუშად ასწია სარკმელი. აღარაფერზე სურდა ფიქრი,  
სულ არაფერზე, მაგრამ იარაღების ცვენის ექი თავში მწიფე გოგ-  
რას დაშენილ წკიპურტებივით ხმიანებდა.

მალე გამცილებელი ავსტრო-უნგრელები საქმიანად დატრიაზ-  
დნენ და მატარებელში ფარნების მკრთალი შუქია იენოო.

გარეთ ღამე ჩამოწვა, ვაგონი რიტმულად ბუქნაობდა. ვიწრო ტა-  
ლანში დაბრმავებულ ფანჯარასთან ნინო და ვალიკო იდგნენ. წუხელ  
ნინოს თვალს ლული არ მიყარებია. შორთხალი, დაუმთავრებელი ფიქ-  
რები, ფლიდი თავისმოტყუება სიყალბის მახინჯი ფუძით აშკარად  
ამოირიყა მის შეგნებაში და წლობით ჩვეული, ძილისპირს სასალუ-  
ქოდ მიტოვებული ზმანება-გამწყობის ქსელი ვერაფრით დაკავშირდა  
ერთმანეთთან. ველარ ახლებურად დალაგდა რაიმე სურათი, თუმცა  
როგორდა დალაგდებოდა, როცა მას არაფრის შეცვლა არ სურდა და  
მხოლოდ იმ შეგრძენებისაკენ ჰქონდა გამახული გულისყრი, რომე-  
ლიც ტებებოდა მის სულში თავისუფლად ფლერებული, შეუწყობე-  
ლი ჰანგების სმენით. მის არსებაში შეტმასნულმა ბურანმა გადაიკარა,  
ლველფში გახვეულმა გრძნობამ სითბო გამოიღო. ახლა ნინო სიბნე-  
ლეს მიშტერებოდა. ორივე დუმდა. ყრუდ ისმოდა მატარებლის მა-  
ჯისცემი „დიგინ-დიგინ, დიგინ-დიგინ“. უამრავი პაჭაწყინტელა ჩიკო-  
რი იფანტებოდა და სასიამოვნოდ იშლებოდა სხეულში. ვალიკო გა-  
ხვებული ელოდებოდა ვაგონის გაუთვალისწინებელ შერხევას, რის  
წყალობითაც დროდადრო ეხებოდა ნინოს მცლავს. ნინოს კი მოსწონ-  
და თავისი გამბედაობა, უფსკრულის კლდიდან კიდეზე თვალხუჭუნა  
ნახტომის სულმოუთქმელი ეშხი რეალობის გრძნობას უკარგავდა.  
რგი თავის თავს მესამე პირად ალიქვამდა, განხე აყენებდა ფანჯარას-  
თან მდგომ წყვილს, სიხარულით შესცეკროდა და ერთ-ერთს ასე აჯე-  
რებდა: „ეს ხომ მე ვარ, ეს მე ვარ“.

ვალიკო სიჩუმის დარღვევას არ აპირებდა, მავრამ ერხმა აზრმა  
დაპკრა — მისგან რაიმე სიტყვას ხომ არ მოელია? გულდაწყვეტილ-  
შა, დაბნეულმა გადაავლო გონებას თვალი და როდესაც უმწეომ ქა-  
ოსის მეტი იქ ვერაფერი მოიძია, კმაყოფილი საჩქაროდ ნუგბარ სი-  
ჩუმეს დაუბრუნდა. სწორედ ამ დროს ნელა მოტრიალდა ნინო, ხელი  
იონქრად მაჯაზე შეახო, თითქოს მოეფერაო, თავი უცნაურად გადა-  
იქნია და ცრემლმორეული თუ სევდანარევი თვალებით, მაგრამ მად-  
ლიერი სახით კუპეში შევიდა. ვალიკომ სასწრაფოდ გაახვია პაპირო-  
სი და გადაფიჩინებამდე შეისუნოქა „სამასადის“ მჭახე ბოლი უეცა-  
რი დამუხსრუჭების ძლიერი ხაური გაისმა. ვაგონებმა რიგრიგობით  
დაწიხდეს ერთმანეთი, მატარებელი. შეტორტმანდა და შედგა. კუპე-  
ებიდან გამოცვენილი შემკრთალი მგზავრები ფანჯრებს მისცვივდნენ.

გარეთ და მატარებელში ერთნაირად წითლად ინათს. ნინო  უალიკოს  
გვერდით გაჩნდა. „რა ამბავია?“ „ხანძრი“, — მიუგო გახატულმა  
ვალიკომ. ხანძრის კერა არ მოჩანდა. სოფლის წინ ქარსაფარად გაშე-  
ნებულ ჭარაფის თავზე ჯვარდენი ირხეოდა შარავანდელად. ხეებშუა  
ადამიანთა ალისფერი პატარა ფიგურები და უზარშაზარი ჩრდილები  
მოძრაობდნენ. ცეცხლიდან აწეული მუქი მყიფე ბოლი, ქარისგან და-  
ფანტული, ზემოთ გაქცეული ტვიფი თითქოს ვარსკვლავებით მოფე-  
ნილ ცაზე ცლილობდა შეერთებას, მაგრამ ამაოდ მისდევდნენ ქვემო-  
დან ნაგლეჭები ერთმანეთს, ცაში მიღწეულებს უქარშყლდებოდათ  
თავდაპირელი მისწრაფება, ყველა კუნძულებად განთებულ ღრუბ-  
ლებში უჩინარდებოდა. შთვარე კი დამნაშავესავით ჩქარობდა და  
ყვინთვით იკვლევდა გზას. ირგვლივ გამოუცნობი ხმაური იდგა. პირ-  
ველი დაყურადებისას ისეთი ზუზუნი შემოგესმებოდათ, თითქოს და-  
ხურულ ფანჯრებს ფუტკრების ურიცხვი გუნდი დააცხრაო, მერე  
ჰლვის ტალების ღმუილი ეხეთქებოდა მინას. ვალიკომ ფანჯარის ჩა-  
მოჭეაჩა. ოხვრა-გოდების, ტირილ-ვიშის განუწყვეტელმა დრტვინვა-  
გვრემამ მოიცა იქაურობა. შიგადაშიგ დურბაზნდში ამოღებულ გარე-  
მოსავით ახლო მოპერნდა ქარს მოწყვეტილი სიტყვა, ანაზდეულად  
ყურთან ცოცხლად ჩაიფრენდა გინება, დიალოგის ნაფლეთი, სასო-  
რატკვეთილი შეკივლება, შეტრუსული მცენარის ველური სუნით გა-  
დღენთილ პარს ბუხარში აღუღებული ჩაის გემო დაკურავდა.

— სოფელს აჩევენ, — თქვა ვალიკომ.

— რატომ?

— დამსჯელი ქცია იქნება.

— ამ ბოლო უამს ისეთი განწყობით ვარ, ვითომ ჩემს ირგვლივ,  
რომელილაც უძველესი დროის აღსაგენილი სცენები თაშიშდება და  
არა სინაშდვილე. რაც კი ხდება, დიდი ხანია უკვე მოხდა, და ახლა  
უბრალო გამეორებას ვესწრები, — შეცივებულივით აიჩეჩა, გადა-  
ცარა და ისევ მოხარა შხრები ნინომ.

— ვინდლო ეგ ეგრეც არის.

— თავდაცვის შეუგრძნობელი ინსტინქტი თუ მოქმედებს, თორემ  
ჟველაფერი სინაშდვილედ რომ მიიღოს აღაშიანმა, შეიძლება გა-  
გიუდეს.

— ხომ შეიძლება იმსტინქტი მარადიული მეხსიერების გამოვ-  
ლინება იყოს?

დაძნტერესებულმა ნინომ თავი მოატრიალა.



— თუკი ადამიანის სული უკვდავია, მას შარადიული მეტსისერებაც უნდა ჰქონდეს. ყოფნა — მეხსიერებით არსებული საგანთა ორგანიზებული სახეა, — რაღაც ყრუდ ჩაილაპარაკა გალიკომ, მიხვდა, რომ წლობით ნაწვალებ ფიქრთა პირველივე გამოიჭმა შეუფერებელ დროს მოხდა და დიდი სიბრძნით არ გამოირჩეოდა. ამიტომ მორცხვად, ნაჩქარევად თავის მართლებასავით მოყოლა; — ამინდის შეცვლას ხომ გრძნობენ ავადმყოფები. ესე იყო, ბუნებასთან ფიზიკური ერთიანობა არსებობს: მაშ სულიერი ერთიანობა რატომ არ უნდა არსებობდეს?

ხანძრის მხრიდან წამოსულ თოფმომარჯვებულ ლანდებს მატარებლიდან გადმოსული რამდენიმე კაცი შეეგება.

— კიდევ უნდა გაგეჩხიყონ მაგ მატაცხონებულებმა?! — ჩაიარდერეფანში ბუცხრიკიძემ.

მგლებისებრ დაყმენდილ ლანდებთან მხედარი მიიჭრა. ძნელი ამოსაცნობი იყო, ყასიდად ატრიალებდა ერთ ადგილს უბელო ცხენს, თუ მართლაც გაუხედნავზე იჯდა. ენერგიულად იქნევდა სოფლისკენ ხელებს, შემდეგ რაღაც იყვირა და გაპქუსლა. მომხდურებმა მიატვეს მატარებლიდან გადმოსულები, ძუნძულ-ძუნძულით გაეშურნენ ცეცხლწაკიდებული სოფლისკენ, ზაიდანაც ეკლესის ზარების განუწყვეტელი გუგუნი მოისმოდა. მატარებელი სანამ დაიძრებოდა, კვლავ ძლიერდ შეტორტმანდა. ერთდროულად, როგორიც თავისთავად ვალიკო და ნინო ერთმანეთს ჩაეკონენ. ეს იყო ერთი წამი თუ წუთი, მაგრამ შეიძლება მთელი ცხოვრებაც, ვინაიდან სხვა არსებობა ასე მკვეთრად, ასე ცხოველმოსილად არასოდეს ყოფილი უცილობელი, ყოველმა უჭრედმა, სულის ყოველმა ხეეულმა სხვისი ყოფით თავისი ყოფა აღიარა, სულთქმით გაიზიარა, შეერწყა და დააამა.

შუალამემდის იდგა ვალიკო ლია ფანჯარასთან გულგალებილი, მაგრამ ნინოს ერთხელაც კი არ გამოუყვია თავი კუპედან. არც ელოდებოდა, იგი მღეროდა და მღეროდა.

როსტოკში მატარებელი ორი დღედამე ჩარჩა. წინ, უკვე სულ ახლოს, დონისა და ყუბანის ოლქში ბოლშევიცებსა და კორნილოველთა შორის ომი წარმოებდა. ამინდი მარტისა იღება. სადგურის მიღამოებში უეცრად აირეოდნენ დამფრთხობალი მგზავრები, ხან ერთ მხარეს გარბოდნენ თავგზააზნეულში, ხან თოთქოს ქარშა შეხვეტაო, მოსაცდელ ოთახში მოქუჩდებოდნენ. საშედროები სულ უადგილო აღგი-



ლას ყარაულებს აყენებდნენ, მოაგორებდნენ ტყვიამფრქვევას კუთხით — ანი ხმებით სულელურ განკარგულებებს იძლეოდნენ. შემდეგ ონავ-რულად გამოიჭვრეტდა ცალთვალა მზე, გამოეფინებოდა ბაქანზე ხალხი, ხსნიდნენ ყარაულებს და გახარებული აღამიანები ერთშანეთს აწყნარებდნენ, უცებ ისევ მოიღოუბლებოდა, წამოუშენდა წვიმა, და-ტრიალდებოდა ქარაშოტი. ისევ ტიროდნენ შეშინებული ბავშვები.

ქართველებში მოუსვენრობა სუფევდა, ვაგონებში ნერვიულად ცემდნენ ბოლთას მამაკაცები, ქალები დაბნეულნი აცეცებდნენ თვა-ლებს. შატარებლის ზოგიერთმა უდარდელმა და ხუმარა მგზავრმა საგრძნობლად მოიწყინა.

ვიდრე როსტოვიდან გაუშვებდნენ, სანიტარულ მატარებელს რამ-დენიმე ვაგონი ჩამოხსნეს. შევიწროებული მგზავრები მჭიდროდ ჩა-სახლდნენ კუპეებში. კუპე, რომელიც ქ-ნ შუნიას სამზარეულოდ ჰქონ-და განკუთვნილი, კიდევ ერთი — საპირფარეშოსთან, სახელდახელო აბაზანის მაგივრობის გამწევი, ტაშტებიან-„ბურუუიყიანად“ გაუქმდა და ნაცნობი ქართველი სახეებით აჭრელდა. „ვეუბნებოდი, გაფართოვ-დით, გეიშალეთ-მეთქი, არ დაფიქერებენ კაცს, აა, თუ არ უნდოდათ კაი ცხოვრება, ამდენი ცარიელი კუპეები დაინახეს, წაგვართმევდნენ აბა რას იზამდნენ“, — ირწმუნებოდა ვარდენი. „რახან დასჭირდათ, მაინც წაგვართმევდნენ“, — შენიშნა ჭყონიამ.

— მასე არაა საქმე, ჩვენ ნებართვა გვაქვს პეტროვრადიდან, მერე კიდევ არც მასეთი უგულო ხალხია მაგრი, ზომ ხედავთ, აგერ უბა-ტონოდ ხმას არ გვცემენ, განსაკუთრებით მანდილოსნებს ექცევიან ზრდილობიანად, ასე არაა, ბატონო ირაკლი?

ირაკლი, იარალის თაობაზე ატეხილი უსიამოვნების შემდეგ და-ირცხვინა თუ ცხოვრების წვრილშანებში ჩაფლულ ხალხთან თავის გაყიდრება აღარ უნდოდა, იშვიათად ებმებოდა საუბარში, ერთთავად აწვა, წიგნი ეჭირა ხელში, რომელსაც ხან კითხულობდა, ხანაც ეფარე-ბოდა, მხოლოდ როცა შემთხვევა მიეცემოდა, არადელს იწვევდა სა-კამათოდ, თავისი ყოფილი კერბი აეთვალისწუნებინა და ზურგს უკან, უველას გასაკვირად, რამდენჯერმე აუგადაც ახსენა.

მას შემდეგ, რაც კვინიკაძეს საექიმო ხელსაწყოები საკვირაუთან ერთად დაეუზრგა, იგი იშხნელებთან გადმოსახლდა, მარტო დასაძი-ებლად მიღიოდა თავისი ვაგონში. ავადმყოფობის დარღი აღარავის ჰქონდა, აღარც არავინ აწუხებდა. ადმინისტრაციული მოვალეობები ერთბაშად მიაგდო (მაინც კარგა ხანია აღარავინ არაფერს ეკითხებო-



და). ვარდენთან ძველ დამოკიდებულება თავისთავაზ ალიგაცია არ შეიცია რა რაც უფრო უახლოვდებოდა „შატიარებელი კავკასიას, შეიცი უფრო შძიმდებოდა გზა, მით უფრო მეტ მოუთმენლობას იჩენდნენ მგზავრები, ყოველ გაჩერებას ნერვიულად ხდებოდნენ, გალიზიანებულნი მერსერესა და შემანქანეს უდარდელობას, უვიცობას სწამებდნენ. ქ-ნ შუნია სხვებისგან განსხვავებით კმიაყოფილი გამოიყურებოდა. ირაკლის ელაციცებოდა, ვინც კი კუპეში ფეხს შემოადგამდა, ბანქოს სათმაშოდ იწვევდა. ბევრს მისთვის არ ეცალა, სხვებიც ასე თუ ისე თავს არიდებდნენ. ირაკლიმ ცივი უარი განუცხადა, ნინო მოულოდნელად დიასახლისობის ჟინზა აიტანა: მთელი დღის განშავლობაში შილაგ-მოლაგებძა და სურასთ-სანოვაგეზე ზრუნავდა გამალებული. არიდელი კი რატომლაც ტყე-ტყე დადიოდა. ბუცხრივიდე თავის უამრავ ნაცნობებში დაძერებოდა. კვინიკაძეს ისევ ძველებური დაბნეულობა დაეტყო და მასთან თამაში თვით ქ-ნ შუნიას არ აინტერესდა. ბოლოს, როგორც იქნა, თავის ერთგულ პარტნიორ ჭყონიასთან ერთად ახლად გადმობარებული სტუდენტი გამოიჭირა და სამივენი დღედაღამე „პატიიდნოი დურასჩეს“ ერეკუბოდნენ.

ნინო „შესამჩნევად გახდა, ფერმკრთალ სახეზე სხივმომატებული გაფართოებული თვალები მწუხარედ ენთო.

სარკმლის შემთხვევამ არეული ფრაზის კუდი — „შენი ჭირიმე“ გამოაყოლა ნინოს მძევლად. არის მოვლენა, რომელიც უსახელოა და დაუბრკოლებლად მოქმედებს თავის სტიქიაში, ის არც გარეშე დამოკიდებულებას, არც რაიმე დაქვემდებარებას არ საჭიროებს. მაგრამ საკმარისია სიტყვიერ ფორმაში გამოიხატოს, იმ წამსუე უამრავი წონალმდეგობა წარმოიშობა: აუცილებელი შეიქმნება მისი შედარება, ალტერნატივად წარმოლენა, განსაზღვრება, დაკანონება ან უარყოფა. იქნებ ეს სიტყვა რომ არ წარმოოქმულიყო, არც ასე შეშფოთდებოდა და გამოფხიზლდებოდა ნინო. „ასეთი ქარაფშუტული საქციელი... ქმრიანი ქალი — პირველივე ძახილით გატაცებულიყოს არსაღებენია... „შენი ჭირიმე...“ გადაწყვიტა მორიდებოდა ვალიკოს, თუ საბაზი შეიცემოდა, მყარიად მოპეტეოდა, თავი რითიმე დაესაჯა, ის წუთიერი თავდავიწყება მახსოვრობილან ამოეძირება, შიგნიდან ორთქლივით მოდებული ძრწოლა გაენელებინა და სულიერი წონასწორობა აღედგინა. „ჩემი ქეთო, ჩემი ქეთევანი“, — ფიქრობდა იგი თავის ამდენ ხასს უდელოდ მიტოვებულ შვილზე და ბუნებრივად გამოშვეულ მონატრებას გადამეტებულად ახალისებდა, იმავ დროს გახა-

რებული აღნიშნავდა, თუ როგორ ქრებოდა, სამედო რუსხმულში ვარდებოდა ის სიტყვით დაგმობილი და აქმდე, დაუკაბეჭდის მიზნობათა დინება. ნაცნობ სითბოს შემდეგ ჯვლავ ეწადა გავრცელებული ყო, გაფართოვებულიყო, მის სხეულსა და გონებას მოსდებოდა და ნინო ავადმყოფურად შეშფოთებული ბალიშს იკრავდა გულში, თვითონ რომ გაეგონა, ისე ბუტბუტებდა: „ჩემი ქეთი, ჩემი პატარა ქეთევანი“.

ვალიკ გუმანით იჩიარებდა ნინოს განწყობას, მათი საერთო ლირსების დაყარგვად მიაჩნდა მიძალება. შიმობდა, ასეთ რეტდას-შეულ მდგრმარეობაში მის რაიმე საქციელს მომენტით სარგებლობის სახე არ მიეღო. გართალია, იცოდა, ნინო ამდაგვარს არაფერს დასწავებდა, მაინც სჯობდა, მორიდებული ყოფილიყო. რაც მთავარია, მასაც დრო სჭირდებოდა ამ ამოშანთული შთაბეჭდილების გასანელებლად. იშხნელების კუპეს არ ეკარებოდა, სამაგიეროდ ყოველ ჭარის ჭრიალზე მისდაუნებურად თავი მიბრუნებული ჰქონდა — იმედოვნებდა ნინოსთვის მოექრა თვალი. დღისით სულ რაღაც ამაღლებებელ მოლოდინში იყო, ღამე განსაკუთრებულ ნეტარებას ჰვერიდა, როდესაც მყუდროდ შეეძლო ახალი და ახალი თვალით შეეხედა გონებაში ალტვიფრული წარსული სურათებისთვის, ხანდახან გულს რაღაც ბრკარი მოედებოდა, მისთვის ჩვეული კოხხები მომავალი მიზნების გაუსაგნებლობის ირგვლივ უსიამოვნოდ გაპერავდნენ ხოლმე, მაგრამ ნინოსთან დაკავშირებული მოგონებებით მათ თავიდან იცილებდა და ისე ტკბილად ინთექმებოდა იბრეშუმივით მოციაგე ბურანში, რომ დილის ხმაურზე გამოფხიზლებაც იღარ სურდა, როგორც სულ ადრე უდარდელ ყრმობაში ძილის დროს ნერწყვი ადგებოდა პირზე.

როცა ბუცხრიკიძე არსად ჩანდა, კვინიკაძე წამდაუწუმ ეკითხებოდა მეზობლებს:

— როდის ვიქნებით კავკაზში თქვენს აზრით?

დამაკამაყოფილებელ პასუხს არავინ იდლეოდა და ისიც ფარვანა-სავით ერთი სარკმლიდან მეორე ფანჯრის მინას ეკვროდა ვარდენის ნოლოდინში.

კვინიკაძე გიმნაზიის მეექვსე კლასში სწავლობდა, როცა ღედ-მამა ერთ დღეს დაეღუპა. ქუთაისიდან ქორწილში ცხენებით მიმავალი ცოლ-ჭმარი მეწყვრშა მოიყოლა. ვერავინ ნახა, ვერავინ იპოვნა მათი ნეშტი.

არც დაკრძალვა მოხდა და არც ჩვეულებრივი სატირალი შემდგა-5. ქ. იოსელიანი



რა. ვერც მკვდრებად და ვერც ცოცხლებად წარმოედგინა ისინი  
ბავშვს — „წავიდნენ და აღარსოდეს დაბრუნდებიან“. ამ სიტყვების  
აზრი თავისი მოულოდნელი ბოროტებით მიუწვდომელი გახდა ფა-  
ქიზად გაზრდილი ყრმისათვის; სიმყუდროვის, სითბოს, თაყვანისცე-  
მის, მხიარული და შდგრადი გარემოცვის ერთი სულის შეძერვით  
გაქრობა დაუჭერებელი იყო. პირველ ხანებში ეჩვენებოდა სიცარიე-  
ლით სავსე უზარმაზარ ჩარჩოში შედგა ფეხი, სადაც თვალის შოსაკა-  
დი წერტილიც კი არ არსებობდა, სადაც სიცარიელე აშინელ შემო-  
წოლას უქადდა, დაუოკებლად მოიწევდა ყოველი მხრიდან, ციებ-  
ცხელებას ჰგვრიდა. საკუთარი სასოწარქვეთილი ძახილის მეტი არა-  
ფერი ესმოდა, სამუდამო დუშმილში გაშტერებულს თეთრი წყვდი-  
ადი ეფინებოდა თვალში. ლებანიძეების სახლში, სადაც ოგი შეიკედ-  
ლეს, არვის უმუღავნებდა თავის მწუხარებას: ბოლომდე მაინც ვე-  
რავინ გაიგებდა, უბრალო შეცოდება კი მშობლების ხატის შეურა-  
ცხოვდად მიიაჩნდა. მას აქეთ კარგი წყალმა ჩაიარა. დროუამის ნისლი  
ნელ-ნელა ეპარებოდა განვლილი ცხოვრების წარმოდგენებს; ის კი  
არა და, ხანდახან უკვე სიკვდილზედაც ფიქრობდა, მიაჩნდა, რომ საკ-  
შარისად დაკყო უკვე ამ ქვეყანაზე, მაგრამ ვერა და ვერ იქნა, ბავ-  
შვობის ის შიდაწვა, ის შფოთი მთელი სიცოცხლის მანძილზე ახალი  
სიტუაციების უთავბოლო შიშად გამოჰყო კვინიკაძეს.

— თუ ღმერთი გწამს, ეს სასაფლაოს წარწერა წეიკითხე და გა-  
მეიცანი, ვინ იყო ერთმანეთისტვის ეს ორი მიცვალებული, — მიაჩე-  
ჩა ხელში ექიმს ქაღალდის ნახევი გარდენმა და მეზობლად შედომ  
სტუდენტს თვალი უყო. კვინიკაძეს მხედველობა კარგა ხანია დაუჭე-  
რდა, შათვალეც ყოველთვის თან ჰქონდა, მაგრამ არ ხმარობდა, აი-  
ჩემა, რომ ეს დროებითი, ნერვიული სენიაო. ამჯერადაც ფანქრით  
ნაჯღაბნ სტრიქონებს ცხვირი გააყოლა, ზმამაღლა წაიკითხა: „აქ მარ-  
ხია ცოლ-ქმარი, და-ძმა, სიღედრ-მამამთილი...“ — ექიმი შეიშმუშნა,  
საყვედურით გადახედა ვარდენს და ქაღალდი ხელიდან ზიზლით გა-  
აგდო.

— რავარი დოხტერი გვყავს, ა? — დაპკრა ხელი მხარზე სტუ-  
დენტს ახარხარებულმა ბუცხრიყიძემ, — ბოვშვივით არის, ბოვშვივით.

— ყველა ბავშვია, დიდობა მოგონილი სისულელეა, — ჩამოარი-  
გა კარტი ქ-ნმა შუნიას. პასუხის ნაცვლად ბუცხრიყიძემ ჯერ ჭყონი-  
ს, მერე ქ-ნ შუნიას, მერე ექიმს შეხედა და ჩაბურიდა.

— დიახ, ბავშვობა ადამიანის ელეგიური დამოკიდებულებაა თა-

ვისი წარსულისადმი, — წაილაპარაკა ბუცხრიკიძის შაგრებულმობით  
ლებულმა ქვინიკაძემ.

არავის ელიმებოდა, ვარდენი მიხვდა, რომ რაღაც საჩოთირო მო-  
რმოქმედა, შეწყვიტა სიცილი, კიდევ ყველას გადაავლო თვალი.

— მაგი არ ვიცი, დამოკიდებულება თუ რაცხაა, მაგრამ ეს სტუ-  
დენტი რომ ბოვშვია ჯერ, ამას წყალი არ გაუვა, ასე არ არის, ბიძიკო?

— რომელ ბავშვს მიაჩნია თავი პატარად? — დაასწრო სტუდენტს  
ქ-ნ შუნიამ. — ანდა რატომ არ არის სახელმწიფო, ჯარი, პავონები,  
ჩინ-მედლები იგივე სათამაშოები, რაც ბურთი, დამალობანა, სახლო-  
ბანა, ყაჩალობანა?

ყველამ გაიცინა.

სადგურ კავკასიაში ჯერ კოდევ ყოვლად მდიდარი ყუბანის ველი  
მოხარულ ყვითელკურტუმა დედლებად, სხვადასხვა ფორმის შინ  
გამომცხვარ პურებად, ნაირ-ნაირ მწნილებად გადაიშალა. შაშხით გა-  
ბრწყალული დახლი დათოვლილ მოაწირს წააგავდა. მატარებლის ნა-  
ზიმშილარი ხალხი ადულებული წყლის ბურთულებივით დაეხვია სა-  
ხელდახელო ბაზარს. რამდენამე ადგილას საეჭვოდ შეჯგუფდნენ მა-  
მაკაცები — სასმელის ხოში დატრიალდა. მტაცებელს გაცილებით  
დიდხანს სძინავს, ვიდრე მის მსხვერბლს, კურდლელი უფრო ადრე  
გამოდის საშოგაპზე, ვიდრე მგელი. სადგურზე უეცრად გამოჩენილ-  
მა სამხედრო გუნდმა სასწრაფოდ გარეკა ქალები, ზეიბრები და მო-  
ხუცი მოვაჭრები, მგზავრები ცივად აიკრაფნენ ბაქნიდან. ერთ ცალ-  
ხელა, რაღაც სამართლიანობაზე მოქადაგე გამყიდველს, რომელმაც  
ვაჭრობის თავისუფლება, ალამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება და  
ბოლოს ლენინიც კი ახსენა, შეავე კიტრებით სავსე ვედრო წაართვეს,  
ევანაბშირის გროვაში გადაუპირქვავეს, თვითონ გააგდეს და გონს-  
მოსვლის შემდეგ, შორიდან მოხვეწარეს, — ვედრო შაინც დამიბრუ-  
ნეთო, — უურიც კი არ ათხოვეს. ერთბაშად მიწყნარდა იქაურობა  
მატარებელსა და ვაგზალს შორის უმოკლესი გზით საქმიანად მიღიმო-  
დიოდნენ ნახევრად სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა  
კაცები.

სანიტარულ მატარებელს № 113-ს გამოუცხადეს, რომ წინ ვეღარ  
გაუშვებდნენ.

ზაქარია ივალიშვილმა და ქართველმა საევაკუაციო ჯგუფის თავ-  
კაცებმა ქვინიკაძე მოხახეს, ავაღმყოფების დავთარი მოითხოვეს, მი-  
სი წაყვანა დააპირეს. ექიმი უარზე იდგა, უმწეოდ აქეთ-იქით ატრი-



ალებდა თავს, მოსარჩლეს ეძებდა; მარცხენა ხელის შუალედობულ წა-  
მოცმულ ოქროს ბეჭედს იმავე ხელის ცერით აწვალებდა.

— ადგილობრივი საბჭოთა ზელისუფლება არ არის წინააღმდეგი,  
რომ ჩვენ მევთულით დავუკავშირდეთ ეკატერინოდარს, იქ ცენტრი  
ყოფილა. თუკი ეკატერინოდარი ნებას დაგრთავთ, ჩვენ გაგიშვებოთ.  
ე! წევიდეთ, ბატონო ექიმო, თქვენი დასწრება არ ნიშნავს არაფერს?  
მაინც ექიმი ხართ, — არწმუნებდა უვალიშვილის გვერდზე მღვარი,  
ჩოხაში გამოწყობილი თეთრულვაშა, ღაულაჟა ლოყებიანი ქართველი  
კვინიკაძეს.

— მე ვფიქრობ, ბატონო ზაქარია, უმჯობესი იქნება ჩვენივე ბე-  
დის ანაბარად დავრჩეთ, მოვიცადოთ, — ჩაერია ლაპარაკში არადელი.

— რას ველოდოთ? ამხელა გზა გამოვიარეთ და ახლა აგერ კავ-  
კასიონის ყურისძირში ალარაფერი მოვიმოქმედოთ? — იშყინა ჩოხო-  
სანმა.

— სმოლნის ნებართვის გარდა დიაგნოზების აღწერაა საჭირო,  
ლოდინით არა გამოვა რა, ჩვენ ჩვენი ვქნათ, და რაც იქნება, იქნე-  
ბა, — თქვა ავალიშვილმა.

— ვათუ თავი გავახსენეთ. ასეთ დროს გაწყობილი სანიტარული  
მატარებელი, საკუთარი მოშსახურე პერსონალითურთ ნაპოვნი გან-  
ძია, — არამკითხე მოამბეს ნათქვამივით იქნა მიღებული არადელის  
აზრი და ისიც გეეცალა იქაურობას.

სანიტარული მატარებელი დაუანგულ ლიანდაგებზე გადაიყვანეს.  
როდესაც ჩამოხსნილი ორთექლმავალი ერთი შეკივლებით დაემშვი-  
ლობა მგზაურებს და სამშვიდობოს გასწია, გაირკვა, რომ, სულ ცოტა,  
ერთი ღამის გათევა მაინც მოუხდებოდათ. მატარებლის მოშსახურება  
ნელ-ნელა ამორჩავდა. შორს ვერავინ ბედავდა წასვლის, საყოფაცხოვ-  
რებო საქმის შოგვარებას იქვე ცდილობდა. დახავსებული ჩიხის არე-  
მარე გამოცოცხლდა, სადგურის მთლიანობაში ჩაიხატა.

ბოლო ვაგონიდან ჰაერზე გამოსულ ნინოს არადელი შეეყარა,  
ორივე შედგა. მორიდებულად გაუსწორეს თვალები ერთმანეთს, შემ-  
დეგ გაფიტრებულნი მტრებივით მიიჭრნენ ერთმანეთთან, ისევ ნელა  
გაუწოდეს ხელი ერთმანეთს; შეთქმულებივით ვაგონებისკენ მობ-  
რუნდნენ, მატარებლის ფანჯრებისკენ მზერა გააბარეს, ეტყობა რაღაც  
გადაიფიქრეს, უსიტყვოდ წინ წასვლა არჩიეს. ლიანდაგების გადაღმა  
ჭი უქაცრიელი შენობების შუა ხელჩაკიდებულნი გაიქცნენ. ისინი  
შირბოდნენ, თვალებს აცეცებდნენ, თითქოს ვიღაცას გაურბოდნენ,

ემალებოდნენ, ეძებდნენ. ვალიკო ხან ერთი ფიცრულის წინ გაჩერდებოდა, დაბნეული მიიხედ-მოიხედავდა, გაუბედავად შეხეჭავდა ნინოს, ის კი მის მზერას ეჭიდებოდა, აქმშინებული და შეშინებული ჩურჩულით ეკითხებოდა: ჰა? აქეთ? ვალიკო ახლა მეორე მხარეს, დაცარიელებულ ჩალურთან შეჩერდებოდა, მერე ისევ ხელიხელჩაჭი-ჯებულნი გარბოდნენ.

სადგურის ნასახლარი მთავრდებოდა, იქით უკვე უშენი ალაგი მოხატვა და რაოდ რაოდ ნაგებობას მიადგა. ნინოს მაგა მარჯვნა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა და ფრთხილად გამოაღო კარი, შეიხედა, ალაგ-ალაგ აცვენილი სახურავის ყავარიდან საკმაო სინათლე იფინებოდა. ნავთის სუნი იგრძნობოდა, უწინ, ეტყობა, აქ რკინეულობის სათავსო იყო. პირისპირ შედგნენ აღლვებულნი, დაბნეულნი, გაკვირვებულნი და ცდილობდნენ ხმამაღალი სუნთქვით არ დაერღვიათ ირგვლივ გამეფებული სიჩუმე: რა უნდოდათ აქ, რად მორბოდნენ ასე თავჭუდმოგლეჭილები? უხერხულობიდან თავის დასაღწევად ვალიკომ ორივე მთრთოლვარე ხელი წინ გარშვირა და ნინოს შეჩერებს შეეხო, მერე უცებ ერთმანეთს მიეკვრნენ.

— Руки вверх! — მეხივით გავარდა მშექარე შეძახილი.

საფრად ახორგილი ყუთების უკიდან შაშხანით ხელში ბიჭი გამვიდა.

— А ну-ка, назад! — დაუღრიალა ბიჭმა ვალიკოს, კაფანდარა მუწეუქებიანი სახით და დევკაცის ხმით, ჩვიდმეტი-თვრამეტი წლისა ძლიერს იქნებოდა. ვალიკოს რეალური საშიშროების წინაშე ყოველ-თვის გრძნობათა უდაბნოსეული სიმშვიდე ეუფლებოდა, აზროვნება მოქმედებას ზუსტ მათემატიკურ ფორმულას კარნახობდა. ახლა კი სისხლი აუგარდა თავში; უსივრცო და უსაგნო გარემოში, უჩინარი იავის მდევრად წარმოუდგა თავისთავი; სასოწარკვეთილებამ აიტანა.

მატარებლის ფანჯრიდან გადაგდებული რევოლვერის ვარდნის ექო კიდევ ერთხელ შემოესმა დამტინავად და ნიშნის მოგებით. „სა-ღან გაჩნდა ეს ლაშირაკი, გუშაგია თუ დროთა ბრუნვის აყოლილი ბოროტმოქმედი? უთვალთვალა თუ შემთხვევით წააშეუდა მათ?“

— Что вы тут делаете, а? — ნამარდული ღიმილით იკითხა მან. ალმაცერად გადახედა ვალიკოს, თოფი მოუღერა, შემდეგ ადგილზე გაშეშებულ ნინოს შეავლო თვალი.

გადაწყვეტილებამ, რომელიც უმაღ წაიკითხა ვალიკომ მის ამ-დვრეულ ყვითელ თვალებში, ყველაფერი ელვის სისწრაფით დაატ-



რიალი. შოწყვეტილი, კატისებური ნახტომით სწვდა ლულაში, მეორე ხელით კონდახიდან მხარხე გაღმოყირავება მოუნდომა, მაგრამ ბიჭი ისე დაეცა, რომ თოფის წაგლეჭა არც კი უცდია: ვალიკო ყელში ებრდლვნა, ბოლმისგან ღონედაცლილა, გაცოფებულმა ვერაგზით ველარ მოუტრიალა ხორხი, რაც უფრო მაგრად უჭერდა ხელს, საქუთარი თითები, როგორც სიზმარში, უფრო უღონო და მოჩვარული ეჩვენებოდა: „გაუშვი, დაიხრჩვება“ — გონს მოიყვანა იგი ნინოს ხმამ; წამოდგა, შაშხანიდან ჩამახან ამოაგდო, ჯიბისკენ უნდოდა წაელო, მაგრამ ენაგადმოვარდნილი, თვალებდაჭყეტილ ბიჭს გადახედა და იქვე მიწაზე ჩაუშვა. ნინოს მოხვია ხელი, ორივენი სწრაფად გავიდნენ გარეთ.

სანიტარული მატარებლის მოსახლეობა ღელავდა, ფანჯრებსა და კიბეებზე გამოფენილი ქარმოკიდებული ნაირფერი სარეცხივით ირჩეოდა. ეს პიკანტური, ან როგორც უშრავლესობა ამბობდა, — უტიფარი სანახაობა გახლდათ, როცა ნათესავებისა და პატიოსანი ხალხის თანდასწრებით, ასეთი რეპუტაციის მქონე გათხოვილი ქალი დღისით მზისით მამაკაცთან ჩახვეული მოურიდებლად ბრუნდებოდა სამარცხვინო ხაქმიდან.

ნინოს კანკალი ჰქონდა ატეხილი, კბილებს აქაწკაჭებდა, ტანში არაბუნებრივ სიმჩატეს გრძნობდა, ფეხებს კი ძლივს მიათრევდა. ვალიკოს ფრთხილი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით იგი თავის ვაგონისკენ მიჰყავდა. კუპესთან ბუცხრიკიძე და ექიმი შემოხვდნენ. ექიმმა არ იცოდა, თვალები საით წაელო, რაღაც წაიბურდოუნა, სასწრაფოდ ჩივიდა ვაგონიდან. ბუცხრიკიძეს, როგორც ეტყობოდა, წასვლა აზრადაც არ მოსვლია და ვითარების დაზუსტებას აპირებდა. ვალიკომ გადაუბრიალა თვალები, ცხვირწინ მიუკეტა კარი. ნინო კვლავ კანკალებდა, მხოლოდ ჯვარედინად გადალვედილი დიდი შკლავების სითბო ანიჭებდა იმ ტკივილნარევ სანუკვარ გრძნობას, რომელსაც განიცდის შშობლების ალერსს შეტირებული, სხვისგან უსამართლოდ დასჯილი ბავშვი. მერე გული აერია. ვალიკომ პირი მობანა, წყალი დაალევინა, წამოაწვინა, ფეხები თბილად შეუფუთნა, თავთან დაუჯდა, ხელისგული შუბლზე დაადო. ასე გაუნძრევლად, ჩუმად იყვნენ ისინი დიდანს — ერთი, შესაძლოა, ორი საათით. ვალიკომ სანდახან თუ შეცვლიდა ხელს და ნინოს გახურებულ შუბლზე, მეორე უფრო გრილ ხელისგულს აფენდა წამლად.

ბუცხრიკიძემ ახალი ამბაჭი შოიტანა. წინ, სემაფორთან დგას სა-



შარგო მატარებელი, რომელსაც მობმული აქვს „ტეპლუშკაზე განადებული სავსეა იმ ქართველი ნაგარისკაცალებით, ივერიელთა პოლკის სახელით რომ სურდათ გაერთიანებინათ პეტერბურგშით.

ვარდენს ტანი უგრძნობდა — რაღაც უბედურება ახლოვდებოდა; აღარ შეიძლებოდა ამ გამოჭიმული სანიტარული მატარებლის იმედად ყოფნა; სხვა თუ არაფერი, ეს ჩაკოსტუმებული და გამოპრანჯული ხალხი შურისალმძვრელ ყურადღებას იქცევდა. „რა მაქ მაგენთან საერთო!“ — ხმამაღლა არწმუნებდა თავს და ეძებდა, რა ეღონა. რამდენჯერმე ივერიელთა ვაგონში გადავიდა, დახედა იქაურობას, ლალად ნამყოფი გლეხი აღმოაჩინა ფარცხანაყანებიდან, მეზობლურად მიკითხ-მოიკითხა, ვითომ ბანქოს სათამაშოდ გადმოსულმა მოხევესთან, რომელიც ვაგონში ყველაზე გავლენიან კაცად გამოიყურებოდა, ჩექ-შები ძალად წაგო. ქართველების გარდა მგზავრებს შორის რამდენიმე აზერბაიჯანელი სამხედრო პირი ერია. კავკასიის ფრონტისათვის ჯავშნიანი ავტოშობილების საშოვრად გამოგზავნილებმა აღარ იცოდნენ, არმელი ჯარის მსახურებად ჩაეთვალათ თავი. ისინი ამ თავგზა-აბნეულ, უხეშ, რატომლაც გაგულისებულ ნაგარისკაცალთა საზოგა-დოებაში მოკუნტული და შეშინებული ჩანდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა ვარდენი დაიმარტოხელა და სთხოვა, სანიტარულ მატარებელში ხომ არ მომიხერხებ გადასვლას. რუსულს კარგად ლაპარაკობდა, ალბათ ოფიცერი თუ იყო. ვარდენმა ყოველი შემთხვევისთვის თავი ისე და-ძირია, ვითომც უმისიოდ ეს საკითხი არ გადაწყდებოდა, თუმცა არც არაფერს შეპირებია და არც უარი უთქვამს. თვითონ კი აღარ დააყოვ-ნა, სიმამრის ნაქონი სოველაგრის პიგაი ვიღაცას სადგურზე სპირტში გაუცვალა, ქართული დარდაშინდობით თათარიან პურმარილზე „ტეპ-ლუშკას“ ავტორიტეტები შემოიკრიბა, გაიქცა, სანიტარული მატარებ-ლიდან ექიმი გადმოსაბარებლად დაიყოლია; არაფერი გაუხდვია, რე დაიიღლიავა ტანსაცმელში გახვეული თავისი განძი და ამოლენ-ჩებული სახით ივერიელთა ვაგონში შემოივანა.

ქართველები შუა ვაგონში მორთხულიყვნენ და წრე შეეკრათ.

— სადა ხარ, კაცო, გეძებთ, რახანია! — მიაძახეს ვარდენს.

— გამარჯობათ, — წაიბუტბუტა კვინიკაძემ.

— ხელ მაგიმართოს! — დასძახა შეზარხოშებულმა თამაღამ, — ერთი ჭიქა მაგასაც აწაფე!

— აპპაპა-პა, არ სვამს, არა, — წამოიყვანა ვაგონის კუთხისაკენ ვარდენმა კვინიკაძე, შისწი-მოსწია იატაზზე წამოწოლილნი, ექიმი

ხაბაქს მხედარივით შემოაჭინა და თვითონ მოქეიფეთა წრეს შეუძლია.

— არ სვამს, რავა, პუჭუნჭურა გაუჩნდება კუჭში? — იყითხა რან, ვინც ფეხზე იდგა და იცხებული ჭიქა ეჭირა ხელში.

— რაიო, რაიო, პუჭუნჭურაო? ხა, ხა, ხა! — ვარდენმა მის გვერდზე მჯდომ ქერა მთიელს დაპკრა მხარზე ხელი, აქაოდა ზუმრობის ბოყვარული უბრალო კაცი ვარო, ყველას გასაგონად გაიმეორა: — პუჭუნჭურაო, არ უნდა ამას თქმა, დედა ნუ წამიწყდება!

ფეხზე მდგომა სატინის ლურჯ პერანგზე შემოჭერილ თასმას გააყოლა ცერი, გულმკერდი გამოზნიქა, ჭიქას თვალი გაუსწორა:

— აგერ აქანა რომ მივა, მომაყვირეთ, თუ არა თავის გადაქნევისას მეტი მომივა და დამაცემებს.

— ამა დახე, რაპ ჩადის, ე... მოდე იქითა! — სარგადაყლაპულივით წამოიწია ერთი თავით ყველაზე მაღალი და ჭიქას სწვდა. — ეგ ხრაკიანი არაყი მე ვერ წამაქცევს.

— დამეთხუე, ძამა, მმართებს რამე შენი?

— ეჰე! — მუქარით შეჰყვირა თამაღამ და როცა ნახა, მისმა ჩარევამ შედევი გამოილო, დასარტყმელად აღმართული ხელი დაუშვა, — ეგ ხრაკიანი არაყი კი არა, სპირტია.

— რა ვქნა, ძველებურად შემოყოლილი მაქ, — დაირცხვინა აყლაყუდამ.

— გადაპკა, ყველას გვეყოფა, — მიუბრუნდა ფეხზე მდგომს თამაღა. ლურჯპერანგიანმა სასმელი გადაყლურწა, პირი მოკუმა, თვალები მზის სხივებში გამთბარ კატასვით მოჭუტა და თქვა: — არა, ძამა, რუსებს არაყი და... კაი აქვს, კაი! — პირდაპირ დაასახელა ქალის ორგანო და გამხიარულებული თანასუფრელების წრეში ჩაცუდედა.

— ეე, გონჯო! სირცხვილი არა იც? — კვლავ წამოიწია თამაღა.

— კარგი ახლა, მორჩი! — შესძახეს აქეთ-იქიდან. ყველაზე ხმამაღლა ბუცხრიკიძემ იყვირა:

— შენ ვითომ მამა აბრამის ბატყანი ხარ?

— მე „პლამენი უერებეცს“ მეძახდნენ, — მოულოდნელად მოლბა, შეიფერა და გადაიხარხარა თამაღამ, — ჩემი ნება რომ იყოს, სულაც არ დავრჩებოდი. — უცებ დარდიანად განაგრძო: — ხახმატბას მინდა ჩავუსწრო, ერთი ყალიონი ჩვენებურად მოჰსუტოს კაცმა. — მერე სისუსტედ რომ არ ჩამოერთმიათ, დამიზნებული წვრილი თვა-



ლები შეუტრიალ-შემოუტრიალა ვაგონში მყოფთ, მჯიდა ჭრილობის გულმკერდზე, შესძახა „აუჰ, მუშინსკი ჩალავეკ!“ და ისევ ისე ვალურად გადაიხარხარა.

— პაი, პაი, რომ ხავიწი სჭობს ამათ ქერ-ჭრელასა, — დააღასტურა მთიელმა.

მოქეიფებს სპირტი მალე მოეკიდათ, ლურჯპერანგიანმა სიმღერა წამოიწყო, მაგრამ ბუცხრიყიძის მეტი არავინ აპყვა. ვარდენი ზოგს თვალით, ზოგს ხელით ანიშნებდა, აგვევითო, პირს აღებდა მოშიებული ბარტყივით, ხმა კი არ ამოდიოდა. წამომწყებიც საკმაოდ დაჭერებული ვერ გამოდგა და სიმღერა მალე შეწყვიტა. „მუშინსკი ჩალავეკმა“ გადაიხარხარა, რაღაც გამკილავის თქმის აპირებდა, როცა ბუცხრიყიძე დაეღრიჯა, თუ ქმა ხარ, მთიულური, მოდი, მთიულური, შენ გარგი ცეკვა იციო; ისე ეუბნებოდა, ვითომც არაერთხელ ენახა მისი ცეკვა, „მიდი, მიდი“, — შეეხვეწნენ სხვებიც. „მუშინსკი ჩალავეკს“ თვალები უბრწყინავდა, წამოდგა, გაიღიმა, თითქოს უარზე იყო, მერე სულმა წასძლია, ცალფეხზე წაიჩოქა, შემოჰკრა ტაში და შემოსძახა:

„ქალაუ, გიყვარვარ თუ არა,  
ქალაუ, გიყვარვარ თუ არა,  
შენც გაიხარე, მეც გამახარე,  
გიყვარვარ თუ არა“...

მეტი, ეტყობა, სიტყვები აღარ იცოდა და გიუურ რიტმში განაგრძობდა ტაშის ცემას, საცეკვაოდ კი არავინ გადმოდიოდა, საერთო უხერხულობის გასატეხად ვარდენი იძულებული შეიქნა ტაშის რიტმში აეწია და ჩამოეწია ხელები, აეწია და ჩამოეწია, მაგრამ ეს ისეთი უსუსურობა გამოდგა, რომ ირგვლივ სიცილი ატყდა. „ბუზებს გვიქ-შევს, ბუზებს, ეე, გონჯო!“ — ხარხარებდა „მუშინსკი ჩალავეკი“.

ვაგონში მთელი დღე მთვრალების ხორიალ-ბორიალი იდგა. ერთხელ ფარაგაზე უდარდელად გაშოტილ ოფიცერს, დღე და ღამე რომ ეძინა და ძლიერ ხმაურზე თუ შეიშმუშნებოდა ხოლმე, აყლაყუდამ მყლავზე ფეხი დააბიჯა. ოფიცერმა აახილა თვალი, რაც ძალი და ორნე ჰქონდა, გაუქნია წითლი გრძელ ფეხებში, მოჭრილ ხესავით გადა-აქცია, მერე ნებით მოისრისა სახე, ზღართანით გადაბრუნდა და გაქცეულ ხვრინვას მიეწია. წამით ვაგონი მიწყნარდა, აყლაყუდა ზლაზნით წამოიწია, ჩმუჩნით წამოადგა თავს მხვრინავ ოფიცერს, დაბნე-



ულმა მიმოიხედა, არავინ არაფერი უთხრა და როცა „მუშაონსკონსტანტინებულა-ვეგმაც“ აარიდა თვალი, მხრების აჩეჩით ჩაილაპარაკა: „ძალად ხომ არ მინდოდა, ვეუო“. ვაგონი ისევ ახმაურდა. კვინიკაძის გვერდით ორ ნაჯარაისკაცალს დიალოგი გაებათ. შეკითხვებს თვალებგადმოკარ-კლული ჩიყვიანი იძლეოდა, არც მოპასუხე უნდა ყოფილიყო ჭან-მრთელი. ჭლექიანისთვის დამახასიათებელი ხრინწმოკიდებული ყრუ, დაბალი ზემა ჰქონდა და შეტევისას გაბშულად ახველებდა.

— ერთი, თუ კაცი ხარ, სულ მინდა გვითხო, ეს ბოლშევიკები და მენშევიკები, თუ გაგეგება, რა არის?

— შარაგზაზე ნეხვი ხომ გინახვეს?

— მაგან არ მამკლაა?

— ჰოდა, იი, ურემი რომ გადაუვლის, ესე ჩაჭრის, რა, ხომ დაკ-ვირვებიხარ, ორ ნაშილად, დიდი აქეთა — პატარა იქით. ისე სწორედ იშვიათად გამოდის, რომა ზედ ხაზზე მოხვდეს და ტოლ ნახევრებად ჩაჭრას, ასე არაა?

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ?!

კვინიკაძეს არ მოსწონდა აქაურობა, განსაკუთრებით აღიზიანებდა „მუშინსკი ჩალავეკის“ მოულოდნელი და ველური გადახარხარება. როცა აქეთ გადმოჰყავდა, ვარდენმა გააფრთხილა, არ გაამხილო რომ ექიმი ხარ, ყველა თავის სატკივარს მოვიყება — გულს გაგიწყალებენ; ახლა ბრაზობდა თავის თავზეც, ვარდენზეც, ერთხელ ხომ განთავისუფლდა მისი გავლენისაგან, ისევ რატოშ აჟყვა? მართალია, თავის თვალით დაინახა ვარდენის ნაწინასწარმეტყველები: ჩხრეკა და სანიტარული მატარებლიდან ბაქანზე გადმოყრილი ბარგი, მაგრამ მე-რე რაა, არც აქ დააკლებენ ილბათ ხელს. იშხნელები რომ მიატოვა? ვინ იცის, რა უჭირთ მათ... ნინოს და ვალიკოს ურთიერთობის გაშომ-ჭლავნებულმა სურათმა ტკივილივით გაუარა... შერცხვა, აღარ გასდია ფიქრს, ზარხომშეგამნებულ ჭარისკაცთა საუბარს დააყურადა.

— ჩქარა მაინც ჩააღწიოს კაცმა, თვალი დამემსო ამ გატიალებულ ველების ცქერითა.

— შენც მყვარი ბაყაყივით წაიღე ყური, „ჩავალწიოთ-ჩივალწი-ოთ“, ჩავალწევთ, მა რა მოგვივა.

— ეჩქარება კაცს, ჭვარს რავარც დაიწერთ ახალ მთავრობაზე, ვე-უეურობას დაგირიგებენ.

— ვეუეულობა ჩაღა ჭანდაბაა?

— ზინათო, ბიჭო, — ზინათი!

- აგრემც შეგეწევა ღმერთი...
- რათა, ვეჟო, აკი რევოლუციაცა ჰქნეს, ახლა მიწებსაც და ქარ-  
ხებსაც ხალხს უნაშილებენო?!
- თავდაკენჭილ არ გაგვისტუმრონ შინ.

კვინიკაძის განაშენების თავიდათავი მაინც ის იყო, რომ ბუცხრი-  
კიძემ მარტო მიატოვა ამ უცხო ხალხში, თვითონ სადღაც გაპქრა. უკ-  
ვე ტიხორეცყარა გაიარეს და ჯერ არსდ ჩანდა. სხვა ღროსაც ყოფილია  
ვარდენზე ნაწყენი, მაგრამ როგორც კი დაელაპარაკებოდა, ისეთ რა-  
ძეს ეტყოდა — გულს მოუბრუნებდა; ახლა რაც უნდა მოხდეს, ვე-  
დარ დაიყაბულებს; მორჩა, პირველსავე გაჩერებაზე თავისიანებთან  
გადავა. თითქოს თვალებიდან ერთბაშად ლიბრი ჩამოეცალა, ხედავდა  
ბუცხრიკიძეს, რომელილაც სადგურზე, ღამით, ბაქანზე დაყრილი ტომ-  
რების გროვაზე ვირთხასავით მოძრომიალეს. იქნებ არც კი ენახა ეს  
სურათი სინამდვილეში, მაგრამ საიდანლაც ჩაუვარდა გონებაში და ამ-  
დენი ხნის იმედი პატარა გაიძვერა გლეხად დაინახა.

რევოლუციური წლების შიდააშლილობა, რომელიც „ივერიელთა  
ჯარისკაცებს“ ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდათ, რაღაცისაკენ აგულისებდა  
მათ, ალარავის აქმაყოფილებდა ხვედრით მიჩენილი ადგილი, ყველას  
სურდა თავისი გაეტანა; უბრალო ურთიერთობაც კი კონფლიქტური  
მიმართებით გამოიჩინდა.

— კინაზების მატარებელი გაუჩხრეკიათ, ვინძლო ჩვენთანაც მო-  
ვიდნენ, — ამბობდა ვილაც.

— ერთის კირმანაულისა თუ იპოვნონ — ისიც დაიკვეხონ.

— აბდალი ჯორივით რომ აქვს თოფები ამოკრული ამ ვაგონს,  
რეიზა გავიწყდება?

— ჩემია რო? ამათა ჰქითხე.

— ჩიხაური შაქ ასაშენებელი, ჩიხაურ!

— მთაში იარალი ძმასავით გამოგადგება.

— ეეე, თქვენა სულ ერთს ყადრსა მღერიხართ — გლეხკაცს თო-  
ფი რად უნდა?

— მაშ ჯარში რისთვინ წაეთერ?

— ამა დახე, ეეე, არ წავიდოდი და ტუსაღანაში ჩამაგდებდნენ.

გაუსწორებელმა ჟინმა ლურჯპერანგიანს კვლავ წამოაწყებინა სიმ-  
ლერი. გამომწვევი მეღოდია თეთრ მტრედად აფრინდა, შებზრიალდა,  
გადაყირავდა და ფარფატ-ფარფატით ჩამოსავარდნად განეშირა, მაგ-  
რამ ამ ღროს მეორე გაიქაჩა; მოწყვეტილად წავიდა, წავიდა,



და აიყოლია გონის მოსული თეთრი მტრედიც, შემდეგ გაუსწორდნენ  
ერთმანეთს, მერცხლებივით გაქვავებულნი გასრიალდნენ ჰაერში, რამ-  
დენიმე წრე შემოხაზეს, ჩახვეულად დაიწყეს დაშვება.

იქვე ძლიერმა ბანმა იქნა, სწორ ხაზად გადაპკვეთა სივრცე, შუა-  
გზაზე დარბაისლურად მოტრიალდა, უფსკრულისაკენ წამოვიდა, თავ-  
დაჭერებულმა ნელ-ნელა იდაბლა, ფსკერს გაეხახუნა, შემდეგ იმატა,  
იმატა, ამოგოგდა; თანდათან თვალშეუწვდომელ სიმაღლეს მიაღწია,  
ფრთა გაშალა, ჩამოეკიდა, თითქოს მზის მცხუნვარებას მოარიდა,  
ჩრდილად გადაეფარა ახლადაშლილ შემომატებულ გუნდს. ერთი  
ჭრელი ფრთამოტეხილივით ებლანდებოდა ყველას, მაგრამ სწორედ  
იმ დროს, როცა ვინმეს უნდა დაჯახებოდა, ისე გადახტებოდა თავზე,  
ფეხშუა გაუძვრებოდა, რომ ვერ გაიგებდით, ბეღმა გაუღიმა და შემ-  
ოხვევით გამოუვიდა, თუ განგებ ცდის თავის სიმარჯვეს ეს ოინბაზი.  
და ბოლოს ყველას დასანახად ლამაზ ორნამენტიად შემოევლებოდა  
მწყობრში ჩამდგარ გუნდს, მერე, ვითომ უნდობლობით განაწყენებუ-  
ლი, ისევ თავისივე ჰანგით ტკბებოდა და მეტიჩრულად აღარავის  
ცნობდა. აეწყო სიმღერა — ტეპლუშკა გუგუნებდა. შემდეგი საღვუ-  
რი კი არმავირი იყო.

მარტის მიწურულში ეკატერინოდარი რამდენჯერმე გადავიდა მო-  
ხალისებისა და ბოლშევიკების ხელიდან ხელში. 31 მარტს მოპკლეს  
გენერალი კორნილოვი. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ჩრდი-  
ლო კავკასიას. ბოლშევიკთა რაზმელები უკვე დაჭერებული სახეებით  
მოქმედდებდნენ. ქართველების თავკაცები ტყუილუბრალოდ ცდილობ-  
დნენ მიექციათ მათი ყურადღება სმოლნის მიერ გაცემულ საბუთებ-  
ზე. კიდევ ერთხელ ჩაიარა ჩხრეკამ. გასაოცარი იყო, რარიგ დახელოვ-  
ნებულად, საქმის როგორი ცოდნით, შეიძლება ითქვას, ფანტაზითაც  
კი წარმოებდა ძებნა. დიდმნიშვნელოვანი იერით, რაღაც რიტუალური  
ოვითტკბობით აფათურებდნენ ხელებს ყოფილი გლეხები სხვის ჩან-  
თებსა და საცვლებში, სხვის ჭიბეებსა და, ასე გასინჯეთ, ჭამ-ჭურ-  
ჭელშიც.

ძვირფასეულობა არავისთვის წაურთმევიათ, მაგრამ არადელის  
წაბურტყუნებული ვარაუდი გამართლდა: ყველანი თავის აყრილ ბარ-  
გიანად ვაგონებიდან გადმოსხეს და სანიტარული მატარებელი მოშ-  
სახურე პერსონალითურთ ჩამორთმეულ იქნა.

უმატარებლოდ სმოლნის საბუთები ფარატინა ქაღალდად გადაიქ-

ცა. სიმარტოვის შავშა ნისლმა დაბურა ჰორიზონტი, ცოტაც და მგზავ-  
რებში პანიკა დაიწყებოდა, დაღამებისას ჩიხში რამდენიმე „ტურქული“  
კა — ვაკონი ჩამოდგა. ქართველებს უბრძანეს ახაბაკებულიყვნენ და  
სულ მალე ხელახლად შედგენილი მატარებელი უკუნეთში ქასქასით  
კვლევდა გზას, მგზავრები ტეპლუშებში დროებით დამედებული  
განლაგდნენ. სანიტარული მატარებლის კომფორტით ვამოწვეული  
უხერხული გრძნობა ნათხოვარი ტანსაცმელივით უფრო შვებით, ვიდ-  
რე დანანებით, — ჩამოიცილეს.

იშნენების ოჯახი სამარ გაიყო. კვინიკაძე ბუცხრიკიძესთან ერ-  
თად ვადაკარგა. ქალბატონი შუნია და ირაკლი ვაკონის ერთ კუთხე-  
ში მოეწყვნენ, ნინოს ვალიკომ ცალკე აღგილი მოუქებნა, ჭერ ფარა-  
ჭა დაუგო იატაკზე, მეორე წყებად — ქურქი. ასეთ პირობებში, უცხო  
მხარეს, მტრულად განწყობილ გარემოში უნავსაყუდლოდ, ბედის ანა-  
ბარად ჩარჩენილ, სასიკვდილო საშიშროების წინაშე მდგარ აღამი-  
ანებს შორის იხლად აღმოცენებული ურთიერთობანი ბუნებრივად  
მკვიდრდებოდნენ. ერთი ხელის მოსმით წარიხოცა შეუფერებელი ნა-  
თესაური პრეტენზიები, რაღაც უფრო დიდმა, ვაცილებით მნიშვნე-  
ლოვანმა აუცილებლობამ უაზრო გახადა ჩვეული კავშირები. ტრადი-  
ციული შეხედულებები, წესები და ვალდებულებები ახლა გაუმარ-  
თლებელ პირობითობად გამოიყურებოდნენ; თუ ჭერ კიდევ რამდენი-  
მე დღის წინ ირაკლი ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდა და ვალიკოს,  
როგორც მას ეგონა, დუელში გამოიწვევდა, ახლა ქ-ნ შუნის არე-  
ული მაფრაშიდან ნაკერი სუზანი და დიბის მუთაქა ამოელო და უსი-  
ტყვოდ დაუდო ნინოს საშოლზე.

— ვადაზე ადრე შეეუსრულეთ პირობა, — ხუმრიბლა ჭყონია და  
უფრო თავის გასამნევებლად, ვიდრე სხვის დასაჯერებლად დასძენ-  
და, — ირგვლივ იმდენი დაჭრილები ჰყავთ — ამის უბრალო ჰუმა-  
ნიზმი მოითხოვდა.

— „ბურუუიკა“ რაღაზე წაგვართვეს, ევ ხომ მაგათი არ იყო?

— ალბათ, სახელი არ მოეწონათ — „ბურუუი“.

— Чтоб они сдохли, сдохли, сдохли! — იშყევლებოდა ქ-ნი  
შუნია.

გარშემო თუ რამ ხდებოდა, ნინო ვერაფერს არქვევდა; ვალიკომ  
ისე გადმოიყვანა ვაგონიდან, ისე გაჩერიკეს, ისე შევიდა „ტეპლუშ-  
ებუში“, და, საერთოდ, ისე მოქმედებდა, უკეთ ვთქვათ, მოძრაობდა  
მთელი ამ ხნის განმივლობაში, რომ ბურანში მყოფი გეგონებოდათ.

მარტო დარჩენის სურვილს მის სულში რიდე ჩამოეშვა. აღზრავის/შეხედვა სიამოვნებდა, ყოველი ხმის გაცემა ეხამუშებოდა, ყოველი ურთიერთობა აღიზიანებდა. თითქოს მდევარს ჭაში დამალოდა და ადამიანების ხმები ზემოდან გაურკვეველ განგაშად გუგუნებდა. დროდადრო ვალიკოსათვის ეწადა რაიმე ეფექტი, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა, შეაჩერებდა მზერას მის მკაცრ სახეზე, აუწყლიანდებოდა თვალები და კვლავ ჭის სიღრმეში იძირებოდა.

ხალხი წერამწერალივით ზუსტად ხაზავს ისტორიულ აუცილებლობათა სვლაგეზს, კრიზისულ მომენტთა შესახვევი იქნება ეს, თუ კანონზომიერი გზატკეცილი: მითქმა-მოთქმითა თუ შეთხზული ამბით თითქმის ყოველთვის წინ უსწრებს ისტორიულ მოვლენათა აღნიშვნა-გაფორმებას. 1918 წლის 7 აპრილს, ორი დღით ადრე, ვიდრე სინამდვილეში „დე იურე“ გამოცხადდებოდა რუსეთიდან დამოუკიდებელი კავკასიის ფედერაცია, მგზავრები ერთმანეთს ულოცავდნენ კავკასიის კომისარიატის გაუქმებას, რომელიც არ სცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას და სრულიად რუსეთის გაუქმებულ დამფუძნებელ კრებას ერთგულებდა.

— ესე იგი დასაბამითგან სოფლისა მეთხუთმეტე მოქცევის სა-მოცდამეთორმეტე წელს, ანუ ქორონიკონისა „ობ“ საქართველო პკვდრეთით აღდგა! — იძახდა ყალბი პათოსით ჭყონია, მაგრამ ამჯერად ირაკლი აღარ ფეთქდებოდა, აღარც ბ-ნ ლადის მოჭარბებულ რეაქციებში შეიმჩნეოდა ირონია.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვალიკოს ხმა არავისთვის გაუცია, კრიზისი არ დაუძრავს, არავისთვის შეუხედავს სახეში. მისი შეუვალი გამომეტყველების გარსი მყუდროების დამრღვევისთვის სახითათოდ ელვარებდა.

ვაგონი მთელი ღამე ფხიზლობდა, ხმადაბლა და შფოთიანად დუდუნებდა. იატაკზე დადებული ერთადერთი ფანარი ალიონზე გაქეშილ შუაცეცხლის ნაცრადქცეული ნაკვერჩხალივით ბჟუტავდა. საღურ ტიხორეცვაიაში აღარ ინდომეს მატარებლის წინ გაშვება. მიზეზს არ ამბობდნენ, შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ფრენჩიანმა ახალგაზრდამ ჭყონიას შეულრინა: „Не суй свой нос, куда собака“... კიდევ კარგი, მანდილისნების მოერიდა, იმდენი ზრდილობა ეყო, აღარ დააბოლოვა. მისვლა-მოსვლამ, ხვეწნა-მუდარამ, ფანჯრების შუქზე ხელებისა და საბუთების ორჭოფულმა ტრიალმა, ან იქნებ რაიმე სხვა მოსაზრებამ გასჭრა და



ბატარებელი, როგორც იქნა, დაიძრა. საიდანლაც ბუცხრიკიძე<sup>ბუცხრიკიძე</sup> გამოჩენდა ვაგონში.

- ექიმი სად არის? — იმწამსვე ჰეითხა ქ-ნ შუნიამ.
- კარტს თამაშობს „ივერიელებთან“!
- ნუთუ თამაში ისწავლა?
- ისწავლა, ბატონო, ისწავლა. რას არ ისწავლის ახლა ადამიანი?

ვარდენბა თვალი გადაავლო „ტეპლუშკაში“ დაბინავებულთ. ყველა საფუძვლიანად მოწყობილიყო. მიხვდა, რომ ახალ გადააღილებას უხალისოდ შეხვდებოდნენ, სადმე ჩაკვეხებას აზრი არ ჰქონდა, არც ეძინებოდა.

საქართველომდე ერთი დღის სავალი ძლიერ იქნებოდა, შეცდომის დაშვება შეუწყნარებელი იყო. ამიტომ გადაწყვიტა ცალი ფეხი აქ ჰქონდა, ცალიც — ივერიელთა ვაგონში. დროს გასაყვანად კუთხეში მიმწყვდეული შეშინებული სტუდენტი ამოირჩია, წამოაჭინა, საუბარში ჩააბა.

თენდებოდა... გადაქანცული, წამით მილულული ვაგონი უეცრად გამოფხიზლდა: ლიანდაგებზე მოჭირითე, სულ უფრო და უფრო მოახლოებული მატარებლის ხმაური გაისმა, შემდეგ „ტეპლუშკას“ კედლებში, როგორც მოხუჭულ ქუთუთოებში, სინათლის თანაბარმა მონაცემებმა ლანდებად იწყეს ქროლვა; სამგზავრო, სამოქალაქო ზატარებელი! ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, რომ მათ შემოხვდათ იქიდან, იმ ცხოვრებიდან მანუგეშებელი ნიშანი; მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა, იქ ადამიანური ცხოვრებაა, თუკი სამოქალაქო მატარებელი ასე შშვიდობიანად, ძველებურად მირისრისებს.

სიხარული ნაადრევი გამოდგა. ჯერ კიდევ ბინდბუნდი არ გაფანტულიყო, როცა ზატარებელი სადგურ არმავირის წინ შედგა. ცივსა, მაგრამ სასიამოვნო სუფთა ჰაერთან ერთად „ტეპლუშკაში“ სამხედრო გუნდი შემოიჭრა, მათ ორი ქალიც ახლდათ. „ღმერთო ჩემო, ახლა თუ კიდევ გაგვჩხრიყეს — გადავირევი“, — ისტერიულად წამოიძახა ვიღაცამ. კიდევ გახხრიყეს, მაგრამ არავინ გადარეულა, ოღონდ როდესაც ქ-ნ შუნიას ლოგინი აყარეს, ვერ მოითმინა და მიუხედავად იმისა, რომ ჰყონიას წარბები მაღლა აედრიყა და თვალით ჩაღაცას ანიშნებდა, ყველას გასაგონად ხმამაღლა თქვა:

— У меня создается впечатление, что большевики потеряли что-то у себя, а ищут у других, — ეს ფილოსოფიურად განწოვა-



ჯებული, უკიდურესი გაღიზიანებით დამუხტული წინადან ფერებით შორის ველგვარი ყურადღების გარეშე დარჩა.

იმან, ვისაც მეზღვაურივით პატარა პრიალა ხანგალი ჰქონდა ჩამოკონტიალებული და „ტოვარიში გუროვს“ ეძახდნენ, მგზავრებს აუკრძალა ვაგონიდან გადმოსვლა და კარებთან ქალები დატოვა ზედაშე ხედველად.

— უეჭველია, რომ აქ, არმავირში მოგველის ტერორი, შესაძლებელია წესგარეშე და სწორედ მით უფრო საშიში, — ამბობდა წამოწითლებული ჭყონია. რაც უფრო უახლოვდებოდა მატარებელი სამოქალაქო ომის ერთ-ერთ კვანძს, მით უფრო აღზენებული ჩანდა ბ-ნი ლადი; ნაჩქარევ პრაქტიკულ გეგმებს ისტორიულ პარალელებს უკავშირებდა. რუსების ვერაგი ბუნების დასახასიათებლად ისიც გაიხსენა, რომ ეკატერინე II-მ ჯერ წააქეზა ქართველები და შემდეგ გუდოვიჩს აუკრძალა საქართველოში მაშველი ჯარი ვაეგზავნა — სულ ორი ბატალიონი და ორი ქვემეხი! აღა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს ხომ უფრო ვერაგულად მოიქცნენ: პოტიომკინი დაელოდა თბილისის დაცემას და 3 ნოემბერს გაპარტაზებულ თბილისში ეგერის ბატალიონები შემოიყვანაო. გასაყვირი ისიც იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობაზე მსჯელობისას ყალბი ნოტები გამოაკლდა მის პათოსს, ფილოსოფიურმა განწყობამ კი საბოლოოდ ტიხორეცყაიასთან დალია ჩაილურის წყალი. ირაკლიმ და ბ-ნმა ლადიმ როლები გაცვალეს თითქოს. ირაკლი მოტეხილსა და ბედშეგუებულს ჰგავდა, ჩუმად იჯდა, ან ყველას ემოწმებოდა, ეტყობოდა, მგზავრობის ამ ათმა დღემ რაღაც ახალი უდავო აზრი გაუჩინა, რომლის შერყყევა არავითარ პაექრობას ან მტკიცებას აღარ ძილუძღვის. ასეთ ვითარებაში მან პირველად ნახა ეს უბრალო მიწის მუშები, აკვირდებოდა, სურდა გაეგო, რა აერთიანებდა მათ შეიარაღებულ ჯგუფებად — შიმშილი, შიში, შურისძიების გრძნობა, თუ ადამიანის ველურ ინსტინქტებს ერთბაშად მოენახა ყველასათვის გასაგები მარტივი რაციონალიზაცია?!

— როგორც ჩანს, დაგვაპატიმრეს, — იძახდა ჭყონია, — აბა, რაზე დაგვიყენეს ყარაულები?

— რას ქვია დაგვაპატიმრეს?! ჩვენ მთავრობის ბრძანებით, მათი საქმის გულობიზა მივდივართ კავკასიაში! მერე ეგერ არ წერია საბუთებში, რომ მე სიფილისი მაქ და ბატონი ჭყონია აფრენს?!

გაურკვეველი იყო, ვის უმტკიცებდა ამას ბუცხრივიძე, თვალები ძევთ-იქით გაურბოდა, ნელ-ნელა კარებისაკენ იწევდა.

კარებში შაშხანით ხელში გამხდარი, მაღალი, ვრძელცხვირა კიდე  
რდგა, თვალის გუგები ავადმყოფურად გაფართოებოდა, კაცი მარტინ  
თი წერტილისთვის ისე მიელურსმნა, ელამი გეგონებოდათ. სახელო-  
ებსა და სიგრძეში სახელდახელოდ გადაჭრილი მაზარა ეცვა, მხრები  
ჩამოჰყორდა, შელავზე წითელი ხელსახვევი შეება, კოჭისა და კოჭის  
შორის შაშხანა ედგა, ორივე ხელი ლულაზე დაეფარებინა. მას გეერ-  
დით მორცხვად ეტმისნებოდა ბერეტიანი, თვალციაგა ახალგაზრდა  
ქალი.

„ტეპლუშვის“ მგზავრებმა არ იცოდნენ, რა ელონათ, როგორ და-  
ელწიათ თავი მოსალოდნელი უბედურებისაგან, შიშმა დააბნია, ენა  
ჩაუგდო ყველას, დადუშებულნი მექანიკურად აწესრიგებდნენ ჩხრე-  
კის შედეგად არეულ ნივთებს. კყონიას გაახსენდა, რომ აქ, არმავირ-  
ში ცხოვრობს მისი ნაცნობი ქართველი და მგონი რაღაც თანამდებო-  
ბაც უჭირავს. — მას შეუძლია დახმარება გაგვიშიოს, მაგრამ როგორ  
გავაგებინოთ?

— სადგურზე არის ბუფეტი, ბუფეტის პატრონი და მოსამსახურე-  
ები უეჭველად ქართველები იქნებიან. გავგზავნოთ ვინმე „ნაზანზე“  
და დავუკავშირდეთ, — გაისმა „ტეპლუშვის“ სილრმიდან არადელის  
ხმა.

— რომ არ გაგვიშვან?

— ბუფეტის ლაქია გამოვაძახებინოთ.

— По-вашему говорить тут запрещено! — იკივლა შაშხანიან-  
მა და დაუინებული მზერის წერტილი გადაადგილა.

— А что ты не понимаешь, что теперь свобода и можно го-  
ворить на родном языке? — ჟეპასუხა ვარდენი და სტუდენტს გა-  
დაულაპარაკა: — კვინიხში არ აქვს, ბიჭო, შესული თვალები?! —  
შემდეგ წინ წაიწია, კვლავ სტუდენტს მიუბრუნდა და ხმამაღლა გა-  
ნაგრძო, — „ა, რა კრასივი ღევუშვებია, ახლა, პოვიზიტი მაგათ კურ-  
ზიაში, პაკუპატი შუბა, ჩორნაბურა, ადიხატი კურორტ ჩორნი მორე-  
ზე, მერე სვალბა იგრაიტი, ტანცავატი, პადარკა პალუჩატი შოლუოვი  
ჩულკი“...

თვალციალა წითლდებოდა, რაღაცას ეჩურჩულებოდა უფროს ამ-  
ნანაგს. ვარდენი კი ხან სტუდენტს მიმართავდა, ხან ქალებს შესცე-  
როდა ნაზად და განაგრძობდა:

— რა ხაროში ღევუშვებია, ეტო ვისოკი ჩემი ბრატისთვის პო-  
ვიზიტი და სვალბა იგრაიტი...

— Шაშხანიანის სახეზე ღიმილისმაგვარმა ტალლამ გადაიარა;  თავი  
მოატრიალა, ტეპლუშკაში შეიხედა და ნაძალადევი სიმკაცრით თავისა;  
— Вы думаете, мы не понимаем по-грузински?

ბუცხრიყიძე მიუახლოვდა ქალებს, დაეღრიფა, წამსვე ინდაურის  
გაფხორილი გამომეტყველება მიიღო, იქვე ისევ გაირჩა ყველის ვა-  
ჭარივით. თვალციაგას კისკისი წასკდა. ახლა თვითონ ქართულიდან  
რუსულზე გადავიდა ვარდენი, აინუნშიც არ ჩააგდო, რომ თავიდან  
რიგიანი რუსულით შეეპასუხა, ამჯერად დამტვრევით დაიწყო:

— Мой природа, — ხელით მუცლის ქვევით მიინიშნა, — вода  
бросат хочет, природа требует вода бросат хочет.

ბერეტიანს უფროსისი ერიდებოდა, მაგრამ თავს ვერ იკავებდა და  
სიცილით იგუდებოდა.

— Ну, сатана! Иди, иди! — ჰერა მუჭლუგუნი შაშხანიანმა, ჩა-  
სახტომად მომზადებული ვარდენი ვაგონიდან ჩააგდო. ვარდენი ვა-  
გონის ჭვეშ შეძვრა, შორს, სადგურისაკენ გაიხედა, ბაქანთან მატარე-  
ბელი ცდგა, მაგრამ იქ რა ხდებოდა, ამის გარჩევა შეუძლებელი იყო.  
მკვდარ ხოჭოს რომ ჭიინჭველები დაესევა, ისე ირეოდა ხალხი. „ნუ-  
თუ „ივერიელთა“ მატარებელია“, — უსიამოვნოდ გაუელვა თავში,  
მიიხედ-მოიხედა, ლიანდაგების გატალმა წყალსატუმბთან მშვიდობი-  
ანად მდგარი ბრბო დაინახა. გამოყო თავი ბორბლებიდან და კვლავ  
ქალებს გაეღრიფა:

— Моя vogзал пошел наразан принести.

— Валяй! — არ შეუხედავს მისთვის, ისე დართო ნება შაშხა-  
ნიანმა.

ბუცხრიყიძეს ერთი სული პქონდა, გაეგო, რა ხდებოდა სადგურზე,  
სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა, ჭერ ლიანდაგების გადაღმა გასწია.  
წყალსატუმბი ამაღლებულ აღგილას იდგა, ქვემოთ ყუბანურ სტანი-  
ცის მწვანე დარაბებიანი სახლები ჩარბოლნენ. დარაბებზე დახატუ-  
ლი თეთრი მტრედები გასუქებულ ქათმებს წააგავდნენ და თვალს  
აღიზიანებდნენ. ბრბო კაზაკ რუსებისაგან შემდგარიყო. მკვიდრი ყუ-  
ბანელები ზოგი თავჩაქინდრული და ზოგიც დაბნეული სახის გამომე-  
ტყველებით უგდებდა ყურს კასრზე ასულ ორატორს — იგი კაზაკთა  
იასაული გახლდათ. წითელი ვიწრო ლენტით გადაჭვარული დაირა-  
სავით მრგვალი ფაფახი კეხიან ცხვირს ებჯინებოდა და შუბლზე თეფ-

შივრთ ედო. წინა ორატორი ეტყობა სრა-სასახლეთა შენერქას ჰერი-

— Что такое советская власть: Без мудренных слов, — узомою ого, — что делает ералаш в башках, скажу просто: Советская власть это то, что из хама делает пана, да, это точно! Но не думайте, что из всех хамов, нет! Все вы останетесь такими же хамами, но править вами будет хам из хамов, тот который наихамейший из всех!

მეჩხერი სიცილი გაისმა. იასაულმა ფაფახი კეფაზე გადაიგდო, დოინჯი შემოიყარა, გადახედა უნდოდ განწყობილ აუდიტორიას, იგ-რჩნო, რომ მისი გაწიწვატება შეუფერებელია, სიტყვები კი — ამაო, ისინი სხვა რამეს ელოდებიან, უფრო თვალნათლივსა და სისხლხორციანს, მაგრამ რას — ეს იასაულისათვის გაუგებარი რჩებოდა. კაზაქების მეტწილი, არმავირის შემოგარენის მკვიდრნი, ჯერ ქტიურად არ მოქმედებდნენ. მათ გადაწყვეტილიც არ ჰქონდათ, ვის მიკედლებოდნენ, მაგრამ თავს ასე თუ ისე მანც რევოლუციის მონაწილეებად თვლიდნენ. იმ დროს, როცა ქვეყანაში აზარტული თამაში მიმღინარეობს, იასაული მათ არაფერს ჰპირდება, პირიქით, აშინებს, ვინ წინიდომებს თამაშიდან ისე გამოვიდეს, როგორც დაიწყო, — ყველას ხომ მოგების იმედი აქვს?

— Смейтесь, смейтесь, потом поздно будет, когда заарканят, —  
— **Г**о<sup>л</sup>у<sup>б</sup>о<sup>д</sup>о<sup>р</sup> ჩა<sup>л</sup>а<sup>з</sup>а<sup>р</sup>о<sup>კ</sup> საქციელწამხდარმა იასაულმა; ულვაშები წა-  
იფხანი, კასრიდან ჩამოვიდა და უკე ქვემოდან ზღვის ვერაგ ტალღა-  
სავით წამოპარულად დაუმატა: — Еще в библии сказано, что пер-  
вый раб на земле был сын Хама!

სადგურის ბაქანთან მოფუსფუსე ხალხი იშლებოდა, ნაწილი ჯგუფად წყალსატუმბისაკენ გამოემართა, მათ შორის ბევრი ჩამოხეულ-ჩამოკანკილი მაწანწალა მოჩანდა. ვარდენმა იცოდა, რომ ჩრდილო-ეთიდან მომავალ ყოველ აღამიანს — არაფარისკაცს აქ ეჭვით უყურე-ბენ, ამ ბრბოშიც კი.

ქალს: „Винтовки были спрятаны под вагоном“, „бусурманы“... ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტმა ცნობებმა საბოლოოდ დაარტმუნა, გურჩენის საღ გურჩე დარბეული მატარებელი „ივერიელთა ტეპლუშკა“ იყო. გათავდა, ყოველგვარი იმედი გაქრა, განძი დაიღუპა, ახლა მისი სიცო ცხლის ჯერი დადგა. ამ აზრმა ინსტინქტურად ცარიელ კასრჩე შექმუნა და როცა მიავლ-მოავლო ოვალი იქაურობას, სიზმარი ეგონა, მოეჩვენა, რომ მის წინ შეერული ბრძო მსხვერპლის მოლოდიშში გაშხლართული, პირდაღებული ნიანგია, ვარდენმა მაღალი ხმით შეჰყვირა:

— Товарищи, братцы! Большевики хотят Мира, Свободы, Хлеба и масла для народа! Да здравствует Советская власть Ура!

დამშეულ პეტროგრადში ამ კონკრეტული ლოზუნგის დენთის ძალა ხშირად უნახავს, აქ კი, ჯერ კიდევ შედარებით მაძლარ ყუბანის გელშე, კარაქის სხენებამაც არ მოახდინა შთაბეჭდილება. მის შეძახილს არავინ გამოეხმაურა, მაგრამ ეს არც იყო საჭირო, იგი უკვე მოერია თავის შიშს და ბრძოსაც დავთხრები აურია, ახლა შეეძლო ყურადღების მიუქცევლად გასცლოდა იქაურობას.

მზე კეკლუცი, დაღლილი შინდილოშანივით ამთქნარებდა, თითქოსდა მოცისფრო-მონაცრისფრო ღრუბლის მარაოთი მორცხად რთარავდა პირს. ყოფილ სანიტარულ მატარებელს რამდენიმე „ტეპლუშკა“ — შერჩენოდა, ორთქლმავალი და სატვირთო ვაგონები ჩაშოეხსნათ. „ტეპლუშკის“ კარები ბოლომდე გაეღოთ. სამხრეთულად რბილი, ნოკიერი ჰაერი მშობლიური სითბოთი გულს უხსნიდა ქართველებს. რაჭველმა ბუფეტის ლაქიამ მოკლე ჩხირებზე წამოცმული ღორის ცხელი მწვადები, პური და „ნარჩინი“ მოიტანა საღვრიდან, — სასადილოს პატრონს გამოეგზავნა თანამემამულეთათვის. ჭყონიას უცებ დაუბრუნდა ყოფილი სიღარბაისლე, კმაყოფილი გახლდათ, რომ მისი ნაცნობი ქართველი ისე გულისხმიერად მოიქცა და პატივი სცა: ეს იმას ნიშნავდა, რომ არმავირში გავლენიან კაცად ითვლებოდა, რამენაირად მიხედავდა მათ, არ მიატოვებდა. ყველა სიამოვნებით ილიმებოდა; მოშივებულნი მაღიანად ილუკმებოდნენ. ნინოსაც კი შეაჭიმა ქალბატონმა შუნიამ ერთი ნაჭერი მწვადი. მხოლოდ ვალიკოს არაფრისათვის დაუკარებია პირი; ნინოსა და თავისი ყალბი მდგომარეობა აწუხებდა: არ შეეძლო არ ეზრუნა მასზე, არადა ეს გამომწვევად გამოიყურებოდა. თავად ნინოსაც უმძიმს ალბათ მასთან ურთიერ-

თობა. რამდენჯერმე შეიცვალა მათი დამოკიდებულების უძუშებულები კუთხეები და ყოველი კუთხე თავიდან იწყებდა ყველაფერს: „იქნებ სხვა ვაგონში გადასვლა აჯობებდა? მალე საქართველოა, ნინოს ოჯახი ელოდება... კეთილდღეობა, სიწყნარე?!“ საკარისია გაიქცეს აქედან და ყველაფერი ძველებურად წავა. მერე და უნდა კია ძველებური ცხოვრება? ყველა გზა მოსინჯულია, ყველა ლოზუნგზე დადგებულია თავი. ახლა სამშობლოშიც ზედმეტია იგი. საქართველო განწირულია — ვეღარაფერი იხსნის. უამრავი პოლიტიკური დინებით, სოციალური კეთილდღეობის ქიმერით ისეა ამღვრეული წყალი, რომ ერთი და ორი ნაკადული ვერ დაწმენდს. საერთო ბედნიერება? თუკი ერთ ბედნიერებას ამდენი უბედურება დასჭირდა — საყოველთაო ბედნიერებას რამდენი მოუნდება, ანდა ვიღას ხარჯზე? იქნებ ჭეშმარიტებისათვის ლირს ბრძოლა? მაგრამ რა არის ჭეშმარიტება? სიმართლე, ან სამართლიანობა? შედეგის წარმოსახვა და მასზე გამიზნული მოქმედება მიკერძოებას უფრო ეკუთვნის, ვიდრე ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტებას ადამიანის ლოგიკასთან მცირე კავშირი აქვს. ასეთი შეხედულება ძალაუნებურად ჩამოუყალიბდა, იმიტომ რომ ცხოვრებაში მეტწილად უსამართლობის გამარჯვების მოწმე გახდა, და თუ სამართლიან გამარჯვებასაც მოესწრო, შიგ დაბუდებული სიყალეც ჟეამჩნია. მაშასადამე, ჭეშმარიტება ბრძოლისათვის შეუთავსებელი სეული ყოფილა, იგი არც სიმართლეს და არც სამართლიანობას გამოსახავს. არც იმარჯვებს და არც მარტიდება. შესაძლოა ადამიანის ცხოვრება მოკლეა და ჭეშმარიტების ლოგიკა გრძელი?!

ვალიკოს ღმერთი სწამდა, რელიგიის კი ვერა გაეგო რა. ქრისტიანობამ დაშინებით, ჯოჯოხეთით და განკითხვის დღით აუცრუა გული. ნაჭმადიანი — მამაპატური ტრადიციის მიხედვით მოღალატეს სინონიმი იყო. ბუდამ გადმობრუნებული ეგოცენტრიზმით დააფრთხო. ადამიანის ცხოვრებაში რელიგიის რომ დიღი მისია ჰქონდა და რაღაც სანუკვარი სდეროც გააჩნდა, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მისი აღმოჩენა დღე და ღამის მთელ გულისყურს მოითხოვდა, ამ წუთს კი, ამ გარემოცვის თანამედროვე ადამიანში ყრუდ ბორგავდა ცხოველი ძალა, თითისტარზე უწესრიგოდ დახლართული ძაფივით გადასახოთავად იწვევდა, უშლიდა სწორად ბზრიალს; გახელებული კრაზანებივით ბზუოდნენ ფიქრები, იგი დადგუმებულ ნინოს შესცემეროდა. გრძნობდა, ყვითელთვალი ბიჭის შემთხვევამ გამონაბოლქვივით ჩაიარა; დააბნელა, აშალა და მოწამლა ვნებათა ნატიფი წყობა... იქნებ სამუდა-



მოდაც. დროდადრო ნინოს გასიფრიფანებული სახის ფონტერიამოვარ-  
სკვლავივით აბრჭყვიალებული ცრემლი უბრუნდებოდა იმედს და გუ-  
ლი დაუდეგრად უწყებდა ცემას.

არმავირში სამი ძალაუფლება თანაარსებობდა: კავკასიის ფრონ-  
ტიდან წამოსულ ჯარისკაცთა საბჭო, კაზაკთა ხელისუფლება და საბ-  
ჭოთა ორგანიზაციები.

ბოლშევიკების მიერ გავრცელებული ეროვნული დამოუკიდებლო-  
ბის ლოზუნგი კაზაკ-რუსებმა სამამასახლისო თვითშმართველობის შე-  
საქმნელად გამოიყენეს. საქმე საქმეზე თუ მიღებოდა, ისინი საბჭო-  
თა ორგანიზაციების ხელქვეითებად ჩაითვლებოდნენ, მაგრამ ნაფრონ-  
ტალი და ნახიშტარი კაზაკები საბჭოთა მთავრობის მიერ ახლად ჩა-  
მოყალიბებულ ყველაზე ქმედით ორგანოს — საგანგებო კომისიას, „ჩეკასაც“ კი არაფრად აგდებდნენ.

კავკასიის ფრონტიდან წამოსული ჯარისკაცთა ურდო, რომელიც  
აგრეთვე საბჭოთა ლოზუნგების პირმშო იყო, რამდენიმე დღის წინ  
შემოიჭრა არმავრიში, მათ ატამანური წესით არჩეული საბჭო ხელ-  
შძლვანელობდა. სამოვე ძალაუფლება ერთიმეორესთან შეჯახებას ერი-  
დებოდა. ყოველი მათგანი თავისი გავლენის დასამკვრდრებლად რაც  
ეკლი ეწაფა, იმას სხადიოდა — სხვადასხვა იდეალების სახელით  
შშვილობიან მოსახლეობას არბევდა.

დატყვევებულმა ქართველებმა მოითხოვეს ვინმე უფროსი, რო-  
მელიც მოვიდოდა, აუხსნიდა ასეთი მოურიდებელი ქცევის მიზეზს  
და, რაც მთავარია, მომავლის შესახებ რამეს ეტყოდა: ასეთი კაცი  
ისევ ის „ტავარიშჩი გუროვი“ აღმოჩნდა, მას თან მოჰყვა ნაზი სახის  
ახალგაზრდა. როდესაც ტანსაცმელი ტიპიური ხდება, ის მისი პატრო-  
ნის გარეგნობაზეც მოქმედებს: ტყავის ქურთუკი და საველე ჩანთა  
ახალგაზრდის სიმპატიურ გამომეტყველებას ნირს უცვლიდა: თვალ-  
საცემი შეუსაბამობა ქარსი კაცის სახეს წარმოადგენდა. „ტავარიშჩი  
გუროვი“ და სემიონ მოისეევიჩი, როგორც მიმართავდნენ ამ მარდალ  
მოლაპარაკე კაცს, ახსნა-განმარტებას არ კადრულობდნენ. „ტავარიშჩი  
გუროვმა“ ყარაული ქალები კაცებით შეცვალა. ადულებული წყალი  
მოატანინა და გამოაცხადა; ქართველებს ღამის გათევა ვაგონებში მო-  
უწევთ, ხვალ დილით კი ყველაფერი გაირკვევაო.

ნინომ და ვალიჭომ ერთდროულად გაიღვიძეს: შუალამე კარგახნის  
გადასული იქნებოდა, „ტეპლუშკაში“ აღბათ ყველას ეძინა, — გარ-  
86

Шემო მშვიდად ფულინავდნენ. იატაკის ღრიფოებიდან მახორკეშე უაუნი ამოდიოდა და ძილ-ღვიძილში დაყურადებული პაპას ზღაპარივით გაჭიანურებული, დაბალი ბანი ისმოდა:

— Теперича он стал товарищем Гуровым. А его-то я знал Гошкой, несчастным солдатиком у меня был, ей богу, а когда революция приходце, когда у нас сделалась революция, этим самым передовиком и стал Гошка. Это я тебе скажу.

სიჩუმის შემდეგ, რომლის ღროსაც ალბათ ყარაულმა რამდენიმე ნაფაზი დაარტყა, მეორემ ჰკითხა:

— Ты же кем был?

— Фельдфебелем. Раз, я тебе скажу, хотел треснуть, да хитер ведь был шельма, какое время бить, мол, фельдфебель; пули летят. А тут в аккурат атаку затрубили — везет человеку, сорок боев, я тебе скажу за месяц было, в немчуру стреляли, «до победного конца» кричали, а Гошка все про мир и за мир, вот и начали текать в дезертиры. И что получилось?

იატაკქვეშიდან ისევ მახორკის ოხშივარი ამოვიდა.

— Теперича мы друг в друга стреляем, я тебе скажу, а Гошка стал товарищ Гуров! С портупеем ходит, Вот и тебе вся революция.

„ტეპლუშკას“ სახურავთან ვიწრო გისოსებიანი სარქმელი პქონდა დატანებული, საიდანაც განათებული წყალსატუმბის მიდამო მოჩანდა. ეტყობა, იქ, ორთქმავალი იდგა. ქარისგან აფრიალებული ორთქლი ხეების ლანდებს იტაცებდა, სარკმელთან მოჰკონდა, გისოსებთან გააცურებდა და შეფრთხიალებული ჩიტივით გააფრენდა.

— გავიქცეთ? — ნაძალადევი ღიმილით წიჩურჩულა ნინომ. ვალიკო მიხვდა მის გასამხნევებლად ნათქვამ სიტყვას, იმასაც მიხვდა, რომ ეს მისი ეჭვების მოსახსნელად ითქვა და გაქცევასთან ცოტა კავშირი პქონდა. ნინოს, რაც თავი ახსოვდა, გალაღებულად არასოდეს გაუხარია, სხვის თვალში იქნებ ამის მიზეზი ზრც არსებობდა, მაგრამ რაშიც არ უნდა ჩამოერთმიათ — ჭირვეულობაში გულჩათხობილობაში, უხასიათობაში თუ ამპარტავნობაში — მან ასე იცოდა; რომ ცხოვრებაში ტოლი არ შეხვედრია. იქნებ ზედმეტად მომთხოვნიც იყო, ვინ იცის? ნათესავები იყვნენ, ამხანაგები თუ ქმარი, მასთან დასახლოებლად განსაკუთრებულ პირობებს ქმნიდნენ და შედევგი შანც სათბურში გამოყვანილი უდროო ხილვით მტკნარი გამოდგებოდა

ხოლმე. ახლა კი, როდესაც შეხვდა ადამიანს, ვისიც ყველაფურცხამოსწონდა, ვისიც ყველაფერი ესმოდა, ვისაც მთლიანად გადაუშლიდა ულს, მასთან თავისუფალი საუბრის საშუალებაც არ არსებობდა. შეერთი ად სურდა ეთქვა ვალიკოსათვის, მოეთხრო ბავშვობის ოცნებები, რომლის თვალითაც უყურებდა საყუთარ უღიმდამო ცხოვრების; ეამბნა სოფელში გამზრდელ მონავარდისასთან გატარებული შედნიერი დღეების შესახებ; თუ როგორ ისწავლა შეიღიშის ტოტების ამოქარევა; ოქრომყედითა და სითვით კერვა, ფერად-ფერადი ქი-ებისა და ზონრების ქსოვა; როგორ შეიყვარა კითხვა და განმარტოება; იმედოვნებდა აეწერა ის წარმტაცი წუთები, როდესაც მშვიდი, ალერსიანი მონავარდისა მოსალამებულს მისი თანდასწრებით სკივრს ხსნიდა, საკმევლისა და ვაშლის ჩირის სურნელით გაუღლენთილ ოთახში მოწიწებით ალაგებდა ფარჩაში ფაქიზად გახვეულ ხელნაწერებს; როგორი მელოდიური ხმით უკითხავდა ფსალმუნებს და ტყით დაბურული ხევიდან როგორ ისმოდა გუგულის სევდიანი ძახილი. სურდა მოყოლა იმ ხილვებისა, რომელნიც ხატის წინ ანთებული კანდელიდან, ჭერში მოხატულ დიდ მწვანე ბრდლვილში ტრიალებუნენ და-ინებისას. ფრქრობდა გაეზიარებინა ყოველი მოვლენის მისებური გაგება; ნატრობდა ვალიკოსთან ერთად გაეკაფა ის სულიერი წიაღსვლები, საღაც აღამიანის სიცოცხლის იდუმალი არსით არის გაცისკროვნებული ყველაფერი, წარმოდგენილი ჰერნდა, როგორ მოეფერებოდა, მოესიყვარულებოდა, მოუსმენდა და მოუვლიდა ამ ნატანჯაცს, დააწყნარებდა მის უმიზნოდ მოხეტიალე სულს. მერე საიღან-დაც შავ, უხიიაგ ჭოჭოდ წამოჩიდებოდა წინადრის ამბავი და გული უღონდებოდა. უბედური რომ იყო, დიდი ხანია იცოდა, მაგრამ ვალიკოც უბედური ყოფილა. ეცოდებოდა, ცრემლი ერეოდა, მაინც აპირებდა დაეთრეგუნა სისუსტე, ვალიკოს გულისათვის შებრძოლებოდა უბედურებას, თუგინდ დაუფიქრებელი საქმეც ჩაედინა.

ვალიკომ სათუთად აიღო გამოწვდილი პატარა ხელი, იგრძნო, როგორი თავგანწირული მზადყოფნით დაძაბულმა მოუჭირა ივი ნინომ. რათ ბედნიერად გაუღიმეს ერთმანეთს, თვალები დახუჭეს და გარინდულ-გასუდრულებს შემოათენდათ.

არმავირში ჭარისკაცთა საბჭოში ხმა გავარდა — ჩრდილოეთიდან მატარებლით ოფიცერთა ჭგუფი მოდის მოხალისეთა დასახმარებლადო. ჭერ კიდევ არ იყო გარკვეული, თუ ვინ მოიტანა ეს ცნობა, ან



რამდენად სარწმუნო შეიძლებოდა მისი მიჩვევა, როცა სასწაულოზ  
შეიყარა მთელი ურდო და სირბილ-სირბილით გაეშურა სადგურისა-  
კენ. მატარებელი ახალი ჩამომდგარი დახვდათ, არავის მოესწრო ვა-  
გონიდან გადმოსვლა, ორთქმავალი თეთრი ორთქლის ღრუბელში  
გახვეული იფუშებოდა, ჭარისკაცები ლანძღვა-გინებით მოედნენ  
მთელ ბაქანს, ერთი ჯგუფი ღრიანცელით დატრიალდა ბოლო ვაგონ-  
თან, დანარჩენებიც უკუმოქცეულ ქაფებულ ტალღასავით შემოერ-  
ტყა „ივერიელთა“ ტეპლუშკას.

— На прицел! — ბოხი ხმით გასცა ვიღაცამ ბრძანება და როცა  
ტეპლუშკას თოფები მიუშვირეს, მანვე იყვირა:

— Эй, теплушка, вылезай по одному! быстро, покуда целы!  
დაგვიანებით მოვარდნილი რამდენიმე ჭარისკაცის ფეხის ბრაგუნ-  
მა წერტილი დაუსვა ყოველივე ხმაურს, ტეპლუშკიდანაც ჩამი-ჩუმი  
არ ისმოდა.

— Считаем до трех! — სამარისებურ სიჩუმეში ჩახმახები აჩხა-  
კუნდა.

— В чем дело? — топтежოს ახლა გაიღვიძესო, გაისმა ხმა ვაგო-  
ნიდან, — Мы тож...

— Выходи по одному! — გააწყვეტინეს ბაქნიდან.

ჭრიალით გაიწია კარი, ბოლჩით ხელში პირველი „მუშინსკი ჩალო-  
ვეკი“ გადმოხტა.

— Братва, мы тоже солдаты, — დაიწყო ნაძალადევი ღიმილით  
მოხევებ.

— Давай давай проходи, там видно будет!

„მუშინსკი ჩალავეკი“ მთიული და ყყლაყუდა მოჰყვნენ, შემდეგ  
მძინარა ოფიცერი გამოჩნდა; მართალია, მას უბრალო ჭარისკაცივით  
ეცვა და არც ოფიცრობის ნიშანი გააჩნდა, მაინც ჭიშიანი სახე, ზორ-  
ბა ტანი ხელად მიანიშნებდა მის კეთილშობილ წარმოშობაზე, არადა  
სულ ცოტა ხნის წინათ ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა კაცი, რომ ვა-  
გონის იატაკზე უდარდელად გაშოტილი, ძილად მივარდნილი და  
ხვრინვით გატაცებული ვინმე ასეთი მოქნილი მიხრა-მოხრისა აღმო-  
ჩნდებოდა. ჭერ მგზავრების ნახევარი არ იყო გადმოსული ბაქანზე,  
როცა რუსი ჭარისკაცები შელაგდნენ „ტეპლუშკაში“ და პარტყა-  
პურტყით გადმოახტუნეს დანარჩენები. ვაგონი დაცარიელდა, კუ-  
თხეში ატუზულ კვინიკაძესთან, რომელიც თოთქოს ვიღაცას ეძებდა



და დაბნეულობისაგან ფეხს ითრევდა, ორი ჯარისკაცი მიიჭრა და ერთმა ჩიფურამ ჯიბე მოუჩიხიყა, შემდეგ ბუცჭრიყიძეს შეწვეული ბარევი გაშალა და შიგ მოზრდილ ტომსიკას როცა წააწყდა, ეძერა, ხელები გარედან გადაუთათურა, გამომცდელად შეხედა კვინიკაძეს, სწრაფად ვაგონს მოავლო თვალი. ტეპლუშეკაში მოლუშული ჯარისკაცის გარდა, რომელიც ამხანაგს თავს დასდგომოდა, არავინ ჩანდა. მის მძიმე მზე-რას შეეყარა თუ არა, ჩიფურა აწრიალდა, ხელახლა კვინიკაძეს ეცა, გადმოუბრუნა ჯიბეები, მუჯლუგუნი უთავაზა, ჯარისკაცთან მიიწია, რაღაც წასჩურჩულა.

— Не толкайтесь, господа, — лупеллупелл შეშინებული კვა-ნიკაძე.

Сириуза „господа“-მ ვითომ აღაშფოთა ჩიფურა.

— Кто твой господин, кто, отвечай! — ყალბად დაწყო, მერე დაიჯერა და დიდი გაბრაზება გაითამაშა, — Мы против господ кровь поливали, сам ты господин и сволочь!

ამაში იყო რაღაც პეტი, რომელიც მოწინააღმდეგის თვალშიც კი ურთგვარ სიმპათიას იმსახურებდა, შემწყნარებლურ ღიმილს ჰვერი-და: „აი, თურმე ესენი განა მხოლოდ წართმევასა. და კაცის კვლაზე ფიქრობენ, მათ ცხოვრებაში მაღალი იდეალების გატარება სურთ!“ მაგრამ სადღაც უშუალოდ დაბადებული ეს სცენა უთვალავი გამე-ორებებითა და წამხედურობით მოარული გახდა. ახლა ამას მეტწილად ძიზეზ-მიზეზიად იყენებდნენ. ამჯერადაც მეორე ჯარისკაცს თავის გა-სამართლებელი საბაბი მიეცა და გაოგნებული კვინიკაძე კინწისკვრით ჩამოაგდო ვაგონიდან. ბაჭანზე სეირის საყურებლად ხალხი შეკრებილიყო. ჯარისკაცებს მგზავრები დაეჩოქებინათ, მოლერებული თოფე-ბის წრე შემოეკრათ. კვინიკაძე შუაში შეაგდეს. აღგზნებული, გატრ-კვეველი ხმები ყიუინად გადაიქცა, როცა „ტეპლუშესი“ ქვეშ გასაჩხრე-კად შემძვრალებმა შაშხანები გადმოყარეს ბაქანზე. ღობედ იღმარ-თული თოფების ჩემოდან ჯოხების ნამტვრევები, რამდენიმე ქვა ჩა-მოვარდა დაჩიქილთა წრეში.

— დახე ამათა, აღარა ხუმრობენ, აი! აქ შეიძლება დამარცხდეს კაცი, — ამბობდა აყლაყუდა.

სადგურზე მაღალი, ბოხოხჩამოფხატული სამხედრო პირი გამოჩნდა. წყალში ჩაძირული ლოდის ნაკვალევით დატრიალდნენ, მის ირგვლივ ჯარისკაცები. ბოხოხიანს თვალები არ უჩანდა. ქერა თხელი ულვაშები დაეგრითა და გაწვიპინებული ჰქონდა, წინ ყასბის ღანასა-  
90



ვით ხის ქარქაშიანი უშველებელი მაუზერი ეჭიდა. არც დროინდებული რესებული დატყვევებული მგზავრებით, ერთი შორიდან გადახედა ბაქანზე დაყრილ შაშხანებს და განკარგულება გასცა „კორნილოვცელები“ (როგორც მონათლეს ქართველი ნაჯარისკაცალები) წაეყვანათ.

დიდი შენობა, საღაც ქართველები შეყარეს, შიგნიდან თავლასა ჰგავდა და გაპარტახებულ ეკლესიასაც. კამარებიანი მრგვალი გუმბათი ჰქონდა, საკურთხეველთან კი წრიულად ბაგების მსგავს ხის ტიხარებში თივა და ცხენის ფუნაც უხვად იძიებოდა.

— დიდება შენდა, ღმერთო, — იწერდა პირჯვარს ჭლექიანი, — რა დანაშაული მიუძღვის ამ ხალხს, რომ თავისავე სახლს ცხენებით ათელინებენ — ტაძარს საჯინიბოდ უქცევენ?

სადგურზე ჩხრეკისას თოფების გარდა მგზავრებს ოქროს ეპოლეტები, საკანცელარიო მასალა აღმოუჩინეს, რამაც ჭარისკაცთა საბჭოს უფროსები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქართველები და რამდენიმე „ინოროდეცი“ მართლაც კორნილოვცები იყვნენ.

აპიტომ გადაწყდა — ჭარისკაცთა მიტინგს გაესამართლებინა ისინი და იქვე, როგორც რევოლუციის მტრები, საჯაროდ დაეხვრიტათ.

მოუხედავად იმისა, რომ ტყვებს ძალზე უხეშად ექცეოდნენ, კი-თხვაზე პასუხს არ აძლევდნენ და, აი, რამდენიმე საათის განმავლობაში ხათანგში მოქცეული თავებივით ჰყავდათ ვამოშწყვდეული, ქართველებს მაინც ვერ წარმოედგინათ — რამხელა ხიფათის წინაშე დაგნენ. მართალია, გულის სილრმეში რაღაც ლრღნიდათ, მაგრამ ჩვეულებრივად იქცეოდნენ. ჩხრეკვის შედეგად არეულ ბარებს აწესრიგებლნენ, მოხერხებულ აღგილებს იკავებდნენ, თივისგან სასთუმალს ცეკობდნენ. ზოგი ისე საფუძვლიანად ეწყობოდა, ვითომ შოელი სიცოცხლის გატარებას აქ აპირებდა. მარტო კვინიკაძე იყო პანიკურად განწყობილი, ამბიონზე ჩამოვლარიყო, ცემუტავდა, მარცხენა ხელის შუათითს ჩვეულებისამებრ იმავე ხელის ცერით აწვალებდა, თუმცა ბეჭედი აღარ უჩანდა, ჩხრეკის დროს ვიღაცას წაეძრო. არა, ბატონებო, ეს წარმოუდგენელია, რა უნდათ ჩვენგან, რა გავაფუჭეთ, როგორ გვექვიან? — ეკითხებოდა იგი მის გვერდით მდგარ ჭიშიან ოფიცერს, რომელიც დაუფარავი ზიზღით აღევნებდა თვალს ნაჯარისკაცების ფუსფუსს. რას გვიზამენ, რა უნდათ ჩვენგან? — არ ეშვებოდა კვინიკაძე, თანაგრძნობა სურდა გამოეკვესა უცხვირპირო ოფიცრისაგან.

კვინიკაძე თავის თავზე დიდი წარმოდგენისა არ იყო, თავის დღე,

და მოსწრება სულ სხვის შეჰყურებდა, მუდამ კეთილშობილი და ვაუგაცური ბუნების აღამიანებად მიიჩნევდა მეტწილ ნაცნობუბს და ამართლებდა ცხოვრებას მის თვალში. რასაკვირველია, ხშირად ცდებოდა — ბევრჯერ მისი გმირი უღირსი კაცი გამოდგებოდა ხოლმე, როგორც ახლა ბუცხრიყიძე, მაგრამ სამაგიეროდ აგერ ბედმა ოფიცერი გამოუგზავნა, ახლა მასთან მიკედლებას ლამობდა — და ეს იყო ყოველთვის.

კვინიკაძის კითხვაზე ოფიცერმა ბოლოს და ბოლოს იკადრა პასუნის გაცემა. არ მოუხედია, ისე დაიწყო ლაპარაკი, შესაძლოა, თავის თავს ესაუბრებოდა.

— ისტორიულად ყოველი მონა მშიშარაა, რადგამ მან უკვე ერთხელ სიკვდილს მონობა ამჯობინა. იგი მუხანათიცაა, რადგან უნდა დაიბრუნოს თავისუფლება. ესენი, — აწია თავი და ვერ გაიგებდი, ვის გულისხმობდა, იმ ნაჯარისკაცალებს, რომლებიც დაბორიალობდნენ ამ ნაეკლესიერში, თუ მათ ყველას, ვინც გარეთ იყო. — უფრო მშივრები არიან, ვიდრე რევოლუციონერები. — მერე თითქოს გაახსენდა, რომ ვიღაცას ელაპარაკებოდა, მიუბრუნდა კვინიკაძეს, ირონიულად თქვა: — სიკვდილი არ არის საშიში, ნუ კანკალებთ.

— არა, სიკვდილის კი არ მეშინა, აი, იცით... ტკივილის, აუტანელი ტკივილის...

— აუტანელი ტკივილი არ არსებობს, როცა ტკივილი აუტანელია, ადამიანი გონებას კარგავს.

კვინიკაძეს გულზე მოეშვა, თითქოს დიდი ხნის დაკარგული ნივთი იპოვაო, ისეთი გახარებული სახე გაუხდა. გაახსენდა სტუდენტობის პირველი წელი, ის დღე, პირველად გვამის გაკვეთა რომ დაავალეს. მაშინ პირუტყვულმა შიშმა აიტანა. დარწმუნებით წარმოიდგინა სისხლი, ადამიანის მკვდარი სხეულის ჯიჯნა, თავის „მე“ ამ რაღაც არაამქვეყნიურთან კავშირში. როდესაც სტიქიურად მოვარდნილმა ყოვლისწამლეებმა განგაშმა, სულ უფრო და უფრო მიახლოებულ გამადიდებელ შუშასავით დაუკარგა ფორმა თავისთავად უბრალო საგნებს და შეერწყა თანდათან გაძლიერებულ, სადღაც ახმიანებულ მასზე წამოსულ გუგუნს — გული წაუვიდა.

მეორე დღეს მხოლოდ იმიტომ მივიღა ინსტიტუტში, რომ უარი ეთქვა და საერთოდ თავი დაენებებინა სწავლისათვის. მოხუცმა პროფესორმა მოუსმინა, სიკორძით შეხედა თვალებში, არც აცივა, არც აცხელა, იქვე მკაცრად უყვირა: „აბა, ახლა ქუთაისში გადაფრინდი,



ჩქარა! რაიმე საქმიანზე იფიქრე. — და როდესაც შენიშნა, თუ როგორ  
გამოთავანდა მოულოდნელობისაგან კვინიკაძე, დაუყვავპა! ცუკისტე-  
ლი როგორ უნდა გეჭიროთ — განა ასე? ხელთათმაში სად არის? აი-  
ღეთ! ისე უბრძანა: ახლავე შეუდექი გაკვეთას!“ კვინიკაძემ თავს ძა-  
ლა დაატანა, რეზინის ხელთათმანები ჩაიცვა, ქუთაისის ბულვარი  
წარმოიდგინა, გუნებაში გაეღიმა, ისე შეუფერებელი იყო ამ დროს  
ეს წარმოდგენა, საქმე კი უკვე დაწყებული ჰქონდა და ანგარიშმი-  
უცემლად შეასრულა დავალება. ახლაც ეს ტუჩამრეზილი ოფიცერი  
მისი ღრჯო, ამპარტავნული გამომეტყველება, დაცვეწილი მოძრაობე-  
ბი აწყნარებდა რატომოაც.

დრო გადიოდა. არავინ აკითხავდა ტყვეებს, არავინ მიღიოდა, არა-  
ვინ მოდიოდა, გაურკვეველი მოლოდინი ცუდ აზრებს ბადებდა. ქარ-  
თველები თავის გასამხნევებლად ოსუნჯობას ცდილობდნენ.

— სვეტების ბუღაურები ისე ჩანს, რომა აქა საყდარი ქონიათ  
წინათ. ცოდვების შოსანანიებლად შემოგვყარეს განა ამ ჯიშძალ-  
ლებმა?

— იქნებ ლალის ჭვრებიც დაგაყარონ ყელზე...

— ლალის ჭვრებსა და ფურ-კამეჩს ვინ ჩივის, ერთი ტაქანი წყა-  
ლი მაინც დაგვალევინონ.

— ჩემი ცოლის დედა... — იგინებოდა ლურჯპერანგიანი, — საში  
თვალი სახლი, ერთი ქცევა მიწა და ექვსი საუენი ენა ქონდა. ჩემია,  
ჩემი სახლიო, იძახა და იძახა, ვუტირე ყოფა — გავუყიდე! მარა რა  
გინდა, რა, სალდათში გამამწესეს. უუ მაგის...

— რომელ მთასაც არ მოველოდი, ფეხები სწორედ იმან დამაზ-  
როვო, — ამბობდა ცოტა არ იყოს ნირწამხდარი „მუშინსკი ჩალავე-  
კი“ და თავის ბოხის გაწყვეტილ ზონარს ნასკვავდა, — ამ ტაბლაპა-  
რია მათხოვრებს წულებიც მიუყოლებიათ.

— თოფები რომ არ ენახათყვე, ქვე ვერავინ დაგვაბრალებდა ვერა-  
ფერს, — შემპარავად დაიწყო ჩიყვიანმა იმერელმა.

„მუშინსკი ჩალავექმა“ გადახარხარება მოინდომა — ვერ გამოუვი-  
და, თითო შუბლზე მიიღო, მუქარით უყვირა: „შენ დურაკი ხარ, დუ-  
რაკ“. ამით პირში ალიკაპი ამოსდო იმას, ვისაც საერთოდ სურვილი  
აქვს ხოლმე უმალ წამხდარი საქმის დამნაშავე მონახოს.

აყლაყუდას კი მაინც წასცდა: „არა, ვეუო, ეპოლეტები რაღად  
გინდოდათ?!“

ამჯერად მთელი ძალით გაისმა ველური ზარჩარი, რომელიც ასე

აღიზიანებდა კვინიყაძეს და ახლა იმის ნიშანი იყო, რომ უსიამლენების თავიდან ასაცილებლად სჯობდა საუბრის თემა გამოცვლილებო. — დამეტხუე, ძაბა, — დაიწყო ლურჯპერანგიანმა, — არ ვართ ქართველები მორწმუნე ხალხი. ქრისტიანული ეკლესია ხომ არის ეს? გედიწერა ვინმემ პირჯვარი? აგრე შეხედე იმათ, შეხედე!

გამომხმარ, დაბრეცილ ლრეჭოებიან კარებთან, რომელიც გარედან ბორნის ორთაყვირით იყო გადარაზული, სადაც თოფიანი დარაჯის ლანდი მოძრაობდა, ორი მუსულმანი აზერბაიჯანელ თფიცერთან ერთად დახოქილი ლოცულობდა. „ეტყობა, მაგათაც ძლიერ შეშინებიათ, აი, თორემ ქაცმა სამი დღე რომ გამართოს შედლუხი, ღმერთს ერთხელაც არ მოიგონებს“. — თქვა ვიღაცამ.

შუადღეს, როგორც იქნა ტყვეები ნახევრად გადახნულ ტრიალა შინდორზე გამოყარეს. მზე არ ჩანდა, მაგრამ მისი არსებობა თბილ აშინდად, ნათელ და წყნარ დღედ ეფინებოდა არემარეს. ქართველებს იმედი მიეცათ. ბუნება თავისი სიმშვიდით თითქოს კეთილგანწყობის შაგალითს იძლეოდა, სათნოებას ცხოვრების ძირეულ წესად აცხადებდა; თითქოს საკმარისი იყო კაცს გამჭვირვალე ღრუბლებისათვის, გაფრენილი ჩიტისათვის, რბილად განათებული თვალუწვდენელი ველებისათვის მოეკრა თვალი, რომ უაზრო, უცხო და წარმოუდგენელი გაეხადა ადამიანის მიმართ ადამიანის მცირედი ბოროტებაც კი.

შუა მინდორში ჯარი მოჩანდა. ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილი ჯარისკაცები სახელდახელოდ გაკეთებული ახლად გამოთლილი სელის წინ განლაგებულიყვნენ, გაწეიპულულვაშა ბოხოხიან სამხედრო პირს ცალი ფეხი სელზე შემოედგა, იდაყვი მუხლზე დაეყრდნო. ქეთ-ქიდან ორი ჯარისკაცი იჯდა. ერთი თავჩალუნული გარმონს ჩაჰკირკიტებდა, რაღაც მელოდიას აწყობდა. მეორე — მელოტი, ჩასპანდი, მოძრავი, მალიმალ გარბოდა, განკარგულებას იძლეოდა, სასწრავოდ ბრუნდებოდა უკან, გეგონებოდათ სელზე იყო დაბმული, ან ეშინოდა მისი ადგილი არავის დაეკავებინა. ყოველი დაბრუნებისას ბოხოხიანის, რომელიც შეუვალი გამომეტყველებით იჯირებოდა, რაღაცაში ლაციცით დაჯერებას ცდილობდა. ჯარისკაცების უმრავლესობა ფეხზე იდგა. აქა-იქ ზოგი ჩაცუცეულიყო, ზოგსაც შინელი გაეხადა და მიწაზე იჯდა. ყარაულით გარშემორტყმული ტყვეები გამოჩნდნენ, ყველა სელთან შემოკრბა. ულვაშებგაწერინებულმა რაღაც გამოცცხადა ჯარს — ერთხმიანმა შეძახილმა შეარყია იქაურობა. ტყვეები განცალკევებით დასვეს. იქვე სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული

ჩამდენიმე კაცი საქმიანობდა ფორანთან; ცხენები გამოეხსნათ, ტყვი-  
აშურქვევი გადმოეტანათ, ნიჩებებსა და წერაქვებს ყრიდნენ ურთეშორ-  
ვად მიწაზე. ულვაშგაშეკიძინებულმა წინ ჩამოკიდებული მაუზერი  
გვერდზე შეატრიალი, დაჯდა, ხელები დაიჭდო. ჩასპანდი კი წამოდგა,  
შერები შეათამაშა, თავი გადაიგდო, გამყივანი ხმით დაიწყო:

— Братцы... товарищи!.. Когда мировой пролетариат борется за освобождение от господства мирового капитала, когда наши братья и сестры проливают кровь за революцию, когда крестьяне, рабочие и солдаты ходят в бой супротив империалистических наемников, мы не имеем право не быть бдительными.

რაც უფრო მეტ გაუგებარ სიტყვებს ხმარობდა ორატორი, მით მე-  
ტად ეღუშებოდათ სახეები ჯარისკაცებს და ბოლოს ისეთი გამომე-  
ტყველება მიიღო სუყველამ, თითქოს საცაა თითოეული მათგანი პირ-  
გამეხილ ნადირს უნდა შეებასო. ანაზდად ჩასპანდს ზედ კოფოზე ბუ-  
ზისმაგვარი მწერი დააჯდა და მოტიტვლებულ გარემოში დიდ შავ  
ხალად ჩაიხატა. ორატორმა უსამხერებო კიტელი შეახსნა ყელთან და  
განაგრძო:

— Как мы уже, по имеющимся сведениям, фактом... Вещи, которые мы нашли, все — доказывает, что это — сброд корниловцев.

რატომლაც მწერი უცებ ციბრუტივით დატრიალდა მზის სხივით  
თითქოს საგანგებოდ განათებულ თავზე. ჩასპანდმა რაღაც იგრძნო,  
ხელი აიქნია, შავი ხალათი მძიმედ აიწია და ისევ ძველ აღვილას და-  
ეშვა. წინა რიგებში შეიშმუშნენ. ორატორმა შეამჩნია, რომ აუდიტო-  
რის ყურადღება რაღაც სხვა საგანგმა მიიპყრო. წამით შეჩერდა, თვა-  
ლები ბურღივით დაატრიალი შინელებისა და გაღიმებულ სახეებს შო-  
რის, ვერაფერს მიხვდა, მხრები შეათამაშა. სად იყო და სად არა, კი-  
დევ ერთი მწერი მოფრინდა და ჩასკანდის კრიალა თავზე ტკიბასავით  
ნიეკრა პირველ მწერს. ჯარისკაცების მხრიდან ფხუკუნი გაისმა. —  
„В чем дело?“ — იყითხა შეშფოთებულმა ორატორმა.

ულვაშგაშეკიბული წამოდგა: — „На твоей голове, бордель устроили“, — თქვა მან, დედა შეაგინა, ბოხოსი ელვის სისწრაფით  
მოიძრო, სთხლიშა კოფოზე, ორივე მწერი წინ ჩამოუგდო გაოგნე-  
ბულ ორატორს. მთელი ჯარი ხარხარებდა, ჯართველი ტყვეებიც აქა-  
ქ გადაჭარბებული სიხალისით იცინდნენ; სურდათ ამ ლირსეულ

ჰალხისათვის საცნაური გაეხადათ, რომ მათ სულაც არ სჯერავთ ტა-  
ლაც-რალაც მონაჩახისა, რომ ასეთი გაგებული და ოხუნჯ ათავისუ-  
ბისაგან მხოლოდ სიკეთეს უნდა მოელოდეს კაცი.

უფროსმა ბოხოზი ჩამოიფხატა, თვალები არ უჩანდა, მხოლოდ  
შლვაშის ცალი მხარე პპრეხოდა ზედმეტად. გარისკაცებს პირქში  
სახეები გადაწმენდოდათ, ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, თითქოს არავის  
აღარაფერი ქონდა სადაცო. ჩასპანდმა მხრები შეათამაშა, სიტყვის  
ჯაგრძელება ინდომა.

— Ладно, — წარმოთქვა უფროსმა, ხელის ჩაქნევით — დაეგდეო,  
კელზე მიუთითა, მის გვერდზე მჯდომ მეორე გარისკაცს თავით ანიშ-  
ნა. გარმონიანი დფგა, გარმონი ნელა მოიხსნა, გვერდზე გადადო, სი-  
ჩუმე ჩამოწვა. ახლა ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. დიდ  
ოვალებში რაღაც ზაკვა, ნიშანების ციმციმი თალზად დაუდიოდა გა-  
ძოხუნებულ ლურჯ ფერს. ტყვეებს ქარზე გაფანტულ ბაბუაწვერასა-  
კით ჭეონდათ სმენა და ყურადღება ამჩატებული. ყოველი ახალი ვი-  
თარება, რომელსაც ისინი ხარბად ეწაფებოდნენ, იმედის გასამტკა-  
ცებლად მიაქანებდა მათ. ორატორი არ ჩქარობდა, ხმას არ იღებდა,  
ლაპარაკს არ იწყებდა, ცოტაც და ბუნებრივი იქნებოდა ამ მხიარულ  
ადამიანებს გადაეყარათ თოფები, ერთმანეთთან მისულიყვნენ, გაეწო-  
დათ ერთმანეთისათვის ხელი, გადახვეოდნენ ერთმანეთს, ვიღაცის  
შიერ მოგონილი ეს უნიჭო თამაში მიეტოვებინათ და თავიანთ ოჯა-  
ხებში მშვიდობით დაბრუნებულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში ქართვე-  
ლებს ეს ლოგიკურად მიაჩნდათ.

— Мать честная, — როგორც იყო, დაიწყო მან ისეთი ტონით,  
ვითომ ვიღაცამ ტყვეები უკვე დაიცვა, — самого генерала Корнило-  
ва изничтожили а енту прыстежь поганную миловать, прикаже-  
те? — როსკიპის გამომწვევი ცქერა და ავადმყოფის დალურსული  
თვალები მიმოავლო იქაურობას, საღლაც მოგეჩვენებოდათ იღიმებაო  
კიდევ. გარისკაცები გაისუსნენ.

— Кольца, эполеты у них откуда ежели не с грабежа?!

— А ружья, ружья! — შეეშვილა ვიღაც.

— Почем гутарить, все уж перемолено — под пулемет их! —  
მას ჯერ არ დაემთავრებინა, როცა „მუშინსკი ჩალვეკი“ ფეხზე ჭა-  
მოვარდა: — Братцы! Слуши, мы не корниловцы, мы солдаты,  
домой едем.

— Садись! — დაულრიალა იქვე მდგომმა დარაჯმა, კონდახი ჩას-



Убо ზურგში. მოხევე დაილრიჯა, ჩაიკეცა, მაგრამ მაინც განაგოდა:  
— Мы бедни народ, слуши, против царя ваевали, дети ей, почему говоришь корниловцы...

დარაჯები დაესიებ, გამოათრიეს და ფეხით შედგნენ, „მუშინსკი ჩალავეკი“ კი უვიროდა:

— Начальник, дорогой... зачем... корниловцы... пожалей...  
зачем.. зачем...

მოკუნტულიყო, თავი მუხლებში ჩაერგო, ზემოდან ხელები გადა-  
ჭრდო და ბურთვით მიგორიავდა. მძიმე წიხლები, რომლებიც ყოველ  
პირის გაღებაზე მეტწილად ფერდებში ხვდებოდნენ, სიტყვის გაღა-  
მის საშუალებას არ აძლევდნენ. მერე ჩაჩუმდა, მოეშვა, თავი მოიმ-  
კვდარუნა, პროტესტად მიჩნეულ სიცოცხლის აღარავითარ ნიშან-  
წყალს არ აძლიავნებდა. ამ დროს ყველს ყურადღება ქალაქის მხრი-  
დან სამი ცხენისა და ორი შხედრის გამოჩენამ მიიპყრო. მოკლეზე,  
პირდაპირ ნახნავებით მოიჩქაროდნენ. უფროსმა მათვენ მიაშურა.  
ტყვეებს ისევ აღეძრათ ის-ის იყო გამჭრალი იმედი, თვალს არ აცი-  
ლებდნენ ბოხოხიანის ყოველ მოძრაობას, წონიდნენ მოახლოებული  
ცხენოსნების საქმიან გამომეტყველებას.

როცა უფროსმა ჯავშანში შემძრალ კუსავით დანთხმულ მოხევეს  
ჩაუარა გვერდი, „მუშინსკი ჩალავეკი“ მოულოდნელად წამოიწია,  
ჩუხლებზე შემოეხვია და შეჰვალადა:

— Отец родной, дорогой, помоги, поедем в аул, коней дам;  
овец дам, помоги... — სახე დასივებოდა, პირილან სისხლი სდიოდა.  
თვალების ნაცვლად სილრშიდან ორი ზეთის წვეთი პრიალებდა. ამჯე-  
რად ყველა მაყურებლად გადაჭცეულიყო — ჯარისკაცებიცა და ტყვე-  
ებიც, ეს სადღაც აერთიანებდა მათ, ერთ რიგში აყენებდა, აღამიანის  
ბუნების განუყოფლობაზე მიანიშნებდა. ქართველებისთვის აზრმი-  
უცემელ იმედად ბუუტავდა: იქნებ მარტო ამაზე გადატყდეს ჯარის-  
კაცთა გულასწყრომა, ეგებ მხოლოდ მართლაც მოსაკლავი მოხევე  
შეეწიროს ამ გაუგებლობას და ამით მორჩეს ყველაფერი?

— Встань! — უთხრა დინხად უფროსმა, დაიკუზა, მარჯვენა  
მელავი ილლიაში ამოსდო, ფეხზე წამოაყენა, უკან დაიწია, მაუზერი-  
კენ წაილო ხელი.

— ააა! — იყვირა მოხევემ, ხელები აღაბყრო, ჩაიჩოქა, ცუდად  
გატენილ ტომარასავით გადაიკეცა, პირქვე დაემხს. — Не убивай,  
отец родной! — უფროსმა ზიზღნარევი შზერა სტყორცნა, მაუზერი  
7. ქ. იოხელიანი

გაისწორა, ნახნავებისკენ შეტრიალდა და მხედრებისაკენ გასჭრა.  
ალბათ ახლა წყდებოდა ქართველების ბედი. 'მოსულები უზრუნველყონ ვინები არ უნდა ყოფილიყვნენ. ტყავის ქურთუკიანი ახალგაზრდა, მხარე გადაკიდებული საველე ჩანთით, უფროსობდა, თან გაჩივინებული, წელში მოხრილი, საფრთხობელასავით ჩამოკიდებულ მაზარასა და წოწოლა ქუდში გამოწყობილი მხედარი ახლდა. უფროსები უყვნენ და თავი დაიფასეს — ისეთ მანძილზე შეაჩერეს ცხენები, რომ ბოხობიანს ოციოდ ნაბიჯის გავლა დასჭირდა. როცა ცხენებიდან გადმოხტნენ, ახალგაზრდამ გაიწია, ხელის ჩამორთმევა ეწადა, მაგრამ ბოხობიანმა დამფრთხალივით გადაზნიქა ტანი, თითქოს შეეშინდა, რაიმე არ წამგლიჯონო, კუშტი გამომეტყველებით რაღაც თქვა. შორი იყენენ, ტყვებს მათი ლაპარაკი არ ესმოდათ. „რა გასაყვირია, — ფიქრობდნენ ქართველები, — არ ეპიტნავა, უდანაშაულო ხალხის გასანთავისუფლებელმა ბრძანებამ რომ მოუსწრო. იქნება არც დაიჯერა და დასაბუთება მოითხოვა“. ტყავის ქურთუკიანმა საველე ჩანთა გაისწორა, „შეიძლება აჩვენა — განკარგულება, აქ მაქვსო, ან საფრთხობელს უბრძანა ურჩიბისათვის დააპატიშრეო“, მანაც ცხენი მიუყვანა, „აბა ფეხით ხომ ვერ წაიყვანენ“. ბოხობიანს რაღაც გაეხარდა ეს ემბავი? იქნებ ცხენია ნაცნობი — ხელი შეუთათუნა შეკრეპილ ფაფაზე, დამცინავად თქვა რაღაც, იხტიბარს არ იტეს? არა, უხალისოდ, მაგრამ მაინც თანხმდება. ახალგაზრდა პატიობს პირველ ურჩობას, თუმცა საყვედურს მაინც ეუბნება, ბოხობიანი ტყვეებზე ანიშენებს, მათ უნდა რაღაც დააბრალოს? ტყავის ქურთუკიანი ზერელე ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს მათ, მისი ქცევა და გამომეტყველება, რაც მოვიდა, არ შეცვლილა, ისევ ისეთია, რაც მთავარია, დაწყნარებულია და დარწმუნებული, რომ მისი ბრძანება დაუყოვნებლივ შესრულდება, შეხედულებაც კეთილი კაცისა აქვს. ასე აღიქვეს ტყვეებმა ეს შეხვედრა.

სინამდვილეში კი იქ ასეთი დიალოგი მიმდინარეობდა:

— Здравствуй, товарищ Кисляков! — гаდმოხტა ცხენიდან ტყავის ქურთუკიანი. ეს კომისარი სემიონ მოისეევიჩი იყო.

— В чём дело?

— А ну приведи коня! — მიმართა სემიონ მოისევიჩმა მხლებელს. — командиры тебе коня послали в подарок... смотри красавец какой? Вороной!

— Конь добрый, но какие-такие командиры?

— Товарищ Гуров и новый председатель Губчека <sup>ЗАКЛЮЧЕНИЕ</sup> <sup>ПОДПИСЬ</sup> <sup>ГУРОВ</sup> <sup>ГУРОВ</sup>  
Хотят с тобой поговорить, срочное дело есть.

— Успеется, сперва вон с этой швалью надо разделаться.

— Они и есть корниловцы?

— Разве не видно?

— И что ты собираешься с ними делать?

— Митинг приговорил к расстрелу.

— Кисляков, срочно надо ехать, а то добровольческая армия вот-вот ворвётся в Армавир. Поговорить надо.

ბოქოზიანი წამით ჩაფიქრდა, ულვაშები დაიპრიხა, მერე ჩასპანდს უხმო, უფროსობა დაავალა, მისთვის მოყვანილ სქელგავიან ცხენს მოახტა, გარმონიანი ჯარისკაცი უკან უემოიზინა და მხედრებს გაჰყა.

უფროსის წასვლისთანავე ჩასპანდი ჯარასაგით დატრიალდა. ტყვიამფრქვევთან ორი კაცი დააყენა, შესამჩნევ ადგილის გამოაგო- რებინა, ტყვევს უბრძანეს ნიჩები აელოთ და დიდი ორმო გაეთხა- რათ. სიკვდილმისჭილებს ამანაც არ მოუსპო იმედი: ქალაქიდან ტყუ- ლად არ იყვნენ მოსული, გარმონიანიც ხომ წაიყვანეს?! უუ, ის გა- თახსირებული ქალაჩუნა! დავუშვათ, სხვა საქმე ჰქონდათ, მაინც ვანა შეიძლება უფროსის გარეშე აღსრულდეს ვანაჩენი? სანამ ბოხოხიანი დაბრუნდება, კაი დრო გავა — ქალაქი შორს არის აქედან. მელოტი- კი განგებ ფახიფუხობს, აშინებს მათ და მერე, თუკი დახვრეტა უნ- დათ, მოხევეს რალის ელოლიავებოდნენ ამდენ ხანს, სწორედ იმიტომ არ ესროლა ბოხოხიანმა მას, მოსულების დასანახად ლმობიერადაც კი მოექცა, ფეხზე წამოაყენა. ერთხელ კიდევ შედგა უმწეო ცდა იმი- სა, რომ გარკვეულიყო ზოგიერთი დეტალი.

— იოლდაშ, მაია ნი კორნილოვ, მაია ნი გურგინ, — გაასავსავა  
ხელები აზერბაიჯანელმა, როცა მას წერაქვის აღება უბრძანეს.

— Грузин — не грузин, бери, — გაუმეორა მუქარით სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა და ამით ჩაქრა ეს მცირე ამბოხი.

ტყვები როგორც კი გაიფიქრებდნენ, რომ ირგვლივ მართლაც  
ნამდვილი სინამდვილეა, აზროვნება ცალმხრივ იწყებდა ტრიალს. ნე-  
ბისყოფა იცელებოდა, რეალობის აღქმის უნარი კიდევ უფრო ძა-  
ლუნდებოდა, იბურებოდა იქაურობა, თითქოს წყლის ჭვეშ ხდებოდა  
კველაფერი, გარდა ჯარისკაცთა ბრძანებებისა, რასაც ისინი უყოფა-  
ონდ ასრულებდნენ, გარკვევით აღარაფერი ესმოდათ. იმერელს სლო-  
ინივით ერთი და იგივე სიტყვა — „მართალია, მართალია“ ავარდნო-

და, თვალები გადმოცენაზე ჰქონდა, ჭლებიანი გაბმულად ჯვარულებდა, გეგონებოდათ, ვეღარასოდეს ამოაზველებსო და ამოსასუნთქად დატოვებულ შუალედებში პირვგვარს იწერდა, რაღაც ბუტბუტებდა, ლმერთს შველას თხოვდა. მის გვერდზე მდგომი აყლაყუდა კი წამდა-უწუმ ამთქნარებდა. „გეძინება, ძამა? არ დაიჯერო, — სხვისი გამხნე-ვებით თავს იმსნევებდა ლურჯპერანგიანი, — სამძიმარზე მისულები-ვით რომ ჩამწკრივებულხართ და ჭირისუფლის ხელისჩამორთმევასა-კით ელოდებით ამ ლაფატებს, ეიღეთ, ნუ გეშინიათ, უხაზიროდ უნ-დათ აყოფები გვათხრევინონ“.

მაგრამ იმან, რაც უემდევ მოსდა, სანუგეშო თითქმის ალარაფერი დაუტოვა.

საკუთარი საფლავის გასათხრელად ჩამორიგდნენ ტყვეები. ჯიში-  
ან ოფიცერს თეთრი მიტლის ფერი დასდებოდა, სახე ჩამოგრძელე-  
ბოდა, თხები არაბუნებრივად მომატებული მოუჩანდა, გეგონებოდათ  
პარიკი დაადგეს მის ისედაც ზშირ თმასო, გაჭიმული მორთოლვარე  
ხელით დაყრდნობოდა მიწაში ჩასობილ ნიჩაბს. მასთან ჩასპანდი მი-  
ვიღა:

— Чего не копаешь? — Да ищебою да археологу дыло, кот мозги-  
ческое да шумовское дыло из Узбекистана да мись бакинские, азербайджанские мись да,  
мыс же да искра, — Не буду рыть! суета искра да фальшивка мозги-  
ческое.

ჩასპანდი წამით გაქვავდა, თვალის დახაშეამებაში იქვე დაგდებულ წერაქვს სწვდა, შებზრიალდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სოხლიშა ოფიცერს გამართულ ხელზე. შემაძრწუნებელი, არააღმიანური ბლ- გილი გაისმა. ოფიცერს მომტკრეული იდაყვიდან ძვალი გაღმოვარ- დნოდა, ძარღვებზე ეკიდა.

— Бери лопату! — დასჭივლა ჩასპანდმა. ოფიცერმა მარცხენა  
ჰელიოთ იიღო ნიჩაბი და ხმადაბლა გაბმულ მოთქმას მოჰყვა, —  
Кто еще не желает рыть? — мѣрѣბი შეათამაშა ნიშნისმოგებითა და  
გამარჯვებული იერით გადახედა ტყვეებს.

კვინიკაძეს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთ ქალთან ჰქონდა ურ-  
თოერთობა და, რასაკვირველია, იგი უყვარდა მთელი ცხოვრება. ეს  
ცყო თბილი, დედასავით ალერსიანი, მუყაითი და სევდიანი. მარტოხე-  
ლა ქვრივი. მათი დამოკიდებულებათა მთელი ხნის განმავლობაში  
მხოლოდ ერთხელ იგრძნო კვინიკაძემ უხერხულად თავი, პირველი



ღმის გათენებისას, როდესაც ქალის ქმრის გადიდებულ სუჟათშე მო-  
კრა თვალი. ნაპირებიდან გადმოსულ მდინარესავით განთავისუფლე-  
ბული გრძნობა, რომელმაც უხვად მორწყა და ყვავილებად გაშალა  
მისი სული, უცებ დანაშაულებრივ კალაპოტში მოქეცაო თითქოს,  
სინდისის ქენჯნა აღეძრა, უნებლივ უსამართლობაში მონაწილეობი-  
სათვის, რაღაც საყვედურის თქმა მოუნდა, მაგრამ რა, არ იცოდა, და  
ვერც დამნაშავეს პოულობდა, ქალს არაფერში ადანაშაულებდა, პი-  
რიქით, ცამდე მართალი ეგონა. მისი მოქცევა, გაუგებარ ბუნებრი-  
ეობას სძენდა იქაურობას. აწყნარებდა, ბედნიერებას ჰგვრიდა. თა-  
ვის მხრივ კი გასამართლებლად იმას იშველიერდა, რომ სურათიდან  
წვერულვაშებიანი ახალგაზრდა სადღაც შორს იყურებოდა და არა  
თავის ყოფილ სარეცელზე. როცა მეორედ მოვიდა ლიზასთან (ასე ერ-  
ჩვა ქვრივს), საძინებელი მას უკვე წინა ოთახში მოეწყო.

სტუდენტობის წლებში კვინიკაძე თავისი მეურევის მიერ ამორჩე-  
ულ ოჯახში ცხოვრობდა „ნახლებნიკად“; როგორც წესი, ახალგაზრ-  
დულ კაბპანიებში არ მონაწილეობდა, უფრო იმიტომ, რომ უხამს  
ქცევებს ვერ იტანდა, განსაკუთრებით ქალებისადმი უდიერ დამოკი-  
დებულებას, მათზე ცინიკური ამბების სმენას ხომ ისე გაურბოდა,  
რომ ამხანაგები თავის შესაქცევად მისი თანდასწრებით სპეციალუ-  
რადაც იწყებდნენ ამდაგვარ საუბრებს.

კვინიკაძეს ოცდახუთ წლიმდე ქალი არ ენახა. მისი „უმანკოება“ —  
როგორც სტუდენტები ხუმრობდნენ — ერთ მშვენიერ დღეს ამაოდ  
დაიკარგა. მას თავად ხეირიანად არ ახსოვდა, რა მოხდა. აგონდებოდა,  
რომ ეს ამბავი გათამაშდა მისთვის სამაგალითო ახალგაზრდის ბინა-  
ზე, ვისი ხათრითაც დათანხმდა მონაწილეობა მიეღო თავისივე დაბა-  
დების დღესთან დაკავშირებულ „ნემეცი შჩოტით“ გამართულ პურ-  
მარილში. სტუდენტებმა ქეიფის დამთავრებისას სამი ქალი მოიყვანეს  
და კოლექტიური ღრეობა მოაწყვეს. ქალების „თავისუფალი“ ქცევით  
დარცხვენილმა, უხერხული გრძნობით შეპყრობილმა კვინიკაძემ, რო-  
მელიც მანამდე არასოდეს დამთვრალა, იმის მეტი ველარაფერი მო-  
ახერხა, რომ იგივე ავტორიტეტის დაძალებით რამდენიმე ჭიქა არაყი  
დალია და გონების დაკარგვამდე დათვრა. მეორე დღეს კი მხოლოდ  
ისლა გაიხსენა, რომ სიცილისა და ხმაურის ფონზე მას, კუთხეში მიმ-  
წყვდეულს, სიბნელეში ტიტველი, ცხელი სხეულის ნაწილი ეკვროდა  
მიძალებით.

ქალისა და მამაკაცის დაახლოება იქ ხდება, სადაც უფრო მოსა-



ქერხებელია. ხშირად უცხო ადამიანი გაოცებას გამოთქვაში გრძელდა. თბაზე, თუ ესა და ეს კაცი ამა და ამ ქალს რატომ დაუახლოვდა. სადაც შეიქმნება ინტიმი, იქ მოსალოდნელია სიახლოვეც — ასე რომ პირველივე „ფერშალიცამ“, რომელმაც გამოიჩინა ფხა და სათანალო პირობები მოამზადა, კვინიკაძეს მისთვის წარმოუდგენელი საქმე შეაძლებინა: მიუხედავად საყოფაცხოვრებო სიძნელეებისა (იმ დროსთვის მეურვემ მთელი ქონება გაუფლანგა) და სჯულის შეუსაბამობისა, გადაწყვიტა ცოლად შეერთო ლიზა — ყაზანელი თათარი. მაგრამ, ეტყობა, სამყაროს რაღაც ძალას სხვაგვარი კომბინაცია ესაჭიროებოდა — ლიზა მოულოდნელად ტუბერკულოზით გარდაიცვალა, სულ თვენახევარში კვინიკაძეს ჩაცვდა ხელში. ეს იყო და ეს, მეტი ქალი მას ცხოვრებაში არ შეხვედრია, არც არასოდეს უღალატნია მისთვის. ვიდრე ახალგაზრდული სისხლი აწუხებდა და ზედმეტად აღარ მოასვენებდა ხოლმე, ონანიშმით თავისუფლდებოდა, რის შემდეგაც ისე დარცხვენილი, დათრგუნვილი და თავისი უმწეობით განადგურებული გრძნობდა თავს, როგორც მის მეორე დღეს, როცა აბსტრაქტულს, როგორც ამაზე მისი ინსტიტუტის აქტანაგები ქინდილობდნენ, შესწირა თავისი უმანკორება.

მას მერე კარგა გვიანი დრო გავიდა. ლიზასთან დაკავშირებულმა მოგონებებმა სევდიან ფიქრებთან ერთად თანდათანობით ცხოვრებისადმი ფილოსოფიური დამოკიდებულება გაუღვიძეს. ბოლო ხანებში კი წლითმწლობით დახვეწილმა ოცნებებმა სახეცვლილება განიცადეს. ბავშვობა, მშობლებთან გატარებული ხანმოკლე, მაგრამ სანუკვარი ხანა როგორლაც შეერწყა ქვრივით ეპიზოდებს, მკაფიო გამოხატულება დაყარგა, თითქოს ყველაფერი ერთ დროსა და ერთ ადგილას მიმდინარეობდა. სიკვდილზე ფიქრმაც ელეგიური ელფერი შეიძინა. და თუ უწინ ლიზას გარდაცვალება — მისთვის ყველაზე რეალური საშინელება — სულთმობრძავი ავადმყოფის, შფოთიან, საყვედურით სავსე ორჭოფ მზერაში გამოიხატებოდა, რაც დრო გადიოდა, მით მეტად იცვლებოდა ეს ხატება, მით მეტად ნაღვლიანად, მაგრამ მშვიდიდ და ალერსიანად შემოსცეროდა თვალებში.

ახლა, როდესაც კვინიკაძე წერაქვების რიგში იდგა, პირველად თავის სიცოცხლეში გარეშე თვალით შეხედა თავის თავს, მისი ცხოვრება ზამბარასავით ახტა და უმოძრაო, გაყინულ სურათებად დაიშალა. ყოველი სურათის ცენტრში სხვა ადამიანი იდგა, რომელიც რაიმე აზრს ანიჭებდა კომპოზიციას, თვითონ კი ყველგან მიჩქმალული



ბოჩნდა. მას არასოდეს მოსვლია ის აზრი, რომ გამოუყენებული შე-  
საძლებლობის ბეტი გზით ცხოვრობდა, თავისი საქმით გატაცებული  
ყველაფერს ივიწყებდა და ზოგიერთი მისი ნაცნობის ირონიულ ღი-  
მილსაც იწვევდა; მაგალითად, გაუგებარი რჩებოდა მისი კდემამო-  
სილება. მისი პროფესია ვითომცდა იძლეოდა ქალთან ინტიმური ურ-  
თიერთობის უტყუარ საშუალებას — იხსნებოდა ყოველგვარი პირო-  
ბითობა, მაგრამ კვინიკაძისთვის ავადმყოფი უსქესო ადამიანი იყო.  
და შემთხვევა არ ჰქონდა მასზე რამეს დოკუმენტოს, გარდა ერთი გამო-  
ნაკლისისა, რომელსაც იგი თავის თავსაც უმალავდა. ერთხელ ქალბა-  
ტონმა შუნიამ თავისებურად, როგორც იცოდა ხოლმე, ახსნა-განმარ-  
ტების გარეშე, პირდაპირ ნინოს ოთახში შეიყვანა და როდესაც მწო-  
ლიარე ნინოს ჩააცივდა — საბანი, გადაიხადე, ექიმმა უნდა გაგსინ-  
ჯოს, ავადმყოფმა კვინიკაძეს ორი ვარდის კოკრად გაფურჩქნილი  
გულმკერდი მიანათა, იგი დაიბნა, გაწითლდა, კარგი რომ მიზეზი ბუ-  
ნებრივი გამოდგა — ფონენდოსკოპი თან არ ჰქონდა და საჩქაროდ  
გარეთ გამოვიდა. ეს სისუსტე იმ ოთახს არ გასცილებია და თუ რაღაც  
შეგავსი ცდუნება ოდესმე გაფაჩუნებულა, მას იქვე რაიმე ფიზიკური  
მოქმედებით, რომელზედაც ძალაუნებურად გადადიოდა ყურადღება,  
ახშობდა ხოლმე. ეს ხდებოდა სულ ადრე, ხოლო ამჟამად მისი დამო-  
კიდებულება მამური იყო, თუმცა ცდილობდა არავის შეემჩნია ნინო-  
ზე ფარული ზრუნვა, რაც მას დიდ სიამოვნებას, ჰვერიდა.

სუსტი შეხედულების მიუხედავად კვინიკაძე ჯანმრთელი კაცი  
იყო, არასოდეს ისე ავად არ გამხდარა, რომ ქლიერი ტკივილი ეგ-  
რძნო, ბავშვობაშიც არსად დაშვებულა, ახალგაზრდობაში ჩხუბსა და  
სარისკო თავგადასავლებში არ გახვეულა, რაც თავად არ განეცადა,  
მას თანაუგრძნობდა, წარმოსახვით თავს აიგივებდა და უსათუთესად  
უვლიდა ისეთ ავადმყოფებს, რომლებიც ძლიერ ტკივილს უჩიოდ-  
ნენ. რაც უნდა ვაჟკაცური და ძლიერი აღამიანის პრეტენზია ჰქონო-  
და ავადმყოფს, იგი მას ჩვილ ბავშვად მიიჩნევდა, ანებივრებდა, არ  
უკირდა არავითარი სისუსტე და ბუნებრივად მიაჩნდა ავადმყოფის  
ეგოისტური განწყობა. მაგრამ იმავე ადამიანს ქხოვრებაში სულ სხვა  
ოვალით შესცემულდა. და თუ ის საზოგადოებაში თავის როლს დამა-  
ჭერებლად ასრულებდა, რაღაც იდეის განსახიერებად, ადამიანის  
ლირსების ჯეროვან მატარებლად ესახებოდა.

უსაშველო შიშს, რომლითაც მთლიანად შეპყრობილი იყო კვინი-  
კაძე მას შემდეგ, რაც ამ მინდორზე გამოიყვანეს, მოხევეს სულმოქ-



ლე მოქცევამ, შეურაცხოფის, ზიზღის გრძნობამაც მიუმატად მაშე  
დროს განსჯის უნარი დაუბრუნა, ადამიანის უპირველესი ჩვევის —  
ყველაფრის ახსნისა და ლოგიკის მისაღაგების მოთხოვნილება გაუღ-  
ვიძა: „განაკვირი ამაში არაფერია, — ფიქრობდა იგი, — სწორი თქვა  
ოფიცერმა: მონა მშიშარაა“.

ცხოვრებაში კვინიკაძეს ყოველთვის სდევდა წინათგრძნობა: გან-  
გებამ მას არ უნდა აკმაროს ჩვეულებრივი უბედურებები. მზით გან-  
თებულ ტრიალ მინდორჩე ჯარისკაცთა მასა იმ შავ გატალახიანებულ  
ძალად ეჩვენებოდა, რომელიც ცხოვრების ყოველ მოსახვევში მის ჩა-  
საქოლად მიმალულიყო. ამიტომ არც უცხო თვალით შესცემოდა ამ  
ვითარებას. და იგი მიხვდა ამას, ოდნავ გულზე მოეშვა, სიამოვნებით  
დაუბრუნდა განვლილი ცხოვრების სტატიკურ სურათებს. ოფიცრის  
ლრიალმა გამოაფხიზლა. მზერამორლვეული თვალები შეეფეთა, შემ-  
დგა ცუდად დატუმბული შადრევანივით მფეთქვავი სისხლი. და რო-  
დესაც ოფიცრის ქვითინს მოჰკრა ყური, დაინახა, თუ როგორ მორჩი-  
ლად ჩაჯდა, ნიჩბის ასაღებად, როგორ გაცხარებით დაიწყო ცალი ხე-  
ლით მიწის ჩიჩქნა, წამსვე მთვრალივით დაუტრიალდა გარემო, ლი-  
ტონ სიტყვებად გაელვებულ ვეღარც ავადმყოფისადმი თანაგრძნო-  
ბას, ვეღარც ვაჟკაცობას, ვეღარც სხვა რამ სიმყარეს, რომელიც მო-  
წოდებული იყო შეეჩერებინა ეს თავბრუ, ვეღარ ჩასჭიდა ხელი.  
ავლავ უსივრცო, თეთრ, ბავშვობიდან ნაცნობ შემზარავ წყვდიაღში  
მოექცა. მერე ნელ-ნელა გამოჩნდნენ რაღაც საგნები, მაგრამ მათ არა-  
ვითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდათ. ტერფიდან თხემამდე წვრილ-  
წვრილ ხუჭუჭა ტალღებად მოყოლებული ურუანტელი ერთბაშად  
შეწყდა.

— Кто еще не желает рыть?

კვინიკაძემ გონების თვალით გადახედა უინტერესო, დაცლილ სამ-  
ყაროს. დამსჯელთა აღგზნებული მოძრაობები, გახარებული სახეები  
დღესასწაულის მზადებას აგონებდა, შერცხვა, თითქოს ტყუილში და-  
ჭირებული, გაკვირვებული დარჩა: „ნუთუ ის უხარიათ, რომ აღამიანი  
გამოგონილი სიტყვა გამოდგა? თავად განა სხვა სახელს ატარე-  
ბენ?“

— Неужели вас радует оскорбление самого себя?! —  
არეულ, გაღიზიანებულ, ვნებით დაძაბულ გარემოცვაში, ყვირილ-  
ჩხავილის ფონზე ხალას, ჩვეულებრივ ხმაზე წარმოთქმულმა კითხვამ  
წამით შეაყოვნა ახლო-მახლო მყოფი ჯარისკაცები.

ზოგმა ეს რომანტიკულ-რიტორიკულ გამოხდომად მიიღო ზოგმა  
წყალწალებულის ხავსად, უმეტესობაშ შიშით დაბნეული ტუკისტუაზ-  
რობად და სიცილი დაიყარა. მათ, ამჯერად სიკვდილის ბატონ-პატრო-  
ნებს, დავიწყებოდათ, რომ სიკვდილთან ჩახვეული სიცოცხლე ეძებს  
რომანტიკულ ფორმას, და რომ ამავე დროს, სწორედ ეგ ფორმაა  
უმაღლესი რეალიზმის, ჭეშმარიტების შემცველი. კვინიკაძემ კიდევ  
ერთხელ მოავლო თვალი თხუნელებივით თავისაღუნულ ხმაგაფენდილ  
სიკვდილმისჯილებს. ის ბეწვზე დაკიდული სიმძიმე, რომელიც ყო-  
ველ მოურიდებელ მოძრაობისას უნდა ჩამოვარდნილიყო და ქვეშ  
მოყყოლა, საღლაც გატქრა. თავს არ დაუჭერა, თვალები დახუჭა, გი-  
ზის ნათურასავით აუარ-ჩაუარა სულის კუნჭეულებს, ვერაფერს მიაკ-  
ვლია, ყველგან ოლიმპიური სიმშვიდე სუფევდა. განუსაზღვრელი  
სიმჩატე იგრძნო, თავი ლალად მონავარდე ფრინველად წარმოიდგინა.  
ხშირად უნახავს ასეთი სიზმარი და ახლა სინამდვილედ ექცა. თავი  
ასწია, ზეცას შეხედა. ლავვარდოვან კამკამა სივრცეს კიდით-კიდემდე  
თეთრი ლრუბლების ვიწრო არშია შემოვლებოდა. არშიის ზემოთა  
პირი მრავალკუთხედი იყო, ქვემოთ კი ძარღვებად იკარგებოდა ლურ-  
ჯად მოკიაფე პორიზონტში. კვინიკაძემ სათვალე გაიქეთა. ლრუბლები  
შუაში მუქდებოდნენ და ნარჩნარად მიედინებოდნენ მარჯვნიდან მარ-  
ცხნივ, მაგრამ მათი ქათქათა ქიმები და თეთრად დაძარღვული ფეს-  
ვები არ იძვროდნენ.

კვინიკაძე სათვალეს იხსნის, თვალებს ჭუტავს, მზერას ამახვილებს:  
უჰ, ეს ხომ მთებია — კავკასიონი! რა სილამაზეა! კვლავ იქეთებს  
სათვალეს, ახლა დემონსტრატიულად, გამომწვევად ამბობს: — ი ნე бу-  
დუ რიტ! — ხმა უკანკალებს, მაგრამ ეს შიში არ არის, ეს სიხარუ-  
ლია. გაფითრებულია, სახეზე ბედნიერი ღიმილი უკრთის. ჯარისკა-  
ცები იცინიან, ჩასპანდიც სხვებთან ერთად ხითხითებს.

ფორმის მხრიდან ჩოჩქოლი, ცხენის ფლოქვების ხმა და ყვირილი  
გაისმა. რამდენიმე წუთით უყურაღლებოდ დატოვებულმა ზოხევემ  
დრო იხელთა, ფორნის გამოხსნილ ცხენს მოახტა და ნახნავებისაკენ  
გაქუსლა.

— Держи его дьявола! — узинрода სამოქალაქო ტანსაცმელში  
ჩაცმული მეფორნე და ჯარისკაცებთან ერთად მისდევდა. მოხევე დამ-  
ფრთხალი ცხენის კისერზე გაქრულიყო, ქუსლების რყევით მიაგელ-  
ებდა და სულ უფრო სცილდებოდა მტრებს. ჯარისკაცები გონს მო-  
ვიდნენ, მიხვდნენ, რომ ფეხით ვეღარ დაეწეოდნენ, უთავბოლო სრო-

რამდენიმე თოვლამა კაცმა თავი მოვალედ ჩათვალი, თოფის კონდახი ან ფეხი ჩაექრა წითელ გროვაში, რომლის შეხებაც გლეხის ბიჭებს ნაწვიმარჩე აყალი მიწაში შეზელილ ფიჩებს აყონებდა.

ჭერ კიდევ გაუთხრელი ორმოს წინ ჭარისკაცებმა ტყვიამფრქვევა-  
ვი მიაგორეს და ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე ტყვევები სას-  
ჭრაფოდ დახვრიტეს.

ପ୍ରକାଶ ମାଟ୍ରିକୁଳୀ

ეკატერინოდარიდან ახლადჩამოსულ „საგანგებო კოშისისა“ და ოცნებულ ციური ტრიბუნალის თავმჯდომარეს მინა ვასილის ძე ტიუ-  
ხინს რევომის შენობის მეორე სართულზე, დერეფნის ბოლოში გა-  
მოუყვეს კაბინეტი. ნახევრად ბნელ, მოგრძო ოთახს ერთადერთი ფან-  
ჯარა ჰქონდა კუთხესთან დატანებული. ფანჯრიდან შემოსული სინათ-  
ლე მობირდაპირე კედელთან გაჭრილი კარის გალებისას დროს იხელ-  
თებდა ხოლმე და გაქცევას ლაშობდა. გაუგებარი იყო ასე ცალთვა-  
ლად განგებ დატოვეს ამხელა ოთახი, თუ შემდევ მოხდა მისი გადა-  
კეთება. ყრუ, უსინათლო კედელსა და საწერ მაგიდას შუა ჩაკვეხებულ  
სკამზე სამხედრო ბლუზაში და გრძელფარფლებიან სამოქალაქო  
პალტოში თავჩაქინდრული ბრგე კაცი პაპიროსს ეწეოდა. იქვე ზელ-  
მარჯვნივ, გაქვეილ ტყაყის დივანზე გუროვს უკან დაკიდებული პრი-  
ალა ხანგალი წინ წამოელო, მუხლებზე შემოედო, ორივე ხელით აქეთ-  
ვეიდან ზედ დაპყრიცნობოდა, როგორც ფერის თვალები კი ბლაგვად მი-  
უბჯინა მის წინ მჯდარ სემეონ მოისეევიჩისათვის. საველე ტელეფო-  
ნის ჩხაუნს არავინ აქცევდა ყურადღებას. სემიონ მოისეევიჩი ამჯე-  
106

რაღაც ჩვეული შახი-შუხით ლაბარაკობდა, მაგრამ იმის შეგნებას, რომ რასაც ახლა ჰყვებოდა, ორივე მსმენელისათვის ზედმიშეუცნით კარგად იყო ცნობილი, წყლის მნაყველის როლში გამოყავდა იგი და შოუსვენრად აცქმუტებდა სავარძელში. მაინც ჰყვებოდა, იმედოვნებდა, რომ სიტყვა სიტყვას მოიტანდა, დროულად მიუხვდებოდა ამ გამოცდილ სამხედრო პირებს, შეეზიარებოდა საფეხელში და რაღაც გმისავალის მიგნებაში მონაწილეობას მიიღებდა:

— დღეს თუ ისინი, დახვრეტაში შეგვეცილენ, ხვალ სხვა რამეს მოინდომებენ, ვიცი მე მაგათი ჯიში. არც ჩვენ, არც კაზაკთა ხელი-უფლებას არ ძალუქს ამ თავაწყვეტილი ურდოს დამორჩილება, ეკატერინოდარმა კი საგანგებო კომისიის ბატალიონის შესავსებად ყოვლად უვარგისი კონტინგენტი, პირდაპირ ვთქვათ, ნაძირალები გამოგვიგზავნა. მე ველაპარაკე ამის თაობაზე ტელეფონით რევოლუციური სამხედრო სარდლობის საბჭოს...

— წინა ხაზზე გამოსადევარნი ხშირად დარბევისა და შეშინების შესანიშნავი ოსტატები არიან, — თავაულებლად ჩაილპარაკატიუშინმა.

ამ შენიშვნაში სემიონ მოისეევიჩი ხელჩასაჭიდი ვერაფერი შეამჩნია.

— არა, აღმაშეფოთებელი ის არის, რომ არაფრად ჩაგვაგდო, ცხენი ვაჩუქეთ, ცხენი, მერე რა ცხენი, დავუყვავეთ, ის კი შუა მოლაპარაკებისას ადგა, და წავიდა. ეს გამოწვევის ნიშანია უსიტყვოდ, არავითარი ახსნა-განმარტება არ სცნო საჭიროდ. ეს გამოწვევის ნიშანია, მე ასე მესმის, თქვენ როგორც გინდათ... ის პედერასტიც თან გაიყოლა...

გურივის გაყინულ თვალებში რაღაც შერტილები შეინძრა:

— ამბობენ, დიდი ხანია მაგასთან ცხოვრობს და საღაც მიდის, თან დაათრევსო, მართალია?

სემიონ მოისეევიჩი საჭოროდ სულ არ იყო გაწყვობილი. გურივის ასეთი შეკითხვა რატომლაც მისი პიროვნების აბუჩად ავდებად მიიღო.

— ვინ ვის... მე არ მაინტერესებს, — უწმაწურად მოუჭრა მან. მაგრამ გურივს არ სწყენია ეს, პირიქით, თითქოს რაღაც ესიამოვნაო კიდეც, ისე გაეღიმა. სემიონ მოისეევიჩც დაკმაყოფილდა თავის ბახვილგონივრული გამოხდომით და განაგრძო:

— მეორე „ტეპლუშეა“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუთ-

მოთ კორნილოვცები არიან ეს ქართველები. თუ რამ სხვა კონტრა, ჩვენ თვითონ მოვუვლით. აქტიურობა თუ არ გამოვიჩინეთ, ნელნელა აღარავინ არაფრად ჩაგვაგდებს. დიახ, ამხანაგებო, ასეთია აღამიანის ბუნება, — დაასკვნა მან და ამხანაგებს გადახედა.

ამაზე სადაცო არავის ჰქონდა რა. საბჭოთა ორგანიზაციებს კი აქტიურობისათვის შემდეგი ხელმისაწვდომი ძალა გააჩნდათ: სანოვა-კით მოვაჭრე სპეცულანტების გავლენის ქვეშ მყოფი სამი ათეული მილიციონერი, რამდენიმე მოწინავე აქტივისტი — უმეტესობა ქალები, და საგანგებო კომისიის ახლად ჩამოყალიბებული ბატალიონი, ომშელიც ჯერჯერობით თვალს საქმეს აუდიოდა. საგანგებო კომისიას უვალებოდა: გამოვლინებინა საბჭოთა ორგანიზაციებში მომუშავე შენილბული მენშევიცები, მემარცხენე ესერები და სამღვდელო პირები, გაერკვია თვით კომუნისტების ლოიალობის დონე, მოქადინა ყოველი ცოდვილის დაუნდობელი ლიკვიდაცია, არ დაეშვა დაჭგუფებების შექმნა. საჭირო იყო დამსმენლების წაეჭიება, აგენტურაზე ზრუნვა, დაკითხვების სისტემატური წარმოება, საყარაულო სამსახურის ორგანიზება, მილიციის უმოქმედობის მიზეზებით სამძებრო ნაწილის ფუნქციებში ჩარევა და სამხედრო დისციპლინის სახელით მისი თანდათანობით მოქცევა კომისიის უშუალო განკარგულების ქვეშ. ერთი სიტყვით — მთელი პოლიტიკური ცხოვრების ქმედითი კონტროლი. რასაცვირველია, ამის განხორციელებას დიდი წინააღმდეგობა ედგა წინ, მაგრამ ყოველივე კონკრეტული წინააღმდეგობის შემთხვევას არავითარი კამპანიის ხასიათი ათ გააჩნდა და არც რაიმე სათანადო შთამბეჭდავი ტერმინი ჰქონდა მონახული, როცა ფრაზათა სისტემაში, რომელიც ახალწარმოშობილი სახელმწიფოს თეორიული ბაზა იყო, მოიძებნა შესაფერი სიტყვა — „ლიკვიდაცია“, რაც ნიღბავდა ყოველგვარ განუკითხავ ძალადობას, მიზნის მისაღწევ საშუალებათა განურჩევლობას და საეჭვო ლონისძიებათა შეფასებას სქოლისტიური მსჯელობის ლაბირინთში სტურციიდა.

— პირდაპირ უნდა მიგვეხვრიტა აქვე, სადმე, რევოლუციური ტრიბუნალის სახელით, არ ცხრებოდა სემიონ მოისეევიჩი.

— კომუნისტი როგორლაა? — იყისხა ტიუხინმა.

— ლიპა კომუნისტია, მოსწონთ რევოლუციის შემდეგ რევოლუციონერად ყოფნა, ისე მრავლდებიან, როგორც ნაწვიმარზე სოკო, — ორაზროვანი ღიმილით თქვა გურიოგმა და სემიონ მოისეევიჩს შეხედა.

მოულოდნელად ტიუხინი წამოწითლდა, სახე აერია, ადგა, ფანჯა-

რასთან მივიდა, დაბრუნდა, სკამზე დაჭდა, ხამუშ-ხამუშ მოწრიპინე  
საველე ტელეფონის ყურმილს ხელი დაავლო და რატომლაც მოწრიპინე  
გაბრაზებულმა დაიღრიალა:

— რა მოხდა, რა ამბავია?

სემიონ მოისეევიჩმა გაოცებულმა გადახედა გუროვს, მაგრამ ამ  
უკანასკნელმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია არც მას და არც  
ტიუხინის საქციელს.

ტელეფონში იტყობინებოდნენ, რომ საჯგურზე ჩამოდგა ფრონ-  
ტზე მიმავალი აგიტბრიგადის ვაგონი. სანოვაგის გაცემის და წინ გაშ-  
ვების ნებართვას თხოულობდნენ.

— ხელმძღვანელი ამხანაგი გამოგზავნეთ... — სურდა ეთქვა —  
„ჩვენთან“, მაგრამ გადაიფიქრა და ხაზგასმით დააყოლა: — ჩემთან,  
მე ტიუხინი ვარ!

— არტისტები გვაკლდა, მაგათი დედა... — შეიგინა გუროვმა.

— მშვენიერია! — ალიცლიცდა სემიონ მოისეევიჩი. — ნამდვი-  
ლად გამოვედგებიან. ჩავატარებინოთ კონცერტი, ხალხი შევყაროთ,  
ცირკი სიმღერა ახალისებს ადამიანს. ეს შექმნის სიმყარისა და კე-  
თილდღეობის შთაბეჭდილებას.

გუროვიც მისვდა, რომ ამ ფაქტს რაღაც სასარგებლოს მოტანა  
შეეძლო, მხოლოდ სემიონ მოისეევიჩის სიხარულმა გააღიზიანა.

— კი მაგრამ ყოველთვის მოსალოდნელია ათასი ჯანდაბა, სის-  
ხლით მთვრალი ჯარისკაცები რას იზამენ, ეშმაკმა უწყის.

— შენი არ მიკვირს! — გააწყვეტინა გაზვიადებული ირონიით  
სემიონ მოისეევიჩმა, ქედმალლურად წარბები აზიდა და თვალები მი-  
ლულა. — სწორედ ამიტომაც საჭიროა ჯარისკაცთა ყურადღების სხვა  
საგანზე გადატანა.

— ისინი ჩვენ არ გვემორჩილებიან.

სემიონ მოისეევიჩმა სცადა მოკამათე სიტყვის დაუხარჯავად, მზე-  
რით გაენალებურებინა, მაგრამ გუროვმა დემონსტრაციულად მიაბრუ-  
ნა თავი, მაშინ სემიონ მოისეევიჩმა ტიუხინის შეხედა, ამ სისულელის  
უშუალო მოწმედ მოიწვია, ნაძალადევი სიმშვიდით განმარტა:

— ვერ გავიგე შენი, ლოგიკა, ამხანაგო გუროვ, მთელი ჩვენი მი-  
ზანი სწორედ ევ არის!

— სისულელეა!

— როგორ არის სისულელე? — გაწიწმატდა სემიონ მოისეევიჩი  
ჟაფრელი პირიდან რომ გამოგლიჯეს და მასვე ესროლეს. მისმა ნაზ-



მა სახემ შეულერებლად სასტიკი და ამიტომაც უსიამო განსაზღვრულება მიიღო.

— სისულელეა! — გაყერპდა გუროვი. იგი არამც და არამც არ იყო ანტისემიტი, უფრო მეტიც, ვინმეს რომ უკულმართად არა ეფექტა რა, წვრილმანი გაუგებრობისას მუდამ არარუსი ეროვნების მხარეს იჭერდა და ასეთი პოზიცია მას სწორ, მართებულ პარტიულ მიღვომად მიაჩნდა. მაინც ალიზიანებდა მისი ჰონორი, საღლაც ძირფესვში სულ სხვა ინტერესებიდან გამომდინარე ეჩვენებოდა მისი ენთუზიაზმი, ამიტომაც სერიოზულ საკითხზე მსჯელობა უმისოდ ერჩივნა და თუ ეს ყოველთვის ვერ ხერხდებოდა, რამე წინადადებას, თუნდაც უაზროს ჩაცივდებოდა, ერთი და იგივეს იმეორებდა, თითქოს უმიზეზოდ გაჯიქდებოდა ხოლმე.

— საღამოს შევიკრიბოთ, კომიტეტებიც დავისწროთ, — მშრალი, საქმიანი ტონით განმუხტა მფლობელობა ტიუხინმა.

გუროვი წასასვლელად გაემზადა. სემიონ მოისეევიჩიც წამოდგა, განაწყვენებული ჩანდა, ალბათ იმიტომ, რომ ტიუხინმა ასეთ ცხად სიმართლეში მხარი არ დაუჭირს და მასთან ერთ ხაზზე დააყენა ეს ბრიყვი გუროვი. ის იყო, საველე ჩანთა მარქვენა თეძორან მარჯვნივ გადაიგდო გულმოსულად, რომ კიდევ მეტიც შეელახა თავმოყვარეობა. ტიუხინმა საფერფლეში აბოლუტული პაპიროსის ნამწვი ჩამრია, ადგა, თავის მოცულობით ორივე ერთბაშად დააჩიავა, გუროვს ნიმართა:

— დარჩი, ამხანაგო გუროვ, საქმე მაქვს.

გუროვი გუმანით ხვდებოდა, რომ არც „ჩეკას“ თავმჯდომარეს ეხატებოდა გულზე ეს ეშმაკი და მოურდებელი კომისარი, ესიამოვნა, რომ თავმჯდომარეს თავმჯდომარესთან, პარტიულს პარტიულთან, ეშმაკმა დალახვროს, ბოლოს და ბოლოს, როგორც რუსს — რუსთან მოუნდა საუბარი.

— რა, ხომ არ უნდა დამკითხო? — ხუმრობით ჰკითხა მან.

საგანგებო კომისიის არსებობის პირველ ხანებში სამხედრო ადმინისტრაციას მთელ რუსეთში „ჩეკას“ თანამშრომლებთან ურთიერთობის ირონიულ-შემწყნარებლური და, ამავე დროს, გამკილავი დამკიდებულება გაუჩნდა, მაგრამ სულ მალე ამ დამოკიდებულების ქვეტექსტი, რომ უანდარმერია უანდარმერია, რაც არ უნდა დაარქვა მას, შიშმა და მოკრძალებამ შეცვალა. მათთან შეხუმრებას და ქარაგმებს კონტრრევოლუციონერების აღმოჩენის შესახებ ველარავინ ბე-

დავდა. ისე გამოდგა, რომ „ჩეკას“, ყოველ წევრს რაიმე ისეთის დაბ-  
რალება შეეძლო — თავს ვეღარსად გაიმართლებდი. მათთან ფრთხილა-  
რობა უმაღლესი თანამდებობის პირთა ფუფუნებად შემორჩა ჯერ-  
ჯერობით, როგორც რევოლუციის ეჭვმიუტანელ მოღვაწეთა პრივი-  
ლეგია.

ტიუხინი ფანჯარასთან მივიდა, ოთახში საგრძნობლად ჩამობნელ-  
და. თავის თავზე გულმოსულს სურდა წელანდელი საუბრის აღდგენა,  
მაგრამ გუროვის ასეთი გახუმრების შემდეგ შეყოყმანდა: „არ იფიქ-  
როს მართლა ამისთვის დავტოვე... არა, რა იყო მაინც, რა სულელურ  
აზრს აჰყვა: წარმოიდგინა, რომ ლიბა კომუნისტებზე ლაპარაკისას  
მას გადაჰქრეს. რატომ, საიდან?“ მან იცოდა, თუ როგორ სჯეროდა  
მისი გუროვს, რა სამაგალითო რევოლუციონერად ჰყავდა მინეული  
სემიონ, მოისეევიჩს... „იდიოტობად და მეტი არაფერი... გუროვი ხან-  
დახან ისე ზის და ჩხიკვივით პარდაპირ ჩაგყურებს, რომ... თუმცა  
არა, ის ნამდვილად პატივისცემით არის გამსჭვალული მისდამი. ანდა  
რა შუაშია აქ მისი ბიოგრაფია? მართალია, მეფის ჭარის ნაოფიცრა-  
ლია, ძირი რომის დროს. ეგ კი არა, რამდენია სამხედროები, ახლა რომ  
საბჭოთა ხელისუფლებას ემსახურებიან, უწინ. კი მეფის ჭარის საკად-  
რო ოფიცრები იყვნენ. მეოთხე წელი დაიწყო, რაც მან თავისი ცხოვ-  
რება რევოლუციას დაუკავშირა — სწორედ ბოლშევიცურ რევოლუციის  
და იმ საქმეში დამსახურებაც მიუძღვისა...“

სემიონ მოისეევიჩის ბაჟუნა ფეხის ხმა რომ მიჩუმდა, ტიუხინმა  
თქვა: — კაზაკთა სამამასახლისოც შეთქმულებას აპირებს, ზეგ უნდა  
შეიყარონ ხუტორში, დემობილიზებულ ჭარისკაცებს ტყვიამფრქვე-  
ვები და შაშხანები მოუთრევიათ შინ. სავარაუდოა, რომ მათ უურამ-  
დისაც მიაღწია პატრიარქ ტიხონის გამოსვლამ, კაზაკები მორწმუნე  
ხალხია.

— ხვალ ვაჭარ სერგეევთან შეიკრიბებსა რამდენიმე მოქალაქე და  
სამღვდელო პირი, ამბობენ, დაჭრილ თეთრგვარდიელ ოფიცერს ტი-  
ხონის მოწოდება აქვს ჩამოტანილი.

— ნამდვილად? — შემოტრიალდა ტიუხინი.

— ამბობენ, ესე იგი ტყუილს არ იტყვიან.

— ჩვენ კი საეკლესიო ქონებისა და სამონასტრო მიწების ნაცი-  
ონალიზაცია ვერ მოგვიხერხებია. ლენინმა ოც იანვარს მოაწერა ხე-  
ლი ამ დეკრეტს, დღეს კი ცხრა აპრილია! ხვალ მთელი ბატალიონით

Հացեսեատ տացն Սերգեյավու ծինաս, ու Շինաալմդեցոնի ցացօթօնք, ու  
հածուցուանագ ամոցից պատրութու.

— Մտցու ծակալունու ըաց ցանճա, ատո կացո տացու Շաբաթագլաց ցա  
ցա. հա Շինաալմդեցոնի մշակուալատ, դուզու-լուզու ոռուուրմա մոսին  
ցասրուա.

— Ահացուար Շեմանեցամու! օյ, Տագաւ մալա Շեցիցա, այսուղիւ  
լուց մասուրեցուաց ցնճա զոմովմեցու! Ես պացելցարո Շինաալմդու  
ցոնիս մացաս այսուկեցես!

առաենու Տիկիում համոցարճա, ցուրուու Ծուշենիս ցլուցեցուա, Ծու  
շենինի զո ցացաՇչարու տացուտցու մալա դայրանեցունա լա ու Մտացիւ.  
ցուլցու գասայարՇպաց ձլաւ, հոմելու, օլծատ, դաշուրիս ցուրուց մի  
և Տաշուլցարու ցա՛րուլցու Շեմդեց, տացու գամոսաւցելուց ոյզու  
տեմաս լաշուրունճա: „Ցեն ամեռն, հոմ լուսա կամունութեան Տուրուն  
շուտ մրացլցուան, ահա?“ — Ոցո ցուրուու լունութեարց թերու  
չժեծից, մաշրամ յս լուսանակնելու ան ցեր մուշեցլա, ան ցանցեց, մուս լա  
Տաշունարուց ձլաւ ահացուարու Մենունեցոնի ան մուլցա ամ ցամովցամ  
Ցիցուալ, մուշունու կուլուու, հոմշելմու որանիւրունեցու կապանու  
առ Ցեմինեցուա, Վարմությա:

— Ֆո, Շեյօլցու յս լուսուսուա, զոն ուրուս?! ;

Ծուշենու Շելմու ցանմալա, կմայուղունու Տայմես լաշուրունճա:

— Կանայքու հեցն ցնճա ցամոցամերուրու համեց դուզու տացեցուանու.

— մանց հու?

— Տաշուլցուա... Տութիւնուու — պացանց դուզու տացեցոնի պա  
ցուալցու Ծութիւնուա.

— Քո զո մցոնու, ահացուարու Ծութիւնուա ան ոյնեցա, ու հեցն  
Սերգեյավու Տակլից տացլասէմու ուշերաւումու կանայքեցնաց հացրտացու.  
ալար դացելուցու դա լուց մուշու մուշու մատու տացկաւու Տատատնու  
հուա, ան հեցն ուշուու մուշու ուշու կուտուն. Ֆո, օլծատ, ասց սխո  
ծեցես, զուում ահացու զուուու դա Տաշու մուրու չցուցի, համդենումեց յաւս  
մանց մուշու մուշու մուշու Տատատնու Տատատնու մուշու մուշու մուշու. զո  
ւուու նամերանու ցրտացլուց մուշու հուա, համեց տանամցեցոնիս լաշուն  
ցու, չանճածաս — ալմասկումու Շեցրութաց ցացեացու չցրչերունուա, լա  
հրեցուան, մուտ շմերիս, հոմ մատ հուցեցմու ան արուս ցրտացլունեցն.  
մունա ցասուու յց Ծուշենու Մտամոմացլունուա հուսու լունութեցու  
ոչտես Ցցուու ուցու. մուսու Շինաաշից ուշու լունություն Տացլից  
մուսու լունություն ան արուս ցրտացլունեցն. մաթու — ցասուու ցա

სილის ძე ტიუხინი, რომელსაც დიდ ვასილის ეძახდნენ, ზღაპრიტან  
გამოქცეული გოლიათი გეგონებოდათ. მინაც მამას ჰეგელის მიმოწმა-  
ლია ისე უსაშველოდ მაღალი და ძვალმსხვილი აგებულებისა არ იყო,  
მაგრამ სიძვილრის სვეტად შეყრილი ის ძალა, რომლითაც გამოირჩე-  
ოდნენ ტიუხინები, მინასაც შემორჩენილი ჰქონდა. მათი გვარის პირ-  
ველი მოხსენიება რუსეთის მატიანეში მეფე ივანე მრისხანეს უაშ-  
ვინმე „დიაკი“ მინათი იწყებოდა. დიდმა ვასილიმაც იმიტომ შეარქვა  
თავის ერთადერთ ვაჟიშვილს მინა. ბავშვობისას მოსკოვის სახლში,  
რომელიც ერთ დროს საგვარეულოს მუზეუმად ჰქონდა გადაჭცეული  
დიდედა ილ ინიშნას, მინას უყვარდა დიდ სასტუმრო ოთახში მოჯ-  
რული ჩარჩოდან შემოყურე წინაპრებთან მარტო დარჩენა, საათო-  
ბით უეგძლო ეცირა მათთვის. ჩატმულობით და წლოვანებით გან-  
სხვაცებულთ ერთი შეხედვით მოკლე ჭიშის, უჭირათობის ერთნაირი  
იერი გადაპყროდათ. ამ უჭირათობის იქით თუ გააღწევდა კაცი, მოწ-  
ენდილ ცაში ულრმესი ვარსკვლავივით მოციმციმე დაფარულ აზრს,  
რაღაც გამოუთქმელ საიდუმლოებას იგრძნობდა.

საგანგებო კომისიის თაგმჯდომარე ტიუხინმა პირველივე შეხვედ-  
რისას ამხანაგი გუროვი ვიღაც ნაცნობს მიამსგავსა, შემდეგ კი იფიქ-  
რა — ალბათ საღმე შემთხვევით თუ შემხვედრია და სახე დამამახ-  
სოვარდეთ. მაგრამ ახლა მიხვდა, რომ ეს კაცი რაღაცით აგონებს იმ  
პორტრეტებიდან წამოსულ დაუინებულ მზერას.

— ჰე, — ჩაიცინა მინამ, — გამოვცაღოთ ბედი. — შემდეგ ისევ  
დაფიქრდა და განაგრძო: — სემიონ მოისეევიჩი მართალია. კისლია-  
კოვი ლიკვიდირებულ უნდა იქნას. ეს აუცილებელია! ჯარისკაცთა  
მასას მოვაცილოთ, საღმე შევიტყუოთ... ალბათ რაღაცაში შევცდით...

— არ დაიგერა, რომ მოხალისეების ჯარის შემოტევას ველით ჭა-  
ლაქში, მაგ ბოზმა!

— ჰო, ეტყობა ფრონტიდან ცნობები აქვს.

გუროვი გუნებაში ამას სემიონ მოისეევიჩს აბრალებდა — კის-  
ლიაკოვის წამოყვანის დროს რამეში გაიყიდებაო, მაგრამ ახლა შე-  
უფერებლად მიიჩნია ამაზე ლაპარაკი.

— კაზაკებთან მოლაპარაკებისას ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა  
ექნება — მოხალისეთა ჯარის შემოტევის ამბავმა მოღირებული ქომ-  
ბალივით უნდა იმოქმედოს: რისი შემოწმების საშუალებაც ექნებათ,  
იმაზე არ ვიღაცარაკოთ.

— ჰე, — ჩაიცინა ტიუხინმა, — იგი კიდევ თავის აზრს უცინოდა,  
8. ქ. იოსელიანი

კუ დრო, ეგონა, რომ მეცნიერის ან შედართმთავრის ჰქუა-გონება  
ცე გამსხვავდება გლეხისა ან ჯარისკაცის გონებისაგან, როგორც უძველეს  
ვებული ბალი — მოშიულებული ხრიოკისგან. ახლა კი უბრალო ხალ-  
ხის საზრიანობისა და ალლოს აღების უნარს გაცილებით მაღლა აყ-  
ნებდა, ვადრე დამპალი ინტელიგენციის განსწავლულობას. და რო-  
ცა ცხოვრებაში ხვდებოდა ამის ღამამტკიცებელ ზედმეტ საბუთს,  
თავისი ბედის ქმაყოფილი რჩებოდა.

— სემიონ მოისეევიჩი იმაშიც მართალია, რომ დარჩენილი კორ-  
ნილოვცები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავანებოთ ჯარისკაც-  
თა საბჭოს.

ვინმე სხვას ეგონებოდა, ტიუხინი სემიონ მოისეევიჩის წამდაუწუბ  
ქებით და ჩაცინებით, გურიოვის გამოჯავრებას აპირებსო, სხვა ვინმეს  
და არა გურიოს. მიუხედავად იმისა, რომ ტიუხინები საუკუნეებით  
უკვენ ჩამოცილებულნი ფიზიკურ შრომას, მათ მაინც დაჰყვებოდათ  
რაღაც გლეხური იერი, გარეგანი უბრალოება. ამ ნაცნობ სტიქიაში  
კი გურიოვი ისე იყვლევდა გზას, როგორც თევზი წყალში. ტიუხინს  
იგი. თითქმის ყველაფერში ეთანხმებოდა და თუ რამეზე შეეპასუხე-  
ბოდა ხოლმე, უფრო სიფრთხილისათვის, რამეთუ მინა ვასილიჩი ცო-  
ტაოდენ ფიცხ ადამიანად მიიღო და ზოგიერთი მისი ფიგურალური  
გამოთქმა გაუგებელი რჩებოდა.

— ტეპლუშკიდან საჩქაროდ ბარუებში შევყაროთ, — განაგრძობ-  
და ტიუხინი.

— ბარუებში ადგილი აღარ არის და ყარაულებიც ცოტანი გვყვა-  
ნან, ისიც ჭალები.

— მაშ რაღაც დასჭის ფორმა მოსაგონებელი. საჯარო დახვრე-  
ტა მოულებულია იმ გაურკვევლობის დამატებით ეფექტს, საიდუმ-  
ლოების შარავანდებს, სიკვდილზე კიდევ შეტ, რაღაც საშიშს, ფა-  
რულ შურისძიებას რაც ახასიათებს. ამას გარდა, საჯარო დასჭა სა-  
მაგალითო მომენტებს შეიცავს არა მხოლოდ ობივატელის ჰქუის  
საშრავლებლად, არამედ პროტესტანტის წასახალისებლადაც. იცი, გუ-  
როვ, საფრანგეთის რევოლუციის დროს იაკობინელებმა თავი იმითაც  
წააგეს, რომ საშუალება მისცეს მოწინააღმდეგეს გელიოტინასთან  
ტრაგიული მშვენიერება წარმოედგინა.

— მართალია, ეს ჭართველები არავითარი ავალმყოფები არ არი-  
ან, მაგრამ არც კორნილოვცები უნდა იყვნენ, — არ შორდებოდა  
კონკრეტულ საქმეს გურიოვი.

— ეგ სულერთია, გუროვ, ეგ სულერთია. მთავარია შიშის მონა-  
პოლიტიკებია. ვინც უფრო დაუმდობელი იქნება, ის გაიმარჯვებია.

გუროვს ამ საკითხზე სხვა აზრი არც არასოდეს გააჩნდა. მან ტი-  
უხინის თხოვნით დაწვრილებით დაახასიათა კაზაკთა თავიაცები. გან-  
საკუთრებული ყურადღება იასაულ მატვევს დაუთმო, როგორც  
ხარბს, პატივმოყვარე, გაიძვერა შედროვეს და, ამდენად, 'გამოსაღებ  
კაცს. მკვიდრ ყუბანელთა განწყობილებაზეც ილაპარაკეს.

— ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ლარიბ მასას, ვისაც არაფერი აქვს, —  
შეეპასუხა ტიუხინი.

— ეს ლოზუნგი ჯერ არ გაისცრის.

— საქმე ლოზუნგში კი არ არის — უბრალოდ ადამიანის ფსიქო-  
ლოგიაა. შენ გაქვს, მე არა მაქვს, ბუნებრივია, რომ მეც მინდა მქონ-  
დეს და თუ ეს მოხდება სულ მარტივად, მოკლე ხანში, უშრომლად  
და სხვების შემწეობით, რატომ არ მივეხმარები იმას, ვინც ამაზე  
ჭამაქეზებს?

— აյ პროლეტარები არ არიან, ყველა გლეხს კი რაღაც აქვს, რის  
დაკარგვაც არ სურს. ერთნაირად ცუდად ან კარგად არავინ ცხოვ-  
რობს. ამ მხრივ, გავლენა ყუბანელებმა მდიდარ და ღონიერ ოჯახებს  
აქვთ, მაგრამ აქაც არის მიწაწყვრილი ნაპრალი. შური ტყუპებსაც კი  
წააჩხუბებს — დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა თუ სხვა რა-  
მე ფარული ან ღია წინააღმდეგობა. ამიტომ ჩვენ ჯერ მათ რიგებში  
შევიტანოთ განხეთქილება, გავაშიშვლოთ ნაპრალი და დროებით მო-  
ვეხმაროთ „პერსპექტიუს“, — გურიოგი ვერაფრით ვერ გამოთქვამდა  
ამ სიტყვას სწორად.

— როცა სს „პერსპექტიული“, — განგებ დამარცვლა ტიუხინ-  
მა და უფრო შეკითხვის ტონით, ვიდრე დამაჯერებლად განაგრძო, —  
გაიმარჯვებს, გაძლიერებულ მტერს შევეყრებით?!

— საქმე ისაა, რომ ჩვენ მათთან ერთად ვიქნებით და გზადაგზა  
ვიზრუნებთ მათი ძალების მოსაფამფალებლად... აი, მაშინ გამოვი-  
ყენებთ იმ ღარიბ მასას, რომელსაც იმ დროისათვის შური საკმად  
მომწიფებული ექნება.

— შენი თქმით გამოდის, რომ ჩვენ მეფის ნაოფიცრალებთან და  
კულაკებთან უნდა დავამყაროთ კონტაქტი?

— ყველასთან არა და დროებით...

ტიუხინმა იცოდა, გუროვი რასაც უპასუხებდა და მანც თითქოს  
დასატკბობად იყითხა:

— მერე?

— მერე კურავთ კუკუსა... — ორივემ გაიცინა.

— მაშას დამე 'საღამოს' ხუტორში 'მივდივართ.

გურიოვს კარებში ტროსტამოჩრილი, გრძელმანუეტებიანი, შუახის ვამხდარი კაცი შეეფეთა.

— პახ, პახ, პახ, პახ! — შემოიჭრა იგი ოთახში და ტროსტი და უმიზნა ტიუხინს, შემდეგ კარებში გაშეშებულ გურიოს მიუტრიალდა და ისიც ტყვიამფრქვევისებური კაქანით „მოცელა“. ტიუხინმა და გურიომა გავვირვებულებმა ერთმანეთს შეხედეს.

— მივდივართ ერთსხელ სოფლიდან სოფლებში, — არც აცია, არც აცხელა შემოჭრილმა, — შეა გზაზე გავაჩერეთ ფორანი, დაზერვაზე გავაგზავნე ოტელო: „ამხანაგო უფროსო, ტყეში თეთრების მზვერავი აღმოვაჩინე“, — მესმის შისი სმა. „სასწრაფოდ მომგვარე!“ — ვბრძანებ. „კი მაგრამ რომ არ მიშვებს!“ — წრიპინებს ოტელო. ოჯ, ოტელო, ოტელო! — პათეტიკურად დაამთავრა მოსულმა, მიიხედმოიხედა, შეამოწმა მოხდენილი შთაბეჭდილება, ერთი კიდევ ჩაიყაკანა, ცალ 'ხელში მოღერებული ტროსტი მხარზე ჩააცურა, სამ შეა თითში ჩაიჭირა და ბორბალივით დაატრიალა. — იქვენ გვონიათ შარტო თქვენ იცით სროლა... ხუმრობა იქით იყოს, პატივცემულო საზოგადოება, — გაიტყლარჭა შემოჭრილი, — იქვენ არ გაქვთ უფლება, დააგავოთ ჩემი თეატრი. იცით, ეს რა თეატრია? დედაქალაქის ვერეთწოდებულ თეატრის მაშებს ჭიუა ვინ მისცა, თორემ ჩვენ აქ უნდა ვიყოთ? მოგეხსენებათ თეატრალური სამყაროს ინტრივები. არ უნდათ ნაშდვილი ტალანტები... ერთი სატყვით, ეს გრძელი აშშავია.

— მაპატიეთ, რა თეატრზეა ლაპარაკი?

— როგორ თუ რა თეატრზე! ჩვენ ფრონტზე მივდივართ, პირდაპირ ფრონტზე.

— ახ, თქვენ აგიტმატარებლის წარმომადგენელი ხართ? — ძლიერ მოეგო გონს ტიუხინი.

— წარმომადგენელი კი არა, ხელმძღვანელი — კონსტანტინე ორი, ნამდვილი გვარი — ორლოვი.

— წინ ჯერ ვერ გაგიშვებთ, ეკატერინოდართან კავშირი გაწყვეტილია, — შემობრუნდა ოთახში გურიოვი.

— როგორ, გაშ ჩვენ რისთვის გამოვგიშვეს, თუ არ იცოდნენ, სად რა არის გაწყვეტილი და სად ვინ არის აწყვეტილი. სიტყვამ მოიტანა და ერთხელ მეოთხე აქტი იწყებოდა, პარტერში სინათლე ჩაქრა, ორ-

კესტრი ლაბუსებით ამოიგსო. ყველა ფარდის გახსნას ელოდებოდა, სცენარიუსი კი დარჩის, ეძებს მთავარი ოლის შემსრულებელს, ვერა და ვერ პოულობს. ამ დროს შემოდის მთვრალი გამნათებელი. ერთხელ... — ორს ისეთი ნეტარი სახე ჰქონდა, რომ ეტყობოდა სწორედ ახლა მოვიდა მოყოლის იშტაზე.

უცებ ტიუხინი წამოხტა, 'შაგიდას მუშტი დაჭკრა, იმხელა დაღრიალა, რომ ფანჯრის მინა შეზანზარდა.

— დაჯეჭით!

კონსტანტინე ორს თითქოს თავში ჩააფარესო, სავარელში ჩაჯდა და უარესს მოლოდინში მრგვალ შუშის ბურთულებად ჭვეული თვალები დაჭყიტა.

გუროვი მხიარულად იცქირებოდა. ტიუხინი ტელეფონით ვიღაცას დაუკავშირდა, რამდენიმე კითხვა დაუსვა ორს მეცრად. ეს უკანასკნელი მოიყინება და 'მორჩილად პასუხობდა. გაირკვა, რომ აგიტბრიგადაში სულ რვა კაცი ყოფილა, აქედან ერთი ქალი — ორის მეულე და სამი კაცი — აქტიორები, ერთი შუსიკოსი — ვიოლინოზე, გრტარაზე და გარმონზე დამკვრელი და სამიც სტაიორი.

ტიუხინმა ორს წინადაღება მისცა, ხვალისთვის რაიმე წარმოდგენა მოეწყო. პირობების გასარკვევად და დაწვრილებით მოსალაპარაკებლად სემიონ მოისეევიჩთან გუროვი გააყოლა.

— ახ, სემიონ მოისეევიჩი? მასთან უკვე ვიყავი. მან თქვენთან გამომიშვა, — ორმა თავისი ამოქნილი წარბები აღრიცა, თვალები მიღულა და ამპარტავნულად გაიპრანჭი, რითაც სემიონ მოისეევიჩს დაემსგავს. გუროვს გიყცინა, ამით გათამამებული მსახიობი გასვლისას ტიუხინს პირმოთნე ღიმილით მოუბრუნდა, მაგრამ უკვე ტროსტის მაგიერ რევოლვერივთ გაშვერილი თითები დაუმიზნა და დაყარა: „პახ! პახ! პახ!“ გუროვმა სიცილით ჰქონდა ხელი; კარი მოიხურა.

შუადლისას მშვენიერი ამინდი გამოიდა. თბილოდა და მზის სხივებით გამობარი, ატოკებული სუფთა ჰაერი ხალისიანად ბრჭყვინავდა.

ქართველების „ტეპლუშვას“ თოფიანი კაცების ჯგუფი მოადგა. წოწოლაქუდიანმა, წელში მოსრილშა, ფარავით მოსილშა თითქოს ახალაო ქართველებს, გამოუცხადა, რომ მომზადებულიყვნენ, რამეთუ საჭირო იყო მათი გადაყვანა ქილაქის საპყრობილები, ამან ერთი აურზაური, მოთქმა, ტირილ-ვიში გამოიწვია და თვით ყარაულებს



მოუხდეთ მგზავრების დაშოშმინება: არა, სულ საპყრობოლოშიც კარა — საგანგებო კოშისიაში, სადაც დაგითხავენ და, თუ მართლები გამოიყებით, გაგიშვებენ, არადელი საგონებელში ჩავარდა. დიდ ჯულითმისნობას არ საჭიროებდა იმის მიხვედრა, რომ ბედისწერის ენით ატროვებულ აღაშიანებს არც დრო ჰქონდათ საიმისო, თეთრი და შავი გაერჩიათ, არც ცოდნა და თავი გააჩნდათ, რომ მართლმსაჯულების თუნდაც პრიმიტიული სახე შეექმნათ, არც ციხეები ჰქონდოდა არც სასამართლოები. ამიტომ თუ ვინმეს მოიხელთებდნენ ერთადერთი ლოგიკური საჭირებლი ზისი თავიდან მოცილება იყო. არჩევანიც ერთადერთი არსებობდა: ან დახვრეტა, ან გაშვება. მაგრამ რუსეთის ყოფილი იმპერიის მიწაზე ადამიანებს კანონი, მართლმსაჯულება, ერთგულება, უანგარობა, პატრიოტობა, სიკეთისთვის ბრძოლა ერთ უკიდურესობასთან ჰქონდათ გაიგივებული, ასე რომ ქარაფშეტობა იქნებოდა მხოლოდ საგანგებო კოშისის კეთილი ნების იმედზე ყოფნა. ასეთი ატმოსფერო არადელისათვის არ იყო უჩვეულო, ბოლოს და ბოლოს თვითონაც თავის ზრახვებს, მოქმედებებს, შედეგებს არასოდეს უფარცებდა და არ სჭიდა საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი სულიერი შანქანების კვალობაზე, ისიც ყოველთვის რაღაც სტიქიონური ძალის იმედით მოქმედებდა, ავად თუ კარგად თავისი სინდისის ზედამხედველობის ქვეშ მიარღვევდა ცხოვრების ტალღებს. თავის თავის არც ახლა დაეძებდა, ახლა შისი ფიქრები ნინოს მდგომარეობას დასტრიალებდა. დრო კი არ იცდიდა, დაუყოვნებლივ ქვე უნდა მომხდარიყო რამე. „ამ ათიოდე შეიარაღებულ ჯოყლაპის სამი მარჯვე ბიჭი თავისუფლად განაირალებს“. ვალიკომ ირაკლი იშხნელი მოძებნა, მაგრამ მისმა მორჩილმა გამომეტყველებამ ზედმეტად ხაზგასმულმა, თანაგრძნობის გამოსაწვევად გამიზნულმა კოჭლობამ ყველაფერი ნათელი გახადა. შემდეგ რიგებად დაშვერდილ, ილყაშემორჩტყმულ ქართველებს გადაავლო თვალი. ორი ბარტყულ-კუნკულიანი ბერი, ლურჯჩოხოსანი, დონდლო, თმაგათეთრებული, ლოკებლაფუა, დაბნეული შეხედულების კაცი, რომლისთვისაც ხანჯალი ამოეძროთ და იმის თავიც კი აღარ ჰქონდა, ფეხებშუა გაბლამდული ქარქაში ქამარზე გადაეწია. მის გვერდზე შავ ხავერდის ხელათში, ფეხებ გეტრებით, ვიღაც შავწვერულვაშა მაღალი ახალგაზრდა მიდიოდა, მაგრამ ყარაულის ყოველ შეძახილზე იგი ისე მონდომებით ასრულებდა მათ მოთხოვნებს, ისე ფლიდად აჩენდა თავის დიდრონ კბილებს, რომ არც ეს გამოდგებოდა. ქალები, ჭყონია,

სტუდენტი და ზაქარია ავალიშვილი სათვალავში ჩასაგდებოდათ მათ ვარდი ვნენ, ასევე თავისი ჩემოდნებითა და ხაბაკით მთლიანად დაჭავებული და შეშფოთებული რამდენიმე ქართველი, არც, რასაკვირველია, შო-ხუცები, რომლებიც ფეხს ძლივს უწყობლნენ ისედაც საქმაოდ ნელი ნაბიჯით მიმავალ პროცესიას.

არადელი ისევ ბუცხრიყიძეზე შეჩერდა, მაგრამ ის არსად ჩანდა, ეტყობა, გუშინ უშველა თავს, „ნარზანის“ მოსატანად როცა წავიდა. შეყოვნება დაუშვებელია, სასწრაფოდ უნდა იღონოს რამე, სანამ ნი-ნოც აյ არის, მის გვერდით, თორეზ თუ მიიყვანეს და ჩაკეტეს — მე-რე გვიან იქნება.

გზადაგზა შემხვდური მოქალაქენი ჩერდებოდნენ, როგორც განწი-რულებს, ისეთი მზერით მიაცილებდნენ ქართველებს. მათი ერთფე-როვანი ჩაცმულობის რუს ფონზე ყარაულებით გარშემორტყმული ტყვეები ფერად სანახაობას წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით გამო-რჩეოდა ქალბატონი შუნია. თგი მედიდური სახით მიდიოდა, რაც კი რამ საუკეთესო პქონდა, ის ჩაეცვა, და რაც კი ძვირფასეულობა გა-დარჩენდა, ის გამოიჩინა. ოქრომყედით ნაქარგ ლურჯი ხავერდის ჩიხტიკობზე ლალ-მარგალიტიანი ქინძისთავი დაებნია. თვალისმომ-ჭრელად ბრწყინავდა ასევე ლალებითა და მარგალიტებით გაწყობი-ლი აქროს სამკერდე — შინდისფერი ატლასის კაბის არშიებს წვრი-ლი მარგალიტები თოვლის ფიფქებივით შეიროდა, მინანქრიანი ოქ-როს ბალთის ელვარება ქალბატონ შუნიას შოგრძო, დად ჭროლა თვა-ლებს ახალგაზრდულ სინათლეს მატებდა და, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი შუნია სულაც არ იყო შშვიდად განწყობილი, თეთრი გამ-ჭვირვალე წამოსასხამი და თეთრი თმა კეთილშობილებითა და დარ-ბაისლობით მოსავდა მის სახეს.

ვალიკოს ცხოვრებაში ბევრჯერ მიეცა საშუალება დარწმუნებუ-ლიყო, რომ ვის რა უნარიც აქვს, ბედიც იმნაირად ულიმის, მაგრამ ნახევარი ქალაქი უკვე გადაკვეთეს, ალბათ საცაა მივლენ კიდეც, ქა-ლაქის ქუჩების განტიკუნტი მოძრაობა კი იმპროვიზაციის საშუალე-ბას არ იძლეოდა. პირდაპირი გარღვევის, დადევნება-გასწრების სწორ-ხაზოვანი გეგმაც გაუმართლებელი ჩანდა. ახლა, როცა პასუხისმგებ-ლობა ლოდივით დააწვა გულზე, უჩუმრივ შოედო იჭვი, ვეღრებასა-ვით მოადგა სიტყვები: თუ ოდესშე რაიმე თავზეხელაღებული საქმე ჩაუდენია, თუ ოდესშე უმარჯვნია — სულ ტყუილად, აგრე თავის ბედთან ხელი აქვს ჩაკრდებული, ნუთუ დღეს ვერაფერს... მერე საღ-

დაც მოფამფალებული ჩუბინის ალლო შეიმართა, იცოდა, კუკუშინი  
ერთი გავლებაც კი მიზანს ააცდენინებს კაცს, ნაბულა დაიჭირა, ყა-  
რაულის თვითეულ მიხრა-მოხრას ჩაუსაფრდა. დატყვევებულ ქა-  
თველებს მარცხენა შხრიდან ოთხი ჯარისკაცი შისდევდა და ოთხიც —  
მარჯვნიდან. წინ და უკან თითო-თითო თოფმოშარჯვებული კრავლნენ  
ალყას, მალალი, წოწოლაქუდიანიც ტყვევებს ხან ერთ მხარეს მოექ-  
ცეოდა, ხან მეორე შხრიდან შეუძახებდა, გეგონებოდათ ცხვრებს მი-  
ერეკებათ. ქამარზე ჩამოკიდებული გადასხსნილი ბრეზენტის ბუდი-  
ლან ბელგიური ბრაუნინგი მოუჩანდა. ვალიკო ბოლო რიგში ნინოს  
გვერდით მიღიოდა, იშხნელების მაფრაშა შეეგდო მხარზე, მარჯვენა  
შელავი შემოეხვია და კისრით წონასწორობას იცავდა, მარცხნივ ნი-  
ნოს ჩავიდა მისთვის ხელი. ყოველ მის ფქნის გადადგმასა და მოძ-  
რაობას მინდობოდა. არადელის აზრები მაღვიძარა საათივით შეუყოვ-  
ნებლივ, რიტმულად დაიძრა საგანგაშოდ მომართული წერტი-  
ლისაკენ.

წოწოლა წრეს შემოუცვლის და ვალიკოს გვერდით შოყანტალო ყა-  
რაულს მიუახლოვდება ხუთ-ოთხ ნაბიჯზე, ვალიკო მაფრაშას ზეთ-  
ქაჭს თავში — დარაჯს, უნდა წაიქცეს! წოწოლას უკვე ბუდეში ექნე-  
ბა ხელი ჩაყოფილი — უნდა მიასწროს! მაჯა უნდა გადაუმტკრიოს!  
რარალი უნდა წაართვას! სროლა უნდა ატეხოს! შეიქმნება აურზაური  
და ჩოჩქოლი, მაშინ ნინო შეუმჩნევლად გადგება გვერდზე... ისევ  
გაჰქიცნწლა იჭვმა: შეძლებს ნინო გაქცევას? ესენი ხომ პირდაპირ ეს-  
ურიან ალბათ... ერთი ცხენი, ცხენოსანი ან ეტლი გამოჩნდეს მაინც  
საღმე... ნინომ ხელი მოუჭირა, მაგრამ ის თავგანწირული მზადყოფ-  
ნა, რომელიც განთიადისას იგრძნო, ამჯერად ვეღარ შენიშნა ვალი-  
კომ. იქნებ ეს შეხება უფრო რაღაც საღ აზრს მიანიშნებდა, შესაძლოა  
მოფერებასაც და დამშვიდობებასაც კი. ვალიკომ სწრაფად შეხედა.  
ნინო გაფითრებულიყო, მაგრამ სახეზე ბედნიერების ალმური და-  
უდიოდა. მწვანედ მოკიაფე სემაფორივით ანთებული არადელის გეგ-  
მა უმაღ ჩაქრა. იგი მიხვდა, რომ ბედს უნდა მინდობოდნენ, ასე სურ-  
და და ასე აწყობდა ნინოს. მათ წინ მყოფმა ჭყონიამ კი გაბრაზებუ-  
ლი მასწველებელივით უველას გასაგონად წამოიყვირა:

— არადელი, არაფერი მიჰქაროთ, თქვენი გულისათვის ყველას  
ამოგბუვეტენ!

— ამოგვწყვეტენ არა — ჯანჯაფილის მურაბა! — თქვა ქალბა-  
ტონმა შენიამ.

— Ей разговорчики! — зурбаля лаპа́рчыңи үштүрләм. Өзбекстанда

გამუდმებულმა უხეშობამ, შევიწროებამ, წამდაუწუმ მუქარისა და ეჭვის გარემოცვამ ქალბატონ შუნიას მოთმინება ოლავსო, ნაცვლად შიშისა და მორჩილებისა აამხედრა და გააგულისა იგი. თითქოს უხა-ორდა, რომ მიპყავდათ იქ, სადაც, მისი აზრით, შეძლებდა დაუფარა-ვად მიეხალა პირში სულ უბრალოდ გასაგები ჰეშმარიტება: „ლაყე კვერცხით ნამტკვარი არ გამოცხვება და ბოროტების გზას არსად მიყვანა არ შეუძლია, თუ არა საბოროტეთში“. მას ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ მოუსმენდნენ და კამთში მოტყუებას ვერ გაუბედავდნენ. სხვა საშიშროების არსებობა, რომელიც მგზავრობის დროს ქორივით დასტრიდილებდა თავს, აიქშია, ახლოს აღარ გაიკარა, ცრუმორწმუნესავით მისი სახელის ხსენებაც არ სურდა. და თუ უწინ, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა თავის ფრთის ქვეშ ირაკლი შეეფა-რებინა, ახლა ეს ინსტინქტი ფართო არეზე გავრცელდა: უმწეო და დამფრტხალი ქართველების შემყურეს მათზე ზრუნვა, მათი გამაგრე-ბა დაკაისრაო თითქოს.

ირაკლიმ როსტოვშივე გაიხადა უსამხრეებო სამხედრო ფრენჩიდა ჯიბეებიანი ბლუზა ჩაიცვა, რამაც ერთბაშად დაუკარგა სამხედრო შიხრა-მოხრა. რამდენიმეჯერ პანიკური განწყობისას შეეცადა გაემ-ხევებინა თავი. რაიმე გვეკაცურის გახსენებით, თუგინდ ფრონტზე ყოფნის ეპიზოდით, მაგრამ წარსული აწყობს ვერაფრით ენაცვლე-ბოდა და ისიც აღმოჩნდა, რომ გასახსენებელი არაფერი იყო. ფრონ-ტის ხაზზე გამოსვლის წინაღამე კოშმარულ სიზრებში გაატარა, დი-ლით კუჭი ეშალა, პოლკში დასადგურებულმა ზეაწეულმა ატმოსფე-რომ იძულებული გახდა თავი შეკავებინა და მაინც მისი ზედმეტად მხიარული განწყობა და ვითომ უდარდელი მოქნარება, მის ნერვი-ულ, აფორიაქებულ მდგომარეობას ამჟღავნებდა. ბრძოლის დროს კი თავის გადარჩენაზე ზრუნვამ უბედური მომავლის წარმოდგენის საშუალება არ მისცა და შიში თავდაცვის იმსტინქტში შეცვალა. მყუდროდ და ბედნიერად თავი მხოლოდ ჰოსპიტალში იგრძნო. ახლა კი, როცა ძალადობის უინით შეპყრობილი ადამიანების მასობრივ გა-



უგებრობას წაიწყდა, დაინახა, ომშ საუკუნეებით დამტკუფებულ  
გაციმოყვარეობა ისევ ეგოისტური ვნებების აყრით აიმღვრა და აწი  
თოთოეული მათგანის თავში სინათლის შეტანას რამდენიმე ქრისტი-  
ანული თაობაც ვერ მოახერხებდა — მისი პატრიოტიზმი, იდეალიზმი  
და კეთილშობილი მისწრაფებები ერთბაშად დაიმსხვრა. ირაკლი გა-  
ფუჭდა. ყოველგვარი აქტიური აზროვნების ხალისი წაერთვა. ისეთი  
გრძნობა დაეუფლა, თითქოს გაუვალ და ბნელ გამოქვაბულში აღმო-  
ჩენილიყოს.

წინა და უკანა მეზობლებს ხელჩაყიდებული, მათი უკმაყოფილე-  
ბის მოლოდინით დამტკრთხალი ბრზად მიჰყებოდა დინებას.

— მოიცა, დედა, ნუ დაიწყებ შენებურად, ნუ აღიზიანებ, აიკვი-  
ატებ რაღაცას, ბატონი ლადი მართალია, მაგათვან ყველაფერია მო-  
სალოდნელი, — წაიჩურჩულა მან ნერვიულად.

— ზუსტად იმას გვიზამენ, რაც განზრახული აქვთ, არც მეტსა და  
არც ნაკლებს, — ხმამალლა გამოაცხადა ქალბატონმა შუნიამ, ერთხანს  
გაჩუმებული მიღიოდა, შემდეგ თავის გასამართლებლად დასძინა: —  
მაგათ თავის გახეთქვამ, ლაპარაკქაც მოვიშლო!

ვალიკო ხშირად ფიქრობდა, ომშ სამყაროში ყველაფერი წინას-  
წარ არის გადაწყვეტილი, ყოველ სულდგმულს თუ მოვლენას, ბუნე-  
ბას და ნივთს თავთავისი დანიშნულება გაუჩინა ლმერთმა. ადამიანიც  
რაღაც მოწოდებისათვის არის შექმნილი და ადამიანის ცხოვრების  
აზრიც, როგორც გონიერი ქმნილებისა, ალბათ, იმაში მდგომარეობს,  
ამოიცნოს თავისი დანიშნულება, მისდიოს თავის მოწოდებას და ვალ-  
შოხდილი, დაკმაყოფილებული დაბრუნდეს იქ, საიდანაც მოსულა.  
ასეთი შეხედულება ვითომ აწესრიგებდა ირგვლივ ყოველივეს, მაგ-  
რამ თვით არადელი ვერაფერს გეტყოდათ თავისი დანიშნულების შე-  
სახებ. ერთი ეს იყო, ომშ ელოდებოდა რაღაც გამოცხადებას. მაგრამ  
დრო გადიოდა და გარკვევით ჭერ ვერაფრისთვის მიეგნო, ვერაფერი  
აღმოეჩინა. მერე უცებ მწველი აზრი გაიღლვებდა. შეაყოყმანებდა.  
გამოფატრავდა. გოლიათების მიერ გადარაზულ ცათაბჯენილ იღმალ  
დარიბჭესთან მიაგდებდა, უსუსურად გადაქცეულს ანადგურებდა:  
„იქნებ ტყუილია, მოჩვენებითი და შემთხვევითია ყველაფერი, იქნებ  
არაფერი არ არსებობს და მასაც არავითარი მოწოდება არ გააჩნია?!”

მას შემდეგ, რაც ნინომ ჩბილად მოუჭირა ხელი და ვალიკომ გა-  
დაწყვიტა, ბედისწერას მინდობოდა, გაიფიქრა, ომშ მათი შეხვედრა  
არ შეიძლება შემთხვევითობას მიეწეროს. იქნებ მისი მოწოდება სწო-



რედ უბრალო აღამიანობაში, ოჯახის შექმნასა და ამრიგადა როდიც  
დფთიური ესტაფეტის გადაცემაში მდგომარეობას? საინტერესო რაშ-  
არის ადამიანი, როგორც მოეხერხება, თავს ისე დააჭერებს. ახლა ვა-  
ლიკოს მსჯელობამ უკუღმა იწყო დინება. მართლაც და რატომ უნდა  
გაიქცენ და ასეთი დღიდი რისკი გასწიონ? რას ერჩიან? საბჭოთა მთავ-  
რობის მიერ ხელშორებილი საბუთები აქვთ. იგადმყოფები, ქალები  
და მოსულები არიან. მაშ რა უნდა დააბრალონ? და, რაც მთავარია,  
რაში სჭირდებათ...

მერე საიდანლაც წამოვიდა უშველებელი, კუპრივით შავი ღრუ-  
ბელი. გაიშალა და მოედო ქვეყნიერების, ატყდა ქარი, წამოვიდა თქე-  
ში. ყარაულებმა სცადეს ტყვეების რამენაირად თავმოყრა, მაგრამ  
ქუჩები წყლის ნიაღვრებით აივსო, წამში დიდ მდინარედ იქცა, შემ-  
დეგ წყალი ზღვასავით აიწია, შეერთდა და დაფარა ხმელეთი. აქა-იქ  
ტყვეებისა და დარაჯების თავები მოჩანდა. წოწოლს ცურვა არ  
სცოდნია, შველის ითხოვდა. ვალიკომ ქეჩოში დაავლო ხელი, ხის ცა-  
რიელ ჩემოდანზე გადაჰყიდა, სხვებიც ერთიმეორეს ეშველებოდნენ.  
სწრაფი დინებამ ტრიალით გააქანა ყველა, საღლაც შორეული ქვეყ-  
ნისაკენ. უმდეგ წვიმა შეწყდა, წყალმა იკლო და სულ მალე დაშრა,  
ყოფილი ტყვეებიცა და დარაჯებიც უკაცრიელ კუნძულზე დარჩნენ  
პირისპირ, რაღაცნაირად დარცხვენილნი უხერხულად უღიმოდნენ  
ერთმანეთს. რა გაეკეთებინათ, არ იცოდნენ, ვეღარაფრით მოეგონე-  
ბინათ, ვინ ვის რა მოთხოვნას უყენებდა, ვინ ვის სად უნდა წაეყვა-  
ნა... ახლა ვალიკომ მოუჭირა ხელი ნინოს, უქან ჩამოწოლილი მაფრა-  
შა მხარზე აიღო, გააწონასწორა, ნინოს ჩახედა თვალებში, იმედი-  
ანად გაუღიმა. ნინომაც მზერით მოუალერსა მის დორიული სვეტი-  
ვით მაღალ, ძლიერ კისერს, ხუჭუჭა წვერს, ამ რამდენიმე დღეში ლო-  
ყაზე ნაირევში რომ ჩახვეულიყო, ნათელ შუბლს, ოდნავ ქეხიან  
ცხვირს. ბრიალა წაბლისფერ თვალებს. ჭყინტი სიმინდის მარცვლე-  
ბივით ჩამწკრივებულ ჭაწყაწა ჭბილებს... ნინო უცნობ გრძნობას მო-  
ეცვა, თითქოს ქარი მიარბენინებდა და აღზნებულ-ატაცებულს ეს-  
ეს იყო გიწას მოსწყვეტდა. მისი ოჯახი, საღლაც შორს, ცხრი მთას  
ცეით, ბუნების რაღაც გარდაუვალი კანონის ძალით მასთან ყოველ-  
გვარი კავშირის გარეშე დარჩენილიყო და აგერ ორ შეტრში მყოფი  
უახლოესი ადამიანები უსისხლხორცო არსებებად ეჩვენებოდნენ.  
მხოლოდ ვალიკოზე ფიქრობდა, არა, კი არ ფიქრობდა, ხედავდა მას,  
რეალურად აღიქვამდა, მას მისდევდა. ნინო დარწმუნებული იყო, რომ

მათ უეჭველად დახვრეტდნენ. მერე და ბედნიერება არ გვალოს მალუბრალო სიკვდილს თავი დააღწიოს კაცმა, რაღაცას შეეწიროს და სიკვდილით მაინც მოიპოვოს სიცოცხლის აზრი? განა სანატრელი არ არის ასეთი გრძნეული სახით მოვლენილი დასასრული? მიუხედავად იმისა, რომ დღეს ან ხვალ მორჩება ალბათ ყველაფერი, დასჯამდე მანც მთელი საუკუნეა. რით განისაზღვრება დრო? ის კოცნა, რომელიც ვაგონის ფანჯარასთან შედგა, ნუთუ წლობით არ გრძელდებოდა? და ნუთუ ერთი წამი არ იყო მისი წარსული ცხოვრება — მთვლემარე ერთფეროვანი ზოზინი, ზედაპირული ინტერესების დაკმაყოფილება? და, საერთოდ, მას შემდეგ, რაც უკვე მოხდა, როგორ უნდა წარმართოს ახალი ცხოვრება? ქალიშვილის გახსენებით გამოწვეული გულის მარწუხებიც მოდუნებული მოეჩვენა, ახსნა-განმარტებაც მონახა: ქეთი ხომ ნახევრად სხვებთან იზრდებოდა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოკვდეს ადამიანი, ხომ უნდა დაემშვიდობოს ყველაფერს? და არა სჯობს, ახლა იმასთან ერთად მოხდეს, ვინც იმედს მისცემს, წაახალისებს, იამაყებს მისი საქციელით, გაიზიარებს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მის ხვედრს?! ერთად მიღიან ხელიხელჩაკიდებული, ტკივილნარევი სიამოვნების ბურანი უცნაურად აღაგზნებდა, ამჩატებდა. ცხოვრების ყოველი წვეთი ტკბილ და მომჟავო გემოს უტოვებდა, ახლა მას სჯეროდა, სწამდა, რომ მათი სამარადუამო ბედი, მათი სულების უკვდავების არსი ამ ამჩატებულ ქროლვაშია. აუცილებელი დაღუპვის მობჯენილი ლანდი, ყურთან მოტანილი მისი ცხოველი სუნთქვა ზარხოშად ტრიალებდა, თავზეზელაღებულ განშეყობას აღვივებდა. ნინოს უწინ სიკვდილზე იშვიათად უფიქრია. ეშინოდა და განზრახ არასოდეს ჩაპყოლია ამ აზრს ბოლომდე. ასე უფრო ოლი ჩანდა ცხოვრება, თუმცადა იცოდა, რომ ამ გზით სრულყოფას ვერასოდეს მიაღწევდა, ნამდვილად თავისუფალი და დამოუკიდებელი ვერასოდეს გახდებოდა. ამიტომაც ახლა ზეიმობდა, უკვირდა, თუ რარიგ ბუნებრივად, უფრო მეტიც, რაღაც სიხარულისმაგვარი ციებ-ცხელებით მიიღო და შეიგუა ოდესლაც შემაძრწუნებელი აზრი.

პროცესია ორსართულიან გრძელ, ყვითელ შენობასთან შეაჩერეს. დაწინაურებულ დარაჯებს სამხედრო პირები გამოეგებნენ. წოწოლამ რაღაც მოახსენა მათ და ტყვეები მეორე სართულზე ერთ დიდ ოთახში შეიყვანეს.

როცა ვალიკომ ოთახში სკამები და მაგიდა დაინახა, ნინოსთან ერთად ფანჯარას მიადგა, ზემოდან გადახედა გაშლილ შემოუკავებელ

მიღამოს. ნინო უფრო ოდამიანურ გარემოში იგულა, რაღაც მარტინ გორგაძე მა ჩერები დაუარა ტანში, მისდაუნებულად მიზანგამოცლილ გატაცებას მიჰყევი იმ ბავშვის შეგავსად, რომელიც ხატვის იწყებს, მერე კი სალებავებით მოხიბლული მხოლოდ ფერების შეზავებაზე გადადის და სულ ავიწყდება, თუ რის დახატვის აპირებდა. ნინო და ვალიკო დარწმუნებული იყვნენ, რომ მათთან აღარავს არაფერი ესაქმებოდა. გარკვევით არავისი არაფერი ესმოდათ. ისინი მხოლოდ ერთმანეთს შესციცინებდნენ, წინდახედულად ერთომეორეს სულ მცირე სურვილებს უგებდნენ და უსრულებდნენ. ყოველ მოხერხებულ დროს ერთმანეთს ეკვროდნენ. ქართველების იმპულსური მოძრაობები, განგაშარევი ცნობისწადილით რომ ელოდებოდნენ დააფრაკებული კარის ჭრაჭუნს, მათი შეწუხებული, ფრთხილი ჩურჩული, დაძაბული ნერვები, თითქოს შატარებლიდან გამოყოლილი, რაღაცის თანდათან მომატებული რიტმი ხვაშიაღს ამძაფრებდა. ნინოსა და ვალიკის სიტყვებს სინამდვილესთან სულ ცოტა კავშირი ჰქონდა. უფრო მეტიც, მათ არ იცოდნენ, ესიტყვებოდნენ თუ არა ერთმანეთს, ისიც ეგონათ, რომ ეს მოჯადოებული სამყარო ყოველთვის იყო და დაუსრულებლად გავრჩელდებოდა.

რაღაც ხმაური გაისმა და კარს მეზღვაურის ტანისამოსში ჩაცმული სახეაბრეცილი კაცი მოადგა სიით ხელში. მას აქეთ-იქიდან შემოესიენ, სთხოვდნენ მთლად უფროსი მოსულიყო და აეხსნა მათოვის, ას უპირებდნენ. ტყვევებისათვის შატროსს, წითელხელსაბამიან მუშას, შეთაურს თუ ჯარისკაცს — ყველას ერთი სახე ჰქონდა, საიდანაც გამოსჭვიოდა: ძალაუფლებით ტცბობა, სერიოზული საქმის შეგნება, შტრის არააღამიანად მიჩნევის წინასწარგადაშუვებილება. მართლაცდა, მათ გარშემო მყოფი ოდამიანები ჰვავდნენ ერთმანეთს, ერთი დედას — რევოლუციის ღვიძლი შვილები იყვნენ. ნამატროსალმა საზიზლრად დაიგინა და კარი ისე მაგრად შემოიჯახუნა, რომ ტყვევებს პირში ენა ჩაუვარდათ. ქალბატონი შუნიაც ასეთი ყოველივე შრეგადასული სიმდაბლისა და უდიერობისგან შეცბუნდა, გაფითრებულს დიდი თაგშეკავება დასჭირდა, რომ ისტერიკა არ დამართოდა, არ სცემოდა ცხვირპირში ამ ყბაჩუა მატროსს და დაუნდობლად არ დაეპორტყნა.

— То-то, привыкай к морскому порядку! — твъз ჩამოვაზნილი სიჩუმით დაქმაყოფილებულმა ნამატროსალმა, — Кого буду вызывать, забирай свой монатки и за мной!



პირველი სიაში ისევ არადელი ეწერა.

რაյი ამინდი ხელს უწყობდა, კონსტანტინე ორმა გვთავაზუგია „ტეპლუშკა“ სცენად და სადგურის „ბაქანი კი ამფითეატრად გამოეყენებინა. რევოლუცია მას დიდი მასშტაბებით, ხალხთა მასების მოძრაობით ხიბლავდა. იგი მასობრივი თეატრის, რომელიც ფართო აუდიტორიაში გამოიხატებოდა, მოშერე გახლდათ. აბა, როგორ გაუგებდნენ მას ელიტარული თეატრის მიმდევარი დედაქალაქის სნობები? ხალხთა მასების სულის ყამირის გატეხას, მშვენიერებასთან შათ ზიარებას ოვლიდა ახლა იგი არტისტის ჭეშმარიტ მოწოდებად. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი ის, რასაც აკეთებდა, ან რაც, ბედის უკუღმართობის გამო, იძულებული იქნება ჭერ კიდევ გააკეთოს — დროებითია, იმედი ჰქონდა, რომ ჩამოჰკრავს უამი და იგი შექმნის უწინამორბედო სახის დღი მონუმენტურ თეატრს. და, აი, მაშინ სახელმოხვეჭილი ჩავა იქ, დედაქალაქში, ქედს მოახრევინებს თეატრის მესვეურთ და გულგრილად შეხვდება თეატრალურ გენიად მის გამოცხადებას.

წარმოდგენის შოსაწყობად სადგურის ბაქანი კიდევ იმით იყო მოსახერხებელი, რომ რეკვიზიტის, კოსტიუმებისა და სახელდახელო დეკორაციებისათვის გამოსაყენებელი მასალა იქვე, „ტეპლუშკაში“ შოინახებოდა. ასე გადატანა-ყადამოტანის ხათაბალასაც ასცდებოდნენ, გარდა ამისა, თუკი სიბნელე მოუსწრებდათ, ორთქლმავლის ნათურებით შეძლებდნენ სცენის გაშუქებას.

დანიშნულ 4 საათისათვის ბაქანს უამრავი მაყურებელი შეეფინა: რკინიგზის მუშა-მოსამსახურეები, რამდენიმე მოქალაქე და, რაც მთავარია, კისლიაკოვი თავისი ჯარისკაცებითურთ. წითელხელსაბამით გამორჩეულმა მილიციონერმა და მუშა-აქტივისტებმა სადგურის შენობიდან სკამები გამოიტანეს, პირველ რიგად დაუდგეს კისლიაკოვს, გარმონისტს, ჩასპანდს და ერთიც თავისუფალი დატოვეს. დანარჩენი მაყურებელი ხის „ბაქანზე მოთავსდა, ზოგი ჩაიცუცქა, ზოგი დაჯდა, ზოგმაც მეზობლის მუხლს მიაყრინო თავი და ნახევრად წამოწოლილმა მახორება გააბოლა. ჯარისკაცთა უმრავლესობას დღეობაზე ან ბაზრობაზე თუ ენახა გადაცემული სკამაროხები, სოფლის აკრობატები და ვერტების თოჯინები, დრამატული თეატრისა კი არა გაეგებოდათ რა. ამ ნიაღაგზე ისინი ერთიმეორეს ექილიჭებოდნენ. ვისაც თეატრის-მაგვარი რამ ენახა, თავისი უპირატესობის გამომუდავნებას ცდილობდა, ვისაც უჩვეულო სანახაობის მოლოდინით გამოწვეული მლელვა-

რება სურდა დაეფარა — თავიშვებულად იქცეოდა და უადგილო ადგილას უხამსაღ იგინებოდა. ზოგს კი იმის შიშით — რაიმეამარამთხმანდრონ ამ „ტრეატრში“, თუ რაღაც ეშმაკის თავფეხიო, გათვით-ცნობიერებულად მოპქონდა თავი და მასხარად ასაგდებად თავისზე მეტ არიფს ეძებდა. მაგრამ ყველაფერი ეს გრძნობათა ზედაპირული გამოვლინება იყო, ჭეშმარიტი გულისყური ყველას ყურთამდე გაღებული „ტეპლუშკისაკენ“ ჰქონდა მიქცეული, სადაც იღუმალებით მოცული, ჭყეტელი ყვითელი ფერის დადღლეზილი ხავერდის ფარდა რჩეოდა.

წარმოდგენის დაწყებამდე ფარდის წინ სემიონ შოისეევიჩი გამოვიდა. ჩაახველა, ხმა გაიწმინდა, თავისი ჩვეული მკაცრი გამომეტყველება მიიღო, აუდიტორიის გადახედა, უზნეოდ წამოდრანცულ ერთორჩ ჯარისაცს შენიშვნა მისცა და მხოლოდ ამის შემდეგ, როცა ამ საქციელმა ნაყოფი გამოიღო და პირდამუწულმა მაყურებელმა სმენა მოიკრიფა, დაიწყო. მან კომუნისტთა თარგისდაგვარად გამოჭრა თავისი სიტყვა. სხვა რამ თავშიც არ მოუციდოდა. იგი ბაძავდა იმ მოარულ, მაგრამ უკვე დაკანონებულ სქემას, რომელსაც იყენებდნენ ბოლშევიკები დემაგოგიის კლასიური ფორმულის მიხედვით: წარსულის უარყოფით და მომავლის მიმზიდველობით აწყობში მოქმედების გამართლება. სემიონ მოისეევიჩმა ლანდრა და თათხა მეფის დამხობილი რეჟიმი, დროებითი მთავრობაც ზედ მიაყოლა, აქამ და ადიდა ოქტომბრის რევოლუცია, სხვათა შორის „მიმდინარე მომენტის ცოტაოდენ გაჭირვებაზე“ მიუთითა, ამის მიზეზად, რასაკვირველია, ცარიზმის ძნელი მემკვიდრეობა, მსოფლიო კაბიტალის ვერაგული ხრიკები და ხალხის შტრები — თეთრგვარდიელი კონტრრევოლუციონერები დაასახელა, მაგრამ ყველაფერ ამას სულ მალე ბოლო მოვლებაო, — შეპირდა იგი ხალხს, — და სამოთხის კარიც იმწამს გაიღება, როგორც კი სამოქალაქო ომში გავიმსრგვებთ. თავისი სიტყვა მან მოწოდებით დაამთავრა:

— გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას, ვაშა!

ვერ ვიტყოდი, რომ მაყურებელი ერთსულოვნად აპყვა სემიონ მოისეევიჩს, მაგრამ ფარდის უკნიდან გარმონის ძლიერი აკომპანიმენტით წამოწყებულმა „ინტერნაციონალმა“ თავისი გაიტანა და ბაქანზე სიმღერა გაიშალა. საკუთარი პიროვნების მაღალმნიშვნელობის შეგრძნებით კამაყოფილი სემიონ მოისეევიჩი სცენიდან მძიმედ ჩამოვიდა, კისლიაკოვის გვერდით დატოვებულ თავისუფალ სკამზე დაჭ-

და. დამთავრდა თუ არა სიმღერა, იდაყვების მკვეთრი გაქნევით გადაწეული ფარდის წინ შავ ტანისამოსში წარმოდგა ცონსტანტინების ტაძარი, რე წელში ზორხარა და ისე დაუკრა თავი მაყურებელს, შემდეგ თეთრი ხელთათმანიანი ხელები შალლა აპყარა, მთელი ხმით გამოაცხადა: „რევოლუციური პანტომიშა!“ „ტეპლუშებას“ სილრმიდან გაისმა გიტარის სიმების აწყობის ხმა, ნელ-ნელა იქაურობას რუსული ხალხური სიმღერის პანგები მოეფინა. ორი მკვირცხლად ჯერ ფარდის ერთ მხარეს ეცა და სწრაფად გადასწია, მერე მეორე მხარეს მიუბრუნდა და გაქცევით თან წაიყოლა. სცენაზე ცოცხალი პირამიდა გამოჩნდა. მუშის ტანსაცმელში ჩაცმულ მსახიობს, რომელსაც კისერზე პოლიციელი შეჯდომოდა, აქეთ-იქითკენ იატაკზე გაწოლილ გლეხი ქალისა და გლეხი კაცისთვის გაეწვდინა სელები. იქავე შემოჩახუნდა ანაფორიანი მღვდელი, მსახიობს ძლიერ გამხდარი სახე, წვრილი წაგრძელებული კისერი, ძვლიანი მხრები ჰქონდა, წინ კი უშველებელი შუცელი გამოჰყეროდა, ეტყობოდა ბალიში აეკრა სიმსუქნის წარმოსაჩენად. მღვდელმა ანაფორა ურიცხვი ქალის ჭასტით მუხლებამდე წამოიხადა, გაქანდა და ეგრევე შემოახტა პოლიციელს — თავი ვერ შეიმაგრა, ჩამოსავარდნად შეემზადა, ფეხები გაასავსავა, მაგრამ პოლიციელმა ხელები შეაშველა და იგიც მომლიმარი სახით ხურჯინვით ჩამოეკიდა ზურგზე. როგორც კი თავი სპშვიდობოს იგრძნო, მოხერხებულად მოიკალათა, მუხლამდე ტიტველი გაჩინიენებული ფეხები პოლიციელის მუცელთან გადაიჭიდო და ხერინვა ამოუშვე. ბაქანზე ისეთი სიჩუმე იდგა, ჯარისკაცები ყოველივე უცნაურობის მოლოდინში ისე იბლვირებოდნენ, რომ სცენის კუთხეში მდგარმა ორმა მაყურებელმა გადასძახა:

— გაიცინეთ, ამხანაგებო, ნუ გეშინიათ, გაიცინეთ!

შემდეგ ორი მარჯვედ შეახტა მღვდელს მხრებზე, მოსასხამი გადაეგდო, შავ ფრავში და ცილინდრში გამოწყობილი მილიონერ კაპიტალისტს განასახიერებდა. მუსიკა გაჩერდა. სცენიდან გლეხებისა და მუშის გმინვა გაისმა, რაც პოლიციის სასტვენის ხმამ და მერე ძლვდლის „ალილუიამ“ დაფარა. კაპიტალისტი კი ფულის სამი მოზრდილი შეკვრით ჟონგლიორობდა.

— გადმოაგდე იქეთ, ჩვენც დავიჭერთ, — დაუძახა ვიღაც გამანევებულმა.

— ეს ჭერენკებია, ყალბი ფული, ამით თქვენ უბედურების მეტს ვერაფერს იყიდით — „ფალშივომანეტჩიკბას“ დაგაბრალებენ, —

უბასუხა ორმა სცენიდან. მაყურებელმა კანტიკუნტად გაიცილება —  
დეგ შორიდან გარმონის წრიპინი გაისმა, მელოდია თანდათან გაძლი-  
ერდა, უკრავდნენ სიმღერას: „აღსდეგ, ბედშავო შრომის შვილო, ქვე-  
ყანა მშეერ მონების“. გლეხმა ქალმა და კაცმა დალონებული თავები  
წამოჰყეს, მიაყურეს სიმღერას, მუშაც გამოფხილდა და უცებ გა-  
რიეცალა პირაშიდას, პოლიციელი, კაპიტალისტი და მღვდელი ძირს  
დაეპერტყნენ, ფეხები აპლაკეს, შემდეგ კვანჭალ-კვანჭალით გაცივ-  
დნენ სცენიდან. მაყურებელი იცინოდა, შიგა და შიგ ტაშიც დაუკრეს.  
ფარდის წინ მარტო კონსტანტინე ორი დარჩა, ისევ შავი მოსასხამი  
ბოეცა და შავი ნიღაბი ჩამოეშვა თვალებზე, ისევ აღაბყრო ორივე  
ხელი:

— ეს ამბავი, რომელსაც ახლა შოგიყვებით და გაჩვენებთ, ნამ-  
დვილი მოსახლე საფრანგეთის რევოლუციის დროს, — დაიწყო მაღალ  
ხმაზე. — ამხანაგებო! საფრანგეთში ცხოვრობდა ორი და, ბრმა ლუ-  
რზა და ლამაზი ჰენრიეტა!

კონსტანტინე ორმა ნიღაბი მოიძრო და დენერისა და კერძონის  
შელოდრამა „ორი აბოლის“ შინაარსს მოჰყვა. იგი თანდათან როლში  
შევიდა. მისი აელვარებული თვალები ცალ-ცალე იჭერდა ყოველი  
მაყურებლის მზერას, ხმას ხან უმატებდა, ხან უცებ დაანჯლრევდა, და  
ჩურჩულზე გადადიოდა, ჯიქურ რაღაცას ყვირილით იკითხავდა, მერე  
კი თავისთავსე წყნარად უბასუხებდა. თხრობის იმ ადგილას, როცა  
ერთი და ჰენრიეტა საზიზლარი მარკიზის აგენტებმა მოიტაცეს, მე-  
ორე კი უსინათლო ლუიზა პარიზის ცარიზის ცარიელ მოედანზე მარტო დარ-  
ჩა — ორმა შავი მოსასხამიც მოიძრო და ჩურჩულით თქვა:

— ბნელდებოდა.

„ტეპლუშკაში“ თითქოს მართლაც დაბნელდა. სცენაზე ბორძიკ-  
ბორძიკით, ხელების ფათურით ქუთუთოებამოტრიალებული ქალი გა-  
მოვიდა, გაძამი მისი ნერგიულად შუღერი სასოჭარკვეთილი ხმა:

— ჰენრიეტა, დალამდა? ჰენრიეტა! რატომ არაფერს მპასუხობ,  
ჰენრიეტა!

ამ დროს შემოვიდა თმააბურძგნული, ტურტლიანი მათხოვარი,  
თალღითი და ბოროტმოქმედი მაღამ ფროშარი და კაცის ხმით იკითხა:

— ვის ეძებ, ჩემო კეთილო ბავშვო?

— ჩემს დას ჰენრიეტას, სულ ახლახან ჩემ გვერდით იყო, მეონი  
მოიტაცეს, რა ვქნა, რა მეშვეობა, სად წავიდე, მე ხომ ბრმა ვარ,  
ბრმა!



— ბრძანა? — ჰკითხა ფროშარმა და ხელი ჩავლო.

— არ წაყვე, არ წაყვე მაგას, — გაისმა ბაქანიდან. — ზელი გა-  
უშვი, შე ქოფაკო! — იყვირეს ჯარისკაცებმა.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ავანსცენაზე  
ორი გამოხტა:

— ამხანაგებო! ამხანაგებო, ნუ შევუშლით ხელს მსახიობებს, ეს  
ხომ თამაშია, სინამდვილე ხომ არ არის?

— აյი წელანა სთქვი, ნამდვილი ამბავიაო, — დარცხვენითა და  
უვედრებით ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— კი, მაგრამ ეს უწინ მოხდა, ეხლა კი არა ხდება, — უპასუხა  
ორმა. იგი მძვედა, რომ საშიშროებაშ უკვე ჩაიარა და განაგრძო მო-  
ყოლა. სცენის სიღრმიდან გიტარის ნაღვლიანი და მონოტონური მე-  
ლოდია ისმოდა, ორი თვალებს ხუჭავდა, ერთი კუთხიდან მეორეს  
აწყდებოდა, ამოოხვრასა და შეკივლებას სიტყვებს წყალივით მიაყო-  
ლებდა, უცებ უკან დაიხევდა, კვლავ წინ გამოიჭრებოდა, შედგებოდა,  
ხელებს თავში იცემდა, მუხლმოდრეცილი ღმერთს ეველრებოდა, ბან-  
ცალებდა, სიმთვრალეს იგონებდა, ბანდიტებს ბაძავდა, თვალები ისე  
ჰქონდა გადმოკარგლული, თითქოს ბუდიდან უნდა ამოგარდესო.

ბაქანზე ნელ-ნელა დაგუბებულმა ჩახველებამ, ცხვირის ფშვიტინ-  
მა იმატა და როცა „ტეპლუშქაში“ ისევ ცოცხალი სცენა გათამაშ-  
და, სადაც ძალად დაშორებული დები როგორც იყო შეხვდნენ ერთ-  
იანეთს — მაყურებელი ქურდულად იწმენდდა ღაპალუპით წამოღვ-  
რილ ცრემლებს, ზოგიც დაუფარავად ტიროდა. წარმოდგენა აჯანყე-  
ბული ხალხის ციხეში შეცვენით დამთავრდა და ყველამ — არტის-  
ტებმაც და მაყურებლებმა კიდევ ერთხელ იმღერეს „ინტერნაცი-  
ონალი“.

კისლიიყოვი და გარმონისტი დიდი ხნის წასულები იყვნენ, მათ  
წარმოდგენის მეორე ნაწილის დაწყებისათვის არც კი მოუცდიათ.  
სკამებზე მხოლოდ სემიონ მოისეევიჩი და სველი, დაწითლებული  
თვალებით ჩასანდი ისხდნენ. სიმღერა ჯერ დამთავრებული არ იყო,  
როცა სემიონ მოისეევიჩი ფეხზე წამოჭერა, მთელი ხმით ისე, რომ  
ხრინწიც კი ამოყოლა, შესძახა:

— მშრომელი ხალხის საქაშისათვის კონტრევოლუციის წინაალ-  
მდეგ იყავ მზად!

— მზად ვართ! — დაიგუგუნა ბაქანმა.

— ამხანაგებო, — განაგრძო მან დაჯერებული ტონით, — აქვე,



შესამე ხაზზე, ორთქლმავალი გადავიდა ლიანდაგიდან და თხრილი  
გასწორდი, აბა, წავედით! გაერთიანებული ძალებით შეჭირულო  
ლიანდაგი და ზედ ორთქლმავალი შევაგდოთ, ნიჩებსა და წერტებს  
შექანის გასასვლელთან დაგირიგებენ.

დასაშლელად ფეხზე წამომდგარი მაყურებელი უხერხულობაში  
ჩავარდა: ასეთი აღფრთოვანებული სიმღერისა და შეძახილების შემ-  
დეგ ამ კონკრეტული დავალებისთვის როგორ აერიდებინათ თავი,  
არადა ნამდვილად სიტყვაზე დაიჭირეს, ამ ერთი წუთის წინ იდეალ-  
თან ზიარება ასეთ პრაქტიკულსა და გამოყენებითს სფეროში გადა-  
ტყდა, მათი უკეთესი ზრახვები, რაღაც ვაჭრული სარგებლიანობით  
შეიჩაცხა, თითქოს სიყვარულის ახსნისას ქალი საქმროს შატერიალუ-  
რი მდგომარეობით დაინტერესდათ. ანდა ვინ არის ეს მეტიჩარა მე-  
თაური და რა უფლებით მბრძანებლობს?! ასეთმა გამოუთქმელმა აზ-  
რებმა ბურდოუნ-ბურდოუნი გამოიწვია ჯარისკაცთა ჯგუფში. ერთმა  
ჩაილაპარაკა კიდეც: Крепко Ванька печку склал!

მაგრამ ჩასპანდმა, რომელიც სიმიონ მოისეევიჩს ჩაღაცაზე თა-  
ვის ქნევით ემოწმებოდა, ხელად იგრძნო ეს გაუბედავი ჩოჩქოლი,  
მხრები შეათავაშა და დასჭყივლა:

— ლაპარაკი! რასაც გეუბნებიან, შეასრულეთ! სამუშაოს რომ და-  
ამთავრებთ, ვახშამს მიიღებთ.

ჯარისკაცები წერაქვებსა და ნიჩებს უხალისოდ და ზიზღნარევი  
გრძნობით იღებდნენ — მიზეზიც ჰქონდათ: ეს ის ნიჩები და წერაქ-  
ვები უნდა ყოფილიყო, რითაც გუშინ ქართველი კორნილოვცები სა-  
კუთარ საფლავს თხრიდნენ.

ტიუხინმა კარი ჩიკეტა. დივანზე ვერ ეტეოდა და ფეხები სკამზე  
შემოაწყო, პალტო წაიფარა. წუხელ მთელ ღამეს არ სძინებია, დღე-  
საც ვერა და ვერ მოიცალა, ზედოდა ერთი საათით მაინც მოეტყუ-  
ებინა თვალი. კმაყოფილი იყო, ყველაფერი კარგად წარიმართა. ისე-  
თი მოულოდნელი, თანაც ბუნებრივი გამოდგა, რომ კაზაქები, შარ-  
თალია, ეჭვითა და ჩმუჩვნით, მაინც ყველაფერში დაითანხმეს. არ  
სჭერდათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მათთან თანამშრომლობა,  
ქალაქში ასეთი სერიოზული ოპერაციის ჩატარებაში მათი შეამზანა-  
გება მოუნდა. ბოლო წუთამდე, ვიღრე ისა და გუროვი ცხენზე არ  
შესხდნენ, მეგობრულად არ გამოემშვიდობნენ, სულ ერთიმეორეს

რაღაცას ანიშნებდნენ, ხელებში, წელში და ჯიბეებზე უყურებდნენ. კარგი ჰქნა, გურიოს ეს თავის ჩამოკონჭიალებული პრიალა სახალი რომ მოახსევინა, ან რად უნდა ერთი... თვითონ იარაღი არ წაუღია, ჯიბის დანაც კი მაგიდის უფრაში დატოვა, სულ ერთია, თუ რამე მოძებოდა, ზარბაზანიც ვერ უშველიდათ. სერგეევის ბინაზე თავდასხმაც ეფექტური გამოდგა. მთელმა ქალაქმა შეიტყო. ისე კი ძალუროვარა კადეტს ზარტო ნიკიფოროვნაც მოერეოდა. იასაულ შატვევს ხვალვე საბჭოს წევრად აირჩევენ, Աქვებსაც რაღაც საქმეს მოუნახავენ. „ეს ყველაფერი კარგი, — გადმობრუნდა ზურგზე ტიუხინი, — მავრამ კისლიაკოვი? ალბათ, თავის ჯარისკაცებით ავიტბრივდის კონცერტზეა, ახლა მოხერხდებოდა მისი შეტყუება? წამოვიდოდა ნეტა? ჯარისკაცები რომ აბუნტდნენ? არა! კისლიაკოვის ლიკვიდაცია აღრეა. შიგ ვინმეს შეჭრაა აუცილებელი. ჯერ ამ ქართველებიდან გავთავისუფლდეთ. შათ რიცხვში ქალები და მოხუცები რომ რჩიან, არც ეს არის ცუდი. დახვრეტის ამბავი დამბლასავით უნდა დაეცეს ქალაქს, თუ გვინდა ჩვენი გადიოდეს. კისლიაკოვიც სოლიდაბრობას იგრძნობს და უფრო გვენდობა. საღამოს სახელდახელო პურიმარილი არტისტებთან. კისლიაკოვის დაბატიუება აუცილებელია, ამბობენ, არაყი უყვარსო. ქართველი ტიპვების საკითხი დღეს ვერარ გადამწყდება. ხვალ მაინც სიფხიზლეა საჭირო, კაზაკების თავკაცების ერთი ნაწილი ორქოფულ მდგომარეობაშია, მაგრამ დანარჩენები თუ შეიკრიბნენ, ვინ იცის, რას მოიმოქმედებენ; თუ არ შეიკრიბნენ, ვაშინ ქართველების საქმის გადადება აღარ ივარგებს“... სანამ შილი ძოერეოდა, ტიუზინს ერთმა აზრმა გაკვრა დამცინავად: რა იყო მაინც პეტერბურგში, საქუთარ სახლში, გაფუმფულებულ ლოგინში, ყოველმხრიდან იზოლირებულ, წყნარ საწოლ ოთხში ვერაფრით ვერ იძინებდა ხოლმე.

კარზე ფრთხილად დააკაცუნეს. ტიუხინს განძრევა დაეზარა. კაკუნი განმეორდა, მაგრამ ამჯერად უკვე დაუინებით. ეტყობოდა იმან, ვინც აკაკუნებდა, იცოდა, რომ ტიუხინი ოთხში იყო.

— ჰო! — შეეპასუხა იგი. — რა ამბავია?

— მე ვარ, გრაფინქა, მინა ვასილევიჩ! — გაისმა ჩურჩული.

ტიუხინი უწრაფად წამოდგა. გრაფინქა მისი ახალი, მაგრამ სამედო აგნენტი იყო, მილიციიდან შის მიერ გაშვებული, ვაჭარი ქალის ძევლელობაში ეჭვმიტანილი. მას დაავალა შინამ ჯარისკაცთა საბჭოს მეთაურების თვალთვალი.



- მინა ვასილევიჩ, სადგურის ბუფეტის უკანა ოთახში გრაფიკის გამოყოფილი არის, ქეიფობენ.
- მერე რა?
- მე ჩემით ვიფიქრე, ხომ არავის გამაყოლებდით?
- რატომ?
- მშენები ადგილია, ხშირად ვყოფილვარ მანდ, ეგ ოთახი სამშარეულოს უკან არის, ქართველ მებუფეტეს საპატივცემულო სტუმრებისათვის აქვს განკუთვნილი. ჩემი იქ შესვლა არ შეიძლება. მებუფეტე, ხომ იცით, აქეთაცა და იქითაც, თქვენიც არის და ჩემიც.
- რა ამისთანა აუცილებლობას წარმოადგენს მარც და მარც ახლა მათი დაყურადება?
- გრაფინკა გაჩუმდა, მერე გამომცდელად შეხედა ტიუხინს.
- აბა სხვა ამაზე უკეთესი მომენტი როდისღა მოგვეცემა? ორივენი მოვრალები იქნებიან, ერთი დიდი შტოფი არაყი მოატანინეს. ყველაფერს გაიგებდა კაცი, რაც თავში უდევთ. სამშარეულოში ამოქლილ ფანჯარას ღრეულიანი ფიცარი აქვს, ოთახიდან კი არ ჩანს — გინდაც მათთან ერთად ყოფილხართ.
- დიდი ხანია იქ არიან?
- არც ისე, მზარეული ბურვაჭს უკლავდა მე რომ აქეთ გამოვიდი.
- ხომ არავის ელოდებიან?
- ჯრისკაცები თეატრის შემდეგ ლიანდაგების შესაჭეთებლად შაიყვანეს, მერე სავაჭშოდ ყაზარმაში წავლენ ალბათ.
- ტიუხინი წამით ჩაფიქრდა. შემდეგ ტელეფონს დაავლო ზელი და როცა გააგონეს, ჩასძახა:
- ეგოროვი და ნიკიფოროვნა მოვიდნენ ჩემთან სასწრაფოდ!
- მაგრადიდან რევოლუციი ამოილო, ვაზნებს ჩახედა, ქამარში გაირწო.
- ცხენი გყავს?
- საიდან, მინა ვასილევიჩ, საიდან? — მოისაწყლა თავი გრაფინკამ. — ამხელა ქალაქში მშერი მგელივით დაეწანწალებ აქეთ-იქით.
- როცა დაგჭირდება, მოდი და გაგატან ხოლმე.
- აბა, ვინ იცის, როდის დამჭირდება, აი, ახლაც სირბილ-სირბილით მოვედი, რომ არ დამეგვიანებინა.
- ჰო, კარგი, შეგირჩევთ რამეს.
- თქვენ იმედზე ვარ, მინა ვასილევიჩ!
- ჩვენი თავლა ხომ იცი, სად არის?

— როგორ არა!

— ჩადი ჩქარია, ოთხი ცხენი მოამზადონ სასწრაფოდ! — და ძუ-  
ძულით გაქცეულ გრაფინკას მიაძახა: — ჩემი სახელით უბრძანე!

ტიუხინმა კიდევ დაატრიალა საველე ტელეფონი, გურიოვი მო-  
იყითხა, პასუხს დაელოდა, მაგრამ მისი ასავალ-დასავალისა ვერაფე-  
რი შეიტყო.

ოთახში წაჭრილ, შერებჩამოყრილ მაზარაში ჩაცმული ის ქალი  
შემოვიდა, ბუცხრიყიძეს რომ უთხრა — ქართული ვიციო. მაშინვე  
ჯახა მატრისმაც შემოჰყო თავი:

— მეძახოდით, ვასილიჩ?

— ჰო, მოღი, — ტიუხინმა გადაწყვიტა, ჯერ თავის გეგმა არ გა-  
ენდო, იცოდა, ტყუილუბრალო ლაპარაკის, უსაფუძვლო რჩევებისა  
და აღველვების მეტს ეს არაფერს მოიტანდა. ადგილზე გადაწყდება  
ყველაფერი. მით უმეტეს, რომ ჯერ ზუსტად თვითონაც არ იცოდა,  
რას აპირებდა.

— იარაღი თანა გაქვთ? — იყითხა მან და თავისი გრძელფალდე-  
ბიანი პალტო გადაიცა.

— რა საკითხავია, — აიჩეჩა დასტურის ნიშნად მხრები მატრისმა.  
ეზოში ცხენები შეკაზმული დახვდათ. შემხვდურთა ყურადღება  
რომ არ მიეცყროთ, ოთხივე მხედარი არცთუ ჭენებით, მაგრამ ქარება  
თოხარიერით გაეშურა საღვურისაკენ. ბნელდებოდა. ქალაქის უკაცრი-  
ელი ქუჩები ჩამკედარიყო, ირსად ფანჯრებიდან შუქი არ გამოკრთო-  
და. კორნილოვცების დახვრეტისა და სერგეევის ბინის დარბევის მი-  
თქმა-მოთქმაში, ჩინდში დარჩენა არჩიეს გარეთ გამოსვლის ხალის-  
დაკარგულმა მოქალაქეებმა.

ქალაქის ნორმალური ცხოვრების დროს, ალმათ, ვერ დაინახავ-  
ჯნენ, მაგრამ ახლა ტიუხინმა შორიდან შოპერა თვალი სადგურის მო-  
ედანზე თავისუფალ ირიგებად მიმავალ ჯარისკაცებს. მხედრებმა არ  
მოისურვეს მათთან შეხვედრა — გზის გადაუხვიეს, მოვლით მიაღწენ  
ვაგზლის შენობას. სადგურის უფროსის ფანჯრებთან ჩამოქვეითდნენ.

— მიდი, ნახე, ისევ აქ არიან თუ არა. ჩვენ აქ დაგიცდით, —  
მოკლედ უბრძანა ტიუხინმა გრაფინკას.

ლოდინი დიდხანს არ მოუხდათ. ტიუხინმა ეგოროვს და ნიკიფო-  
როვნას აუზნა, რომ გაერქვევიან თუ არა შექმნილ სიტუაციაში და  
რკინიგზის მილიციის უფროსს ნახავენ, შესაძლოა მათ მოუხდეთ ორი  
კონტრრევოლუციონერის დაპატიმრება. ეგოროვმა „მახორევა“ გაახ-



ვია და ტიუხინსაც მისცა მოსაწევად. ამასობაში გრაფინკაც და შემოსავა

და, ნანაც მოითხოვა თუთუნი და ჩურჩულით თქვა:

— იქ არიან, მარტონი, მოვრალები უნდა იყვნენ.

— სამზარეულოში ხომ არ შესულხარ? — იქე იკითხა ტიუხინმა და ისე გაუწოდა ნამწვავი გრაფინკას, რომ ეტყობოდა უკვე სხვა ასეზე ფიქრობდა.

— მაგას როგორ ვიზამდი, გარედან შევავლე თვალი, — მოქაჩა და ხველებ-ხველებით უპასუხა გრაფინკამ.

ტიუხინმა ნიკიფოროვნა ცხენებთან დატოვა, ეგოროვი და გრაფინკა ჩქარი ნაბიჯით თან წაიყვანა. სადგურის უფროსის ოთახს რომ მიუახლოვდნენ, ტიუხინი შეჩერდა, ორივენი ახლოს მოზიდა:

— აქაური მილიციის უფროსი უნდა მოვძებნოთ!

— ის არარუსი?

— პო! სასწრაფოდ სადგურის უფროსის ოთახში მოიყვანე! მოცა! მერე ეს წაგიყვანს ბუფეტში, იქ თავისუფალი სამიზნე ყოფილა, ამან იცის, ჩუმად შედით, ისე რომ მზარეულს ხმა არ ამოაღებინოთ, წყნარად ამოიღე მიზანში. გზას მე შევყრავ, გარედან ვერავინ ჩაერევა, ყველა გაფრთხილებული იქნება.

— მერე?

— რა მერე? — დაასწრო ტიუხინს გრაფინკამ. — ორივე მივუშვათ, მორჩა და გათავდა.

— დანარჩენი უთქვენოდ მოგვარდება, პირდაპირ ცხენებთან გამოიქცით.

ტიუხინი ოთახს მიადგა, შიგნით ლამპა უკვე იენთოთ, მაგრამ კარი დაყეტილი დახვდა. უსიტყვოდ. ჩქარი ნაბიჯით გაიარეს ბაქანი, საზორიგეოში შევიდნენ. ტიუხინმა ვერ დაადგინა, საღ შეიძლებოდა ყოფილიყო სადგურის უფროსი, ვერც ეგოროვმა მონახა მილიციის უფროსი. მაშინ ტიუხინმა მორიგეს მებუფეტე დააძახებინა. დამფრთხალმა მებუფეტემ ტიუხინის განკარგულებით სამზარეულოში ეგოროვი და გრაფინკა შეიყვანა, თვითონ კი, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, უმალ სამორიგეოში დაბრუნდა. ამ ხანობაში მილიციის უფროსსაც შეეტყო, რომ ეძებდნენ და მილიციელთან ერთად მოვიდა. ტიუხინმა ღმილით მიიღო იგი, სკამი შესთავაზა, შაგრამ მორიგესთან დაწყებული რაღაც უსაგნო მასლაათი არ შეუწყვეტია. მილიციის უფროსს არაერთხელ მოუხდა შეკვედრა „ჩეკას“ თავმჯდომარესთან და ყოველთვის ხინჭიანი იყო მათი დამოყიდებულება. ტიუხინი

კონკრეტულ საქმეს რაღაც უსაფუძვლო პრეტენზიებს უყოცებდა, მიზეზს ეძებდა. ისეთი ტონი ეჭირა, ვითომ მას, სხვათათვის მიუწვდომელი სახელმწიფო საიდუმლოების მფლობელს, უმნიშვნელო საბაზიც ეყოფოდა გვანი კაცის გასაფუჭებლად.

მილიციის უფროსმა მისი მოქცევა ახლაც ითავილა: მართალია, უზრდელოშა არაფრით გამოუჩენია, მაგრამ მორიგის იაფფასიანი ლაქუცი ამჯობინა მასთან საქმიან დამოკიდებულებას, ისიც კი არ აუხსნა, თუ რისთვის ეძებდნენ, მათი ბოლო შეხვედრის შემდეგ გაღაწყვეტილი ჰქონდა თავი დამოუკიდებლად დაეჭირა, პირველსავე ხელშაყრელ შემთხვევაში ეგრძნობინებინა ტიუხინისათვის, რომ, ჩეკა ჩეკა, მაგრამ სახალხო მილიციასაც თავისი სერიოზული ფუნქციები გააჩნია და კეთილი ინებონ ანგარიში გაუწიონ, პატივისცემით მოეპყრიან მათს საქმიანობას. ასე გადაწყვიტა, მაგრამ დღეს ამის დრო არ იყო. ქართველების გუშინდელმა დახვრეტიამ ეროვნულ კომიტეტს, რომელიც ქალაქის გავლენიანი ქართველებისგან შეღებოდა, თავზარი დასცა. სწორედ ერთი საათის წინ ისინი შეხვდნენ მილიციის უფროსს პეტიციითა და პირადი თხოვნით, რომ ახლა მაინც, როდესაც დანარჩენი ქართველები — ქალები, მოხუცები და ავადმყოფები — დაბჭოთა ხელისუფლების ხელში არიან, ახლა მაინც იღონოს მან რაენ, მოახერხოს ემ უდანაშაულო ადამიანთა გადარჩენა. ამიტომაც ერძნობებს აღარ აჰყოლია, გალიზიანება მებუფეტეზე გადაიტანა და ამ ქერძისმიანია, ლურჯოვალება, ერთი შეხედვით ტიპიურმა რუსმა სუფთა ქართულად იკითხა:

— რა მოხდა, ყმაწვილო, რა დააშავეთ?

მისი გამოჩენით იმედმოცემულმა ღიპიანმა მებუფეტემ რაღაცის ოქმა დააპირა, როცა ზედიზედ სამი გასროლის შმა გაისმა. ყველანი ფეხზე წამოცვიდნენ, კარებისაკენ დაიძრნენ, მაგრამ ტიუხინის მრისხანე შეძახილმა ისინი გააქვავა:

— დაჯექით! შენც შემოჟი აქ! — მთასავით დაადგა თავზე იგი ღია კართან ატუზულ მილიციონერს, კარი მოხურა და უკვე საქმიანად დასძინა: — აქედან ჯერ ვერავინ გავა!

„პიგნიკი“, როგორც ამ სახელდახელო პურ-მარილს დაარქვა გუროვმა, ბუნების წალის ნაცვლად მისსავე კაბინეტში მზადდებოდა. საწერი მაგილისთვის ზომცრო და ოდნავ დაბალი მაგიდა მიეღვით. ყვავილებითა და მტრედებით მოქარგული თეთრი მიტკლის სუფრა-



ზე უძვე გამოეტანათ: შემწვარი შინაური ძეხვი, მუავე ქიტრი, კომ-  
ბოსტო, ნიორი, მოხარულული დედალი, სურნელოვანი მრგვალი შალა-  
ლი პური, ორი შტოფი შინნახიდი არაყი, დიდი ქვაბი ბრაგა და ერ-  
თი ლიტრი მურაბით შეფერილ-შემტებარი არაყი ქალებისათვის. ქა-  
ლი კი 'მხოლოდ ერთი ჩანდა, თუ არ ჩავთვლით თვალციალა ახალ-  
გაზრდა გოგოს, რომელიც ჯარასავით ტრიალებდა, საიდანლაც მოჰ-  
კონდა თევზები, შაშხი, ხახვი, ჭიქები, ლამბები და სულ უმიზეზოდ  
კისეისებდა. ყველანი ღეხზე იდგნენ, მოშიებულებს ცალი თვალი  
სუფრისკენ ეჭირათ და ლაპარაკი ზერელე რეპლიკების გარდა არ ეწყო-  
სოდა. კონსტანტინე ორი ზურგისაკენ გადატანილ ტრიასტს ორივე  
ხელით დაყრდნობოდა და ჰედ ჩამომჯდარი ცდილობდა ზაზოგადო-  
ება დაეინტერესებინა:

— წარმოიდგინეთ ეს ჩვენი ჯარისკაცები რა საყვარელი, რა ზულ-  
უბრყვილო, რა ჩინებული მაყურებლები გამოდგნენ! არტისტისათვის  
უკითესი საჩუქარი წარმოუდგენელია. მაყურებლის ცრემლი, იცით  
ეს რა არის? ეს არ არის წყალი, არც მარილი ჭალ-ცალკე, არც ორი-  
ვე ერთად... — უცებ სუფრას გადახედა, ტრიასტი ოთახის კუთხეში  
მიაგდო, ხელები ზაშალა და მაგიდისაკენ წავიდა. — მეგობრებო,  
ჩალას ვუცდით, დავსხედეთ, — მიიპატიუა მან მასპინძლები. — სი-  
ტყვა სიტყვა, სანამ დავთვრებოდეთ, საკვებ-სანოვაგის ორგანიზა-  
ცია ჩავატაროთ, თორემ მერე დაგვავიწყდება, — მიუბრუნდა იგი  
სემიონ მოისეევის და ისეთი მოძრაობა გააკეთა, გეგონებოდათ ზურ-  
გზე სავსე ტომარა წამოიყიდათ.

— ზედმეტი ლაპარაკი არ არის საჭირო, ჩვენი სიტყვა კანონია,  
შეგპირდით — გავაკეთებთ, — დატუქსვის ტონით უპასუხა სემიონ  
მოისეევიჩმა.

— არა, — გაიმართლა თავი ორშა, — ჩომ ნახეთ, ჩემი ოტელო  
რა მჭლეა, ხუთი კაცის ტოლასა ჭამს, მაგრამ, ეტყობა, სოლიტერი  
ჰყავს, არ სუქდება, არც ლექავს. ერთხელ ერთ წამში, აი, ასეთი  
დედალი, სანამ მივიხედ-მოვიხედეთ, ეგრევე გადასანსლა. როგორ  
ძოახერხე-მეთქი? Ex, Костя, долго ли умеючи, на язык положил,  
за фип дернул и все в порядке, მეუბნება.

ოთახში ტიუხინი რომ შევიდა, სუფრას შემოსხდომოდნენ: გუ-  
როვი, სემიონ შოისეევიჩი, ჩასპანდი. დაბალსა და მაღალ მაგიდის  
შუა კონსტანტინე ორის ცოლი — მასხიობი შუსია ორი იჯდა. დაბალ  
მაგიდაზე მუსიას გვერდზე — ტიუხინისათვის უცნობი ახალგაზრდა,

მათ თავები ერთიმეორისკენ მიებრუნებინათ, ჩუმად იცინთანი, ზმადაბლა რაღაც ისეთზე ლაპარაკობდნენ, მათ შეტი ამ ნალაპარაკებულ უს შინაარსს რომ ვერ გაიგებდა. ტიუხინს არ გამოპარვია ვითომდა გაცხოველებული მუსაიფით დაკავებული შუსიას ნატყორცნი მზერა, მისი მასიური აღნაგობით აღფრთოვანებული, შიშნარევი ქალური ცნობისმოყვარეობა.

მინა უცნაურად აცუნდრუკებული იყო, რაღაც სიხარული ებჯანებოდა ყელში. სადგურიდან დაბრუნდა თუ არა, ხელ-პირი დაიბანა, სიცვლები გამოიცვალა, ძევთ ისე მოიჩინაროდა, როგორც დღეობაში. ატომილაც ზრდილობიან ატმოსფეროს 'მოელოდა, კეთილგანწყობილ ღიმილთა შესხვედრად მოემზადა, პეტერბურგიც მოაგონდა, ვალინტური მოქცევა მოუნდა. დაბალი მაგიდის თავში ორი ილუკმებოდა, თან რაღაცას ჰყვებოდა. ტიუხინს თვალი რომ მოჰკრა, ვითომ ლუქმი დაადგაო გულზე — ხველა ატეხა და ხელები მარაოსავით დაიქნია. თვალციალის ეს მასხარაობა ნამდვილი ეგონა, ჭიქით წყალი მოარბენინა. ორმა გამოართვა, დაყნოსა, ზიზლით უკან შეაჩეჩა, ცარიელი ჭიქი აიღო, არყით გააპიპინა, გაურჩეველი სახის გამომეტყველებით სულმოუთქმელად დაცალა და გადახედა მეინახეებს.

— რაღაც ძალიან საინტერესოს მოყოლეს არ გაცლით, არა? — ღიმილით შეებოდიშა მინა. ორმა თითქოს ახლა იგრძნო სასმელის სიმაგრე, დაიჭყანა, მერე გეგონებოდათ არაყმა გადარიაო, ხელი პისტოლეტივით შემართა: „პახ-პახ, პახ-პახ, პახ-პახ, პახ“ დაუშიზნა ქუურობას. ტიუხინს ხასიათი გაუფლეჭდა, არ შეიმჩნია, მაგრამ იდიოტურმა „პახ-პახმა“ ახალ სადღესასწაულო კოსტიუმშე ქონიანი საჭმელი რომ გადასხმოდა, ისე იმოქმედა.

— დავიწყოთ, დავიწყოთ, ამხანაგებო, რაღას 'ველოდებით, — შეხალისა გურიოვმა აწყობილი კაშპანია, დედალს ბარკალი იაგლიგა და მუსიას გაუწოდა.

— კისლიაკოვს არ მოვუტადოთ? — იყითხა მოუსვენრად მჯდომში ჩისპანდმა.

— ჩვენ დავპატიჟეთ, კაცი ვაუზგზავნეთ, თუ მოვა, მოვა, თუ არა და... — პასუხი აღარ დამთავრა სემიონ მოისევიჩმა, მომცრო ჭიჭაში არაყი ჩიასხა და არტისტული ხელოვნების სადღეგრძელო შესვა უველამ მას შიბაძა. შემდეგ განუკიიხავი სმა წავიდა, ვისაც როდის მოესურვებოდა, ისხაშდა და სვამდა. ისეთი ქრიაშული ატყდა, რომ ვერავინ ვერაფერს იგებდა, ყველას ლაპარაკი მოუნდა, ერთმანეთს

რაღაცას უყვიროდნენ, თავისივე ნათქვამზე იცინოდნენ. კონსტანტი-  
ნე ორმა შტოფს 'ჩამდენჯერმე ჭიქა შემოკრა და ოფიციალურად უ-  
ტყვეა მოითხოვა. სანამ 'სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა, იგი იდგა და  
მის გვერდით სკამზე სანახევროდ ჩამოშედარ თვალციალის, რომელ-  
საც მის დღეში აზრადაც არ მოუვიდოდა მასთან შეკამათება და ალ-  
ტაცებული ყლაბავდა ყოველ მის სიტყვას, კარგი ოპონენტივით აჯე-  
რებდა:

— არა, გეთაყვა; არასოდეს არ ელირსება დედაქალაქის თეატრს  
ასეთი წარმატება. აჯადემიურმა 'მაყურებელმა ერთი-ორჯერ თუ შე-  
მოკრა ტაში, იქაურ უნიჭო მსახიობებს ეს ბრწყინვალე გამარჯვებად  
შიაჩნიათ, დამიჯერეთ, ჰეშმარიტი თეატრი შაშინ არის, როცა სცენა  
და დარბაზი ერთიანდება — ამას ჸქვია მონუმენტური ხელოვნება.  
მასები, მასები სწყვეტენ ყველაფერს! ძვირფასო ამხანაგებო! —  
აიღ საგვა ჭიქა ხელში და ახლა კი ყველას მიმართა მან. — რა არის  
თეატრი, შესხვობის მოწოდება? განა ცხოვრება დიდი თეატრი არ  
არის? ყველა ხომ იმ 'როლს თამაშობს, რაც სურს და რისი შესაძლებ-  
ლობაც აქვს იმ წუთში, ყველა ხომ თავისი პარტნიორის დარწმუნე-  
ბას ცდილობს. ყველა ადამიანში ზის მსახიობური ბაცილა, ზოლოს  
და ბოლოს ყველაფერი თეატრია. ცნობილია, რომ ტირანები უპირ-  
ველეს ყოვლისა თავისი მსახიობური ნიჭის განვითარებას ცდილობ-  
დნენ. ნერონი, მეგობრებო, ნერონი! ყოველ ტირანში ზის მსახიობი.  
და, მე ვიტყოდი, ყოველ მსახიობში — ტირანი. ავიღოთ თუნდ  
ომი, — ამ სიტყვებზე ორი სერიოზული სახით შეჩერდა, ამოქნილი  
წარბები მნიშვნელოვნად შეიკრა და პაუზის შემდეგ განავრდო: —  
ი, რომ ამბობენ, ომის თეატრიო — ტყუილად ხომ არ ამბობენ? ან  
ავიღოთ თუგინდ ჯარისკაცები, ფრანგი გრენადერები, ეკატერინეს  
დროიმდელი სახელმწიფოები, ჩვენი კავალერია — ეს ხომ თეატრია.  
და, სერზოდ, მიშბაძველობა ადამიანის ფიზიოლოგიიდან მომდინა-  
რების, ადამიანის ზოოლოგიურ ფუნქციების ემყარება, ერთიანობის, გა-  
რგივების მოთხოვნილებაა, ეს კი ამტკიცებს სამყაროს ერთიანო-  
ბას... — და როცა მართლაც აუდიტორია სერიოზულად განეშვიო ხე-  
ლოვნების მოგვის ღრმა აზრთა შოსახმენად, ორმა მხარზე ვითომ  
შაშხანა შეიგდო, გულუბრყვილო ბავშური გამომეტყველებით გა-  
იშიმა, — ერთი, ორი, სამი, — ბრძანების ყილოთი შესძახა, ადგილზე  
მარში და სიმღერა წამოიწყო, მერე უცებ შეჩერდა, „თოფის“ მისა-  
ყუდებელი ალგილი ეძია, რომ ვერ მონახა, ძირს დაგდო, მიიხედ-

მოიხედა, დამნაშავესავით გაიღიმა და ხელი ჩაიქნია, მეტე ვთქომ  
ჩექმები გაიძრო, პიგაკი მუნდირივით გაიზადა, გრძელ, ჭრეტერამ მან-  
ჟეტებზე დაიხედა, ქურდულად ცოლისაკენ გააპარა თვალი, ამო-  
იხვეშა, პერანგი გადაიძრო. სუფრაზე გაიცინეს, ცილაცამ თქვა —  
ახლა შარვალიც თუ გაიძროთ, ორშა შარვალიც გაიძრო და როცა  
გრძელ ნიფხვაში დარჩენილმა ერთი ისეთი მოძრაობა გააკეთა, თით-  
ქოს ამასიც იხდიდა, სუფრაზე ხორხოცი გაისმა, თვალციალამ შეჭ-  
კივლა, ორშა მას შეხედა და ვითომ შეიცოდა, გადაიიღიქრა და ყრეხ-  
ვით წავიდა „მდინარისაკენ“, ორივე ხელი სასირცხვოს წინ ჰქონდა  
აფარებული. წყალში ნელ-ნელა, ფეხმოსინჯვითა და წონასწორობის  
დაცვა-ზნექით შევიდა. ჯერ ჭეშვებით ისველებდა მხრებსა და გულ-  
მკერდს, დებილივით იჭყანებოდა, სიამოვნებით ჰყიბინებდა, წყალი  
ცივი იყო და ეჩვეოდა, შემდეგ როვორც იქნა გარისკა, ერთბაშად  
ჩაბუქნა და იქვე ამოყო თაცი სუნთქვაშექრულმა, წყალნაყლაპმა,  
თვალებზე თმაჩამოშლილმა, შეშინებულმა. სუფრაზე ჰომერული სი-  
ცილი ისმოდა. ტიუხინი იშვიათად ჭვამდა, შაგრამ ახლა ესიამოვნა  
არაყი, თუმცა ხასიათი, მაინც გერ გამოუყეთა, შოადუნა. დაღლილო-  
ბა იგრძნო, მისდაუნებურად მოღუშული უყურებდა ორის ტინგიცო-  
ბას, შურდასავით ასეთი უდარდელობა, ალიზიანებდა წამოწითლე-  
ბული, აღზნებული სახეები, ხელსაყრელ მომენტს ეძებდა, რათა  
გუროვი გაექმო, შექმნილ მდგომარეობაში გაერკვია და თავის თახ-  
ში დაბრუნებულიყო.

ტიუხინის ქალაქის გარეუბანში ქერძო ბინა დაუქირავეს საცხოვ-  
რებლად, მაგრამ არ ეწყობოდა იქ ყოფნა, დღესაც იღარ ლორდა იმ  
ხიშორეს წასვლა. მუსია ორის გვერდზე მჯდომ ახალგაზრდას გურვი-  
მა გიტარა გადაიწოდა. ახალგაზრდამ შუბლზე ჩამოყრილი ჩალისფე-  
რი, გრძელი, გაფშივინებული ორა თავის შოხერხებული მოძრაობით  
უკან გადაიგდო, მრგვალი ნიკაპი მაღლა ასწია, თვალები დახუჭა, სი-  
მებს მძლავრად ჩამოჰქრა, ლამაზი შარიტონით რაღაც სიმღერა და-  
წყო. მუსიამ გიტარაზე ხელი აუკრა, საცეკვაო მოსთხოვა, ამღვრე-  
ულ, ჩალურჯებულ თვალებს კი გამომწვევად უბრიალებდა ტიუხინს.  
— რა მკაცრი ჩეკას თავმჯდომარე გყავთ, — უყვიროდა მუსია  
გუროვს აფორიაქებული სახით, — მე მინდა ვიციკვო, ის კი იპრან-  
ჭება.

შემდეგ მხრებზე მოგდებული თავშალი ორივე ხელით დაიჭიმა;  
ზემოთ ასწია, წელში ვნებიანდ გაიზნიქა და სიმღერით ჩამოუარა:

Я не хочу чай пить  
 из большого чайника,  
 а хочу я полюбить  
 «Гепеу» начальника, Эх, эх; эх...

მოულოდნელად მაგიდას ჩასპანდი გადმოევლო და ისეთი ბუქნით  
 აჰყვა მუსიას ქუსლების შმამალალ ბაკუნს, ერომ საყოველთაო აღ-  
 ფრთოვანება გამოიწვია.

— მიღი, კიდევ მიღი! — შესძახეს მაგიდიდან თავის ადგილას მი-  
 გრუნებულ ჩასპანდის. მაგრამ ამ დროს ოთახში წოწოლა შემოვიდა  
 და დაბნეული სახით გამოაცხადა:

— კისლიაკოვი მოკლეს.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. გუროვმა და სემიონ მოისეევიჩმა ტი-  
 უხინს, შეხედეს ერთდროულად. ჩასპანდი წამოიჭრა, სწრაფად მოავ-  
 ლო თვალი, ოთახში შეყოფთ, უცებ დაჭდა, შემდეგ ისევ წამოხტა,  
 მხერები შეათამაშა, მაგრამ მის ახლოს მდგარმა გუროვმა ზურგზე ხე-  
 ლი ნელა დააჭირა. ჩასპანდი ისევ ჩავდა, სწრაფად თავი თევშში  
 ჩარგო, აითქოს ვიღაცა გოსლევსო, ჭამა დაიწყო. შსახიობები ვერა-  
 ფერს მიხვდნენ, აღარც დაინტერესებულან. ახალგაზრდას გიტარა  
 გადაედო, გაბრაზებული მუსიას აკავებდა, რომელიც ტიუხინისაკენ  
 მიიწევდა და ერთი და იგივეს იმეორებდა:

— Костя, разреши с начальником поцеловаться!

კონსტანტინე არი კი, უკვე ქარგა გამოპრუნებული, ახალგა-  
 ზრდას ტუქშავდა:

— Чего ты лезешь, твоя что ль жена, я разрешаю.

ტიუხინი ადგა, გუროვს, თავით ანიშნა — გამომყევიო და თავის  
 კებინეტში წავიდა. ოთახში მხუთრის სუნი დახვდა, მორიგეს ლამპაც  
 აენთო. გარეთ ქარი სისინებდა. მინამ ფანჯარა გამოალო, ჰაერი გა-  
 ანიავა. მუსია ორის საქციელმა სტეპანიდა მოაგონა. გარეგნობით რი-  
 თიმე კი არ მიაშეგასა ამ ბოზანდარას, ურცხვად გამოვლენილი აქ-  
 ტიურობა იცნო. მაშინ იგი ფეხში შეუბუქად დაჭრილი და ფრონტი-  
 დან ახლად დაბრუნებული იყო, გადაწყვეტილი ჰქონდა აღარ ემსა-  
 ხურა ჯარში, მაგრამ თავგზააბნეულს რა გაეკეთებინა, როგორ ეცხოვ-  
 რა, ჯერ არ იცოდა. მის თეორიას, რასაც ჩასჭიდებოდა ამდენ ხანს,  
 საფანელი დაპერებოდა, ისევ ყოყმანის მონობაში იყო ჩავარდნილ  
 და უსაფუძვლო შიშის შეტევას ელოდა. ერთხელ ტიუხინების ძველ



სახლში რომ მივიდა, სადაც მისი ახლადგათხოვილი დასტეპანესტია  
პანიდა ცხოვრობდა, თავის ქმართან ერთად, შემთხვევით ვიღაც ხრი-  
კოჭა და უშნო ჭაცთან შეასწრო მას. სანამ მინა აზრზე მოვიდა, ჭაც  
გაიპარა და მინას ნახევრად ტიტველი და თავხედურად მომზირალი  
სტეპანიდა შერჩა ხელში...

დერეფანში რაღაც ხმაური გაისმა და ისევ მიჩუმდა. არც გურო-  
ვი და არც სხვა ვინე მოსულა მასთან. გაბრაზებული გარეთ გამოვი-  
და. სემიონ მოისეევიჩის ოთახის შეღებილი კარიდან მისი ხმა ის-  
მოდა:

— ის რომ მეფის ჯარის როტმისტრი და გიორგის ჯვრის კავალე-  
რი გახლდათ, არც ეს იცოდით, გამოდის, რომ მამაჩემმა, კიშინიოვის  
უღარიბესმა ებრაელმა, არ იცოდა, მე ვინ ვიყავი!

მინამ ოთახში შეიხედა, მაგიდაზე ხელებში ჩარგული ჩასპანდის  
მელოტი თავი პრიალებდა, მას ზურგიდან სემიონ მოისეევიჩი წამოს-  
დგომოდა, გაალმასებული ჩასპანდს აღანაშაულებდა რაღაცაში.

— სემიონ მოისეევიჩ, წილით ოთახში, კარი ღიაა, გუროვს ვნა-  
ხავ და ახლავე დავბრუნდები.

და როცა სემიონ მოისეევიჩს შეხედა, მის უხმო შეკითხვას თვა-  
ლებით გასცა ბასუხი: „ჰო, ეგეც წაიყვანეთ“.

ტიუხინ მშეუტავი ლამპით განათებული დერეფანი ჩათავებული  
არ ჰქონდა, როცა მატარა ჩაბნელებული ოთახიდან კაცის მიყრუ-  
ებული ხმა, ქალის ჩუმი კუჭიჭუჭა სიცილი და შარიშური შემოესმა,  
მყვახედ გამოაღო კარი, კედელთან ერთმანეთზე მიჭყლეტილი მუსაა  
და გუროვი დაინახა.

— დასწყილოს ეშმაქმა, გუროვ, მე გელოდები, შენ კი აქ... —  
შეიგინა და გამოიჯახუნა კარი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტიუხინთან ოთახში გუროვი, სემიონ მო-  
ისეევიჩი და ჩასპანდი ისტრენ. ჩეკას, თავმჯდომარე ყოველგვარი ახ-  
სნა-განმარტების გარეშე, პირდაპირ საქმეზე გადავიდა და ჩასპანდს  
გამოუცხადა, რომ ჯარის შეთაურად, კისლიაკოვის მაგიერ, მას და-  
ნიშნავენ. ამისათვის საჭირო ჯარისკაცთა საბჭოს გადარჩევა, რამე-  
თუ ძველი საბჭო კონტრუევოლუციონერ კისლიაკოვის გავლენის  
ქვეშ იმყოფებოდა. არჩევნებს ქალაქის ბოლშევიკები, რევოლუცი-  
ური სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები და ესტრებიან და მი-  
ტინგსაც ჩატარებენ. ახლა კი უპანიკოდ, წყნარად კონკრეტული ღო-  
ნისძიებები არის გამოსამუშავებელი. სემიონ მოისეევიჩი ჰქუის სწავ-



ლების უინის ნაკლებობას არასდროს განიცდიდა, ნასვამი კი ქაზათადი იყო დავაძლენილი, ერთი და იგივე მოსალოდნელი სიტუაციების გა-  
საშიფრად უოველ წვრილმანს ახალ-ახალ მნიშვნელობას ანიჭებდა,  
მით უმეტეს, რომ გურიოვი თავს დამნაშავედ გრძნობდა და კვიმატი-  
ანობით ხელს არ უშლიდა. ტიუხინს მობეზრდა ეს გაჭიანურებული  
ლაილაი, ჩასპანდი სასწრაფოდ ჯარისკაცთა ბარაკებში გაუშვა, სემი-  
ონ მოისეევიჩსა და გურიოვს უთხრა, — მეძინება, წვალ დილით შე-  
ვიყრიბოთ და ქართველი ტყვევების საქმეც წვალ გადავწყვიტოთ. მი-  
ნას მართლაც ძლიერ ეძინებოდა, სასწრაფოდ გადაჭეტა კარი, ჩაქ-  
რო ლაშვი, გაუქდელად მიეგდო დივანზე. ზაფხულის შხაპუნა წვიმა,  
თვშესაფრის სათხოვნელად ფანჯარას აწყდებოდა. ზედმეტად გა-  
დაღლილ მინას ძილი არ მოეკიდა...

სტეპანიდამ სანთლებიან შანდალს დაავლო ხელი, ჩაბნელებული  
საძინებელი ოთახის ფარდები გადასწია, კარი გააღო, უხმოდ შეიძა-  
ტყა მინა.

— მიყვარს ელვა, — წამოიძახა მან, სწრაფად დადო შანდალი  
მჩგვალ მაგიდაზე, ფანჯარასთან მივიდა, ორივე დარაბა გამოაღო,  
ველურად გადაიზნიქა, თითქოს ამ უკუნეთში გადახტომა მოისურვა,  
შემდეგ ზურგითვე მდგომა, უკან შეკრული ხშირი თმა ხელის შეუმ-  
ჩნეველი მოძრაობით ჩანჩქერივით ჩამოიშალა ზურგზე, გაიზმორა და  
გაიჩერა, შემოტრიალდა, გაელამებული თვალებით შეხედა მინას, წა-  
იხურჩულა: „ცოტა წნის შემდეგ შემოდით“. საღერლელაშლილ მი-  
ნასათვის ამ გადადებამ ისევ ის წინაუქმობის, ეჭვისა და თავის თავ-  
ში დაურწმუნებლობის გრძნობა გაულვიძა, რომელიც ამ ბოლო ხან-  
ში ქალებთან ურთიერთობისას დასხემებოდა, ამავე დროს რაღაც  
შევებაც იგრძნო. ბოლოს და ბოლოს მას შეეძლო სულაც აღარ შესუ-  
ლებაც გარდა მთავარია, ნათესიობა. თავის ოთახში შევიდა, ლოგინზე  
წამოწვა, პაპიროსი გააბოლა, ისევ უმიზეზო შიშმა დაუარი. გადა-  
წყვიტა ჩაქრო სინათლე და დაეძინა, თუკი შეძლებდა. არ უნდა  
აყვეს სულელ გოგოს. სწრაფად გაიხადა, თან ვითომ სტეპანიდაზე  
ბრაზობდა, გულის სიღრმეში კი — თავის თავზე. ჭექა-ქუჩილი არ  
ცხრებოდა. მეყსეულად ულრან ტყეში წარმოიდგინა თავი, ტიტველი,  
შხაპუნა წვიმის ქვეშ, ხელაბყრობილი ლმერთებს ემუქრებოდა. ელ-  
ვით განაცემული. გამოქვაბულიდან ასევე ტიტველი სტეპანიდა და-



ინახა — მას გაურბოდა. მინა კი ელვას უცდიდა, რომ გულმარტებულა  
თვალი და გამოდევნებოდა. მისი გაბიბინებული გულმარტი, მრევა-  
ლად გამოთლილი თეძოები, ღონივრად აკანკული ფეხები თვალში  
ედგა. შემდეგ გულისფანჯილით წამოლება, ჭერაც გაუთვითცნობი-  
ერებელ ყრმასავით ფრთხილად მიადგა სტეპანიდას ოთახის კარს.  
ფარდები გაშალა თუ არა, თვალები კაშკაშა ელექტრონის სინათლეშ  
დაუბნელა. ეს ისე შოულოდნელი იყო, რომ მინას გული მოუვიდა,  
რგო ჩაუცმელი მიიპარებოდა და ანაზღაუდ... სტეპანიდა იცინოდა, მას  
საწოლი ლია ფანჯარასთან მიეწია და განიერ, დაბალ, ფაშფაშა ლო-  
გინში ჩაგორებულიყო, ხელში წიგნი ეჭირა.

— რა არის ეს, რას გაგიბრდლვიალებია აქაურობა?

— მოდი აქ, ჩამოვევი — პასუხის ნაცვლად ლოგინთან მოიპა-  
ტიუა სტეპანიდამ. — უჰ, რამხელა ხარ, ასეთ დიდ მამაკაცთან კე-  
არც ვყოფილვარ.

მინა ჩამოვდა ლოგინზე, წიგნი გამოართვა, მერე ერთბაშად ყვე-  
ლაფერი აირია...

დღეს ტიუ სანადიროდ არ წაპყვა თავისიანებს. მართალია სხვის  
თვალში საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ თავად იცოდა, რომ  
დაიარებული წვივი უკვე მოურჩა, ტკივილი ჭერ კიდევ შუალამეს  
შორება, ჩირქი ჭრილობიდან გამოირწყა და მყვდარივით ეძინა. ალი-  
ონზე სამზადისძს ყაყანმა გამოაღვიძა, ბურუსში ფაციულით იჩე-  
ოდნენ შეყოვნებული, ქალები საგზალს აჩეჩებდნენ მიმავალთ; კა-  
ცები ყვიროდნენ, ერთიმერეს ექიმებოდნენ; ხევიდან ბელადის  
საყვირის დაუინებული შმა გაისმოდა, ამჯერად დაწყნარებულად შე-  
ეძლო გამოჰყოფოდა ლაშქრობას, არიდებოდა კლდე-ლრეში წოწი-  
ლს, თავდაცების კიუინს. ყველამ იცოდა, რომ იგი ავად იყო, ყურად-  
ლებას არავინ აქცევდა, ის აზრი, რომ მხოლოდ თავის თავთან დარ-  
ჩებოდა, უსაზღვრო სიამოვნებას. ჰეგრიდა. დათვის ტყავში მოხერხე-  
ბულად გაეხვია და გაზარმაცებული სანუკვარ თვლემას მიჰყვა. მღვი-  
მის შემოსასკვლელში ჩამოშვებული გაზიფხულის შხაბუნა წვიმა ქა-  
რისგან წაზექილი, მზარდი ლერწამივით ცაცკახებდა, აჩქარებული,  
სადღესასწაულო დაფლაფების რიტმით ცეკვავდა გამოქვაბულის სა-  
ლი კლდის შუბლზე, მსუყე, ცინცხალი ჰაერის ნამიან გუნდებს ისრო-  
და დახუთულ სადგომში. შემოსასკვლელში წვიმის ფარდამ ქალის  
შიშველ მოსხლეტილ ნახაზად დაიწყო დენა.

— სიუ ტიუ! — გაისმა სისინა ხმა. ტიუ, ფიცხლად წამოვდა. —

სიუ ტიუ! — წერიალით შემოსძახა ქალმა, გადაიკისკისა და მომავალი მიეფარა. ტიუ გამოქვაბული იდან გამოვარდა, დაედევნა, მაგრამ ქალმა გაუხელნავი ცხენივით აწყვეტილიყო, სდია და იმედი გადაუწყიდა, ფეხი შეანელა, ქალიც გაჩერდა, გამოხედა დაყველრებით, შემდეგ კვლავ გაიჭია, მაგრამ უფრო ნელა. ტიუმ მთელი ძალა მოიკრიბა და ვიდრე ქალი კიდევ სხვა თამაშს დაიწყებდა, არწივივით დააცხრა თავზე. ცალი ხელი წელზე მოხვია, შეხტა, უზარმაზარი ხის მოზრდილი ტოტის წვერი მეორე ხელით ჩამოსძლია, სულ მეტად და მეტად მოიცია, უცებ ქალი შეატოვა და უკიდურესად გაძალიანებული ტოტი აუშვა. ტოტი ავარდა, რეტდასხმული ჩაბლაუჭებული ქალი პიტარა. ქალმა ჯერ შეპყივლა, მაგრამ როდესაც ცაში აიჭრა და ქანაობა დაიწყო, სული მოითქვა, სიამოვნებით ამოიგმინა; ტიუ გაქანდა, კვლავ უცემდა კენწეროს, ისევ მიწამდე მოლრიკა, ისევ უეცრად აუშვა და თვითაც შეახტა ტოტის წელგამართულ შხარეს. სემ ერთ-ერთ ეს ააფრიალა გადაჭდობილი ტიუ და ქალი, მერე დამიმდა, თითქოს მოსატეხად განეწირაო, მოუქნელად წამოვიდა ძირს...

მინა გახარებული იყო, რომ აბეზარი აზრი თავისი მამაკაცური სისუსტის შესახებ თავიდან მოიცილა. ფანჯრიდან წვიმის შხეფები და სუფთა ჰაერი ეფინებოდა გახურებულ სხეულს. სიამაყის გრძნობა დაუღლებოდა არა დაინალური ვითარების გამო. უძირო უფსკრულს წამიერ გამნათებელ მოვლენად, უხილავი ძალის, ღმერთის თავისუფლების გამოვლენად ეჩვენებოდა სოციალური ნორმის დარღვევა. სამყაროს მთლიანობაში მონაწილეობის უტყუარ საბუთა ელანდებოდა სტეპანიდას მცერივი ბარძაყები, თავანკარა წყაროსთან ზიარებად, სამყაროს პირველიაწყისის მიგნებად მიიჩნია სისხლის ოლრევა. „ცხრამეტი წლის არც არის ჯერ, — ფიქრობდა მინა, — ია მე, ორმოც წელს მიახლოებულ კაცს, შემწყნარებლურად მექვევა“, და თითქოს მის აზრს უბასუხაო, სტეპანიდამ სერიოზულად თქვა: „ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალი თაობების დამაკავშირებელია“. სტეპანიდას რაზედაც კი უფიქრია, ჩანდა, ყველაფრის თქმა ერთბაშად მოუნდა, ჰყვებოდა და ჰყვებოდა, ენა არ გაუჩერებია. მინა კი უსმერდა, და ზოგიერთმა მისმა ნათქვამშა თავისი მარტივი ლოგიურობით გაკვირვა.

— დღამიანი ნივთიერად, თავისი დაბალებით სიამოვნების ექსტრაქტით და როცა ცხოვრების წყალში იხსნება, ბუნებრივია, თავისი



არსებობის უპირველეს ფუნქციად სიამოგნების, მოპოვების უპირველი ჰქონდეს.

რამდენიმე სასიყვარულო თავგადასავალი შოუყვა. მინას აინტერესებდა კიდეც და სწყინდა კიდეც, ალბათ, არ სტყუოდა, ასეთი გულახდილი არასოდეს არავისთან ვყოფილვარო.

— ეგ ვლადიმირია თუ რაღაც ჯოჭო, ეგ, როგორ მოგეწონა? — იყითხა გაბუტულივით მინამ.

— არა, კი არ მომწონს, მაინტერესებს, მართალია თუ არა, რასაც მაგაზე ჰყვებიან.

— რას ჰყვებიან?

— ამბობენ, ვითომ ცნობილი პეტერბურგელი ლამაზმანი, ბარონესა N არავის უარს არ ეუბნება, ვინც ერთ ლამეში გადაიხდის ათი ათას მანეთს, ჰოდა, მოსკოველ სტუდენტებს თუმან-თუმანი დაუდვიათ და შეუგროვებიათ ათი ათასი მანეთი. იმისთვის, ვინც ბარონესასთან გაატარებდა დამეს — კენჭი უყრიათ. ეს ბედნიერი კაცი ვლადიმირი აღმოჩენილა, ბარონესას მიუღია იგი და დილით გამომშვიდობებისას უკითხავს — ვინ მოგცა ამდენი ფულიო. ვლადიმირს ყველაფერი უამბნია, არაფერი დაუმალავს. მაშინ გაშოილო თურმე ბარონესამ კარალიდან ვლადიმირის შიტანილი ფული და იმ ფულიდან ერთი თუმნიანი დაუბრუნა მას. თანაც უთქვამს — შენ პირველი მამაკაცი ხარ გისაც მე უფულოდ დავნებდიო.

— მერე შენ რამ დაგაინტერესა?

სტეპანიდამ ეშმაკურად ჩაიცინა:

— არა, კიდევ რაღაც მაინტერესებდა, ჩემმა ქმარშა მიამბო...

— რა?

— ვლადიმირის გიგანტიზმი.

— აბუეტი ყოფილა შენი ქმარი.

— რა თქმა უნდა, ტიუხინების ძალას ვერ შეედრება, — თქვა სტეპანიდამ და მინას შემოექრა. მინა ჩაეფლო ფუმფულა ლოგინში, მთელი მსოფლიო თბილ და სასიამოვნო საფუტქრედ წარმოიდვინა, ტკბილმა ბურანმა დაუარა და ყველა ფიქრისგან თავისუფალმა უდარდელად დაიძინა...

ერთი ისეთი იშექა, ისე განათლა ტიუხინის კაბინეტი, თითქოს ეზოში ხანძარი გაჩნდათ, „დაღახვეროს ეშმაკმა“, — გაიფიქრა მინამ. მოზავებული მოგონებები განდევნა, ეძინა თუ ელვიძა, ისიც ხეირიანად ვერ გაეგო, გვერდზე გადაბრუნდა და საბოლოოდ განეწყო და

საძინებლად. ერთხაშიც ბუფეტიდან გამოტანილი კისლიაკებული გვერდი წარმოუდგინ თვალში, მაგრამ შეშფოთების ნაცვლად აღსრულებული მოვალეობის კმაყოფილმა თვითშეგნებამ იჩინა თვით, სანამ დალი საბოლოოდ მოიტაცებდა, გაიფიქრა: „ოჰ, მაგ უბედურებმა რომ იცოდნენ, რამდენი მსხვერპლია ჯერ საჭირო“...

ქართველი ტყვევი მეორე სართულზე იშვე თოახში დატოვეს. არადელი კი, რომელიც ეგოროვმა, სანამ სარდაფში ჩაკეტავდა და კარებთან მედილეგეს მიუჩენდა, ვიღაც ვიმნაზისტის ტანსაცმელში გამოწყობილ გამომძიებელთან შეიყვანა, ეტყობა, საჩვენებლად. გამომძიებელმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ვალიკო, არაფერი ჰქითხა. აღმოჩნდა, მას და ეგოროვსაც არა ჟქონდათ ერთმანეთთან სხვა საქმე, თუმცა არადელის თვალის ასახვევად რაღაც მიყიბ-მოკიბეს. სარდაფი ვიწრო, უსარკმლო იყო, სამაგიეროდ ერთი კედელი თბილი გამოდგა, ზემოთა თოახში ბუხარი თუ ენთო. ჩახან ნინოს ასე სურდა, ვალიკო დინებას მიჰყოლოდა: არც რამ უკითხავს და არც პროტესტი გამოუტადებია. თავის დღე და მოსწრება სულ რაღაცას ეწინააღმდეგებოდა, სულ რაღაცას ეძებდა, ხლაფორთობდა, სამკვდრო-სასიცოცხლო გადაწყვეტილებებს იღებდა; ახლა მოსწონდა კიდევ ასეთი უდარდელობა. შემოსვლისთანავე ჩექმები გაიხადა, გამობარ კედელთან თავქვე ამოიდო, ჭურქში გაეხვია და წამსვე ძილს მისცა თავი. დიდი დრო როცა გავიდა, რამდენიმეჯერ გადაბრუნდებადმობრუნდა, გადახდილი ჭურქიც ამოიკეცა, მაგრამ ძილს თავი ვერ შაართვა. უკვირდა და არც სურდა გამოფხიზლება, თბილისში ეგონა თავი, მხოლოდ სიზმარმა მიახვედრა, რომ სიზმარში იყო. თვალში ნაცნობი სურათი დაუდგა: ნარინჯისფერი ბორცვი... მწვანე მოლი... იდაყვნი ცალხელმოხრილი და მეორეთი მკლავგაშლილი შავ ჩიხაში ჩაცმული გაქუცული ხე. ხე ისევ თავდაყირა დადგა, თრთოლვა დაიწყო. „ახლა გადატრიალდება, — გაიფიქრა არადელმა, — გაიშლება, გაიფურჩენება...“ სიხარულმა გამოაღიძა, სიზმარი ფიქრით ვააგრძელა, ბოლომდე აღადგინა, კვლავ ჩაიძირა შამპანურის აბაზანაში, ხეს კი რარიგად არ უტრიალა, ვერა და ვერ მოუნახა ფესვები, ჰაერში ჩამოკიდებული რჩებოდა... ცოტა ხანი თვალებგახელილი იწვა, ძილში სიამოვნება ჩაჰყავა და ახლა განძრევისა ეშინოდა. შემდეგ პეტერბურგში გადაინაცვლა და რატომდაც შესთან მისი პეტერბურგელი ახლო ნაცნობი, ტიუხინი ტრიალებდა. როცა ვალიკო გამოფხიზლდა, სარდაფში საში დარაჯი აღვა თავს. ერთს ხელში სანთელი ჩაჭირა, მე-

ორეს — პური და ტოლჩით წყალი, მესამე ღრა კარებში იდგა. ეს დროებში, — უსაყვედურა ერთ-ერთმა და ვიდრე ვალიკო რამეს მოისაზრებდა, მედილგვები გავრდნენ, კარი ჩაკეტეს. — ეს, ეს!.. — მიაძახა ვალიკომ, არც კი იცოდა რა უნდა ეკითხა, თუმცა პასუხიც არავის გაუცია.

როდესაც ვალიკოს ქართველი ტყვევების ოთახიდან გამოუძახეს, გინდაც წინა ჩაერტყათ მუცელში, ვერაფრით ამოისუნთქა. ფიცხლად ნინოს შეხედა, რამდენიდაც შეეძლო მხიარულად გაულიმა. ნინო გაქვეცებულივრთ შემართულიყო, მისი მაღლა აწეული თავი, დაძაბულობისაგან გავარდისფერებული ღაწვები, ბედნიერებით ქვეფენილი აელვარებული თვალები მომავალ სამარადვამო ნუგეშს, საშინელ ტკივილის შეკავებას, აუცილებლობის ამაყად მორჩილებას გაროხატავდა. როგორც კი რევკომის შენობის დერეფანი დამთავრდა და ვალიკოს ზურგს უკან კარი მოხურეს, ნაცნობ წიაღში მოექცა. სინესტრისა და რუინის კარის დაუანგებული სუნი ეცა, საკნებიდან გამოღწეული. ქვით მოგუდული ადამიანთა ხმები და ბოქლომ-გასაღებების ელარუნ-წყარუნი შემოესმა. მბუუტავი სინათლეები, უკაცრიელი დერეფანი დაინიანი დაინიანი. მტრულმა გარემომ გაამაგრა, ცხოვრების გამოვლენას ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვა, სასტრიკად აუკრძალა თავს რაიმე იმისთანაზე ეფიქრა, რაც ცხვირწინ შეფერებულ საგანს არ შეეხებოდა. და ახლა, როცა შედილებები წავიდნენ, ძილი საბოლოოდ გამკრთალი ჰქონდა. იკრძალვის დასარღვევი მცდელობა მოხდა: „ვაი თუ ისინიც ასეთ ჯურლმულში ჩაყარეს?“ — „ამდენი საკანი არ ექნებათ!“ — ზურგიდან გადმოაყირავა და ძირს დაანარცხა წამოპარული აზრი ვალიკომ.

ძლიერ მოშეიბული ყოფილი — პური ერთბაშად შეჭამა და თბილი წყალი სიმოვნებით დააყოლა. კარგ ხასიათზეც იყო, არაერთხელ გამოცდილი მისი სიზმარი აიმედებდა, ქეიფიდან გამოყოლილ სიმღერასავით უღრდდა. ერთი რამ უკვირდა მხოლოდ: მინა ტიუხინი რამ ზაასიზმრა. პირველად მას მარია პავლოვნასთან შეხვდა. კინიაგინია უოველ ახალ სტუმარს ხაზგასშით და საგანგებოდ წარუდგენდა ხოლმე ვალიკოს. რამდენჯერ გააფრთხილა მარია პავლოვნა — აზნაური ვარო და არა თავადი, მაგრამ დიასახლისი თავისის არ იშლიდა და არადელს გადაჭარბებული ქებით ქარაფშუტული ელფერით უამბობდა მათს დამოკიდებულებას, უქერსულ მდგომარეობაში აგდებდა, როგორც ვალიკოს, ასევე სტუმრებსაც. იმ სალამოს მარია პავლოვ-



ნასთან რამდენიმე „სლავიანოფილსა“ და „დასავლეთელს“ მოყვარა  
თავი, აქედ იყვნენ ტრთი სოციალ-დემოკრატი, ერთიც თეოლოგიზმიდა  
ფილოსოფოსი ვლადიმირ სოლოვიოვი. ტიუხინი, რომელიც კნიაგი-  
ნის ქმარს შორეულ ნათესავად მოუვიდოდა, მოგვიანებით მოვიდა,  
სოლოვიოვის გამოსვლამ, რომელიც ახლახან იყო პარიზიდან ჩამო-  
სული და XX საუკუნეში ანტიქრისტეს გამოჩენაზე, პანმონოლიზ-  
მისა და რუსეთის სახელმწიფოებრივ ობსკურანტიზმზე ილაპარაკა.  
დღიდი კამათი გამოიწვია, რამაც ვალიკოს ეჭვებს უფრო დიდი აბრუ-  
მისცა. მან ვერ გაარჩია „დამპალი ევროპის“ და პეტრე პირველის  
მოძულე სლავიანოფილების, ძველი ღრმა ტრადიციული რუსეთის  
შოწინააღმდეგე დასავლეთელი ეპიგონების, სოციალური სამართლი-  
აონბის ჩქარიდან გვიდან დასავლეთელის და რუსი პოეტის მიზანთა სხვა-  
ობა, რამეთუ ბოლოს და ბოლოს ყოველი მათგანის მსჯელობა რუსე-  
თის ძლიერების, მისი მისიონური მოწოდების იღებით იყო გაპირობე-  
ბული. როდესაც ვალიკო სახლში ბრუნდებოდა, ახლადგაცნობილმა  
ტიუხინმა რესტორან „შეტროპოლში“ ბოშების სანახვად დაპატიჟა  
და დაუინებული თხოვნის შემდეგ, ახლა აღარც ახსოვს, როგორლაც  
დაიყოლია, აღბათ მისადმი კეთილად განწყობილ მარია პავლოვნას  
ნათესავს ხათრი ვერ გაუტეხა. ის ლამე მათ რესტორანში გაათენეს.  
ტიუხინი ზედმეტად ეგზალტირებულ კაცად მოეჩვენა, ხიდან ჩამო-  
ვარდნილ და აბლაბულას ძაფზე შერჩენილ ფოთოლს ჰგავდა, რომ-  
ლის ბრძიდლიც გრჩევნებითი და სხვა სიცოცხლის გამოვლენა იყო.  
ტიუხინს სასმელი მაღა შოევიდა. ბოშები სუფრასთან ზორეკა, ამ-  
ლერა და აყვირა, მაგრამ არც სიმღერას უსმენდა, არც მათი ქოთქო-  
თის გაეგებოდა რა, ფული დაურიგა და უხეშად გაყარა. შერე ვალი-  
კოს მიაშტერდა სახეში:

— გიყურებთ და მშურს თქვენი, ღმერთი გწამთ?

ვალიკომ მხრები აიჩეხა:

— არა მგონი.

— არ გწამთ და ასე წყნარად ხართ?

— მაშ რა ვქნა? — გაიღიმა ვალიკომ.

— მე ვერაფრით გამიგია ეს ანტიკური დოგმა, რომ სიბრძნე სიკ-  
ვდილისთვის მზადებაში გამოიხატება. ჩემთვის უფრო სპინზას აზ-  
რია მსაღები, რომ სიქველე სიკვდილზე ფიქრი კი არ არის, არამედ  
სიცოცხლეზე. მაგრამ სპინზა ხომ ქრისტიანი არ იყო?! გარდა ამი-  
სა, ეს მაინც თავის მოტყუფებაა. -- ტიუხინმა არაყი გადაჭრა და

პერთხა: — მაშ ჩა გწამო, თუ ღმერთი არა?

— რა ვიცი, ხშირად მიფიქრია, რომ ღმერთი ჯერ მხრულები გადადება, იგი ნამდვილად მოვა, როცა შას ადამიანები სრულყოფენ.

— გამოდის; რაღაც მაინც არსებობს?

— ის რაღაც შემთხვევითი და შეუცნობელი უნდა იყოს, ამიტომ მას სურს შეიცნოს თავის თავი და ამავე დროს იქცეს აუცილებლობად, დაშვიდრებული სამუდამოდ. საფიქრებელია, რომ ამ მიზეზით იგი ერთიდან მრავლად განიფინა, ამიტომაც ერთი მიმართულებით მიღის ძიება, ყოველი სულდგმული ერთის შეცნობის იდეით არის შეპყრობილი, უთვალავი, უსახლვრო კომბინაციით, უთვალავ ფორმაში ერთი და იგივე ექსპერიმენტი მიმდინარეობს და როცა იქნება "რაღაც რეალური კავშირები, ეს შემთხვევითობა მას კვლავ და კვლავ ამოწმებს, სათუთად უვლის, სვერტას, მთიდან დაგორუებულ თოვლის გუნდას ავით მატულობს, ზეავდება და ალბათ ოდესშე ჭეშმარიტება მეწყერივით შემოვარდება ამ სამყაროში. ის თუ იქნება ღმერთი. თუკა მოესწრო...

— მაშინადამე ისიც დროშია განსაზღვრული?

— მუდმივობის ანუ სიცარიელისაგან წარმოშობილი შემთხვევითობა ხომ უკვე დროით განისაზღვრება?

— და მ'ხოლოდ ადამიანის აზრი პრის მისი ლაბორატორიის ცენტრი?

— ვინ იცის?

— არა მეონია. მაშინ რატომღა მოჰკლავდა მას?

— იქნებ იმიტომ, რომ თვითონაც ასეთი დღე უწერია.

— და თქვენ ყოველივე ამისა გჯრათ?

— მაშინ როდესაც არიმე იმედი გადაწურული მაქვს და ანაზღად შემთხვევითობა მეხმარება და მიმართლებს.

შემდეგ ტიუხინმა მამამისზე ილაპარაკა. ახლახან მომიკვდაო, თქვა.

— მამაჩემი არაფრად მაგდებდა. ბავშვობაში სასტიკად მექცეოდა, მწყინდა, ეს, შაგრამ ბოლოს, და ბოლოს ყოველთვის სამართლიანი მიმაჩნდა. მასთან შედარებით, მართლაც არარაობა ვიყავი. შთელი ცხოვრება ვბაძავდი მას, სადაც გამდიოდა, მასავით, მკაცრად ვიქცეოდი, სადაც გამდიოდა... და სადაც არა...

შემდეგ ტიუხინმა ტირილი დაიწყო, რატომღაც პატიებას ითხოვდა, ვალიკოსთვის ხელზე უნდოდა ეკოცნა, ძლიერს გამოჰქანა შეშასაკუთ მაგარი მკლავებიდან მაჯა. ეს იყო მათი პირველი შეხვედრა, რო-

მელიც კარგად დაამახსოვრდა, მაგრამ ახლა რამ დაასიზმრა?..  
დალით ტიუხინმა კარგ გუნებაზე გაიღვიძა. მთელი ღამე მეტად და-  
რივრთ ეძინა, დაისვენა, ამინდიც მშვენიერი გამოსულიყო. ცა წსეული  
მოწმენდილი და გამჭვირვალე მოჩანდა, წუხანდელი ავდარი ვითომც  
არ ყოფილიყოს. სანამ მორიგე გუშინდელი „პიკნიკის“ ნარჩენებს  
ახარისხებდა, მინა ტელეფონით შეუთანხმდა გუროვს, რომ ორი სა-  
ათისთვის საბჭოს სხდომა მოეწვიათ, რომელსაც კომიტეტები, ია-  
საული მატვევი და გაზაფების ორიოდე თავკაცი დაესწრებოდა. მე-  
ორე ოთახში ნიკიფოროვნა, ეგოროვი, წოწოლა და იღლიაში დავ-  
თრებამოჩრილი, რაღაც გაურკვევებლ ფორმაში ჩატმული ახალგაზრდა  
შემოვიდნენ. შათი შონაყოლიდან ტიუხინმა გაიგო, რომ ყველა ქარ-  
თველი, გარდა ერთისა, დიდ ოთახში ჰყავთ ჭერებრობით ჩატყვდე-  
ული. ის ერთი კორნილოვის ოფიცერი უნდა იყოს, ასე უთქვამო  
თვით ქართველებს, მარტო იგი გაუცალკევებიათ, გადაუყვანიათ ცი-  
ხის სარდაფში. ამდენიმე კაცი უჩვე დაკითხულია. ფორმიანმა ახალ-  
გაზრდამ მაგიდაზე დავთრები გადაუშალა, საღაც ოქმები, ქართვე-  
ლების სია და საბუთები ჩაეჭრებინა. ტიუხინმა საღამოშდე დაითხო-  
ვა ისინი და დაკითხვების გაგრძელება მოითხოვა. ყველანი გავიდნენ,  
ეგოროვი კი ფეხს ითრევდა, ყბა ჩვეულებრივზე მეტად მოქცეული  
ოთვანიდა, თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა.

— რა? ნაბახუსევი ხარ? — პკითხა მინამ.

— არა, გეფიცებით, ვასილიჩ, როგორ გეკადრებათ, მე ის შინ-  
დოდა მეთქვა, რომ ამ ქართველებს პეტროგრადის ნებართვა აქვთ,  
სმოლში ხელმოწერილი. აი, ნახეთ, — და ეგოროვმა მლიქვნელუ-  
რად გაიღიმა, დავთარს მოჰკიდა ხელი, — ეს სახუმარო საქმე როდია,  
არ არიან ეგენი კორნილოვცები, კონტრას როგორდაც კოჭებში  
ვცნობ, რა შეუძლიათ მოხუცებსა და ხეიბრებს, გაფუშვათ, წიგიდნენ.  
ტიუხინს გადამწვარი არყის აქოთებული სუნი ეცა.

— დაიკარგე აქედან! შენ, ვინა გვითხავს! — დაიღრიალა მინამ და  
ფეხზე წამოდგა. ეგოროვი ელდანაცემივით დერეფანში გავარდა.  
„არა, გუშინ რა საქმე გავუკეთე, შადლობაც არ მითხრა, სულ წავალ  
ქედან, მიმიფურთხებია მაგათი ორას ორმოცდათი მანეთისათვის“.  
გულის სიღრმეში მაინც მართებულად მიაჩნდა ტიუხინის საქციელი,  
მოსწონდა მასი სიმკაცრე. წუხელ იმ არაუსმა შილიცის უფროსმა  
დაათრო და სთხოვა — ქართველები არავითარი კონტრა არ არიან,  
გავუშვით, იქნებ ტიუხინი მოთაფლო. ეგოროვს ეგონა, ამ საქმეში

მარტო თვითონ იყო ჩათრეული, ის არ იცოდა, რომ მილიციის უფროსი დღეს დალით სხვებსაც მიუჩოჩდა. გუროვთან ქართული კონტაქტის პეტიცია მიიტანა, გუშინდელი ოპერაციის ჩატარების ისეთი სურათი დაუხატა, ვითომც მან და მისმა მილიციონერებმა დიდი როლი შეისრულეს კისლიაკოვის ლიკვიდაციის საქმეში. და, რაც მთავარია, ქალაქის გასახლეობის უკმაყოფილება გაზვიადებულად აღწერა — ისეთი გახშირებული ტერორისტული აქტების მიზანშეწოლობაზე გადაუკრა სიტყვა, თანაც წოწოლასთან მილიციონერი მივზავნა, ქართველებისთვის გადასაცემად მოხარული ხორცი და პური გაატანა ბლომად.

საბჭოს კრება გუროვმა გასსნა. ჯერ იასაულ შატვეეს გაუწია რეკომენდაცია, როგორც უპარტიოს, მაგრამ სანდო და უკვე ერთგულებაში გამოცდილ რევოლუციონერს. მუქარის ტონით თქვა, რომ ზოგიერთი შენიდბული კონტრევოლუციონერი ხანდახან ხელს უშლის საბჭოს ოპერატორული გადაწყვეტილებების მიღებაში. აქეთ-იქიდან წამოსროლილ რეპლიკებს ყური არ ათხოვა. ეს ასე დიდხანს არ გაგრძელდება, ამას ჩვენ მოვუვლითო. ზოგადი მაგალითები მოიყვანა, ნელ-ნელა აუწია ხმას და ბოლოს ისე აყვირდა, ისეთი პათოსი გამოადგინა, რომ ყველა ჩაჩუმდა. მერე ცალი ხელი გალიფეს ჭიბეში ჩაიყო, გვეგონებოდათ, იარაღი უნდა ამოაძროსო, წარბი შეიცრა და მაცრად იკითხა:

— ვინ არის შინააღმდეგი?

შატვეევი ერთხმად იცრჩიეს საბჭოს წევრად. გუროვმა კისლიაკოვის და ჯარისკაცების შესახებაც ილაპარაკა.

— საჭიროა გამოვყოთ რამდენიმე ბოლშევიკი, სამხედრო ხარდლების წარმომადგენლობიდან სემიონ მოისეევიჩი იქნება. უნდა მოვაწყოთ ჯერ ესკადრონების კომიტეტების არჩევნები, შერე პოლკის საბჭოსი. ამდენ ხანს იქ ირლეოლდა დისციპლინა, აღმზრდელობითი მუშაობა არ ტარდებოდა; კისლიაკოვი, თვითონ ანარქისტი, ანარქისტული სულისკვეთებითვე ზრდიდა ჯარისკაცებსაც. რევოლუციურ არმიას დემოკრატიული ხელმძღვანელობის მეთოდი ესაჭიროება. ჯარი წითელი არმიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთლიანი კონტროლის ქვეშ უნდა გადავიდეს. ჯარისკაცებს შეპირდით ჯამაგირს — ას ორმოცდათი მანეთი მარტოხელებს, ორას ორმოცდათი მანეთი ცოლშვილიანებს.

— მაინც ვინ მოკლა კისლიაკოვი? — იკითხა ვილაცამ.

— მთვრალები იყვნენ და თავი მოიკლეს. — ოვალიც არ დაწესდა  
ხამა, ისე გძმოშედა ყოველი სიტყვა გურიოვმა.

ვიზუალური  
გადაღების ეფექტები

— კი მაგრამ როგორ?

— აი ასე, რევოლუცირით.

— ამხანაგო გურივ, — წამოლეგა სემიონ მოისეევიჩი, — შენ გინ-  
და თქვენ, რომ ვინარდან ისინი მასებს მოსწყდნენ, ყარისკაცებს და-  
ცილდნენ, და ცალკე ქეიფობდნენ, ამან გამოიწვია ეს ჯერ აუხსნელი  
მკვლელობა და, ამ მხრივ საღლაც ეს თვითმკვლელობაა, არა?

— შე რაც შინდოდა, უკვე ვთქვი!

— კი მაგრამ რა საჭიროა ასეთი დაუჭერებელი ვერსიის შე-  
ობზე, — დაიპრანე სემიონ მოისეევიჩი.

— მე თქვენ გეუბნებით, თავი მოიკლეს და არავითარი სხვა აზ-  
რი მის უესახებ არ არსებობს, — ჯიუტად გაიმეორა, გურიოვმა.

უემდეგ ტიუხინი წამოლეგა. გურივის სიტყვები, რა თქმა უნდა,  
ერთობ უხეშ, მოუქნელ და თეთრი ძაფით ნაკერ ზტკიცებად მიაჩნდა,  
გუნებაში გაეღიმა კიდევ, 'მაინც მას მიემხრო, იცოდა, რომ მთავარია  
არა ის, თუ რას ამბობს, არამედ ვინ ამბობს და როგორ ამბობს. გარ-  
და ამისა, სწამდა, რომ გენიალობა სხვა არაფერია, თუ არა ის, როცა  
შეგნებულად შემოფარგლული ჭირუით უდგები ცხოვრების კონკრე-  
ტულ ვითარებას. ტიუხინი და გურივი ტელეფონით შეთანხმებული  
კუნენ, რომ მინა ქართველ კორნილოვცებზე ზერელე ცნობას მიაწ-  
ყვნენ, რომ მინა ქართველ კორნილოვცებზე ზერელე ცნობას მიაწ-  
ყვნენ, რამდენიმე ასეთ ჭმედით საქმეებზე შეჯელობა: დაიწყება გა-  
მოკითხვები, გამოითქმება სხვადასხვა ვარაუდები, ერთი სიტყვით,  
ატყდება ლაყბობა და უესაძლოა რაღაც გაუთვალისწინებელი აზრიც  
წარმოიშვას, რაც ტიუხინის გეგმებში სულაც არ შედიოდა. ამიტომ  
მინამ გადაწყვიტა საეკლესიო ქონების, მიწების შესახებ ელაპარაკა:

— ამხანაგებო, სამღვდელოებამ საბჭოთა მთავრობას ნამდვილი  
ობი გაძოუცემდა. სინოდის ყოფილმა ობერპროკურორში სამარინმა  
ასმილიონიანი მართლმადიდებელი ხალხით შეშინება მოგვინდომა.  
გუშინ ხელში ჩავიგდეთ პატრიარქ ტიხონის შორიდება, საღაც საექ-  
ლესიო კონტრარევოლუციური მოძრაობის გეგმაა დასახული. ამ დროს  
ჩენ ჯერ სამინისტრო მიწების კონფისკაციაც არ დაგვიწყია, — ტი-  
უხინი შეჩერდა და საბჭოს წევრებს გადახედა. — ამხანაგებო! —  
თქვა მას და უეცრად გაასხენდა, თუ როგორ უმიზეზოდ გაწითლდა  
გუშინწინ, ამ მოგონებამ ოფლი დაასხა, სირცევილის აღმური მოჰ-

კიდა. მინა ხედავდა თავის თავს, გარშემორტყმულს ამ უბრალო, უწევდამიანებით, წარმოიდგინა, რომ იგი სულ უჭირო ვინმეა გადამომზევნა, ვითომც ისინიც ასეთივე თვალით შესცერიან მას, დაიბნა, იმ არტისტს დაემსგავსა, რომელსაც სცენაზე როლი დაავიწყდა და ორი ცის რა ქნას, რა მოიმოქმედოს, სად წაილოს ხელები, რა თქვას, უხერხული მდგომარეობა შეიქმნა. ეს აშენელა კაცი, გაწითლებული და შუბლზე ოფლდასხმული, უმწევოდ აცეცებდა თვალებს და ხმას ვეღარ იღებდა. „ისევ ცუდად გახდა“, — მოესმა მინას სემიონ მოასევევიჩის ხმა. „წყალი, წყალი“, — დათაცურდნენ თთახში. ამ დამამცირებელმა ზრუნვამ და თავის თავზე გაბრაზებამ წამს გონს მოიყვანა, როგორც ჩხუბში კარგად მოქნეულ მუშტს დააყოლებენ, ისე იღრიალა:

— თქვენ თვითონ დალიეთ! მე ვამბობ, რომ ის ღლაპი კადეტი, კორნილოვცებიც და, საერთოდ, ყველა, ვინც კი გაივლებს გულში საბჭოთა ხელისუფლების ღალატს, რევოლუციურ პასუხისმგებლობას ვერ გადაურჩება! — ეს უჭვე ნამდვილად საშიში, გვება ტიუხინი იყო — წამოწითლებული, მაგრამ ხეშეში მზერით. იგი კიდევ ცოტა ხანს დარჩა, სანამ ჯარისყაცებთან გასაგზავნ ჯგუფს შეარჩევდნენ, სხვა საკითხების განხილვის აღარ მოუცადა, გადაუდებელი საქმე მოიმიზება და ქუჩაში გამოვარდა. ვაჭარ სერგეევის სახლში დაპატიმრებული ახალგაზრდა კადეტის სიძულვილით დანაკვერჩხლებული თვალები გაახსენდა, თავის თავზე გული მოუვიდა, რატომ იქვე არ მოსპონ და გაანადგურა, არ წაშალა ამ ქვეყნიდან ბოროტების გაღვივებული თესლი. უმისაშართოდ გაჭენებული თავის ბაჩა ცხენი რევკომის შენობისაკენ მოატრიალა. დღესკვე, ახლავე გამოასწორებს თავის შეცდომას. მხოლოდ დაუნდობლობა! არავითარი ხელმოშვებულობა! ახლავე დაიხვრიტება ეს გვილის წიწილი, რა საჭირო იყო მისი ცოცხლად აყვანა? თვითონ, თავისი ხელით უნდა დახვრიტოს, თავისი ხელით, სამაგალითოდ — რევოლუციის მტრები! შაშინ აბუეტური აზრები არ მოუვა თავში. მისი მონაწილეობითა და განკარგულებით საჭმაო სისხლი იყო დაღვრილი, მაგრამ პირადად კი ჯერ კაცი არ მოეკლა. პეტროგრადში ტერორისტების ბუნავში ატეხილი სროლისას მცირ ტყვიით ოფიცერი წაიქცა, თუმცა მოკვდა თუ არა, არეულობაში ვეღარ გაიგო. შაშინ არც ფიქრობდა, მარტო თვითონ ხომ არ აკვთებდა, უველანი ერთად დიდი საქმის გულისთვის ჩადიოდნენ ამას, აი, საკუთარი ხელით მოდვლა უკვე პირდაპირი ამბავია, ბუნე-

ბის წინაშეც პირადი პასუხისმგებლობაა. განკარგულების გაცემა თია და საკუთარი ხელით დახვრეტა — 'მეორე. აქ განსაკუთრებული სიმტკიცეა გამოსახენი, მას ეყოფა ნებისყოფა. 'ბოლოს და 'ბოლოს ყველაფერი შეჩვევაა. ახსოვს, 'ბავშვობაში პირველად ქათამი რომ დააკვლევინეს, როგორ განიცადა, ფიზიკურად შეიგრძნო, რომ სიცოცხლეს სპობდა. საკუთარი სხეულის ნაწილად ეჩვენა ხელისგულში ზფეთქავი ფრინველის მხურგალე კისერი, 'ისიც ხომ ცოცხალი იყო ჯერ. უფროსები გამომცდელად დუმზნენ გარშემო, ეს აუცილებელი ჩანდა, მამაკაცს სისხლისა არ უნდა შინებოდა. მანაც აკანკალებული ხელით გამოუსვა დანა.

ჯალათობა გაუკაცობის ბოლო გამოცდაა, შეუძლებელი შემდეგ აღარაფერია და ცხოვრებაშიც მთლიანად თავისუფალი, დამოუკიდებელი ხდები. უბირველესი ვალი ამჯერად მტრების არდანდობაა, განსაკუთრებით ისეთი მტაცებლების, როგორიც ეს ცყვითელპირა ბახალაა.

შემოგებებულ დარაჯს მიუგდო თუ არა 'ცხენი, კაბინეტში აირბინა, მაგიდის უჯრა გამოსჭია, ჯიბიდან ამოღებული პისტოლეტი რევოლვერით შეცვალა, ვაზნები გაუსინჯა, გადაატრიალ-გადმოატრიალა. ტარს ისე შოუჭირა, თითქოს ირგებს ან ვიღაცას ხელს ართმევს, მერე ჩვეულებისამებრ ქამარში გაირწო. ვიდრე ეგოროვს მონახულენენ, რომელსაც გუროვის მოსაცდელი ოთახის სავარძელში ჩასინებოდა, ტიუხინს მოახსენეს — სერგეევის სახლში დაბატიმრებულმა კადეტმა თავი ჩამოიხრჩო.

— ეგრეც ვიცოდი, რომ ეგ გველის წიწილა რამეს ჩაიდენდა, — შეპყვირა მინამ, გულის უაუნტულში კი შვება იგრძნო: განგება თითქოს ინდობდა, აცილებდა ზედმეტ ბოროტებაში მონაწილეობას, საკუთარი თავის წინაშე კი ალალმართალი, გაზრდილი და გამაგრებული დარჩა. აკი გუნებაში უცხვე გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა. რა განსხვავებაა, უცან ხომ აღარ დაიხევდა? შეიძლება ჩაითვალოს, ამზღვარსაც გადააბიჯა.

წოწოლასთან ერთად, რომელმაც ეს ამბავი შოუტიანა, 'სასწრაფოდ საკანისაკენ გეშურა, სადაც ბრძანების მოლოდინში გვამისათვის ჯერ ხელი არ ეხლოთ. საკანში ბნელოდა. ტიუხინმა ფეხი წაჟურა ხესავით დაგდებულ სხეულს.

— საცვლები ფარულად გაუხდია, დაუგრეხია, ჭრდლის ბუხრის ზემოთა სარქველის სახელურზე გამოუბამს მარყუჟი და ჩამოკიდებულის საკანში გადააბიჯა.

ბულა, — დაწვრილებით ამცნობდა საქმის ვითარებას წოწოლა. /  
სინათლის მოსატანად წასულ მედილეგეს მინა ციშტრის ფოტოების  
ში დაელოდა და როცა ჭრაქით ხელში, იმის შიშით — არ ჩამიქრე-  
სო, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა მინას, ამ უკანასკნელმა თავყაში  
ისეთი სისტემა, რომ ნასროლი ტალახის გუნდასავით, ცემენტის ია-  
ტაკს მიაწება. შემდეგ კადელზე აკრული წოწოლა გაფორა და და-  
ემუქრდა, გარეთ კი სირბილ-სირბილით წამოსულ, დაფეობულ ეგო-  
როვს შეუკურთხა, მოახტა ცხენს და ქალაქებით ნაქირავები ბინი-  
საკუნ გასწია. კვირტებგამოლებული ხეებით შემორაგულ, ერთნაირად  
ჰატია, მაგრამ კოტა აგურის სახლებს მიუახლოვდა, მიხვდა, ამ შუა-  
ლდეს მისი მისვლა არაფერს საჭიროებდა, ლაპარაკს მონატრებული  
მარტოხელა მოხუცი დიასახლისი თუ გააღიზიანებდა, თორემ სხვა  
ცერას შეეყრებოდა აქ. თავს გამოფიტულად, ხალისდაკარგულად  
გრძეობდა. ცხენი მოაბრუნა, სადაც დაუმოკლა და ჩირტით ისე  
ქალაქისებრ გამოსწია. თავდაპირველად ასეთი უცნაურობები მაშინ  
დასტებდა, როცა გომაკვდეულმა მამამისმა ვასილი ვასილიხმა მისი ნახ-  
ვა მოისურვება. მინას უწინ სერიოზულად სიკვდილზე არასოდეს უფიქ-  
რია, არათ დეს განუცდია მისი არსებობა, და როდესაც მამამისი, ეს  
კლდევაცი, სასიკვდილო სარეცელზე უსუსური და შეშინებული და-  
ინახა და როცა დიდმა ვასილიმ აცრემლებულმა უთხრა: — ვაჟკაცო-  
და სულ სისულელე ყოფილა, როგორც პწკენით ატირებული ჩვილი  
ჰავშეი, ისე ჩაერთო, თოჯორს უგრძენეულოდ ხელი ჰქრეს და უფ-  
სერტლში გადასაჩერად განეწირაო. წამოხტია, არც არავის დამშვიდო-  
ვებია, ისე გაიქცი. დიდხანს მირბოდა, იფიქრებდით — ვიღაცის ვას-  
წრება უნდაო, თვითონ კი გრძნობდა, ის ვიღაცა ზურგზე რომ აჯდა  
და დახტეხობას უპირეშდა. სახლში ციებ-ცხელება აუვარდა. ვეღარა-  
ფერმა დააწყნარა, ვერც ნიშანურის სპირტმა, ვერც ცხელ წყალში  
დეხის ჩაყრიამ, ძილმაც ბევრი აწვალი, მხოლოდ განთიადისას შე-  
იცხოვმა. გარემონა თუ არა, მეორე დღეს სავსებით დაწყნარებული  
ადგა. საბირივმახასიათში გაეცინა ჯიდეც გუშინდელ სილაჩრეზე, მაგ-  
რამ როცა გაიძარსა და მამის მონახულება განიზრახა, კვლავ პანიკამ  
შეიძყრო. ეტლი გაისტუმრა, ფეხით გავივლი და ისე მივალო, გა-  
იფიქრა, შუაგზაზე კი გადაწყვიტა სახლში დაბრუნებულიყო და ალ-  
რასრდეს მისულიყო მასთან. „ჩქარა მოკვდეს თუ კვდება, მერე უვა-  
ლაფერი ძველებურად წავა“, — დაამედა მან თავისთავი. საუბელუ-  
როდ, ასე არ მოხდა. დასაფლავების დღეს სილაჩრის შეტევაშ ისევ



წმოლუარია. გამოთხოვებისას, როდესაც თავს ძალა დაატანა და შექმნა  
ლზე ემთხვია, ეგონა შარმარილოს ქვას აკოცაო, შეძრებუნდა, საწმო-  
ფად შოსცილდა იქაურობას, ნათესავებს, რომელთაც მისი დაკავება  
მოინდობეს, ხელიც კი აქერა და გაიქცა. ახლა უჩვე ვეღარაფერს და-  
უკავშირა ეს შფოთი, ეჭვიც შეეპარა — ვაი თუ სულ ასე დავტე და  
და ვედარაფრთ მოვიშოროო. თავს კუბოში ან მიწაში მატლებდახ-  
ვეულს ხედავდა, ყველა, ვინც გარშემო ტრიალებდა, ჩონჩხებად  
ელანდებოდა. „სულ რამდენიმე ათეული შელია საჭირო, რომ ეს  
მოხდეს“, — ფიქრობდა იგი. — ეს ასე მალე გაირჩებს, ვერც შენიშ-  
ნავ. აჩადა რა აცინებთ, ან რა ალაპარაკებთ ამ სულელებს, თავს  
ტყუებენ, უბედურები. ყველაფერი, რასაც კი ცხოვრებას უწოდე-  
ბენ, სიკვდილზე ფიქრის აცილების ფანდთა სისტემა. მარტივად —  
კაცობრიობა იმ ერთ დიდ რიგად შეიძლება წარმოიდგინო, რომელიც  
ყოველ სეკუნდში სასაკლაოსაკენ მიიწევს“. მერე შეეცადა გრძნო-  
ბისთვის აზრი დაეპირისპირებინა, თუმცალა აზრი ნათელი და ჭეშმა-  
რიტი იყო, გრძნობა მაინც რაღაცნაირად ქაოტურად ცდილობდა აზ-  
რის ლოგიკის არევდარევას, ულმობელი ჭეშმარიტების უგულებელ-  
ყოფას და, რასაცირველია, ვერ ახერხებდა. ამიტომ თრთოდა, რაიმე  
ახალ ლასაბუთებას ეძებდა სასომისღილი. ალბათ, ბედნიერნი არიან  
მორწმუნენი... თუ ლმერთიც ფანდია?.. მაშ რა დანიშნულება აქვს  
ადამიანს?

დაკათხვის შემდეგ ქართველებს დიდი იმედი მიეცათ. ყველა იმას  
გაიძახოდა, ჯარგად გვაექცეოდნენ და ზერელედ დაგვკითხესო. მხო-  
ლოდ ლადი ჭყონიას და იშხნელების ოჯახს შეხვდათ ვიღაც ოხერი,  
რკინიგზელის, გიმნაზიასტის თუ რაღაც გაურჩეველ ფორმაში გამო-  
წყობილი ახალგაზრდა.

— შიზოფრენია, არა? — ჰკიოსა მან ჭყონიას ირონიული ღიმი-  
ლით და საჩვენებელი თითი საფეხულთან შეატრიალ-შემოატრიალა.

ბატონ ლადის აღარც ახსოვდა, რომ სანიტარული მატარებლის  
დავთარში გის „ავადმყოფობას“ ასე ერქვა. ყოველ მოსალოდნელ  
კითხვაზე პასუხები შზად ჰქონდა, ეს კი გადაავიწყდა, ამიტომ აირია,  
შეშინდა, დალაგებულიდ ვერაფერი იქვა. შემდეგ შეკითხვებზე, რაც  
იყო და არა, როგორც გამომძიებელს ეწადა, ისე პასუხობდა. სოცი-  
ალ-დემოკრატიულ მოძრაობას მართალია ჩამოსცილდა, სამაგიეროდ  
ბოლშევიკების ღონისძიებები მიზანშეწონილად შიაჩნდა, ამას ყველა



დაუდისტურებს, ვისაც კი უნდა ჰქითხოს პატივცემულმა გამომიმდინარებელმა, — ყვებოდა იგი. — ისიც მართალია, ორმ პეტროგრადში არადელის ფანტაზიებს, ივერიელთა პოლკის შეღვენის გეგმას ეწინააღმდეგებოდა...

— მაშასადამე, — ჩაწერა გამომძიებელმა, — არადელს თეთრგვარდიელთა პოლკი ჰყავდა, რომელსაც ამზადებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველიდ.

— არა, ეს მთლიად ასე არაა, იმიტომ რომ...

— როგორ თუ ასე არაა? ჩვენ ვიცით არადელი ვინც არის, — უკმაყოფილოდ გააწყვეტინა გამომძიებელმა და წერა შეაჩერა.

— არა, რა თქმა უნდა, ეგრეც იზამდნენ, საქართველოში როცა ჩავიდოდნენ, არადელი ხომ ცნობილი ანარქისტია, — მოინადირა გამომძიებლის გული ბატონშა ლადიმ.

რაც უფრო მეტ აბდაუბდას ჰყვებოდა, რაც მეტ დანაშაულს აწერდა არადელს, მით მეტად მოსდიოდა გული მასზე და თავიც მართალი ეგონა. „კაცმა რომ თქვას, რა დასანდობია არადელი, დიდი ხანი უნდა მოეკლათ ან ჩეუბში, ან დუელში, ან პოლიციაში და, საერთოდ, მის წილ ამდენი ხალხის გაწირვა რა საკადრისია“. როცა ჭყონია დაკითხვიდან ბრუნდებოდა, ერთი კი გაივლო გულში, რომ რაღაც ზეწამხდარ საქმეში გახვიეს, მაგრამ, როგორც ჭეშმარიტ ფილოსოფის შეეცერებოდა, თავი დაიმშვიდა: ჯერ ერთი, ეტყობა, არადელს უმაგისოდაც თავსაყრელიად აქვს ბრალდებები, აბა რატომ მარტო ის გააცალევეს? მერედა თვით ლადი ჭყონია ახალგაზრდა ან უცოლშვილო რომ იყოს — სხვა საქმეა, შეიძლებოდა თავის დადება, მართლია, სულელურად, მაგრამ მაინც ვაჟკაცობისთვის... მას კი გათხოვილი ქალიშვილი ჰყავს, შვილიშვილი, სიძე... და მერე რაც უფრო მალე მოხდება მოსახლენი, ისა სჯობია: დროა კაცობრიობა გაერთიანდეს და, რა თქმა უნდა, უკეთესია ეს გაკეთდეს სოციალური საზარტლიანობის საფუძველზე, როგორც ამას კომუნისტები ისახვენ შიზნად. თითახში დაბრუნებულ ბატონ ლადის თავის ჩიხი-მახოები კუთხეში მიექუჩებინა, ზედ ზურგით მისწოდოდა მაგრად, გეგონებოდათ, ვიღაცამ შათი წართმევა მოუნდომა და ამიტომ ზის ასე გაბუებულიო. ქალბატონ შუნიასაც კი, რომელსაც ყველაფერი აინტერესებდა, მოკლედ და უხალისოდ პასუხობდა.

ადამიანის სიცოცხლეს ქალბატონ შუნიასათვის ორ ფარგალში დატრიალებულ ფიქრებსა, შოქმედებებსა და გრძნობებში ჰქონდა გა-



მართლება. პირველი ბავშვობის წანით განისაზღვრებოდა, უკავშირული ნებიერი, საუცხოო გარემო მხოლოდ ერთადერთი და განსაკუთრებული კაგშირით შეკრული ზღაპრული მომავლის წინასამყაროდ ეჩვენება ადამიანს, სადაც იგი მომთხოვნი მაყურებელია და რაც კი რამ ხდება, ყველაფერი მისთვის განკუთვნილი ჰგონია. მეორე — ცხოვრების იმ ბრუნვად, სადაც უნდა შეეცადო თვით, შეჰქრა რაღაც წრე, შენ თვითონ გააღვივო სიკეთის ის ნაღვერდალი, რომელიც სიცოცხლის ხალისად გამოგაყოლა ბავშვობამ. ქალბატონ შუნიას ამ რწმენას დაპყვებოდა სინანულის სამუდამოდ დანაკლისის გრძნობა, ის შეგნება, რომ რარიგ წარმატებითაც უნდა დაგვირგვინდეს შისწრაფებები, რარიგ ბედნიერი შუქითაც უნდა განათდეს მათი შინასკნელი ატმოსფერო, რაღაც განუმეორებელი მაინც დაიკარგება, იმ პირველ შენილი მომხიდვლელობის იღდენა აღარ მოხერხდება. არც ის მოხდება, ისე იცხოვრო, როგორც ბავშვობაში, ბუნებრივი რეაქციების ამარა, დაშრევებული პირობითობის ზეგავლენის უმისოდ, როდესაც ჯერ კიდევ არა ხარ შეგუებული უფროსების მიერ დაძალებულ ყალიბებს. ლამაზი სანახავია სერჩე წამოსკუპებული მთვარე, ხის ტოტებში გახლართული მუშტისოდენა ვარსკვლავები, ციცინათელების ფერსული, მაგრამ ვიღაც სხვისთვის რა კავშირი აქვს ამას შინაურ ცხოველებზე შებმული ზანზალაკების უღარუნთან. მზის ამოსვლა საოცრებაა, მაგრამ არანაკლებად საინტერესოა ვენახში ჩამჯდარი გარინდული ბავშვი, რომელიც დახუნდლულ წითლად იღუებულ ყურძენს იმდენ ხანს შეცყურებს, სანამ ვინმე არ დაუძახებს და გონის არ მოიყვანს. ქალბატონი შუნია ცხოვრებაში არაფერს ისე არ დაუინტერესებია, როგორც მოჩუქურთმებულ ხის მოაცირიან ფართო აივანზე ბებიას მიერ დაპურებული, ყარიბის მონაყოლს „მთელი დუნიას“ ამბის შესახებ, რომელიც თვალბაჭუნა ვარსკვლავებიდან წამოსულ გაუთავებელ ჭრიჭინს მოსდევდა თითქოს. არც რამ ყოფილა ჭრიანტელის კერძოედ გემრიელი, რომელიც გაგანია სიცხეში შეეცეოდა სოლმე ცაცხების ჩრდილშვეშ, ქვის მრგვალ მაგიდასთან შემოკრებილი მთელი ოჯახი. რა არის სხვისთვის ოცდასამი მაისის კონიგრობა, მსხვერპლის შეწირვით, ცეკვით, სიმღერით და თამაშით! თუგინდ შობის დღესასწაული, ახლი წელი, როცა მთელი ახლო ნათესავები მათთან იყრიდნენ თავს! ახალი წელიწადის გათენება შათ დიდ სოფლის სახლში ყველას ეშურებოდა. ბავშვები გვიანობამდე არ იძინებნენ, ნებაზე იყვნენ მიშვებული, ოინბაზობაზე ეჭირათ თვალი,



ერთმანეთს ქვეშებდნენ, ჩემეტდნენ, უკილ-ხივილით მაინც მოინც  
ალვაზახისა და გობინაყის გაკეთებაში ჩაბმულ უფროსებს ებლადე  
ზოდნენ ფეხებში. ძიძა-გაძელელები ვითომც ყურადღებას არ აქცევ-  
დნენ, მაგრამ როცა თავს გავიდოდნენ და ბუდრუგანაობას აღარ იშ-  
ლიდნენ, დასაოკებლად მსუბუქად დასასაქმებდნენ. შუნიასავით შუა-  
ლამებდე იწვიათ ად თუ რომელიმე ბავშვი სძლებდა. როცა პატარა  
შუნიას, ძილმორეულს სათუთად ჩაწევენდნენ, ლოგინში, კიდევ კარ-  
გა ხანს ესძოდა ბუშრის ლულუნი, მისგან გამოკრთობილ სინათლეში  
ხედავდა, თუ როგორ ანთებდა მამა ხატების წინ სანთლებს, იჩოქებ-  
და, ლოცულობდა, დილადრიან შემოსატანად და ჩამოსარიგებლად  
როგორ ამზადებდა ვერცხლის დოქს წითელი ღვინით, ალაგებდა გო-  
ზინაყს, ზაფირს, როგორი შოშიწებით გადასწმენდდა ხავერდის ნაჭ-  
რით პატარა მონქროვილ ხატს, პირვარს გადაიწერდა და მასაც სინ-  
ზე სდებდა. პატარა შუნიამ იციდა საღმრთო წერილი. დიდმარხებისას  
მღვდელს ერთი სიტყვაც რომ დაეკლო, ისეთ ზლუქუნს მორთავდა,  
რომ შეწუხებული მშობლები ეკლესიიდან თუ გამოიყვანდნენ და  
სხვა რამეზე გადაატანიებდნენ ყურადღებას, თორემ მისი გულამის-  
კვნილი ტირილი ქაფრიობას იკლებდა. ყველას ეგონა, რომ შუნია  
ზედმეტად ლვისმოსავი ქალი დაფგებოდა, მაგრამ მისმა მხიარულ-  
მა ქალიშვილობამ ეს იმედი ვერ გააშართლა. თავი მორჩმუნედ თვი-  
თონ არ მიაჩნდა, რამეთუ ლმერითოან დამოკიდებულება იდეალურის  
გამოვლენად წარმოედგინა, რისი შალაც, იციდა, არ შესწევდა. ახლა  
საკუთარი ოჯახის თვალიდ ნინოს თვლიდა, დარწმუნებული იყო, ის  
სიქველე, რომელიც მთ აჯახს მტხვდგამდა, ნინოსთვის გადაებერტყა  
განგებას. მართალია, ირაკლი ძლიერ უყვარდა, მაგრამ მასში სიმტკი-  
ცეს ვერ ხედავდა, არც მისი ვაჟკაცური პრეტენზიებისა არა ეჭერა  
რა, თავის შეულლეს ამსგავსებდა, განათლებულ კაცს, კარგ ექიმს,  
მჭევრი ენის პატრონს და აშავე დროს ტრაბახასაც, ცოტა მფრთხალ-  
საც. და თუ ნინოსთან არა თუ მეგობრული ურთიერთობა პქონდა,  
არამედ ემორჩილებოდა ჭიდეც მას, ირაკლის ყოველ ნაბიჯს მეურ-  
ვებას უწევდა და მოსალოდნელი გაუგებრობიდან დასაზღვევად,  
ხან შენილბული ფორმით და ხან გულუბრყვილოდ რჩევა-დარიგებას  
აძლევდა.

ირაკლის გამომძიებელთან დაუძახეს თუ არა, ქალბატონმა შუ-  
ნიამ მისთვის უჩვეულოდ თავშეკავებულად და დინგად დამარცვლა:  
— უპირველეს ყოვლისა ყველანი სიკვდილის შვილები ვართ,

მერე ცი, როცა წემქრთალი ირაკლი გაიყვანეს, წამოიძახა: — ეგ / მა-  
მაონტრის შვილები აღარ გვეშვებიან?!

ქალბატონ შუნიას უყვარდა ლაპარაკში ცხარე რუსული გამო-  
ქმების ხმარება, მაგრამ მას შემდეგ, რაც არმავირში მოხვდნენ, ერ-  
თხელაც არ მოსდგომია პირზე რუსული სიტყვა — ქართულად იწყევ-  
ლებოდა.

გამომძიებელი ირაკლის ტოლი ყმაწვილი იქნებოდა. თვალებით  
უბრძნა დამჯდარიყო, მერე არაფერს ამბობდა და საწერი მაგიდის  
უჭრებში დიდხანს იქექებოდა, ვითომ რაღაცას ეძებდა. ირაკლი ეპ-  
ლებზე იჯდა, ყოველ მის მოძრაობას გულისფანცქალით ადევნებდა  
თვალს, სურდა შიმხვდარიყო, რა რეალური საშიშროების წინაშე  
იდგა, როგორ მოქმედეოდა ეს მისი კბილა ბიჭი. გამომძიებელს სი-  
ამონებდა, რომ შალალი წრის სალონებში ნათრევი, კარგად ნაცხოვ-  
ები და, ალბათ, ლამაზ ქალებშიც თავმოწონებული მდიდარი ვაჟ-  
ბატონი მის ხელში იყო და მას, ლარიბი გლეხის შვილს, ასე მონუ-  
რად შესცეროდა თვალებში.

— ჰო, ესე იგი, თქვენ მოხალისეთა ჯარის, უფრო ზუსტად —  
კორნილოვცების ოფიცერი ბრძანდებით, — როგორც იყო, სტკიც  
შებლში მან.

— რას ბრძანებთ, რომელი კორნილოვის? მე, როგორც ყველა  
ახალგაზრდა, მხოლოდ ჯარში ვიყავი.

— მე კი არ ვყოფილვარ მეფის ჯარში, — ნიშნის მოგებით თქვა  
გამომძიებელმა.

— ჰმ, თქვენ, — გაიღიმა შლიქვნელურად ირაკლიმ, ექებდა რა-  
იმე ქათინაურს, მაგრამ ვერ მოენახა შესაფერი სიტყვა, არც იყო  
დარწმუნებული, გაუგებდნენ თუ არა, ამიტომ ისევ თავის გაჭირებას  
დაუბრუნდა. — იცით, ექვსი თვე მძიმედ დაჭრილი ჰოსპიტალში ვი-  
წევი, სულ ორი კვირაა, რაც გამომწერეს.

გამომძიებელმა დამცინავი ღიმილით შეხედა ირაკლის მოვარაყე-  
ბულ ჯოხს.

— თუ გნებავთ სწორე იცოდეთ, მე ჯერ კიდევ 1912 წელს ვიღებ-  
დი მონაწილეობას სტუდენტთა და ჯარისკაცთა გამოსვლებში თბი-  
ლისში, — ირაკლი აღელვებული ლაპარაკობდა, ეს ეპიზოდი რომ მო-  
უვიდა აზრად, გაეხარდა, დააიმედა თავის თავი, ტყუილს ვერ დასწა-  
მებდნენ, კადეტთა კორპუსში ხომ მართლაც მოხდა შეგავსი შემ-  
თხვევა!?

— კეთილი და პატიოსანი, — გამოცვალა რატომღაც კილო / გა-  
მომძიებელმა და როგორც შასწავლებელი კარგად მოპასუხეობრივს-  
წავლეს წააქეზებს, განაგრძო: — ჰო, ჰო, ამის დაჯერება, უდავოდ,  
შეიძლება, მაგრამ აი, ოქვენ, ყოფილ ოფიცერს ხომ შემოგრჩათ ლრ-  
სება? — იგი გაჩუმდა. პასუხის მოლოდინში ირაკლის შეაცემაზდა.  
ირაკლის ვერაფერი გაეგო. „ოფიცერს“ რომ უწოდებდნენ, ელეთ-  
შელეთი მოსდიოდა:

— რა ლირსება?

— როგორ თუ რა, ადამიანის ლირსება!

— ჴა? დიახ, — გაახსენდა ირაკლის, არ იცოდა რა ერქვა, ეს კი-  
ოხვა რაღაც დაუმთავრებლად, პროვოკაციულად მოეჩვენა, მაგრამ  
გამომძიებლის ჩაღამებული თვალები პირიქით, სათქმელად ამხნევებ-  
დნენ, დასტურს ელოდნენ.

— როგორ გითხრათ... იცით...

— როგორ მითხრათ და, მე ვფიქრობ, რომ უოველმა წესიერმა  
ადამიანმა, ვინც უნდა იყოს იგი, ლირსება და ნამუსი არ უნდა და-  
კარგოს, — დოქტორალურად, მაგრამ რაღაც მზაკვრული მახვილაკით  
თქვა მან. — ასე არ არის?

— დიახ, დიახ... — მთლად დაიბნა ირაკლი.

— ამიტომ თქვენ, როგორც კეთილშობილ და პატიოსან ადამი-  
ანს, — გამომძიებლის ტონში ირონია არ შეიმჩნეოდა, — არ დაგა-  
ტანთ ძალას, თუ არ გინდათ, ნუ იტყვით, მე უბრალოდ მოვალე ვარ  
შეგევითხოთ, იყო თუ არა არადელი ივერიელთა პოლკის მეთაური,  
რომელიც ზან პეტროვგრადში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ  
საბრძოლველად შეადგინა?

ირაკლიმ მელოტ თავზე გადაისვა ხელი, ეს სიმარტლეს არ შეესა-  
ტყვისებოდა, მაგრამ რახან ასე პქონიათ გაღაწყვეტილი და ასე სჯე-  
რათ, რას დაუმტკიცებ, ან როგორ? რაც მთავარია, ეტყობა, არ  
იცოდნენ ამ საქმეში მისი როლის აშშავი, თორებ ასე კეთილგანწყო-  
ბით არ ესაუბრებოდნენ, მის შოწმეობასაც არ მოისურვებდნენ. არა  
და ეს ხომ... სასწრაფოდ ყველაფერზე კვერი უნდა დაუკრას, თორებ  
თუ შეიტყეს, მერე გვიან იქნება.

— არა, თუ არ გნებავთ, ნუ იტყვით, მე ძალას არ გატანთ, — გა-  
ნაგრძობდა გაუგებარ თაშაშს გამომძიებელი.

„ნამდვილად წესიერი ბიჭი ჩანს, — გაიმხნევა თავი ირაკლიმ. —

კარგები და ცუდები ყველგან არიან, ბოლოს და ბოლოს ჩემთვისაც  
ხომ ადამიანის ღირსებაა მთავარი...“

— ყველაფერი გცოდნიათ, მაგრამ ამ ჩვენების მოცემაზე უარის  
ვაცხადებ, — არადაშაჭერებლად წილულლული შან. სიჩუმე ჩამოვარ-  
და. ირაკლი უკვე ნანობდა, ასე 'რომ წაიყოყლოჩინა, კარგს აღარა-  
ფერს მოელოდა. მგონი, გაება გამომძიებლის შახეში. გაახსენდა საბ-  
ჭოთა მილიციასა და „ჩეკაზე“ მონაყოლი საშინელებები. შემოვარ-  
დება ახლა ვინმე ტლუ გლეხის ბიჭი, წაათრევს სადღაც ჯურლმულში  
და წამებას დაუწყებენ. გამომძიებელმა ისევ ირონიულად ვაიღიმა,  
ოქში რაღაც ჩაწერა, ხმამაღლა და გარკვევით წაიკითხა:

„მე ვიცი, რომ არალელმა პეტროგრადში საბჭოთა ხელისუფლების  
წინააღმდეგ საბრძოლველად შეადგინა „ივერიელთა პოლკი“, მაგრამ  
ამის უესახებ ჩვენებას ვერ მოგცემო, ვინაიდან ასეთი საქციელი აღა-  
მიანის ღირსების შელახვად მიმაჩნია.“

— დიახ, დიახ, — მოეშვა გულზე ირაკლის. გამომძიებელს შემ-  
დეგ ბევრი აღარაფერი უკითხავს, ფეხზე წამოდგა, ოქმი მოუტრიალა  
პირისპირ მჯდომ ირაკლის და უთხრა:

წაიკითხეთ და ხელი მოაწერეთ, გასინჯეთ, ყველაფერი ისეა თუ  
არა ჩაწერილი, როგორცა თქვით. ამის უფლება თქვენ გაქვთ.

ბოლო სიტყვებში დაცინვამ გაიხმიანა, მაგრამ გახარებულშა  
ირაკლიმ ყურადღება არ მიაქცია. ზრდილობიანად გაიღიმა, თავი გა-  
დაიქნია, რაც იმას ნიშნავდა, როგორ გეკადრებათ — გენდობითო. ტე-  
ლს აწერდა, თან ჯერ კიდევ დაუკითხავად დარჩენილ ქართველებს  
გადაავლო სათითაოდ გონების თვალი — ვის შეეძლო „ივერიელთა  
პოლკზე“ ეთქვა რაიმე. შიშობდა ერთბაშად არ დანგრეულიყო ასე  
იოლად, ლიტონი სიტყვებით შეკოწიწებული თავშესაფარი. ჩანს, ჯერ  
არაფერი უთქვამთ, მაგრამ რა იცი, არავის წამოსცდეს, რომ ირაკლი  
ერთა ამ საქმეში. თუმცა რა? „ივერიელთა პოლკი“ ხომ ისე, ტყუილ-  
უბრალო ლაპარაკი გამოდგა.

— როდის გაგვიშვებენ? — უფრო თავისი პასუხით ნაყიდი დამო-  
უკიდებლობის განსამტკიცებლად, ვიდრე საკითხის გასარკვევად იყი-  
თხა მან. უკვე პრეტენზია ჰქონდა ამისი, ვინაიდან მისგან რასაც პო-  
ითხოვდნენ, პირნათლად შეასრულა. გამომიტიებელმა თავდაპირველი  
მკაცრი იერი მიიღო, არ უპასუხა, არც დაემშვიდობა უადგილოდ  
ზრდილობიან პატიმარს. „ეჲ, — გაიფიქრა დერეფანში ირაკლიმ, —  
ცოლშვილიანი ვიყო ერთი, ყველას წინაშე ვალი მქონდეს მოხდილი,



მე ვიცი, როგორც ველაპარაკებოდი ამ ხეპრე გამომძიებელი ქართველების ოთახში საიდანლაც უხსესნებელივით შეცოცებულიყო „ივერიელთა“ დახვრეტის ამბავი, ყველა დადუმებული, შიშით გაფართოებული გუგებით, წელგაწყვიტილივით იჯდა, თითქოს შართლაც შუა ოთახში შემოკლავნული უშველებელი ქვეწარმავალი ყოველ მათვანს თვალებში მიშტერებოდოდა და შავი ცეცხლივით მოლაპლაპე ენას უმიზნებდა. მორიგემ ახლა ქალბატონი შუნია წაიყვანა დაკითხვაზე. ჩიხტი-კოში, ქართულ კაბაში და სამკაულებში მთელი ბრწყინვალებით წარმომდგარი კნეინა რომ იხილა, გამომძიებელი ანაზღად შეკრთა. იმის მაგიერ, შეშინებული და აფორიაქებული ქალბატონი გაეთამაშებინა, როგორც მოელოდა, პირიქით, ქალბატონ შუნიას შემოტევის მოვერიება დასჭირდა. თავისი სისუსტის დასაფარვა შეუძლებელი გახდა. რამდენსამე ხანს ცუდ-უბრალო ყვირილის შემდეგ მიხვდა; რომ ამ ხნიერ ქალთან ასე ფონს ვერ გავიდოდა — ის ყურს არ უგდებდა, მისი ნილაპარაკევის მოსმენა არ სურდა, მორჩა და გათავდა. ჩეკისტებს არ უფიქრიათ, რომ ვინმეს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ასეთი შემთხვევისათვის არაფრით იყვნენ მომზადებული, მით უმეტეს, რომ ამჯერად დაკითხვას ისე, ფორმალურ მხარედ მიიჩნევდნენ, დარწმუნებული იყვნენ, ქართველებს დახვრეტია არ ასცდებოდათ. და თუ სხვა ტყვეებთან გამომძიებელი იტყუებოდა, იქცევდა თავს, ახლა სიმართლის მოშველიება დასჭირდა:

— თქვენ ისიც გეყოფათ, რომ კნეინა ხართ, მხოლოდ მაგისტვის თქვენცა და თქვენს შვილებს სიკვდილით დასჯა მოველით.

არც ამ მუქარს მოუხდენია ქალბატონ შუნიაზე შთაბეჭდილება, გამომძიებლის წვრილმანმა შურისძიების გრძნობამ ვერც აქ გაიხარა, აქაც კოვზი ჩაუვარდა ნაცარში. ამ ქალის თვალებში მან ამოიკითხა, რომ ყოველივე ეს მისთვის კარგადაა ცნობილი და ამაზე ივი ერთ შუთსაც აღარ ითვიქრებს, ვიდრე უშუალო აღსასრულის დრო არ მოგა. ქალბატონმა შუნია ყურიც არ ათხვა მის სიტყვებს, გამომძიებლის გასაწმილებლად კი რა, უბრალოდ იმდენად უგულებელყო, რომ უპასუხოდ დატოვა და თავისი სათქმელი განაგრძო:

— შურითა და მტრობით აშენებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს. ხალხისათვის კარგი გვინდაო, თქვე უბედურებო, კაცის კვლას რომ ეჩვევით, გულამოჭევარტლულებს რაღა სიკეთის თავი გექნებათ?! მოცუფანეთ აქ ის თქვენი უფროსი და მე ვეტყვი მას ყველაფერს!



დღესვი, ახლავე გაგვანთავისუფლონ, თორემ ისეთ ჯოჯოხყოფაშიამდგინდება, სულ თავბედს გაწყევლინებთ, ისეთ წივილ-კივილს აგიტებთ, კინ იცის, მთელი ქალაქი შეგიყაროთ. გამომძიებელს ყვრიშალები წამოჭარხლებოდა, გაბრაზებულს თავგზა ჰქონდა აბნეული, აღარ იცოდა, რა მოემოქმედნა:

— კარგით, გეყოფათ, შოიცათ, გაჩერდით, — იძახდა იგი ბრინჯივით დაბნეული და ხან კარებთან მიღიოდა, ხან ფანჯარსთან იქნევდა ხელს, ვითომ ვილაცას გარედან უხმობდა მოსაშველებლად.

— თქვენივე კანონებს რომ არღვევთ და მგლებივით დღეისდღით ცოკრობთ, აღარა ფიქრობთ, რომ ჩვენ როცა აღარ ვიქნებით, ერთმანეთს დაერევით და თქვენივე უფროსების მონობაში ჩავარდებით!?

— კარგით, მოვრჩით, დეიდა, მოვრჩით, — სიხარულით შეეგება ხმაურზე შემოსულ ნიკიფოროვნას გამომძიებელი.

— დეიდას მოგცემ მე შენ, გამომივიდა დისწული! — იბრუნა დაწყნარებისკენ პირი ქილბატონმა შუნიაშ. — გადაეცი იმ შენ უფროსებს, ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე ღმერთის ხელშია და თუ ღმერთი გაგვწირავს, ამას მივიღებთ როგორც მოწყალებას: Ибо, как говорит апостол Петр: „Скорбь без вины есть выражение милости божьей к людям“. ამ სიტყვებზე იგი წამოდგა, ლამაზი თვალები ზემოთ ალაბყრო, ისეთი დარბაისლური იერი ჰქონდა, ვითომც ეს წივილ-კივილი მისი ჩატარებული არ ყოფილიყოს, პირჯვარი გადაიწერა და ნიკიფოროვნას გაჰყვა თავისი თავით უკმაყოფილო. მაინც ვერ გაბოთქვა ის, რაც სურდა, თუმცა ვინ ოხერი გედო ეს ცხვირმოუხოცელი გამომძიებელი, ანდა შეიძლება კია, რომ ყველაფერი, რაც ზან ამ წელიწადში ნახა და გადაიტანა, რასაც მიხვდა და შეიგრძნო, ის სიტყვით გამოითქვას?! რას დაარქმევ ბოროტებას, დაუნდობლობას, თვითონიშნურ შერისგებას, ბნელი ძალების ზეიმს, რომელნიც თუგინდა ამ წითელხელსაბამიანი უშნო და თავისთავად უბედური ქალის თვალებში ჩათესლილიყო?!

ტიუხინი თავის კაბინეტში მოზღვავებული ენერგიით დაბრუნდა. მართალია, საბჭოს სხდომიდან გამოყოლილი უსიამო მოგონებათა გულძმარვა კიდევ არ გაქარვებოდა, მაინც ცხენით გასეირნებაშ დილანდელი კარგი გუნება ნაწილობრივ აღუდგინა და ახლა საქმეში რომ ჩეგმებოდა — ყველაფერი ძველებურად წავიდოდა. საჩქაროდ შეუდგა მუშაობას. პირველ რიგში ქართველების ბედი უნდა გადა-

წყვეტილიყო, გადადება აღარ შეიძლებოდა. ჩეკისტები, რომელნაც  
ტყვების გამოძიებას აწარმოებდნენ, დაიბარა, მაგიდაზე დილით და-  
ტოვებული დავთარი გადაშალა, ქართველების სის ჩახედა, ჩახედა  
და თვალებს არ დაუჭერა — პირველივე ვალურიან გეორგიევის არა-  
დელი გამოდგა.

სანამ ტიუბინი არადელს გაიცნობდა, მისი სახელი პეტერბურგში  
გაეცემდა და წარმოდგენილი ჰყავდა ერთ პროვინციელ ავან-  
ტიურისტად, „ინაროდეცად“, რომელიც დედაქალაქში კარიერის გა-  
საკეთებლად იყო ჩამოსული. პირველად მას კნიგინია მარია პავლოვ-  
ნას სახლში შეხვდა. მაშინ მინა ამ სახლში ვითომდა ნათესაური მო-  
ვალეობის გამო დაღიოდა, ნაშენვილად კი მარია პავლოვნა მოსწონ-  
და, თავგრუდებებული იყო მისი სილამაზით, ოც ცოტა ხნით მაინც  
უნელებდა იმ შავ ფიქრებს, რომლის გაქარწყლებასაც სხვაგან ამაოდ  
ცდილობდა. იმ ლიტერატურულ საღამოებზე, რომლებსაც ხშირად  
აწყობდა დასახლისი, იგი ნათესაური უფლებებით სარგებლობდა:  
ყველაზე დიდი გამოჩენდებოდა სასტუმრო ოთახში და დიდი მოწირე-  
ბით უკანასკნელი ეთხოვებოდა ხოლმე. მინას ვერ გაეგო, ხვდებოდა  
თუ არა მის ფარულ ვნებას კნიგინია. თვითონ კი ვერ გაებედა ქა-  
რაგმული სიტყვით ან საგანგებო მოქცევით მისი ყურადღების მი-  
ჰყობა და უბრალოდ მის გვერდზე ყოფნითაც კმაყოფილდებოდა.  
ტიუბინს იმ ხანებში ციურისტში მოუხდა გამგზავრება, სადაც წინათ  
სწავლობდა. ორიოდ კვირა არ ყოფილიყო კნიგინიასთან და როცა  
დაბრუნდა, არადელისა და მარია პავლოვნას დამკიდებულებაში  
უადგილო ადგილს გადაჭარბებულმა ოფიციალურობამ და სადღაც  
უცებ სიახლოესი მოურიდებელმა გამოვლენამ დააეჭვა. იმ საღამოს-  
შე უფრო მეტი შეურაცხყოფა იწვნია მინამ. როცა სტუმრები წავიდ-  
წამოვიდნენ და სასტუმრო ოთახში მხოლოდ მინა, არადელი და კნი-  
გინია დარჩნენ, მარია პავლოვნამ ნათესაური, შინაურული ღიმილით  
ბოდიში მოუხდა, მარტო დატოვა, ხელკავი გაუყარა არადელს და  
თავის ბუღუარში შეიყვანა. ბოლმაშემოწოლილი მინა ორ ცეცხლშუა  
ჩავარდა, წამოსულიყო დაუმშვიდობებლად, თუ ბოლომდე იეტანა  
ეს თავლაფდასხმა. ბავშვობაში, როცა უკრაინაში იყო სტუმრად, ისა  
და მისი ამხანაგი სხვის კავლის ხეს შეეჩივნენ. თუ ღამე ქარი ამო-  
ვარდებოდა, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თუკი ჩამოყრილი  
არ დახვდებოდათ, სულწასულნი გაუბედავად მაინც სამ-ოთხ კავალე-  
ჩამოაგდებდნენ ქვით. გულის ფანცექალით დაიტაცებდნენ, დამნაშა-



ვენი და ბედნიერნი მოქურცხლავდნენ ხოლმე, თუმცა არავრც მოს-  
ხევდათ უკან. ერთ შშვენიერ დილას ვიღაც მათზე უფროსი ბიჭი  
დახვდათ აპარული ხეზე, რომელიც უშველებელი კეტით უმოწყალოდ  
ბერტყავდა კაკალს. ერთი ტომარა უკვე აევსო. ბიჭებმა რომ შეას-  
წრეს — ვითომც არაფერი, საჩვენებელი თითი ტუჩზე მიიღო და არ-  
ხეინად განაგრძო ბერტყვა. მინა და შისი ამხანაგი დაიბნენ. ვერ გა-  
დაეწყვიტა, ეყვირათ, გაქცეულიყვნენ თუ მონაწილეობა მიეღოთ  
ასეთ ღია ძარცვაში. თვითონაც გაძარცულად გრძნობდნენ თაგვს: მათ  
ხომ შეეძლოთ ასევე მოქცეულიყვნენ? და უფრო ადრეც! სანამ რა-  
იმეს მოიფაქრებდნენ, ბიჭი ზიდან ჩამოხტა, ნაძალადევად გაულიმა  
მათ, მიწაზე მიმობნეული კაკლები სასწრაფოდ მოხვეტა, ჯიბეებში  
და უბეში ჩაიყარა, რამდენიმე აუკრეფელ კაკალს განზრახ მათვენ  
წაჟრა ფეხი. „ეე... შენ ვინა ხარ?“ — როგორც იქნა ამოღერდა მი-  
ნას ამხანაგმა. ბიჭმა ტომარა მოიკიდა, არც კი მოუხედავს, ისე წავიდა  
ლილინით. ტიუხინი ახლაც ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, სიმ-  
წრის თფლმა დაასხა. იქნებ დუელში გამოეწვია ეს ვიგინდარა არა-  
დელი?! ან მარია პავლოვნასთვის ეთქვა რაიმე გესლიანი ქათინაური?!  
კნიაგინია თავის სტუმართან ერთად მალე დაბრუნდა და ორივეს სან-  
დომიანი ლიმილით დაემშვიდობა. ტიუხინი არადელს აეტორლიალა,  
უშუალო შეურაცხყოფის საბაბი არ მიეცა, ამიტომ ფიქრობდა სადმე  
საზოგადოებაში მოხვედრილიყვნენ, სადაც საჯაროდ დაამცირებდა,  
მაგრამ პირისპირ დარჩენილში თვალი ვერ გაუსწორა მის მტკიცე მზე-  
რას, მიხვდა, რომ არამცთუ რაიმე უხაშობა; ყოველგვარი ფრივო-  
ლური დამოკიდებულებაც დაუსჯელი არ დარჩებოდა. მოცილებაც არ  
სურდა, იცოდა, აღრენილი გინწყობა მთელ ღამეს არ მოასვენებდა,  
გააწამებდა ისედაც უძილობის მქონე მინას. გვიან იყო, წასვლა მხო-  
ლოდ რესტორანში თუ შეიძლებოდა. და თხოვნა-მუდარის შემდეგ,  
რაც მისი განზრახვის უკუშედეგი გამოიდა, როგორც იქნა დაითანხმა  
არადელი. იგი წუნია პატარძალის ცნობისშოუვარეობით, ამავე ღროს  
გაღიზიანებული და შერით გულჩაკლული ათვალიერებდა შევ ჩოხა-  
ში გლუვად მოხაზულ არადელის განიერ მხერებს, ძლიერი კისრით  
მაღლა აზიდულ თეთრ ახალუხს, ლონიერ მაჯებს, მბზინავ ხშირ თმას,  
თეთრყირმიზ საერთო იერს. მინასათვის მოულოდნელად არადელი თა-  
ვის ძალაში დაჯერებული და შეუპოვარი მამაკაცის გარდა მოკრძალე-  
ბული კომპანიონი, კარგად აღზრდილი ინტელიგენტი აღმოჩნდა, უფ-  
რო მეტიც, მან ისეთ რაღაცებზე ილაპარაკა, რაზედაც იმ ხანებში



დღენიადაგ ფიქრობდა მინა... როცა ნაწილობრივ თავისი შუხილი გა-  
ანდო, გულისნადები გაუზიარა და ჰკითხა, ხომ შეიძლება შე ანლი  
ავად ვიყოო, დაფიქრებულმა არადელმა დიდი თვალებიდან რბილი  
თაფლისფერი სხივი შემოანათა, ჭირისუფალივით გამამხნევებლად,  
მაგრამ ლრმა აწმენით უპასუხა: „ნუ დარდობთ, თქვენი გამოჯან-  
მრთელება თქვენზეა დამოკიდებული — თქვენ წესრიგში უნდა მო-  
იყვანოთ თქვენი მსოფლმხედველობა“. ამ სიტყვებმა უბიძეს ტი-  
უხინს მიეკითხა იმ სასწაულმოქმედი ქალისთვის, რომელზედაც მი-  
ხრწნილმა, მაგრამ ჯერ კიდევ კერგეტა კავალივით დაუშლელმა დი-  
დედა ილინიშნამ მიასწავლა. თავის ღროზე მინას განათლების თა-  
ობაზე ჩამოვარდნილმა უსიამოვნებამ ავყიაობით განთქმული ილი-  
ნიშნა ისე გაანაწყენა, რომ მინას დედის ეკატერინეს სიკვდილმაც კი  
ვერ შეარიგა იგი ვაჟიშვილთან. მოსკოვში, სადაც პირველ ხანობაში  
იზრდებოდა მინა, დიდედამ სასულიერო სასწავლებელში მიაჰარა,  
მაგრამ იმავე წელიწადს, როგორც კი დიდი ვასილი თავის შეულლი-  
თურთ — პატარა, ჩუმი, უწყინარი ქალით — უცხოეთიდან დაბრუნ-  
და, ბავშვი მაშინვე თან წაიყვანეს პეტერბურგში. ასეთი მოუღლოფნე-  
ლი საქციელი ილინიშნამ შვილს არ აპატია, არც შვილიშვილის აშბავს  
ულარ კითხულობდა, მხოლოდ ვასილის გარდაცვალება როცა შეიტყო,  
მაშინ დაიბარა მინა, როგორც მემკვიდრე. იქნებ მართალი იყო დიდე-  
და, რა მისცა გიმნაზიამ, უნივერსიტეტში „ვეჩირ სტუდენტობა“?, უ-  
ურსხის უნივერსიტეტს ერთამა წელიწადში? — ყოველივე სიმყარის,  
თეთრისა და შავის გარკვეულობის მოშლის, ეჭვისა და სულიერი ხე-  
ტიალის მეტი არაფერი. მინას ახსოვდა, რომ რესტორანი „მეტროპო-  
ლიდან“ პირდაპირ სასწაულმოქმედ ქალთან მივიდა, მეხსიერება ახ-  
ლა ასეთი თანმიმდევრობით პეტონდა გადაკვანძული და ის, რომ რეს-  
ტორანი — „მეტროპოლი“, სადაც მან არადელი დაპატიჟა, პეტერ-  
ბურგში იყო და სასწაულმოქმედი ქალი კი — მოსკოვში, მას სულაც  
არ მოსდომდა თავში.

მინას ბევრი ძებნა არ დასჭირებია, როგორც მოეჩვენა, ირონი-  
ული ღიმილით მიუთითეს განკერძოებულად მდგარ მაღალ სახლზე,  
რომლის უკანაც ამ შეა ქალაქში სოფლის ორლობე და დროით ჩაუ-  
მებული ფიცრულები შეყუულიყო. დიდი სახლის ყრუ კედელთან  
მიშნებული ქოხის გარშემო, როგორც საქონლის ბაზარზე, ჯვეუ-  
ჯგუფად გაბნეულიყო ხალხი. ქოხის ქარებთან სახელოებაკაპიშებუ-  
ლი, ქერაქოჩირიანი და შავთვალწარბა ახალგაზრდა კაცი ტრიალებდა,

ყოველ შემსვლელს რაღაცას ეკითხებოდა, ზოგს უშვებდა, ზოგს აც-  
დევინებდა და სხვა ჯგუფთან ამორჩეულად აწყვილებდა. მინამ გერმ-  
ჩენამ თალხად ჩაცმული მამაკაცებისა და ძაებიანი ქალების ყურად-  
ლება მიიქცია. მინამ მკაცრი გამომეტყველება მიიღო და წამიერი  
ყოყმანის შემდეგ იქვე აგურის გროვაზე ჩამოჭდა. „სად მოვედი? —  
გალიზიანებულმა ჰკითხა თვის თვის, — რა მინდა ამ შარლატანებსა  
და ბნელ ბრბოში. დავუჭერე სიბერითა და სიკერპით გამოთაყვანე-  
ბულ დედაკაცს“. ერთი პირობა წასვლა დაპირა, მაგრამ სილაჩრის  
შეტევა გაახსენდა და მორჩილად დაიყრდნო მუხლებს ხელები, მო-  
ილუნა მხრებში. ხალხი სასწაულებზე, ლვოის ნიშან-მოვლენაზე ბა-  
საობდა, ყოველ ჯგუფს მთავარი მთხრობელი ჰყავდა. სახეზე ყველას  
რაღაც იშედიანი სინათლე გადაჰყენოდა. მინამ მოიწადინა მის ახლოს  
შეკრებილი ჯგუფის შუაში მდგარ წვრილოვალა მოხუცისთვის დაეგ-  
დო ყური. უწინ, სულ ორიოდე წლის წინათ, უყვარდა უბრალო ხალ-  
ხში გარევა, საჯარო აღგილებში მათი საუბრის დაყურადება, მსუყე  
ხალხური გამოთქმების დამახსოვრება, მაგრამ ამ ბოლო დროს ძლი-  
ერ უნდა გაემახვილებინა ყურადღება, რომ რამდენიმე წინადადების  
აზრს მიჰყოლოდა, მისდაუნებურად საყუთარი ფიქრები გადასძლევ-  
დნენ ხოლმე. ახლაც თავს ძალა დაატანა, მოხუცის სიტყვებით დაინ-  
ტერესდა, მაგრამ თითქოს ყურსაც დააკლდაო — აღარაფერი ესმო-  
და. ქოჩიანმა ახელ-დახუდა მინას, არაფერი ჰკითხა, მალე შეუშვა.  
ოთახში სასიამოვნოდ თბილოდა. ირგვლივ ჭილოფის ფარდაგები გა-  
ეკრათ. კედელთან ტახტი იდგა, მასზეც ჭილოფი გადაეფარებინათ.  
შუაში, ხის პატარა ძველ მაგიდაზე ღირი სანთელი ენთო, მის უკან  
ომაგაშლილი, თავხალუნული ქალი იჯდა. სანთელი ახლად გამოცვლი-  
ლი უნდა ყოფილიყო, ისე ბარბალებდა. მინამ ვერ მოასწრო შე-  
ტყო — ქალს გრძელი თავშალი წამოესხა მხრებზე, თუ რუხი ტომ-  
რის ბალახონი, როცა წყლიანი შავი თვალები, ისეთივე როგორც ქოჩ-  
იანსა ჰქონდა, მის თვალებს გაუსწორდა. ასეთი გამომწვევი და  
უპირატესი მდგომარეობის შეკრძნებით შეჯერებული მზერა რაღაც  
ჭეშმარიტებითა თუ განწირულობით განაპერწკლებული ბანქოს  
მოთამაშე მებლეფეს ან მართლაც წაუგებელი კოზირის მფლობელ  
შოწინააღმდეგის თვალებს აგონებდა მინას — გუნებაში პაწია იმედმა  
გაიჭიატა. დიდედა ილინიშნას გარდა ბევრი სხვაც აქებდა, მისნად მი-  
იჩნევდა ამ ქალს, მაგრამ მინა მაინც ცუდი მსახიობის ან ვინე ბნე-  
დიანის ნახვას მოელოდა.

— რაზე შოსულხარ, ჩემი ძმა? -- ჰეითხა ქალმა ღუღუნა ხმით.

— მინდა დავიჯერო, რასაც შენზე ამბობენ, — უპასუხესობის გულა

ଶ୍ରୀକୃତ୍ୟାଲ୍ଲାଙ୍କ ମିନାମ.

— რამდენი სახელგანთქმული მცურნალი იყო კაცობრიობის არ-  
სებობის განმავლობაში, მოარჩინა კი რომელიმე ერთი სამუდამოდ,  
განა გადარჩა რომელიმე ავადმყოფი ცოცხალი მთელი მედიცინის  
ისტორიაში? თქვენ მაინც გჯერათ მათი, ეწაფებით მათ რჩევებს და  
არა გსურთ ირწმუნოთ იმ სულიერი ექიმისა, რომელიც სამუდამო  
განკურნებას გვირდება.

ქალი თითქმის უაქცენტოდ ლაპარაკობდა, მაგრამ წინადაღებებს არარუსული წყობა ჰქონდა და მსენელისათვის მხოლოდ ფეხდაფეხ ზღვებიდა საცნაური. ადგა, მოკლეზე კი არ მივიღა ტანტზე ჩამოჭდარ შინასთან — მაგიდას მოუარა. დღიდი ტანისა არ იყო და მინას სახესთან გაუსწორა:

— რას ფიქრობ ჩემზე? — თითქოს ანკესი გადაეგდო, ისე იკითხა.

— შენ უგონია, იმიტომ მოვედი, რომ არა მჭამს არაფერი? —  
ახვითვე უპასუხა მინამ.

— რატომ არა გწამს მერე, რას იტანჯები? — თავისთავად ცხადი  
და უბრალო კილოთი ჩაიღულუნა ქალმა. თავისთვისაც მოულოდნე-  
ლად მინა ცალ მუხლზე დავარდა, შშიერი მგლის მზერა ჩაჭიდა  
თვალში.

— ნუ დამიმალავ, მართლა გწამს თუ თვალთმაქცობ, იქნებ თავ-  
უ ატყუებ, არ დამიმალო, გევედრები!..

— აუზი როცა წყლით აივება, ფსკერის სისწორე მაშინ გამოჩნდება.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი უკუიქცა თუ არა, მინამ მაშინვე იგრძნო; რომ ახალს აქ ვერაფერს გაიგებდა, მაინც დაელოდა, თავჩაქინდრულ-მა პასუხი გალახულივით მოისმინა, მერე წაშოდგა და უსიტყვოდ გა-შოვიდა გარეთ. რუხი ღრუბლებიდან წვიმა უონავდა. ეტლი დაიქირა-ვა. „რა ეშმაკად მინდოდა, რომ მოვდიოდი, რა მითხრა? ჯერ იწამე და დაინახავო, თუ — მოკვდები და მაშინ გაიგებო? ასეთ ხატოვან გამოთქმებს ეფარება მაგათი მტკიცება. ქრისტეს ერთ-ერთმა ასეთმა გამოთქმამ ინკვიზიციის კოლონები დაანთო“. მინას შესცივდა, პალ-ტოს საყელო აიწია, ფეხები გაშალა, ზურგით ბალიშებს შეიყრდნო,

აღარ ახსოვდა, უთხრა თუ არა მეტობეს, საით წასულიყო. კვლავც  
ის გაიხსენა, რა ეფაქ ქალს, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, ვითომ ფეხ-  
შიშველა ენახოს. „ალბათ თვითონაც უბედურია, სხვისი დარწმუნე-  
ბით თავსთავის დაჯერება სწადია. ასეთ აღამიანებს აცხადებდნენ  
უწინ წმინდანებად“ — გაიფიქრა მან. ქვაფენილიდან ნალების თქა-  
რათქური ვიწროყელიანი ჭურჭლიდან წყლის დაცლის ხმას ეშვებავსე-  
ბოდა. წვიმა კანკალებდა, თოვლად იცეოდა.

არადელთან უბრალო შეხვეძლრაც კი ამშვიდებდა ტიუხინს, ლან-  
ქერად უშვებდა მის გაყინულ აზრებს, სიცოცხლის ხალშით ამოძრა-  
ვებდა მის გრძნობებს. სწორედ არადელმა ურჩია გასცნობოდა მე-  
ოთხე საუკუნის ქრისტიანული ეკლესიის მამის წმინდა ეფრემ ისუ-  
რის შეხედულებებს, რომელიც ღვთის განჭვრეტის, განვებას, ბედის-  
წერას, ქვეყნიერების დასასრულს, ანტიქისტესა და მის მომხრე  
ჩრდილოეთის ხალხებს შეეხებოდა. აქედან დაიწყო ტიუხინმა რუსი  
შეუზაბნოების, ბერების, მონაზვნების, ეკლესიის მოღვაწეთა ნაშ-  
რომების კოთხვა. პირველად მამინ მოუვიდა თავში ის აზრი, რომ რუ-  
სეთმა ქრისტიანობიდან ღვთის განჭვრეტის პროვიდენციალიზმის მო-  
ტივი აილო სულიერ სახელმძღვანელოდ, რომ მსოფლიოს სამეფოს  
მემკვიდრეობითი შტო რუსებს არგუნა ბედისწერამ. მინა საათობით  
იჯდა ბეტერბურგის სასულიერო ყადემიის სარჩივში, კირილოვის  
სელნაწერებში დანოქმული, სადაც დაცული იყო XV—XVI საუკუნის  
ბერის ფილოფეის წერილები. ელიაზაროვის მონასტრის ეს მონაზვნი  
ყველაზე მყაფიოდ გამოხატავდა ღმერთის განჭვრეტის იდეას, მო-  
ყვოვის სამეფოს აღმდევების, როგორც უკანასკნელი ღვთის რჩეული  
მსოფლიო ერის აუცილებლობას. მინასთვის ყველაზე მთავარი მაინც  
იყო, რომ პროვიდენციალიზმის იდეა ეხებოდა არა მხოლოდ ხალ-  
ხთა ბედისწერას, არამედ ცალკეული პიროვნების ბედილბალსაც,  
რომელიც ღმერთს წინასწარ აქვს განჭვრეტილი. კაცობრიობის ბედის  
უქანასკნელი გზები, რომლებითაც ღვთის განვებას მი-  
ყავს კაცობრიობა მისი ყოფის საბოლოო მიზანთან — ყველივე ამის  
დაკვერება დიდ შელავათს ძლიერდა ურწმუნო ადამიანის აფორიაქე-  
ბულ სულს. არადელი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მძღმა სი-  
ტყვებმა — „ოქვენ წესრიგში უნდა მოიყვანოთ ოქვენი მსოფლმხედ-  
ველობა“ ასე იმოქმედეს ტიუხინზე. მინა ნელ-ნელა კერპდებოდა. თა-  
ვისი არსებობა თავისი ერის ზედს, მის განვებას დაუკავშირა. იგი  
ცოცხალ, თითქმის ფიზიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდა რუსული

ნაციონალური სულის მატარებელ სახელებთან, მის თვალშინ ხშირად  
ცოცხლდებოდა რუსეთის ისტორიის ესა თუ ის ეპიზოდი, მუჭათულ-  
ვრისი ფანტაზიითა და მიმოვნებით ავსებდა. მინას ხშირად წარმოუდ-  
გებოდა იოანე მესამის ქორწილი სოფიო პალეოლოგთან, რომელმაც  
მზითვად ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობის პრეტენზია და ვერბად  
ორთავიანი არწივი მოუტანა რუსეთს. დაწვრილებით ესურათხატე-  
ბოდა სოფიოსა და იოანეს შეუდლების პირველივე დღე, როდესაც  
ერთ-ერთმა ბოიარიშმა მილოცვისას გადაკოცნა იოანე და სოფიოს-  
კენაც გადაიწია ფამილარულად, როგორ მყაცრად შეჰყვირა დედო-  
ფუალმა, უბრძანა ბოიარიშმა დაჩოქილიყო და ხელზე ეკოცნა დიდი  
შთავრისთვის. მინა დარწმუნებული იყო, რომ შემკრთალმა ბოიარინ-  
შა სოფიოს ბრძანება შეასრულა და დედოფალმა ყველას გასაგონად  
ხმამაღლა წარმოსტვა: „და ამის შემდეგ იცოდეთ, რომ ხელმწიფეს  
ზისი ქვეშევრდომები ხელზე უნდა ეამბორონ“. და მერე განცალკე-  
ვებული მაღალთაღებიანი საწოლი დარბაზის წალოში, განმარტოებუ-  
ლი მეფე-დედოფალი ოქროს ჯვარისა და ხატების წინ დანთებული  
სანთლების უკმარ შუქზე, როგორ კიცხავდა სოფიო ქმარს ბო-  
იარინებთან მისი ძმაბიჭური დამოკიდებულების გამო. მინას ხან კრი-  
ალა ბარტყულა ელანდებოდა, დამიტრი ტოლმაჩის გაღმოცემით, ეს  
თეთრი ბარტყულა ბიზანტიის იმპერატორს — კონსტანტინე დიდს  
რომის პაპის სილიბისტროსთვის ჰქონდა განკუთვნილი, განგებამ კი  
რგი რუსეთში — „მესამე რომში“ მოახველრა, რის შემდეგაც რუსეთს  
ეწიდა წმინდა რუსეთი — Святая Русь. მინას არც ის ლეგენდა და-  
უტოვებია უყურადღებოდ, რომელიც კონსტანტინეპოლის მეფე ვა-  
სილისგან მიღებულ ვლადიმირ მონომახის ქუდს, ბაბილონის სამე-  
ფოდან მემკვიდრეობით წამოსულსა და ნაბუქოდონოსორის ნაქონად  
თვლიდა. სკიპტრა, წითელი ტოგა — ამ იშიგნიების გადმოტანით  
რუსეთი ეხატებოდა მას ორი მსოფლიო იმპერიის — ბაბილონისა და  
რომის კანონიერ მემკვიდრედ.

დღითიდლე წყნარდებოდა მინა, დღითიდლე მის სიცოცხლეს თვალ-  
შეუწვდენელი აზრი ენიჭებოდა. თვითონვე უკვირდა, რომ განგების  
გამოუხსნელ კვანძებში ასე იოლად ჩაავლო ხელი სწორედ იმ ბოლოს,  
რომლის მიყოლაც, ალბათ კი არა — უშეველად, მისი ცხოვრების  
გრავილს გახსნიდა. და თუ წინ რაიმე დაბრკოლებას წააწყდებოდა,  
უხაროდა კიდეც, იცოდა, რომ ეს უკავშირო შემთხვევეთობაა და მის  
ჯაძლევას დიდი ენერგიით შეუდგებოდა ხოლმე. ასე მოხდა, ნაბუქო-  
დონოსორის სიზმრის დანიელისეულ განსჯას როცა ჩაუკვირდა მინა.

ის ოქროსთავიანი, ვერცხლისმხრებიანი და გულმკერდიანი, მუჭღლენ-  
ძის მუცულიანი, რეინისა და თიხისფეხებიანი კერპი, რომელიც წაბეჭო-  
დონისორის დაქვიშებრა და ღმერთის განგებად, კაცობრიობის ბედის-  
წერად განსაჯა წინასწარმეტყველმა დანიელმა, ოთხ სამეფოს გულის-  
ხმობდა. ებრაელებმა ეს ოთხი სამეფო ასე განალაგეს: 1. ისრაელთა  
სამეფო — ოქროს თავი, 2. ბაბილონი — ვერცხლის გულმკერდი,  
3. ალექსანდრე მაკედონელი — სპილენძის მუცელი, 4. რომი — რეი-  
ნისა და თიხის ფეხები. ასეთმა ამოხსნამ ცოტა ხნით შეაყოვნა მზარ-  
დი სინათლე მინას მრწამსში, მაგრამ ისევ რუსულ წყაროებს დაუბ-  
რუნდა და განიხილა იოანე მესამის მოძღვარის ვასიანე რილოს წერი-  
ლი, სამეფო წიგნის, ნიკონის მატიანისა და ასთავიანი კრების ჩანა-  
წერები, მეფე ივანე მრისხანეს დაგვირგვინებისას მიტროპოლიტ მა-  
კარის მიერ წარმოთქმული სეფეჟსტყვა, ბერი ფილოფეის წერილე-  
ბი — ფსკოვში მისური მუნეხინთან, მეფეებთან ვასილი ივანეს ძეს-  
თან, ივანე ვასილის ძესთან — კიდევ უფრო მოემატა სინათლე მის  
აზრთაჭყობას და კარგა ხანი ძილის ლოცვის მაგიერ ბერი ფილოფე-  
ის გამონათქვამს იმეორებდა ზეპირად:

«Яко вся христианская царства приидошла в конец и сни-  
дошася во едино царство нашего государя по пророческим  
книгам. То есть Российское царство: два Рима подоша в Тре-  
тии стоят. А четвертому не быти».

ტიუხინი საბოლოოდ დაწყნარდა თითქოს, გისი პროვიდენცი-  
ალურ-თეოკრატიული მრწამსი იშვიათად თუ არეოდა, მსგავსად მო-  
ქეტიალე ქარით გადანაბერი წყლისა, რომელიც დატრიალდება, ერ-  
თიმეორეს დატაკება და ტალღებად აღიმართება, მაშინ, როცა ქარმა  
უცვე დიდი ხანია შიატოვა იქუსურობა, როგორც უცებ საიდანლაც შე-  
მოიჭრა, შევე სადღიც გაქრა. რასაკვირველია, ეს შემთხვევით არ  
ხდებოდა, გულთან თუ მიიტანდა მინა თავის აზრებს, გულახდილი  
იქნებოდა თავის თავთან — გაირკვიოდა, რომ მას ღმერთი არ სწამ-  
და. ის კი ასეთ მწვალებლურ, ქვებუდანა ტალღას აზრად დაცემის სა-  
შუალებას არ აძლევდა. ტალისმჭრელივით უზალ რაიმე თავტრუ-  
ლამხვივ საქმიანობას ან თეორიულ მტკიცებას შეაგებებდა ხოლმე,  
მშვიდდებოდა და ისევ ბედნიერად ვრძნობდა თავს. ეკლესიაში ხში-  
რად დადიოდა. წმინდა ვიორგის სანთელს უნთებდა, ლოცულობდა,  
ჭახელმწიფო სამსახურში ჩადგა, იურისტობას მოჰკიდა ხელი, ცოლის  
შერთვაც დაბირა, მაგრამ ამ დროს პირველი შოთლიო ომი დაიწყო



და იგიც მაშინვე მოხალისედ წავიდა ჯარში. მინა დარწმუნებული  
იყო, რომ რუსეთი მოკლე დროში დიდ გამარჯვებას იზიმებდა ან,  
უმეტ შემთხვევაში, კამპანიას მაინც მოიგებდა, მტკიცედ შედგამდა  
ევროპაში კიდევ ერთ ნაბიჯს და იძულებულს ჰყოფდა გერმანიას სა-  
მარცხინო ზავზე მოეწერა ხელი. ვთარებათა სკომ ტიუხინს საწი-  
ნააღმდეგო ფიქრები დადევნა და არა იმიტომ, რომ მათი ცხენოსანი  
პოლკი რაიმე უბედურებას წააწყდა, არა, პირიქით, ამ მხრივ მას შე-  
იძლო ეამაყა კიდეც. მაღალ მთაზე კარპატებში, ნაწვიმარ, ჭანჭყობი-  
ან ვიწრო ბილიკებზე და ციცაბო კლდეებზე, ღამით, ცხენის კუდებს  
ჩაბლაუჭებულმა მხედრებმა რთული ლაშქრობა ჩატარეს. მაგრამ  
საქმეც ის იყო, რომ უთავბოლო გამოდგა ეს უმაჯნისი რისკი. უნი-  
აოო ხელმძღვანელობის გარდა არც დისციპლინა მოსწონდა ტიუხინს.  
თფიცერთა შერში გალაზლანდარებული უპასუხისმგებლობა სუფევ-  
და, არც ჯარისკაცები ეკიდებოდნენ დიდი რუდუნებით თავიანთ მო-  
ვალეობას. ეს ის ჯარი არ იყო, რომელსაც შეეძლო მსოფლიოს ბა-  
რონ-პატრონი გამხდარიყო. ღვთისა და მეფის რწმენა დაკარგული  
ჰქონდათ, არც პერსპექტივა არსებოდდა. „დავუშვათ გავიმარჯვეთ. —  
ფიქრობდა მინა, — მერე როგორ მოვიყიდებთ ფეხს გერმანიაში, სა-  
ფრანგეთში, ან, საერთოდ, ევროპაში, რით გამართლდება ჩვენი იქ-  
შესვლა? ნაციონალიზმის პრინციპის გატარება, როგორც უკანასკნე-  
ლი მსოფლიო იმპერიის აუცილებლობისა, დღეს შეუძლებელია“. რჩებოდა რელიგიური, ე. ი. იდეური პრინციპი, მაგრამ ევროპის ხალ-  
ხებს ეს სახადი უკვე გადატანილი ჰქონდათ და კათოლიკებისა და  
მართლმადიდებლების დაპირისპირება იმპერიის ვერ გაამართლებდა.  
შინას განხიბვლას იაბონიასთან სამარცხინო დამარცხების ფაქტიც  
ამძაფრებდა, რასაც წინათ ყურადღებას არ აქცევდა. როგორც კი  
ყუმბარის ნაშსხვრევით მსუბუქად დაიჭრა, მოურიდებლად მოსკოვი-  
საკენ გამოსწია: გადაწყვიტა ფრონტზე აღარ დაბრუნებულიყო. ჩა-  
მოსვლის პირველ დღეებში ეგონა კომფორტსა და ადამიანურ პირო-  
ბებს მოწყურებული დროს გატარებდა, მაგრამ უსაქმო და ჭორებით  
გაროულ მაღალ საზოგადოებაში ვერაფერი პპოვა საინტერესო. ერ-  
თი პირობა სმი დაიწყო, მთვრალი კი ცუდ გუნებაზე დგებოდა, უმი-  
ზეზოდ ჭინჭყლობდა, მოწყენილი დაბორიალობდა. ქალებთან სიახ-  
ლოვეც მისთვის განკენებული ცნება გამოდგა, მისი წრის მანდილოს-  
ნები დიდ დროსა და ყურადღებას მოითხოვდნენ, რის ღირსაღაც ამ-  
ჯერად არავინ მიაჩნდა. შემთხვევითი სექსუალური თავგადასავლები

კი, წინააღმდეგობრივი გრძნობებით და სურვილებით გაპოხილნი, მეტად აღიზიანებდნენ, უკმაყოფლოს უფრო ტოვებდნენ, ვაჭრობის ამოვნებას გვრიდნენ, თავის თავში შეტანილ ეჭვს უშახვილებდნენ. მერე უწინდებურად იჩინა თავი ცვალებადმა განწყობამ: ხან განგაშით ეგებებოდა ყოველ ახალ ამბავს, რაღაც დიდი უბედურების მოლოდინში დრტვინავდა, ხან ირგვლივ ისე იყურებოდა, თითქოს ვერავს ამჩნევდა, რაც მის გარშემო ხდებოდა, წარსული ცხოვრების დაბრნდულ უსიცოცხლო სურათებად ეჩვენებოდა. სტეპანიდასთან გატარებულმა დღეებმა რამდენადმე გამოაფხიზლა, გაამხნევა, მაგრამ ამ კავშირის გაგრძელება არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ სტეპანიდა ქარაფშუტულად იქცეოდა, არავის ერიდებოდა. მინამ არადელი მოიძია, გაიგო, რომ ისიც ფრონტზე წასულიყო, მისი სიტყვები გაახსენდა და პეტერბურგში წავიდა. დედაქალაქში კვლავ ჩაუჯდა რუსეთის სიძველებს, ახალი თვალით შეხედა კ. ლეონტიევისა და ვლ. სოლოვიოვის მიერ გავრცელებულ თანამედროვე აპოკალიპსურ თეორიებს ქვეყნიერების დაღუპვისა და ანტიქრისტეს შესახებ. ადარებდა მათ ტიბურტიანურ ლეგენდასთან, სადაც ანტიქრისტეს მოვლენის წინასწარმეტყველებაში ჩრდილოეთის ხალხი იყო შოქმედი გმირი, წმინდა იპოლიტეს სამუდამ სასუფევლის დამკვიდრების ჯერიც მინას თვალში, თითქოს გამართლებული ჩანდა ასეთი თანმიმდევრობით. ძილგატეხილ დამეებში უფსკრულივით ღრმა სიჩქმეში წმინდა იოანეს ზმანებებს შეერწყმოდა ხოლმე და უდაბნოში გავარდნილი აპოკალიფსური ქალის სახე სტეპანიდად ელანდებოდა, მასზე გადევნებულ წითელ ურჩესულად თვითონ გრძნობდა თავს... გაჭირვებით დალაგებული მინას მსოფლმხედველობა აიწეწა, აირია...

მოსკოვის დიდი მთავრის ვასილი მეორის (ბერელის) ელჩების სახლი. გარიერაჟია. გაფერმკრთალებული მთვარე სამკუთხა სარქმელიდან ღრუბლის ნაგლეჯად გამოიყურება. აქ ასე ადრე მბრძანებელი ვასილის მოსვლას არ მოელოდნენ, ამიტომაც ბუხრები და ღუმელი წუხელ დაუნთებელი დარჩათ. გვიანი გაზაფხულია, მაგრამ ზამთრისეულ დილის სუსტს სქელი კედლებისათვის ალყა შემოურტყამს და ხელმწიფის მოსვლით დაფაცურებული დიაკების მიერ ხშირ-ხშირად შემოლებული კარებიდან შემოუღწევია მისაღებ ოთახში, სადაც ერთ მხარეს მაღალი რანგის რამდენიმე სამღვდელო პირი ჩამწერივებულა. მეორე მხარეს კედელთან შავ ბალახონში ბერი დაჩოქილა, შუაში გამომწყვდეული მგლივით აქეთ-იქით დადის მაღალი და მჭლე ვასილ

მეორე. თავზე მონომახის ქუდი ახურავს. შავშვერა, თეთრწამლასზა-  
მიანი გათაღიკოსის გვერდით ერთი მოქალაქე დგას, რომელიც მოშენებული-  
სულად თარგმნის მის ნამბობს. ფლორენციის უნივერსიტეტი  
მოსკოვში დაბრუნებულმა გრიგოლ ივერიელმა ახლახან დაამთავრა  
მოთხოვნა ფლორენციაში შემდგარი მსოფლიო მერვე საეკლესიო  
კრების შესახებ. ვასილი ბნელი მოსკოვის მიტროპოლიტი ისიდორეს-  
თან გაგზავნილ კაცს ელოდება. ისიდორე, წარმოშობით ბერძენი,  
დღეს ჩამოსულა, მაგრამ ჯერ დიდი მთავარი არ უნახავს, არ მოუსცე-  
ნებია საეკლესიო უნივერსიტეტის ამბავი, რას გამოც ვასილი გაბრაზებულია,  
მაგრამ არ ამჟღავნებს, თავს იკავებს, გულში იმუქრება, ყველაფრის  
ერთბაშად გასწორებას ეჭადნება იმ იუდას.

— ვინ იყო კიდევ წინააღმდეგი მართლმადიდებელი და ლათინუ-  
რი ეკლესის შეერთებისა? — ეკითხება ვასილი კათალიკოსს.

— ეფესელი მიტროპოლიტი და ისარი.

— სულ სამი კათედრა! გამოდის, რომ კონსტანტინოპოლი უარს  
აცხადებს დაიცვას ჭეშმარიტი სარწმუნოება, აღიარებს ოსმალებთან  
ბრძოლის შეუძლებლობას, ჰა-ჰა! მეორე რომმა დამარცხებული  
სცნო თავი! — ვასილი თარგიმანის წინ ჩერდება, ცალ ხელში მოკე-  
ცილ კრისტოსანს შურდულივით ტრიალებს, თვალებში შეცყურებს  
და ცნობისმოყვარეობით ეკითხება: — შენ რაღაზე იყავი შეერთების  
წინააღმდეგი, შენ რაღა გინდოდა? — თარგიმანი ვერ უძლებს დიდი  
მთავრის მზერძს, თვალებს ხრის და ფეხიდან ფეხზე ინაცვლებს. —  
ჩვენ! ჩვენ უნდა ვყოფილიყავით წინააღმდეგი! რუსმა ხალხში თათარ-  
თა მონობაში მოინანია თავისი შეცოდებანი და ლშერთმა ის ახალ  
ბიზანტიად დალოცა. დღეს ჩვენ გვევალება ავილოთ ხელში მართლ-  
მადიდებლობის ამინდა რწმენის ტალახში ჩაგდებუ-  
ლი ჯვარი.

— ამენ, — პირველს იწერს დაჩოქილი ბერი. ვასილი მთელი ტა-  
ნით ტრიალდება მისკენ და სარკასტული ღიმილით აგრძელებს:

— მოსკოვის მიტროპოლიტი დათანხმდა რომის პაპის სუპერიმა-  
ტიაზე, რითაც ჩვენი ერის მომავალს, სლავიანური ხალხების მეთა-  
ურობას ხაზი ესმება, პაპაჩემის დიმიტრი დონელის ღვაწლი წყალში  
იყრება, მონლოლების საბოლოო დამარცხება უმიზნო ხდება! — ვა-  
სილი ისევ ძეგლით დარბის, კვდლის საათის ქანქარისავით და ჩუ-  
შად, კბილთა ღრმენით დასძებს: — არა, თქვენ მაინც რატომ იყავით  
წინააღმდეგი? — თარგიმანს ამჯერად სფინქსის გაქვავებული თვა-

მეორე. თავზე მონომახის ქუდი ახურავს. შავშვერა, თეთრწამოსმახა-  
მიანი გათაღიცოსის გვერდით ერთი მოქალაქე დგას, რომელიც კუ-  
სულად თარგმნას მის ნამბობს. ფლორენციის უნივერსიტეტი  
შოსკოვში დაბრუნებულმა გრიგოლ ივერიელმა ახლახან დაამთავრა  
მოთხრობა ფლორენციაში შემდგარი მსოფლიო მერვე საეკლესიო  
კრების შესახებ. ვასილი ბნელი მოსკოვის მიტროპოლიტი ისიდორეს-  
თან გაგზავნილ კაცს ელოდება. ისიდორე, წარმოშობით ბერძენი,  
დღეს ჩამოსულა, მაგრამ ჯერ დიდი მთავარი არ უნახავს, არ მოუშე-  
ნებია საეკლესიო უნის ამბავი, რას გამოც ვასილი გაბრაზებულია,  
მაგრამ არ ამყლავნებს, თავს იკავებს, გულში იმუქრება, ყველაფრის  
ერთბაშად გასწორებას ექადნება იმ იუდას.

— ვინ იყო კიდევ წინააღმდეგი მართლმადიდებელი და ლათინუ-  
რი ეკლესიის შეერთებისა? — ეკითხება ვასილი კათალიკოსს.

— ეფესელი მიტროპოლიტი და ისაია.

— სულ სამი კათედრა! გამოდის, რომ კონსტანტინოპოლი უარს  
აცხადებს დაიცვას ჭეშმარიტი სარწმუნოება, აღიარებს ოსმალებთან  
ბრძოლის შეუძლებლობას, ჰა-ჰა! მეორე რომა დამარცხებულად  
სცნო თავი! — ვასილი თარჯიმანის წინ ჩერდება. ცალ ხელში მოკე-  
ცილ კრიალოსანს შურდულივით ატრიალებს, თვალებში შეჰყურებს  
და ცნობისმოყვარეობით ეკითხება: — შენ რაღაზე იყავი შეერთების  
წინააღმდეგი, შენ რაღა გინდოდა? — თარჯიმანი ვერ უძლებს დიდი  
მთავრის მზერას, თვალებს ხრის და ფეხიდან ფეხზე ინაცვლებს. —  
ჩვენ! ჩვენ უნდა ვყოფილიყავით წინააღმდეგი! რუსმა ხალხში თათარ-  
თა მონობაში მოინანია თავისი შეცოდებანი და ღმერთმა ის ახალ  
ბიზანტიად დალოცა. დღეს ჩვენ გვევალება ავილოთ ხელში მართლ-  
შადიდებლობის — ნამდვილი და წმინდა რწმენის ტალახში ჩაგდებუ-  
ლი ჯვარი.

— ამენ, — პირვერს იწერს დაჩოქილი ბერი. ვასილი მთელი ტა-  
ნით ტრიალდება მისკენ და სარკასტული ღიმილით აგრძელებს:

— მოსკოვის მიტროპოლიტი დათანხმდა რომის პაპის სუპერია-  
ტიაზე, როთაც ჩვენი ერის მომავალს, სლავიანური ხალხების მეთა-  
ურობას ხაზი ესმება, პაპაჩემის დიმიტრი დონელის ღვაწლი წყალში  
იყრება, მონლოლების საბოლოო დამარცხება უმიზნო ხდება! — ვა-  
სილი ისევ ძევთ-იქით დარბის, კვდლის საათის ქანქარასავით და ჩუ-  
ბად, კბილთა ღრმენით დასძებს: — არა, თქვენ მაინც რატომ იყავით  
წინააღმდეგი? — თარჯიმანს ამჯერად სფინქსის გაქვავებული თვა-

ლები აქეს. ტალანში ხმაური ისმის, ოთახში თავჭუდმოგლეჭვილებული და რარინი შემორბის:

— დიდო მთავარო, მიტროპოლიტი ისიდორე მოსკოვიდან გაიქცა!

— Ax, ინი ის გასილი ბნელი. დილაა, მაგრამ მთვარე მატულობს, სრულდება, მუქდება და მეწა-მულისფერ ბურთად მოიწევს სარკმელისაკენ, შესაძლოა ეს უსწივო ჩნათობი — უწამწამო მზეა და არა მთვარე?

ტიუხინი 1915 წელს მოხვდა ბოლშევიკთა წრეში, გაეცნო მარქისისა და ლენინის ნაწერებს და მისი შერყეული აზრები ასე გადა-ხალისდა: „რუსეთის საერთო მოღვაწენი, გინდა მეფენი, საქმე საქ-მეზე თუ მიდგებოდა, განა მართლა მორწმუნენი იყვნენ, მაგრამ პრო-ველენციალისმისა სჯერდათ. განა ივანე მრისხანეს მიერ ანდრეი კურბესუთან მიწერილი წერილები ქრისტიანის დაწერილია?“ მერე მინა თავს გამოუტყდა, რომ ღმერთი არ სწამდა და მთელი თავისი დაუცხრომელი ენერგიით ეგრევე ჩაყვინთა რევოლუციურ მოძრა-ობაში.

გრიგოლ ივერიელის თარჯიმანს ტიუხინი რატოშლაც ვალიკო არა-დელთან აიგივებდა, თუმცა გარეგნობით არაფერში გვანდნენ ერთმა-ნეთს. და ახლა, როცა ტყვეების სის თავში არადელის გვარი წაიკი-თხა, კიდევ მოაგონდა ვასილი მეორის (ბნელის) საელჩოში გათამა-შებული სურათი. ეს არ ეკუთვნოდა არც სიზმარს, არც ზმანებს, ეს იყო ისეთი ღრმა რწმენის, გამოწვლილვით ეგებული წარმოდგენის შედეგი, რომელიც მინას იმ საუკუნისა და იმ სურათის უშუალო მოწ-მედ, იმ ვნებათა თანამლმობელად ხდიდა. ერთი იმას ვერ მიმხდა-რიყო მინა, რა შუაში იყო აქ არადელი? ან ახლა ამ ქართველ მგზავ-რებში საიდან შოშედა? ნუთუ მართლა ვალერიან გიორგევიჩია? მო-ნამ საჩქაროდ გადაათვალიერა დაკითხვის ოქმები, არადელის გვარის ეძებდა. ლადი ჰყონის ჩვენება ენიშნა, გულიც უგრძნობდა, რომ ნამდვილად ეს უნდა ყოფილიყო. „რა ვუყოთ მერე, გინდა ის იყოს, ვითომ არც ვიცნობ. საინტერესო კია მისი ნახვა, ხომ შეიძლება სუ-ლაც მოგვარე აღმოჩნდეს?“ ჭერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო: გამოცნაურებოდა და თავისთან ამოეყვანა, თუ არც მიეკითხა და სამუდამოდ გაეწყვიტა მისი სახსენებელი, როცა კაბი-ნეტში ნიკითოროვნა და ფორმიანი გამომძიებელი შემოვიდნენ. გა-მომძიებელი გულმოსული ლაპარაკობდა:

— ბევრი ასმ მინახავს პოლიციის კანცელარიაში მუშაობის დროს, ბევრ დაკითხვას დაგვაწრებივარ, მაგრამ ასეთი აღჭაფი დედაბეჭილი არ შემხვედრია! ამხანაგო ტიუხინ, გთხოვთ, ქალების დაკითხვაზე ზოგი როვნას დაავალოთ.

— ნიკითოროვნამ წერა-კითხვა არ იცის, თორემ მაგას უშენოდაც მოვიფიქრებდით, — მყაცრად მოუჭრა ტიუხინმა. არც დაინტერესებულა, რაზე იყო ლაპარაკი და არადელის დაკითხვის ოქმი მოითხოვა. გამოიჩინა, რომ დაუკითხავად გადაეცვანათ ციხეში.

— არავითარი აზრი არა აქვს მის დაკითხვას, მინა ვასილიჩ, იგი იმ ივერიელთა პოლკის მეთაურია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა. თვითონ ანარქისტი და კონტრრევოლუციონერი ყოფილა, — გამომძიებელმა თავმჯდომარის გაღიზიანება არადელის დაკითხვის ოქმის უქონლობას მიაწერა და შესაძლებელი რისხებს თავიდან ასაცილებლად, თავს ჭკუით იხუმრა: — კარგი ჩიტი ჩანს და კარგ გალიაშიც მოვაყუჩეთ.

კაბინეტში გაბრწყინებული სახით გურივი შემოვიდა. მინა წამსვე მიხვდა, რომ გურივს ჭარისკაცების საბჭოდან კარგი ამბავი მოეტანა. ჩეკისტები დაითხოვა და ყურადღებით მოსმინა მისი მონაყოლი.

— კისლიაკოვის თვათმქვლელობის ამბავს ცნობისმოყვარეობით უფრო შეხვდნენ, ვიდრე ეჭვითა ან სინანულით, მოყლედ, ეს დიდი გამარჯვებაა. დღეს და ხვალ კაზაკებსაც თუ მოვუგრიხეთ კისერი, მთელი ძალაუფლება ჩვენ ხელში იქნება, — ხელებს იფშვნეტდა და ბოლოს სცემდა გახარებული გურივი. — მოკლედ, მდგომარეობა ძირდესვიანად შეიცვალა, ამ ეტაპზე არა მგონია, რომ ჭართველების დასჯა გამართლებული იქნეს, — გურივი ტიუხინის შეპასუხებას ელოდა, მაგრამ მინა გაჩუმებული იყდა და აცდიდა ყველაფერი ბოლომდე გაშოეთქვა. — ჩვენ პირდაპირ განვუცხადეთ ჭარისკაცებს, რომ კისლიაკოვი დემოკრატიულ პრინციპებს არღვევდა, რომ მას ანარქისტული მიდგომა ჰქონდა ზოგიერთ საკითხში. ახლა ჩვენ უნდა დავაჭროთ ისინი მათი უფროსის კონკრეტულ დანაშაულში და, მე მგონი, ყველაზე სწორი იქნება, თუ ჭართველების დახვრეტის ამბავს გამოვიყენებთ. ამ საქმისთვის საჭიროა ჩვენი ტყვე ჭართველების განთავისუფლება. ამით მუნათი დავადოთ, როგორლაც ვაგრძნობინოთ, რომ კისლიაკოვთან ერთად მათაც დანაშაული მიუძღვით. ეს ჩვენთვის ყოველმხრივ ხელსაყრელია. ჭერ ერთი, დამნაშავე კაცის მართვა უფრო ძოლია, მეორეც, ქალაქის მოსახლეობა დაინახავს,

რომ ჩვენ წესრიგის მიმდევარნი ვართ. მერე — ეროვნული კომიტეტის ბიუბი, რომლებიც ქალაქში ჯერ კიდევ არსებობენ, რაღაც გავლენა აქვთ მოსახლეობაზე და რომლებმაც მე დღეს არზა მომიტანეს, ქართველების გაშვების შესახებ დაკშაკოფილებული დარჩებიან.

— ჩვენ დაგვავიწყდა ერთი მცირე რამ, — წამოდგა ტიუხინი, — ისინი უდანაშაულონი არიან და, რაც მთავარია, მათ სამშობლოში დასაბრუნებლად მთავრობის წერილობითი ნებართვა აქვთ. — ორივემ გარცინა — ვნახოთ, — განაგრძო მინამ, — აი, წავიკითხავ ჩვენებებს, არაფერი გამოგვეპაროს — ამბობენ, მათ შორის ერთი ანარქიისტი თუ თეთრგვარდიელია.

— ჰოდა ის ერთი დავიტოვოთ!

გუროვი რომ გავიდა, მინა თავის სკამს დაუბრუნდა, ერთხანს გაუნდრევლად იჯდა. ეს კირწი-კორწად გადაბრუნებული და ისევ ფეხზე წამომდგარი გადაწყვეტილება ეჩოთირებოდა, მაგრამ გუროვის გამჭრიახობით კი მოხიბლული დარჩა, ქართველების ბედი ასე თუ ისე გაირკვა, არადელთან შეხვედრაც გარდუგალი ხდებოდა. შესაძლოა სულაც ის არ იყოსო, იტყუებდა თავს მინა, შინაგანად კი უკვე ემზადებოდა არადელთან შესახვედრად. ტელეფონით განკარგულება გასცა, რომ შეეწყვიტათ ქართველების დაკითხვა. გამომძიებელი მოიხმო, გამოკითხა, თუ ვინ როგორ ახასიათებდა არადელს, ჩვენებები ქოდევ ერთხელ გადაათვალიერა და პატიმრის ამოსაყვანად ეგოროვს ორი ყარაული გააყოლა.

სადგურის მილიციის უფროსს, ეტყობა, კარგად მოეთაფლა ეგოროვი, ტყვეებთან დამნაშავესავით იქცეოდა და გულშემატკიცრობდა კიდეც მათ. მიუხედავად იმისა, რომ არადელის წასაყვანად მისულს ორი ყარაული ახლდა, მაინც შოახერხა და გზაში წასჩურჩულა, ჩეკას თავმჯდომარესთან მიმყავნარ დასაკითხად, არაფერზე დაუწყო კამათი, ფიცხი კაცია, ტყუილად გაიფუჭებ საქმესო:

ვალიკოს ტიუხინის დანახვა დიდად არ გაჰქირვებია, გაელიმა: „აი, თურმე რას ნიშნავდა სიშარი“. —

— რას იღიმები? — მძალმების მაგიერ პკითხა მინამ.

— არაფერს, სად არ შეხვდება კაცი კაცს, — არ გაუმჯდავნა ნამდვილი მიზეზი, სხვანაირად არ მიიღოსო.

მინამ ცნობისმოყვარეობით შეაგლო თვალი. „გამოცვლილა — რატომლაც სიამოვნებით გაიფიქრა მან, — ცხვირი დაგრძელებია, თშაც შეცვენია, ის თეთრყირმიზი იერი, რომელიც წაშვე იტაცებდა

თვალს, ჩამქრალა". მხოლოდ მისი მდგომარეობისათვის შეუძლებელია სიმჩნემ, სიგამჭდრით გადიდებულ თვალებში მოცეკვავე ხარულის ნაპერწყლებმა გადავირვეს და გინდაც შეურაცხვოფა მიაყენებინოთ, ისე იმოქმედეს, კეთილგანწყობილი შეხვედრის სურვილი შეაცრმა საქმიანმა მიღომამ შეცვალა.

— დიახ, არადელი, თქვენ გადანაშაულებენ იმაში, რომ ივერიელთა პოლკის შედგენა გინდოდათ. რით შეგიძლიათ თავი გაიმართლოთ? — ტიუხინმა თავისი სიტყვების დასამოწმებლად დავთრები გადაშალა. ვალიკომ შეხედა სახეში, მიხვდა, რომ ამ კაციდან შეღავათს არ უნდა მოელოდეს, და წყნარად, მაგრამ დაბეჭითებით უპასუხა: — დიახ, ვაპირებდი, მაგრამ ეს ხდებოდა სმოლნის მთავრობის ნება-სურვილით, მათი თხოვნის საფუძველზე.

— მოწმეები სხვას ამტკიცებენ.

— მაინც რას?

— პოლკი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ყალიბდებოდა?

— ჯერ ერთი, პოლკი არ შემდგარა, არ არსებობდა, მეორეც — როგორც მოგახსენეთ, პატივცემულო თავმჯდომარევ, სმოლნის შთავრობა საქმის კურსში გახლდათ და საქართველოში ჩვენი დაბრუნების ნება-ათვაში ყველა მგზავრი სა-თი-თა-ოდ — დამარცვლა ვალიკომ — არის მოხსენიებული, რაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ მათ საბჭოთა მთავრობა არა თუ რაიმე დანაშაულს, არავითარ პრეტენზიებს არ უყენებს და სამშობლოში დასაბრუნებლად, ასეთ გაჭირვებულ დრის, შთელ სანიტარულ მატარებელსაც უთმობს. — ვალიკოს ზედმეტად სრდილობიანი ტონი ირონიულ პასუხად შეიძლებოდა ჩათვლილყო.

— და მაინც „ივერიელთა“ პოლკის უმეტესი ნაწილი კორნილოვ-ცები აღმოჩნდნენ და უკვე დახვრეტილები არიან.

— სად? — ვერ მიხვდა უცებ არადელი.

— აქ, არმავირში ჯარისკაცთა მიტინგზე, — თქვა ნიშნის მოგებით ტიუხინმა და როცა არადელის სახეზე ჩრდილმა გადაირბინა, ირონიით დაუმატა: — გამოდის თქვენ ცილს გწამებენ.

— უსაშარტლობა თავს ყოველთვის ცილისწამებით იმართლებს.

— კარგით ახლა, ვალერიან გიორგევიჩ, მამა აბრამის ბატკნალ შუ მოგაქვთ თავი.

— ივერიელთა პოლკის ფორმალური და ფაქტიური მხარეც ასეა და თუ შენ, მინა ვაშილის ძევ, სხვა რამ გაინტერესებს, კერძოდ, ჩემი

სულისკვეთება, უნდა გითხრა, რომ იგი თითქმის არ შეცვლილია, საც შენზე ვერ ვიტყოდი.

— ცხოვრებაში ჭეშმარიტება იცვლება, სიცრუი კი უცვლელია, — მომზადებულივით მიახალა მინამ.

— რა ჭეშმარიტებაზე ლაპარაკობ?

— სოციალური სამართლიანობა, ხალხის კეთილდღეობა, თავისუფლება.

საუბრის ასეთი მიშართულება ვალიკოსათვის ახალი არ იყო. ხშირად შეხვედრია ასეთი მოკამათე, რომელიც კომუნისტურ დოგმებს ციმციმ იყენებდა, როგორც კი საჭირო ხდებოდა საკითხის არსიდან მოწინააღმდეგის გატყუება. დაფიცებული პქონდა ასეთ მოსაუბრეს არ აჰყოლოდა, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, იშვიათად ახერხებდა თავის შეკავებას. თვით ეს დოგმები, რომლებიც უცილობელ ჭეშმარიტებად სალდებოდა, ეს ცრუსიქველე, ვალიკოს აზრით, საჭიროებდა გაბითურებას, არც ამჯერად შეიძლებოდა დუმილი, ამ დიალოგს ასეთუ ისე მაინც დაყითხვა ედო საფუძვლად.

— სოციალური სამართლიანობა როგორ დამყარდება?

— კერო საკუთრების მოშლით.

— ამით მოიშლება ადამიანის საქიცოცხლო მოთხოვნილების გამოვლენის ერთ-ერთი თვალნათლივი ფორმა და სხვა რა უფრო მახინჯ ფორმას მიიღებს ადამიანის ეს მოთხოვნილება სუბლიმირებული სახით, არავინ იცის.

— კერძო საკუთრებასთან ერთად მოისპობა ის მოთხოვნილებაც!

— კერძო საკუთრებამ შეა ადამიანის მოთხოვნილება, თუ ადამიანის მოთხოვნილებამ — კერძო საკუთრება?

— ეს ერთ დიალექტიკურ მთლიანობაში უნდა განვიხილოთ.

— როცა თქვენ წინააღმდეგობას აწყდებით, მაშინ გაგონდებათ დიალექტიკა. ეხ, მინა ვასილის ძევ, მინა ვასილის ძევ, სულ სხვა რა-მეს ფიქრობ და სხვას ლაპარაკობ. ძალიან კარგად იცი, რომ ეს საკენია, რომ ამ დემაგოგიის მიღმა სულ სხვა ამბები ტრიალებს. შენი შეცდომა სხვა რამეშია, შენ არ გიშდა დაიჯერო, რომ შურზე დაყრდნობით, წართმევა-წამორთმევის პრაქტიკით, ძალადობის გილმერთებით ადამიანი უკეთესი ვერ გახდება, უსამართლობის გზით სამართლიანობას ვერ მიაღწევს და დღევანდელი უბედურება მოშავალი ბედნიერების საჭინდრად არ გამოღვება. იმ მორალურ ფასეულობას, რომელიც უხსოვარი დროიდან გოგმან-გოგმან, წვეთი წვეთზე, მის-

ხალ-მისხალ აგროვა ადაშიანმა, თუ დაშრობ, ისევ ველურაშვილი ვა ადამიანი. წყლის გაცხელებას რა დროც სჭირდება, იმდენისაც გაცივებას უნდა.

— რევოლუცია იმისია, რომ ტემპერატურა მოუმატოს.

— ჭურჭელი ვერ გაუძლებს, ადაშიანი როგორც შორალური არ-სება, მსხვერპლად შეეწირება.

— ქრისტის დაბადებამ ათიათასი ჩვილი ბავშვი შეიწირა!

— თვითონაც შეეწირა და იტანჯა.

— მუჭამედმა მექის აღების დროს საყდარ ქაბაში შეგროვილი წარმართული კერპები გაანადგურა, მაშ ბრალი დავდოთ ისტორიულ-კულტურული მასალების განადგურებაში?!

— შენ იმას არ აშბობ, რასაც ფიქრობ — სჯობს შევწყვიტოთ კა-მათი.

— რატომ?! პირიქით, მე მთელი გულწრფელობით გეუბნები, ჩვენ ზალხისთვის თავისუფლება ვვინდა.

— შენ როგორ გვინდა, არ, მე, ეს პატიმარი კაცი უფრო თავი-სუფალი ვარ, თუ ის ყბაჩუა ნამატროსალი, რომელმაც შენთან მო-მიყვანა?

მინას გაეცინა:

— შოდი ახლა და ამისთანა აზრებით გაგიშვას კაცმა, თანაც საღ? საქართველოში, საღაც მალე კაცებისის და, საერთოდ, აღმოსავლეთის საკითხი უნდა გადაწყვდეს!

— თქვენ კაცებისგან წამოსვლას აპირებთ, არა?

— მაშ როგორ? რუსეთმა ტყუილად კი არ გადაისახლა ნახევარი შილიონი კაცებისელი 1863—1864 წლებში ანაპილან, ნოვოროსიერი-დან, ტუაპსედან, სოჭილან, ხოსტილან, ადლერილან, პსხუდან, გუდა-უთილან. კაცებისის ომი რუსეთის სახელმწიფოებრიობის ბუნებრივმა ზრდამ გამოიწვია. ჩვენ 1567 წელს ავაგეთ თერგის შარცხენა ნაპირ-ზე ციხე-სიმაგრე. თქვენი კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე ჭირ კი-დევ 1586 წელს თხოვდა ჩვენ ხელმწიფე თელორე ივანეს ძეს ქვე-შევრდომობას. პეტრე დიდის ექსპედიცია ბუხოლცის ხელმძღვანე-ლობით ბაქო და დარუბანდი, რუმიანცევისა და სუვოროვის მიერ ლაპყრობილი ყირიმი და ნოვოროსიისკი; 1774 წელს თურქეთი გა-მოგდებულ იქნა იმერეთიდან, გურიიდან. თქვენ გვინიათ, რომ პო-ტოომჯინის ის დიდი გეგმა, რომელმაც ერქვა „აღმოსავლეთის სა-

კითხი“, დავიწყებას მიეცემა და გაგრძელებას აღარ ჰპოვის შენაულ  
რესეტში?

— არა, მევონა რომ ეს შეუგნებლად კეთდებოდა...

— ვინ შეუგნებლად და ვინ შეგნებულად!

შესაშური მექსიერება გქონიათ, ტიუხინ!

ერთ-ერთი ჩემი წინაპარი პირველი დღესპანი გახლდათ კავკასიაში;  
ივანე მრისხანედან მოყოლებული ჩვენი გვარის მრავალი სახელოვანი  
წარმომადგენელი სამშობლოს სიყვარულს შეეწირა.

— პატრიოტიზმი საუცხოო გრძნობაა, მაგრამ საკუთარი ერის გა-  
დაჭირებულ სიყვარულს სიძულვილს დიდი პოტენცია აქვს, —  
თქვა ჩაფიქრებულმა ვალიკომ. ტიუხინის ნათქვამშა დამთრგუნველად  
იმოქმედდა. ცხადია, მასში არაფერი ახალი, ან, ისეთი არ იყო, რაშიც  
გჭვი ეპარებოდა, მაგრამ, როცა ყველაფერი ეს მოპირდაპირე მხარეშ  
აღიარა, უკვე მისდა დამოუკიდებლად სინამდვილედ გადაიქცა, გარ-  
დუგალობის ხელთუქმნელ ბეჭედად დაისვა. ვალიკოს უცებ წარმო-  
ლდგა, ვითომ ნინოს დაკითხვას ის კვინისშიასულ თვალებიან, საში-  
ნელი ქალი აწარმოებს, რომელიც მთელ თავის უბედურებას ქვაცნ-  
ბიერად ნინოს აბრალებს. მამაკაცობს და ქალურ დაუქმაყოფილებ-  
ელ ინსტიქტებს ნინოზე ჯავრის მოყრით იყლავს, უხეშად ექ-  
ცევა, ამცირებს, ხელითაც შეეხო თითქოს. ვალიკოს სისხლი აუვარ-  
და თავში, წამოდგა, წყალი მოსთხოვა ტიუხინს, დალია და პეიონა:  
— დაპატიმრებულ ქართველ მგზავრებს რას უპირებო?

მინაც ერთი წუთით თავის ფიქრებს მოეტაცა. მას, პირადად მას  
არგუნა შემთხვევამ ამ კაცის სიყვდილ-სიცოცხლის ბედი. ბუფეტი-  
დან შეშასავით გამოტანილი გვამი დაუყევა თვალშინ, და ამ ამბავთან  
თავის საქმიანი დამოკიდებულება გაიხსენდა. ასევე უნდა გაეუცხო-  
ვებინა ამ სალამოს ამ კაცის გვამიც, მაგრამ იყო კი ამის აუცილებ-  
ლობა? მინამ გადაჩხრიკა არადელის გაშვების სავარაუდო შედეგი,  
გაითვალისწინა მისი პიროვნული განსაკუთრებულობა და ყველაზე  
მიზანშეწონილ მოქმედებად, ღირსეულ საქციელად, ყოფილი ახლობ-  
ლობის გამო, გულახდილობა აირჩია.

— ყველას გავუშვებო შენს მეტს, — ტიუხინი თვითონ ვერ ახ-  
სნიდა, რატომ მიმართავდა არადელს ხან შენობით, ხან თქვენობით,  
ალბათ უნებურად მასვე თუ ბაძავდა.

— მე რალის შერჩით? — გაეცინა ვალიკოს. ტიუხინი ფანგარას-



თან მივიღა, ოთახი დაბნელა და თითქოს ვალიკოს განაჩენის ცენტრული თანამდებობის დაწყები:

— იმისთვის, რომ შეოფლით დაიპყრო, ჯერ საჭიროა საკუთარ სახლში შეერთო ყდამიანს, შესწევს თუ არა სახელმწიფოს ამის ძალა — სულ უბრალოდ გაიგება: გაქვს თუ არა ძალაუფლება სწორედ უდანაშაულო კაცის მოსაკლავიდ? ტანჯვის მიყენების ძალა თუ აღემატება კეთილდღეობის მინიჭების ძალას, ასეთ სახელმწიფოს შეუძლია იმპერია შექმნას. სხვა სიტყვებთ, იმპერია ძლევამოსილი მხოლოდ მაშინაა, როცა მას აქვს უკეთესი იარაღი, ციხე, სახრჩობელა, ბაწარი და უარესი საჭმელი, ჩასაცმელი, სახლ-კარი. რევოლუცია ისეთივე ნემდვილი თავისუფლებაა, როგორც ომი. აღამიანი თვით წარმოშობს სიკვდილს, ასწრებს ბუნებას და ამით იმარჩვებს მასზე. ზე პირადად ვერ ვურიგდები ფიზიოლოგიურ სიკვდილს, ეს რაღაც დამამცირებელია, უმწეოდ, არარაობად აქცევს აღამიანს. — ამ სიტყვებზე ტიუხინი შეჩერდა, თავი გაიქნია და რაღაც გაბოროტებით დაამთავრა: — სახელმწიფოს მშვიდობა არ არის საჭირო, სიტყვნარე არ უნდა იყოს. არავითარი მომადუნებელი ფაქტორები! რომი მაშინ დაიღუპა, როცა კარგი ცხოვრება დაიწო. რუსეთი უნდა გამოჯანსაღდეს — ეს სქელგავიანი რუსეთი!

ვალიკოზე ამ მონოლოგმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მასაც ჰქონდა რუსულ ნაციონალიზმი თავისი შეხედულებანი. მისი აზრით, კაევის რუსეთის ნაციონალიზმი შონლოლთა ულელქვეშ ღრმად რელიგიური გახდა, ფლორენციის უნივ. შემდეგ კი მესიანიზმად ვაღაიცა. პეტრე პირველმა ტრანსფორმირებულ მესიანიზმს იმპერიალიზმის მაღაც გაუქსნა. თანამედროვე ისტორიულ ეტაპზე იმპერიალიზმს ვალიკო რუსული ნაციონალიზმის ეზოტერიულ არსად თვლიდა და რაც უნდა ცინიკურად მოჩვენებოდა ვინმეს ტიუხინის გულახდილობა, ვალიკო, პირიქით, მადლობელი იყო იმით, რომ ტიუხინმა ორპირობის, სიცრუის გამჭვირვალე ბადე მოიხსნა და ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. ეს მინამაც იგრძნო, კმაყოფილი დაუბდუნდა საწერ მაგიდას, თუთუნის ორი პაპიროსი გაახვალ, ერთი ვალიკოს მიაწოდა, ასანთი აუნთო. ვალიკომ რამდენჯერმე ზედიზედ შეისუნთქა თამაჯოს ბოლი, მთელი გულისყურით გააცილა მსუბუქად დაწვეული თავბრუ და თქვა:

— მე მაინც მამა აბრამის ბატყანი გამოვდივარ.

ახლა მინას გაეცინა, კაბინეტში გრაფინქამ შემოიჭყიტა.



— მინა გასილიჩ, ცხენის თაობაზე გაწუხებთ.

— დაიკარგე ქედან — გაბრაზდა ტიუხინი. მთავარ სათემულს მზადგა და თავიდან ხომ არ დაიწყებდა. — რომ გაგიშვათ, ვაღერიან გიორგევიჩ — სწრაფად განაგრძო მან, — საქართველოში ჩასვლის-თანავე ჩვენ საჭინააღმდეგო საქმიანობას გააჩალებთ. თქვენ იმ ერთ მუჭა აღამიანებს ექუთვნით, ვინც ხედავს დღევანდელი პრობლემების ფეხსვებს და არა ყვავილს, ვისაც წარმოუდგენია ნაყოფის გემო, თუმცა, მინდა გათხრათ, აქ თქვენი პოზიცია უიმედოა. მცირე ეროვნებები, საუბედუროდ, განწირული არიან არა მარტო ჩვენში — ყველგან. მათი ასიმილაციის საქმე, ძალდატანებით თუ თავისთავად, ისტორიულად გადაწყვეტილია. რაც შეეხება მესამე რომს, ახალი რუსეთის იმპერიის იდეას, იგი ახალ კულტურის შექმნასაც ითვალისწინებს.

— მხოლოდ თაფილუფალ ბერძნებს შეეძლოთ შექმნათ თვით-მყოფი კულტურა, რომის იმპერიამ შექმნა მხოლოდ ცივილიზაცია, — ჩაურთო არადელმა.

— და აი, სწორედ ამიტომ — შენ, ცხოვრებაში ესოდენ გამოცდილი კაცი რომ მაინც იდეალისტად დარჩი, — სწორედ ამიტომ შენიგაშვება არ შეიძლება. ვალიკომ სწრაფად გახედა ფანჯარას. მინამ გაიღიმა და თქვა: — ქვემოთ ორი შეიარაღებული გუშაგი დგას, ორიც — დერეფანში.

ტიუხინის მსჯელობა საფუძვლიანად მიაჩნდა არადელს. მისი გადაბირება ან გადარწმუნება — სისულელედ. „ნინოს გაუშვებენ, ყველას გაუშვებენ ალბათ... კირებთან დაელოდება? რომ არ გამოვა, ნეტა რას იზამს?“ ფიზიკურ ტკივილად მოაწვა ბოლმის, შეხვედრის ჩდომის, სევდის, სასოწარკვეთილების ნაერთი ძალა. საჭირო იყო რაღაც ეთქვა, იქნებ ეს უკანასკნელი შესაძლებლობაა? ხშირად მდგარა სისიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე, ხშირად მისგან მხოლოდ ერთ სიტყვას მოითხოვდნენ, ან ბოდიშს, ან რაიმეს უარყოფას. ხანდახან იცოდა, რომ სწორიც არ იყო და უკან დახევა უფრო გონივრობაში ჩამოერთმეოდა, ვიდრე სიმხდალეში, მაგრამ თავმოყვარეობა სასწორის პინაზე გადანაცვლებას არ ანებებდა. ახლა კი თავი იმაში დაიჭირა, რომ საბაბს ეძებდა და ვერაფრით მოეფიქრებინა, რა ეღონა, დროის მოსაგებად, რაღაცის იმედით თქვა:

— თქვენ ბედი გწყალობთ.

— მაგაშია ჩვენი სიმართლე, — იყო პასუხი.

ვალიკომ იცოდა, ჭაცი ფიქრსა და განსხვას თუ მიჰყვა, უვილა პრინ-

ციპს საცინად აღგდებს, ყოველ კეთილშობილ საქციულს ამპერიტავ-  
ნობად მონათლავს, ან შიზანშეუწონელ მოქმედებად მისირეჭული არ-  
გორი სულის სიძაბლეც უნდა გამოიჩინოს, გასამართლებელ სა-  
ბუთს მოიძებნის, ერთი სიტყვით, საკმარისია კრიტიკულ მომენტში  
გადაფასების ცდუნებას მიეცეს, რომ ყველაფერი დასშვები და იო-  
ლი აღმოჩნდეს, ამ ფიქრებით გახელებული ადგა, წასვლა დაპირა,  
მაგრამ ტიუხინი გაჩუმებული იჯდა, მორიგეს არ უძახდა, იდაყვებით  
ძაგილს დაყრდნობოდა, ბოძებივით შეყვადებულ ხელებზე, მძიმე ნი-  
კაპი ჩამოედო, რაღაცას მძტერებოდა უფერული თვალებით, თავში  
ორჟოლი აზრები შეპარვოდა, ერთი და იგივე საკითხი წალმა-უკულმა  
ყჩვენებოდა: არადელის გაშვება იმდენადვე უნდოდა, რამდენადაც  
დასჯა. ყოველ წადილს რაღაც მოვონება ელობებოდა წინ. იგი სუ-  
ლიერად იყო დავალებული ამ კაცისაგან, სწორედ ეს ინტელიგენტუ-  
რი წილადობილა აღიზიანებდა. სიამოვნებით აპყვებოდა თავის ბუ-  
ნებას, არადელი ვითომტც არ სცნობია, ისე დაივიწყებდა, მაგრამ სა-  
რდანლაც ბონაქროლი იღუმალი შიში იმისა, რომ ამით მის სულში  
ბზარი გაჩნდებოდა, ძალაუნებურად არჩევანს უძნელუბლა. მონაც-  
ვლეობდნენ არა მარტო საწინააღმდეგო გრძნობები, ლოგიკურად გა-  
ლარული ცნებებიც, მხოლოდ ყველგან ერთი აზრი თვალიდა, გარან-  
ტიას თხოულობდა: არადელი თამაშიდან უნდა გამოსულიყო.

— წამიყვანონ! გმადლობ სიმართლისათვის.

მინა წამოდგა, თითქოს მოიბოდიშაო, ისე ჩაილაპარაკა:

— იქნებ პირობა მოგეცა, რომ აღარაფერში გაერევი...

— რაში აღარ გავერევი?

არადელს მოულოდნელმა დაინტერესებამ მოცდენილი სიტყვის  
პატრონივით უკან დაასევინა მინას.

— არა, მე ისე ვთქვი, საერთოდ...

— ჰოდა, ვერ გავიგე — რა ვთქვი? — ვალიკოს ჭრთვაში, რაღაც  
თხოვნის ნოტები მოესმა ტიუხინს.

— თუ როგორმე სხვა რამ საქმიანობას ეწევი, ვთქვათ, ოჯახს  
მოეკიდები, ან რა ვიცი, იქნებ საზღვარგარეთ წახვიდე, და იღარ ჩა-  
ურევი პოლიტიკაში, იქნებ-მეოქი, რა ვიცი. საქმე ის კი არ არს, რომ  
რაღაც საშიშროებას წარმოადგენ რევოლუციისათვის, არა, ვერაფერს  
შიაღწევ, არც არავინ წამოყვება, შენი სიმართლე ზედმეტად ჭეშ-  
მარიტია, რომ ვინმემ დაიჯეროს იგი. საქმე პრინციპშია — შეგნებუ-  
ლი და დაჯერებული მოწინააღმდეგებ ხარ, ამიტომაც ლიკვიდირებუ-



ლი უნდა იქნა. მაგრამ თუ პირობას მომცემ ან რაიმე ფორმაზე კუთხით გამოიყენება, რომ თამაშიდან გამოსვალ, შემეძლო გამეტებისა შენი გამოიყენდა. მარტალი, ეს ჭირ კიდევ შესათანხმებელი იქნება და არ ვიცი, გამოვა თუ არა, მაგრამ, ვფიქრობ, ამის გაყეობა შეიძლება — ვალიკოს თვალები დაეხუჭია, თოთქოს ღვინო შეასხესო სახეში, ადგილზე ქანაობდა. მინამ ყოველგვარი უსიამოვნების ასაცილებლად მორიგეს დაუძახა, მაგრამ როდესაც კარგად დაყვირჩა, მისმა რაღაც მოშვებულმა იერმა გაათამაშა, შემწყნარებლურ-შემაგულიანებელი ხმით დაემშვიდობა: — ცხონებული მაშაჩემი აშბობდა, ყველაფერი სისულელეა ცხოვერებაშით. თუ ჰერაში დაგიჯდეს, სთხოვე ჩემთან ამოგიყვანონ, მხოლოდ დღესვე, ხვალ გვიან იქნება. რას იზამ, მე ნუ-ოაფერს დამწამებ. პა, ეს გქონდეს, — ჩაუყარა გაუნძრევლად შდგომ ვალიკოს ჭიბეში თუთუნი, მერე გაშიშვლებული რევოლვერებით შემოსულ ჩეკისტებს უბრძანა: — წაიყვანეთ! — და თვითონ ნაჩქარე-ვად პირველი გავიდა კაბინეტიდან...

ვალიკო ცემენტის იატაკზე გულალმა იწვა. ბნელოდა. მრავალ-ჯერ ნაფიქრი კონკრეტულ პასუხს მოითხოვდა. გუნებაში ყველაფერი კარგახანია. გადაწყვეტილი პქონდა, ამიტომ თავიდან იცილებდა კი-დევ მარც გაუვალ ბარლებად მოძალებულ კითხვებს. რაღაც იმედის მომცემმა უაზრობამ გაითაცა: ეწადა გაეხსენებინა რაღაც გაუხსენებელი, რომელმაც თავისებური განწყობა დაუტოვა და შეგრძნებაში ძლიერ ნაცხობი, მაგრამ უსახელო, შეუდარებელი ძახილის ექო სა-ლამის ზარივით დაარისხა. ეს იყო ზემშობლიური სამყაროს მონაბერი, რაღაც თაური ნიშანი, ცასა და ზღვას შორის დაკარგული შზის ნაწილური. შემდევ ზოგმა აზრად ქცეულმა და ზოგმა უაზროდ და-ცურებულმა ხილვებმა დაუარეს. უსასრულობიდან მოწყვეტილი ვარსკვლავი ქრებოდა და ჭიალუად შილოობავდა. ოთხუთხა სიბრძნით დატენილი მდუმარება, რაღაც მიკრობად აფრააშლილი ტრიალებდა. საუკუნეებიდან წაშომლებარი რომელიდაც შუბოსანი მეომარი და ოკეანეში საღლეც მიკარგული პაწიდ თევზის თავი სისხლ-ხორცად წეიცნო და ერთ სახედ იგივედებოდა. ვალიკოს მოაგონდა კონსტანტინებოლის ალყის მონაწილის ნესტორ-ისკანდერის მოთხრობა, სა-დაც იგი წერს, რომ ოსმალოებს მხოლოდ რუსთა მოდგმა მოუღებს ბოლოს. კონსტანტინე დიდის საფლავზეც ეს წერია, რაც დამოწმებულია არა მხოლოდ რუსულ, არამედ ქართულ მატიანეშიც. მაშ რა-ღა ჭაჭიროა წინააღმდეგობა, როცა ხეირიანი თანამოაზრეც კი არ

გაგაჩნია? ყველა ივლარის გადმოყრას ელოდება, მსხვერპლის გაფე-  
ბას სხვისგან მოითხოვს. გულახდილად რომ აღიაროს! — არა მომდევ არ  
არ მომხდარა, თვითონ ხომ უკვე ქარგა ხანია ფტქრობდა თავი მიენ-  
დებინა ყველაფრისთვის და სადმე გადახვეწილიყო. მთავარი მაინც  
ის იყო, რომ ამ გაუმართლებელ და უიმედო მდგომარეობაში უწინ  
ვალიკოს სწამდა: ვიღაცამ მაინც უნდა აკეთოს სი, რაც ჭიშმარიტე-  
ბად მიაჩინია. ძალის ჩატვეული გზაც ვიღაცამ უნდა გაიაროს, თუ  
შარაგზა ჩაიშალა, ბილიკზე მაინც არ უნდა ამოვიდეს ბალახი, გზა  
თუ გაცუდდა და ხოიზალა — სკლაური მგზავრი ვინ იცის, სად იმო-  
ყოფს თავს. ამ ბოლო დროს კი გალიკოს ამაშიც შეეპარა ეჭვი, იმი-  
ტომ რომ თვით დაეკარგა დასალიერი: ისიც მოსდიოდა აზრად, რომ  
იქნებ სულაც პრეტენზიული დამოყიდებულება პჲონდა ცხოვრებას-  
თან: ხომ ცხოვრობენ სხვები, თუ ბედნიერნი არა, ყოველ შემთხვევა-  
ვაში დაწყნარებულნი და კმაყოფილნი არიან უბრალო ადამიანური  
ცხოვრებით. იქნებ ეს ზედმეტი სიამაყეა? მოძალადისაგან ან შეურა-  
ცხმყოფელისაგან ღისების დაცვა თუ სიამაყეა, მაშინ სუსტზე გა-  
ყოყოჩება რაღაა? გზაგასაყარზე ამდენი დგომა მისი ბუნებისთვის გა-  
დარეკას ნიშნავდა. მის დიდი ბედნიერება ხვდა წილად — შეხვდა იმ  
ადამიანს, რომელსაც ნატრობდა მთელი ცხოვრება. მართალია, უკე-  
თესძიებოდა ეს გადაწყვეტილება უფრო აღრე მიერო, მაგრამ გა-  
რეშე მიზეზის უგულებელყოფა მოვლენებს ცალმხრივ წარმოად-  
გეს — ნაყოფი შესხდლოა ისე შეახმეს ხეს, რომ არც ჩამოვარდეს.  
არწებობს კია სხვა გამოსავალი, ღალატობს იგი ვინმეს, ან დაშავდე-  
ბა ამით რაიმე? და მაინც, როცა მეორედ აცყავდათ ტიუხინის კაბი-  
ნეტში, უჩვეულოდ ღელავდა, მისი არსებობის ყველა ლოგიკური  
ბოლო მის დაღუშვას მოასწავებდა, ერთადერთ ნუგაშისმომცემად  
წუხანდელი სიზმარი დარჩენოდა, განვებას ალბათ ასე განუზრახავ-  
სო — ცდილობდა დაეწყნარებინა თავი.

მას შემდეგ, რაც ტიუხინმა არადელი დაკითხა, გუროვთან საგან-  
გებო სხდომა მოეწყო, სადაც სემიონ მოისეევიჩმა ქართველების  
გაშვებას წინააღმდეგ ბევრი იქაქანა, გუროვსაც თვალები უპრაწა, მაგ-  
რამ ვერაფერს გახდა. ქართველი ტყვების განთავისუფლება ყოველ-  
გვარი მრულოდნელობის თვითონ ასაცილებლად საღამოს ათი საათისა-  
თვის დაინიშნა.

რვა საათი სრულდებოდა, არადელის საკითხი კი ღიად იყო დარ-  
ჩენილი. მენა რომ კაბინეტში დაბრუნდა, ღამდებოდა. ფანჯარასთან

მივიღდა, ცოტასნით ბინდში ჭდოშა აჩჩია. უკვე ნანოშლა, რომ არა  
დალის თითქმის გადაწყვეტილი სყითხი თვითონვე არია, თავშეიძლოთ  
იმართლებდა, რომ არ მოელოდა მის წამიერ სისუსტეზე. არადე-  
ლის ასეთ რეაქციას. „ეტყობა, დამიანის გაშძლეობასაც გარკვეული  
საზღვარი აქვს, მოტყდა არადელი, მოტყდა“... ეზოში, ლაშპირ გა-  
შუქებულ საგუშაგოსთან რაღაც ჩრდილები ირეოდნენ. ერთ-ერთი  
ბალაზონში გახვეული გამოეყო და პირდაპირ მისკენ წამოვიდა. ტი-  
უხინი მოცილდა ფანჯარას, მაგილისთან მივიღა, სკამი დასაჭდომად  
გაისწორა, კარებსა და ფანჯარას შორის წამით გავლებულმა რუხმა  
ზოლმა აშცნო, რომ ოთახში უხმოდ ვიღაც შემოვიდა:

— Богом молю и целом быво — нищий чернец Филофей!

ტიუხინი სკამზე ჩაე ვეხა:

— შენმა ძღეამ თავის საქმე უჩვე გაცეთა და ხუნდებად ადევს  
რუსეთის ამსოლუტური სახელმწიფოებრიობის აღორძინებას, მან  
ახალი სახე უნდა მიიღოს. საუკუნეობით აღზრდილი და ქვეცნობი-  
ერად ნატარები გამორჩეულობისა და ისტორიული მისის რუსულ  
ნაციონალური აზრი, რუსი აღამიაშის სულიერი აღჭურვა ჩიხიდან  
უნდა გამოიყვანას. მხოლოდ დიქტატურის ძალებს შე-  
კომუნიზმა უნდა გამოიყვანას. მხოლოდ დიქტატურის ძალებს შინაშე  
ნი სიტყვების აღსრულება, რომ სახელმწიფოს შმართველის წინაშე  
უნდა მორჩილება მართებს. მარქსიც ქრისტესავით მონათ-  
ყველას მონური მორჩილება მართებს. კომუნიზმიც საშოთხეს პირდება ხალხს.  
ლული ეშრაელი გახსნდა. კომუნიზმიც საშოთხეს პირდება ხალხს.  
ოქეებს შემდეგ ჩვენ რამდენიმეჯერ შევადით ევროპაში, მაგრამ იქ-  
დაჩჩენის საბაზი არ გავვაჩნდა. ახლა ლენინი გვყავს, რომელიც ქა-  
დაგებს: „ნაციონალურ საკითხში სახელმწიფოებრივი ძალაუფლების  
მქონე პროლეტარიატის პოლიტიკა იმაში შლილმარეობს, რომ დაუი-  
ნებით და ფაქტურად გატარდეს ცხოვრებაში ყველა ერის შუშათა  
გლეხთა დაახლოები და შათი შერწყმა“... — მინა პასუხის მოლო-  
დინში გაჩუმდა, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე სუფევდა... მერე რაღაც  
ფაჩუნი გაისმა და რუხი ზოლი კვლავ შეერთდა წამით.

ტიუხინს ხმამალლა გაეცინა. კაბინეტში სინათლის ანთებას კიდევ  
აყოვნებდა: დაინახავენ, რომ ოთახშია, არ მოასვენებენ, მალე იასა-  
ული მატვეევი მოვა, კაზაკების შეკრების ჩასაშლელად სტანიცაში  
წმინდა დასჭირდება, მას კი ცოტა ხანს მარტო დარჩენა ეწალა.

— „მოყევი, რაში ხარ დაშნაშავე!“ — თავზე სემიონ მოისეევიჩი  
დაადგა. მინას თითქმის სველი, ძინძგლიანი ტილო მოარტყესო სახე-  
ში, თავი ისე იგრძნო, როგორც ალბათ წელან არადელმა. „რაში ვარ



დამნაშავე ვერ გამიგია?“ სემიონ მოსეევიჩმა ამპარტავში ულავა-  
კუბი მოჭუტა, მერე მთვრალ ეგოროვს მიუბრუნდა, რომელსაც ხელ-  
ში გავარვარებული შაშთი ეკავა და ბარბაცით ტიუხინისკენ იწეოდა.  
„ამას უყურე ერთი! გამოდის, რომ მე ვიყაფი მემამულე, მე ვსწავ-  
ლობდი ციურისში და არა შენ! მაშაჩემი მეწვრილმანის მოჯამაგირედ  
მუშაობდა და უღარიბეს კაცად ითვლებოდა მთელ კიშინიოვში, შე-  
ნისთანა შავისელებმა ჩაარტყეს თავში ნაგახი. მოაწერე ხელი, თო-  
რემ გასწავლი, როგორ უნდა მეფის თვიცრობა და საბჭოთა ხელი-  
სუფლების მოტყუუბა!“ — „ჰო, ჰო, — დაადასტურა ეგოროვმა,  
Привыкай к морскому порядку! Мороди, ерთი ყური გაგიხრიტო“. მი-  
ნას ცივმა ოფლმა დასხა, წამოდგა, ასანთო აანთო, სანთელს მოუკი-  
და, დერეფანში გავიდა, მორიგეს უსაყვედურა უყურადღებოდ რომ  
დაეტოვეშინა კაბინეტი და არადელის ამოსაყვანად გაგზავნა.

ძნელი გამოდგა პირველი წინადადების დალაგება, ხოლო დანარ-  
ჩენი სწრაფად და თავისთავად გაყეთდა. ტიუხინში არადელს პატი-  
ოსანი სიტყვა ჩამოართვა, რომ იგი ყოველგვარ პოლიტიკურ საქმი-  
ანობას თავს დაანებებდიდ, სექტორელოში პრც გაივლიდა, ისე გაეშ-  
გზავრებოდა საზღვარგარეთ, სამაგიეროდ ჩეკას თაჭმიდომარემ გან-  
კარგულება გასცა — არადელი ქართველებთან საერთო ოთახში გა-  
დაეყვანათ და ათი საათისათვის მათთან ერთად გაეშვათ.

ოთახში ვალიკოს ყველა წამოშლილი დახვდა, მათი განთავისუფ-  
ლების ამზადი ახლახან გამოეცხადებინათ და ისეთი ურიამული იდგა,  
რომ ნინოსა და შერების გარდა, რომლებიც კარებთან ფულფუსებ-  
დნენ, ვერავინ შენიშნა მისი დაბრუნება. ნინო, თითქოს მოულოდ-  
ნელად ყურში ჩასძახესო, ისე შეკრთა, შემდეგ სახე გაუნათდა, აუ-  
ჭუნებული თვალებით ფრთხილად ბრძანავით ხელმოსინჯვით ვალი-  
კოსკენ გაიწია, ერთი წამით გულში ჩაეკრა. ეს მათი პირველი განშო-  
რება და პირველი შეხვედრა იყო, უდაბნოს ალხი და გრილ მღვი-  
შეში სულის ამოთქმაც და გარინდებაც. ხშატურით გაიღო კარი. დე-  
რეფანში წოწოლა, ნიკიფოროვნა, ეგოროვი და წითურა მილიციის  
უფროსი გამოჩნდნენ. კართან მდგარმა ბერებმა პირჯვარი გადაიწე-  
რეს, ერთ-ერთმა წაილუდლუდა: „ცამან ილმო მწუხარება ჩვენი, დი-  
დება შენდა, უფალო!“ ნიკიფოროვნასა და წოწოლას ხელში რკინი-  
გზის ფანერები ეჭირათ, ეგოროვს კი ქართველების სია.

— ვისაც ამოგიკითხავ, გამოვიდეს თავისი ბარგი-ბარხანით! —

მხიარულად, მაღალ ქმაზე შეკვეთის ეგოროვდა. წოწოლაც იღიმებოდა, ნიკიფოროვნა კი ვერავძის უყურებდა თვალებში. ეზოში, საგურამო და გოს წინ მიღიცის უფროსმა ქართულად დაარიგა ტყვები:

იმედით ნუ ქვებით, დღვანდელი ღამე შეგიძლიათ გაათეხოთ ქარ-  
თული ეროვნული კომიტეტის ბინაზე.

მერე ლადი ჰყონისთან და ზაქარია ავალიშვილთან მიგიდა, ამ-  
დაც უთხრა მათ, ეგოროვი მოიხმო, გუშაგთან გაგზავნა და განთავი-  
სუფლებული ქართველები ქუჩაში აღმოჩნდნენ. ვალიკომ მეორე სარ-  
თულის კიდურა ფანჯარას ჰყიდა თვალი, საღაც გაუნდრევლებდ დიღი  
ლანდი ჩანდა, გულშა რეჩხი უყო, მაგრამ ბავშვივით გახსრებულ და  
ავაზნიბოლო ჩინოს რომ შეხერავ, ყველაფერი გადაავიწყდა.



მალე პატარა ორსასრთულიან სახლს მიადგნენ. ჭიშკართან, მეტაპერნო  
ძელს ვიღაც ელოდებოდა.

— ჩემი სიმამრი და ჩვენი მარჯვენა ხელი. — გააცნო მირელა-  
შვილმა სტუმრებს მოხუცი.

დიდხანს წმინდეს ფეხები, სანამ ძონძროსა და სახლისში საქმი-  
ანად არ მიატოვებინა ეს შადლიერების გამომხატველი ზრდილობა  
და ყველას რიგრიგობით არ მიუჩინა დროებითი კუთხე. სახლში  
თბილობა და სასიამოვნო სიმყუდროვე სუფევდა. ვიდრე სტუმრები  
ხელპირს დაბანდნენ, თავს წესრიგში მოიყამდნენ, მეორე სართუ-  
ლის დად თთახში უხვად, ქართულ ყაიდაზე სუფრა გაეწყოთ. ჩოხო-  
სანი უჩვე დიდიხანია სტრესდა ცხვირის, სიამოვნებით იფშვნეტლა ხე-  
ლებს და განგებ ნამეტანს იმერლობდა:

— რაღაცაც ცხვირი მეფხანება, ქე არ დავთვრე დღეს, ბოშო, —  
და როცა სუფრაზე ქართული ღვინო შეამჩნია ღაუღაუა სახე. მთლიან  
გაებადრა, თეთრ თმასა და ულვაშზე გადაისვა ხელი. შასპინძლის  
მოწვევას აღარ დაელოდა, თვითონ მიუჟდა სუფრას, სტუმრებიც  
ააჩქარა. მოზრდილ ჭიქაში ცოტაოდენი ღვინო ჭაშნიკად დაისხა, და-  
ატრიალა, უყნოსა, მოწონების ნიშნად თავი გადააქნია, რამდენიმეცერ  
ენის წვერი ჩასველა, სიამოვნებით პირს გაამწლაკუნა, რაღაც გი-  
ოსესენა და გახარებულმა იყვირა: — ნიძლავს ვდებ, ქართული თავ-  
კვერი თუ არ არის!

— გამოცანა გერგებათ, სწორედ თავკვერია, — გაიხარა მასპინ-  
ძელმაც. ნინო და ვალიკო ისე დაღიონდნენ, ლაპარაკობდნენ და მო-  
ძრაობდნენ, თითქოს სანუკვარ და ჯალისნურ წიგნს ფურცლავენო.  
საოდანლაც შორიდან ამ პატარა კოშკში გულში ჩამწვდომი სირინო-  
ზის ხმა და მსუბუქი, პატაროვანი უნაზესი მუსიკა ესმოდათ. შათს და-  
მოკიდებულებაში ქურუმის გზნებაც ვლინდებოდა და ყვავილის შემ-  
გროვებელი ტაძრის მსახურის მოწიწებაც. ისე სწრაფად, ერთიმე-  
ორეზე მიეწყო ყველაფერი, რომ ვალიკოშ ვერ მოასწრო ნინოსათვის  
ეყსნა თავისი შდეგომარეობა, ეკითხა, შეძლებიდა თუ არა იგი ასეთი  
დიდი მსხვერპლის გაღებას. მის თანხმობაში ეჭივი არ ეპარებოდა,  
ზაგრაშ მაინც საჭიროდ მიაჩნდა მასთან ერთად განესაჯა ეს ფრიად  
სერიოზული ნაშიფი. ისიც აღარდებდა, თუ როგორ მიაღებდნენ ამას  
ქალბატონი შუნია და, გამსაკუთრებით, ირაკლი, რომელიც შეხვედ-  
რისას არც კი მისალმებია. სტუმრები მშივრები იყვნენ, მაგრამ თა-  
ვისთვალ ვერც საჭმელს დაიწუნებდა კაცი: ინდაურის საცივი და

ნიგვერანი ლობო, მოხარშული დედალი და ნიორწყალი. თასესავით  
წვერიანი მირელაშვილის სიმამრი ერთხანს ქვემო სართულში მოწერა  
თავსებულ სამზარეულოსა და სუფრას შორის ფაცურობდა, როცა  
სტუმრები გაგიდას შემოუსხდნენ, მან თავისი ღრმად ჩავარდნილი  
და კეთილი თვალები მორიცებულად სიძეს მიაპყრო. მირელაშვილი  
მიუხვდა და სტუმრებს მიმართა:

Мой тесть хочет узнатъ, не тесно ли будет унас сегодня  
ночью?

ვფიქრობ, რომ დავეტევით, თუ ქევენ სხვა აზრისა ხართ და  
ჩემ სიმამრის პატივს დადებთ, მსურველებს დიდის სიამოვნებით მო-  
ასვენებს ოვის სახლში, კარგი ჩაცია, მეზობლად, სულ აზლოს ცხოვ-  
რობს.

— Нет, нет, в тесноте да не в обиде! დავეტევით, რა საკითხა-  
ვია! — პურ-მარილს არ მომაცდინონ, იჩქარა ჩოხოსამმა. ქალბა-  
ტონ შუნის შენიშვნის მიუხედავად, თავიდან ყველა რუსულად  
იწყებდა ლაპარაქს და ბოლოს მაინც ქართულზე გადადიოდა. მასპინ-  
ძელს თავი მოჰქონდა, რომ მისი რუსი ცოლი ასე მშვენივრად დახე-  
ლოვნებულიყო ქართული კერძების კეთებაში:

— ვასწავლე, ბატონო, ვასწავლე, გავაქართველუ, ქალიშვილს ვერ  
მოვერიე, თორემ, — არ იცის ქართული, სახლში ნახევარჯერ არა  
ვარ, ვერ გაამტყუნებ.

მისი თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალიშვერლი თაშარი მორცხვად  
იღიმებოდა და თეთრ ბაიებზე მოსრიიალე კაჭლის მურაბასავით შავ  
თვალებს ნაბავდა. შირელაშვილმა სიმამრი გაუშვა — წადი, მოისვე-  
ნე, ნულარ შეწუხდები, დავეტევითო, უთხრა. სტუმრებს გადარჩენა  
მიულოცა, მილიცის უფროსი კეთილი სიტყვით მოიხსენია.

«Утро вечера мудренее»,

— თქვა და მომავლის ძრევლივ სჯა-ბასის გაგ-  
რდელება დიღისათვის ურჩია. სტუმრებს გინდაც პირი შეეკრათ,  
„ივერიელთა“ დახვრეტის შესახებ კრინტს არავინ ძრავდა, თუმცა იმ  
საშინელი ამბის აჩრდილი ქორივით დასტრიალებდათ თავს. ამიტომ,  
როცა, ბეწვი გაწყდა, მირელაშვილს უნდა წასცდენოდა — ყველა  
ნიხვდა, ჩაჩუმდა, საჭმელს თავი მიანება. შასპინძელმაც, თითქოს  
თითზე იქინაო, ზანზე აყვდო სიტყვა. თბილისში ვალიკოს უბანში  
უცხოვრია და „სალაყბოზე“ ჩამოაგდო საუბარი.

— რალასა ჰგავს სალაყბოს მეიდანი? ახლა ბულვარზეც კი შე-

იტყობ ტყუილად მოტანტალეთაგან ჭორიკანობას, — უპასუხა ქლ-  
ბატონიმა შუნიამ. შემდეგ მირელაშვილი დაინტერესდა, მგზავრობდა  
თუ არა მათთან ერთად ვინმე ბუცხრიკიძე.

— ვარდენი? — გამოცოცხლდნენ სტუმრები.

— დიახ, დიახ. პირველმა მან შეგვატყობინა თქვენი ამბავი.

— ექიში ხოშ არ ხლებია? — იკითხა ქალბატონმა შუნიამ.

— არა, მარტო მისულა სადგურის ბუფეტში, იმათ კი ჩვენთან  
გამოგზავნეს.

— თვითონ სადღა გაქრა?

— პეტროგრადში დავბრუნდები, იქ ბევრი ნაცნობ-მეგობარი  
მყავს ბოლშევიკთა წრეებშიც და რაიმე საშიახურს მიშოვნიან, აბა  
ასეთ არეულობაში საქართველოში რა მინდაო.

— Михаил ему доху одолжил, а он поминай, как звали —  
ჩაურთო დიასახლისმა.

მიხეილმა ალმაცერად გადახედა ცოლს, უვეღრებით გაიხუმრა:

— Циган в рождество шубу продает а уж весна... — ქართუ-  
ლად კი დასძინა: — რა მოხდა, კაცს ამხელა გზა პერნია გასავლელი.

— ნეტავი ექიმს რა უყო, სად გადაკარგა, მაგ მაშაობრის შვილ-  
მა? — ჯვა ჩაფიქრებულმა ქალბატონმა შუნიამ.

მას შემდეგ, რაც გამოუცხადეს — გიშვებთო, მისთვის თითქოს  
უველაფერი სულერთი გახდა, არც კი გახარებია განთავისუფლება...  
რქნებ აშ დაძაბულმა დღეებმა გადაისალეს, ან განიხიბლა რამეში —  
თვითონაც ვერ გეტყოდათ, ხანდახან ფრთხილად თუ გადახედავდა  
ნინოსა და ვალიკოს. ასეთი ბენდინერი, სიცოცხლით სავსე, მხიარული  
და ლაშქირიც არასოდეს ენახა ნინო. მარტოობის გრძნობა გამოუთ-  
ქმელ სევდად დააწვა გულზე, დაბერებული და მოტეხილი ჩანდა. მი-  
ხეილ მირელაშვილი დიდ პატივისცემას იჩინდა ქალბატონ შუნიამი  
შიშართ, ეაშაყებოდა ქართველი კნეინას სტუმრობა, თავისი ქალი-  
შვილი გვერდზე მოუსვა, ყოველი მიმართვისას სიტყვითა თუ ხაზგა-  
მული ყურადღებით თავის ჯალაბობას შაგალითს უჩვენებდა, გამორ-  
ჩეულ მოპყრობას ავალებდა. თამარიც, მამისთვის რომ ესიამოვნე-  
ბინა, თუ მართლაც ძლიერ შოსწონედა ხანშიშესული მანდილოსანი,  
თავს ევლებოდა საპატიო სტუმარს. ვახშამმა ისე ჩაიარა, რომ თითქმის  
სულ ფეხზე იდგა, საჭმელს აწოდებდა, თეფშებს უცვლიდა, რაღაც ს

თავაზობდა და ურჩევდა, ღვინოს უსხეამდა. ქალბატონ შუნიას ალერ-  
სიან შეგითხვებზეც კი ფეხზე დგებოდა და ისე პასუხობდა. როცა

ქალბატონმა შუნიაშ ჭავჭა დაამთავრა, სუფრასთან აღარ გაჩერებულა, წამოდგა, მაღლობა გადაუხადა დისახლისს, ჩიხტიკოპიდან 'ლალ-მარგალ იტიანი ქინძისთავი მოიძრო, გოგონას მიუალერსა, კაბის სა-უელოზე შიუბნია და უთხრა:

— Возьми на память, это красивая вещь.

— На в коем случае, — гаცხარდა ოტომლაც დისახლისი, გოგო-გონა გაწირლდა, აღარ იცოდა, ოოგორ მოქცეულიყო, რჩევისათვის მამას შეხედა. მიხეილი განაწყენებული იყო, რომ ცოლმა ასე გამო-აკოპტა ეს კეთილშობილური უესტი, მაგრამ მისთვისვე ნამუსი რომ მოეწმინდა, უარზე, დადგა:

— ოოგორ გაცადრებათ, კნეინა, ჯერ ბავშვია, რად უნდა ასეთი ძვირფასი საჩუქარი!

შეზარხოშებულმა, არამკითხე თამადად გადაჭცეულმა ჩოხოსან-მაც მასპინძლებს აუბა მხარი:

— მაგას საქართველოდან 'მე გამოვუგზავნი გიშერითა და მარგა-ლიტებით მორთულ ქართულ კაბას, მე შენ გუტყვი და არ დაშვენ-დება.

— იმდენი რა გითხრათ, აქედან გასული არ იქნებით, დაგავიწყდე-ბათ თამატიკოცა და არმავირიც, — მოუჭრია ქალბატონმა შუნიამ, მე-რე მაგიდაზე მორიდებულად დადებული ქინძისთავი თამარს მკაცრად ჩაუდო ხელში, დისახლისს გადახედა:

— Бросьте пожалуйста, не делайте из этого историю! — ბოდიში მოიხადა და დასაძინებლად გავიდა.

მთელი საღამოს გამწვლობაში ირაკლიშ მხოლოდ ერთხელ ამო-ილო ხმა, ბუცხრიკიძის ბედით დაინტერესდა. უხერხებულად გრძნობ-და თავს — კიდევ უნდოდა რაიმე, ფორმით არადელისათვის ბოლი-ში მოეხადა, ამავე დროს დამამცირებლად მისჩნდა ასეთი საქციელი. არადა რაღაც ნალველი წვეთავდა სულში, ბალბასებრ ფეხს იდგამ-და, კარგი იქნებოდა, როგორმე თავის გასამართლებელი რამ მომ-ხდარიყო, მაგრამ თვითვე ესმოდა: თავისთავად არაფერი არავის არ ამართლებს, ქალბატონი შუნია რომ გავიდა, რაღაც საყრდენი გამო-ეცალა თითქოს, სიბნელეში მარტო დარჩენილი ბავშვივით შეშინდა და ხელად დედას გაძყვა.

მამლის ყივილამდე ვერ მოისვენა სახლში. თაშადა და მასპინძე-ლი შეასედნენ ერთმანეთს, იმდენ ხასს უჭახუნეს ჭიქები, სანამ დი-სახლისმა ძალით არ გაიყვანა ჰირში ენაგამოცლილი მეუღლე. თა-



მადა, ხოშალდთან ერთად განწირული კაპიტაშის მიხრა-მოხრით, მოხრით მოხრით სადღეგრძელოს შესმას აპირებდა, სუფრის ალაგებით დაკავებული დიასახლისის ერთი წუთის ყურადღებას, უკვე, ნახევარი სა-ათი იყო, ითხოვდა და ქართული ოჯახის ტრადიციების შესახებ რუ-სულ-ქართული, ბრტყელ-ბრტყელი, ჭაზრო წინადადებებით ცდი-ლობდა დარღიმანდი, მაგრამ ზრდილი კაცის შთაბეჭდილება მოეხ-დინა თამარზე, რომელიც ყოველ შის სიტყვას კეთილსინდისიერად ისმენდა და მთელი სერიოზულობით იღებდა.

ნინო და ვალიკ განცალკევებულიყვნენ, ერთის შეხედვით ელო-დებოდნენ, ვიდრე საბოლოოდ არ გაირკვეოდა, ვის სად უნდა მოეს-ვენა. საქმე ის გახლდათ, რომ დიასახლის ისინი ცოლ-ქმარი ჰეონე-ბია და ერთად დაეგო ლოგინი მათსვის. ახლა იმავე ოთახში ნინოს მაგიერ ირაკლის უწყიობდნენ საწოლს. სინაშლევილეში კი ვალიკის და ნინოს სულაც არ ეძინებოდათ, მაგრამ მეტი რაღა გზა ჰქონდათ, ისე დანაღვლიანებულიყვნენ, თითქოს რამდენიმე საათით კი არა, წლო-ბით შორდებოდნენ ერთმანეთს.

— თუ შენ დამეთანხმები, ხვალიდან არასოდეს დავცილდებით, სულ ერთად ვიქნებით, — წასჩურჩულა მცუნვარედ ვალიკმ.

— რა თქმა უნდა?!

— წავიდეთ, ახლავე აქედან საზღვარგარეთ!

— რა თქმა უნდა! — სიმღერასავით გაიმეორა ნინომ.

ისედაც გალიზიანებული ირაკლი რომ არ შეეწუხებინა, ვალიკ ლოგინში გაუნძრევლად იწვა, ფანჯრის რაფაში ჩასმულ სილურჯეს შესცემოდა, უკვირდა — გულს რატომ არ ეყარებოდა ის ფიქრი, რომ ასე მოუმზადებლად, უკაპიყოდ, შეუთანხმებლად, ასეთ ქალთან, ასეთ დროს, საზღვარგარეთ როგორ აპირებდა წასვლას. ვერ გაეგო, რატომ არ ჰქონდა ამის დარღი, სწყინდა კიდევც ისე არხეინად რომ იყო, ვითომეც ეს მას სრ ექებოდა. რატომ ეგონა ყველაფერი უმისოდ, თავისთავად მოგვარდებოდა?! შალე რუხი ფერით ამოივსო ფანჯარა. როცა რაფაში ჩასმული არე სიფრიფანა განდა და ცა გამოჩნდა, ვა-ლიკ ფრთხილად წამოდგა, ნელა ჩაიცვა, ფეხაკრეფით გავიდა სას-ტუმრო ოთახში. ვიღრე თავს წესრიგში მოიყვანდა, სხვა ოთახებმაც იწყეს ჭრაჭუნი, ნინოც ამდგარიყო ფერგაცრეცილი, უძილობისაგან კიდევ უფრო აღგზნებული.

ვალიკ მოელი სახლის გამოფაზიზულებას და საუზეს აღარ დალო-დებია. ნინო კარებთან გაიხმო:

— მივდივართ?

— სად? — ისე ტრაგიკულად შეპყვირა ნინომ, თითქოს უფაფესებობითი ნივთი ხელიდან გაუვარდა.

ვალიკოს გაეღიმა.

— სადგურზე. ჸომ უნდა გავიგო, რა მდგომარეობაა, რაშია საქ-  
მე, საით შეიძლება ჩვენი გამგზავრება, დღესვე წავიდეთ, არა?

— რა თქმა უნდა, — დაწყნარდა ოდნავ ნინო.

— გინდა ფეხით? — კადევ გაიღიმა მან.

— რა თქმა უნდა!

ვალიკომ ხელი მოუჭირა და წასასვლელად გაიწია.

— მოიცა, 'ნუ მიდიხალ! — წაშოცდაო თითქოს, შელავზე ჩაებლა-  
უჭია. — მეც წამოვალ.

— არა, — ნაზად გააშვებინა ხელი ვალიკომ, — შენ მანამდე გა-  
ემზადე, შეეცადე დედა დაიყაბულო და გაუადვილო ეს... — შესაფე-  
რი სიტყვა ვერ მონახა, გადაითიქმირა: — ანდა არ გინდა, ჩემს მოს-  
ვლამდე ნურაფერს ეტყვი, ირაკლიშ არაფერი ატეხოს, მე მალე დავ-  
ბრუნდები.

ჩოფურა და 'მაღალი, მძიმე გამოხულვის ჯარისკაცი სადგურის სა-  
ნახების ერთ-ერთ დაცარიელებულ ფიცრსულში იმაღლებოდნენ. რო-  
გორც კი კორნილოვცების ჩერეკის დროს ძვირფასეულობით გატენი-  
ლი „გოჭი“ (მოფერებით ასე დააჩრევა ჩოფურამ დიდ ტომსიერს) ჩა-  
იგდეს ხელში, ორივე შეუმჩნევლად სადგურის ბაქანზე სეირის სა-  
ყურებლად შეგროვილ ხალხს შეეჩია და, დრო იხელოეს თუ არა,  
ძუნძულ-ძუნძულით, თითქოს უკნიდან ტყვეიბს უშენდნენ, იქვე  
პირველივე სადგომს შეაფარეს თავი. მესამე დღე გაუთენდნათ 'მატა-  
რებლის ცდაში, მესამე დღე დაიწყო, რაც პირში ლუქმა არ ჩაედოთ.  
გარეთ არ გამოდიოდნენ, ეშინოდათ საღმე ჯარისკაცებს არ შეფერე-  
ბოდნენ. გუშინდელმა დღემ სულ აურიათ დავთრები, ბაქანზე მათი  
ამხანაგები დაძრწოდნენ, რალაც მიტინგი ჰქონდათ. შეიძლება სულაც  
გაქცეულ დეზერტირებს ეძებდნენ. ალბათ, იმ კორნილოვეცმაც ერ-  
თი დავიდარაბა ატეხა „გოჭის“ დასაბრუნებლად. ახლა შათ თუ და-  
იჭერენ, არა მარტო დეზერტირობისათვის დასჭიან, არამედ როგორც  
მარადიორებსაც. ამიტომაც იყო გუშინ სადგურის ბაქანზე იმდენი  
ხალხი, გაუთავებელი მისვლა-მოსვლა, სიმღერები. მაღლობა ლმეროს,  
გადარჩენენ. მეტი ცდა და მატარებლის ლოდინი აღარ შეიძლებოდა.

„გოჭი“, რომელიც მათ ბეჭმა შეახვედრა — ოქროს ფულები, ზოდები და რამდენიმე ძვირფასი ქვა — ჯერ არ გაეყოთ. ჩოფურტეულობრივი სეთიდან იყო, პროკოფი კი — ჩრდილო კავკასიიდან, სტავროპოლის ახლო მდებარე ჲუტორ სტარაჲვონიდან. ჩოფურამ რამდენიმეჯერ შესთავაზა პროკოფის თანამწორად გაეყოთ განძი, თოფები გადაეყარათ და თავთავიანთ გზა-კვალს სწეოდნენ. მაგრამ პროკოფი ჯიუტობდა. ჯერ ჩემთან წავიდეთ, კარგი მარშით ორ დღეში ჩაფალთ ფეხით, ღამლაშით ვიღლით, დილით კი დავიძინოთ, სამშვიდობოს როცა გავალთ; იქ დაისვენებ, მომაგრდები, დინგად და დაკვირვებით გავიყოფთ, აქ არც სასწორი გვაქვს, ხომ შეიძლება მე მეტი მერგოს, შენ ნაკლებიო. ჯანდაბას, ეგრე იყოს. — თანხმდებოდა ჩოფურა, მაგრამ პროკოფი მაინც თავისაზე იყგა, ქვებიც გასასინჯია, ხეირიანად არ ჩანს, რა რისიაო. მერე კი ერთი კარგა გამოვძლეთ, გამოვთვრეთ და გზასაც დაგილოცავ. რომ იცოდე, რა კარგი მწნილები იციან ჩვენში, გემრიელი მუავი კომბოსტო, ჩაშუშული კარტოფილი, შემწვარი ღორის ძეხვებს ხომ ნულარ იტყვი, ეგეთი არსად გრძამია, ჩემი ცოლი ევდოკია წოკოს პიროვს გამოსცხოშს — თითებს ჩაიკვნეტ, შენ უცოლშვილო კაცი ხარ სულაც ჩვენ სოფელში დარჩი, ისეთი პატარალი გიშვივნო, შენი მოწონებულიო, ჩოფურა საჭმლის ხსენებაზე ნერწყვებს ყლიბაგდა, ცოლსა და ყველა ქალს ქვეყანაზე ერთი ნაჭერი შავი პური ერჩია ახლა, მაგრამ მაინც იღიმებოდა. უხალისოდ ეთანხმებოდა და თავისოვის სხვას ფიქრობდა. რაც შეიძლება მალე უნდა გასცლოდა ამ შემოტმასნილ მოწილეს. გუნებაში არასამართლიანად „მიაჩნდა „ტეპლუშვაში“ თავისი უხიაგობით შემორჩენილი კაცისთვის ასეთი დიდი განძის ნახევარი დაეთმო: „რაში? აი, რა გამოექთა, რაზი ჩომებმარა?“ მოგემარა კი არა და ჲელს უშლის, უმისოდ უფრო დავილად გასცილდება ამ არემარეს. სად ერთი ჯარისკაცის დეზერტირობა და სად ორის, სად თვითონ — ერთი შეუმჩნეველი, უბრალო, პატარა ჩია კაცი და სად ეს მოუქნელი, ახმანი, ოხერი-მამაძალლი! არადა ჯერ ამ მატარებლის შემყურეს არავითარი გეგმა აქმდე არ მოსდიოდა თავში, დღეს კი რაღაც უნდა ეღონა, თორემ ხვალ-ზეგ აღარაფრის თავი ექნება და აქ გააცხებს სულს, აღბათ პროკოფიც, აბა სხვას რას უნდა მოელოდე მაგისგან, ნამდვილი მკვლელის გამოხედვა აქვს. პირველ ღამეს ორიგეს არ ეძინა, სხვა შიშიან ერთად ერთიმეორის უნდობლობაც არ ასევენებდათ. მაგრამ ჩოდურამ ნელ-ნელა თავის ღონეში დაგერებული პროკოფის ნდობა

დაიმსახურა, გარესკა და მარტო, შუალამეს წყლის საძიებლად წავრ-  
და. როცა ჭა აღმოაჩინა, პროკოფი თან წაიყვანა. „გოჭს“ უკავშიროვანი  
წააყარეს და ფიცრულში დატოვეს. მაშინ უთხრა ჩოფურამ — მოდი  
ცოტა ფული ამოვილოთ და წავიდეთ, ცხენები ვიშვენოთო, მაგრამ  
ეს საშიში იყო. ვინმე ეჭვს მიიტანდა, დაასმენდა და თავს წააგებ-  
დნენ. ეს ჩოფურამაც იცოდა, მაინც ცდიდა პროკოფის, შისი ფარუ-  
ლი განხრახვის ამოცნობას ლამოზდა. ეს პირებლ ლამეს მოხდა. მე-  
ორე დღეს ხომ საგიუეთი დატრიალდა, ფიცრულის კუთხეში აწურუ-  
ლებს ყოველი ფაჩუნი, თუ ბაქნიდან მონაბერი სიმღერის ხმა სასიკ-  
ლოლო განაჩენად ელაშდებოდათ. ლამეც საშინელი წვიმა და ქარი  
ამოვარდა, ბედზე ფიცრული კეთილსინდისიერად გადახურული აღ-  
მოჩნდა, მაგრამ გვერდებიდან მაინც ოღწევდა შხეფი. ისეთი ხმაური  
სმოდა და სახურავს ისეთი ბრაგა-ბრუგი გასტონდა, გვევნებოდათ  
წარლვნა დაიწყო. მართალია, გუშინ ჩაწყნარდა ყველაფერი, მაგრამ  
გადაწყვიტეს კიდევ ერთი დღე დალოდებოდნენ მატარებელს. დღეს  
კი შიმშილისგან ფეხზე ძლივს დგებოდნენ, თავბრუ ესხმოდათ. მე-  
ტის დაყოვნება სიკვდილთან შეგუებას ნიშნავდა. ისიც საფიქრალი  
ცყო, ვინმე არ შემოყანტალებულიყო, თუმცა ფიცრულს კარგი მდე-  
ბარება ჰქონდა: საღვრას ბაქნის ერთი კიდე ხელისგულივით მო-  
ჩანდა, მისადგომიც შოტიტვლებული იყო, ასე რომ მოულოდნელად  
ვერავინ გელასლოვდებოდა. შეთ რის შაშხანა და ორი ტყვია ეგუ-  
ლებოდათ, მაგრამ მაინც როდემდე შსხდარიყვნენ აქ? პროკოფიმ  
ერთხელ თქვა, თოფები გადავყაროთ, ოქროს თუმნიანი ამოვილოთ,  
იქნებ სადგურის ახლო-მახლო რაიმე სანოვაგე ვიშვენოთო. მერე  
ორივემ გადაიფიქრა, დაგვიჭერენო. მეტი საშველი აღარ ჩანდა, ჩო-  
ფურას დღესვე უნდა მოეფიქრებინა რამე, შიმშილს და სიცივეს  
რამდენიმე დღე კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ უძილობისთვის რო-  
გორ მოევლო? ბინდით ცისკრამდე ფხიზლობდა — ხან საჭმელი  
ელანდებოდა, ხან პროკოფის ხერინვა არ აძინებდა, როცა პროკო-  
ფი როლში შედიოდა და ზედმეტად გარეკავდა, ხელსა ჰკრავდა „ჰეი,  
ჰეი“ შეუძახებდა დაბალ ხმაზე, გააღვიძებდა, მაგრამ რა გინდა რა,  
რამდენიმე ხნის შეშდევგ, გვევნება აზამბარაში გამოყავთო, რაც და-  
კლდებოდა, ერთბაშედ ინახლაურებდა და შუალამის სამარისებურ  
სიჩუმეში ერთი-ორს ძსე ამოიხროტინებდა, ჩოფურას გული გადა-  
უქანდებოდა, ალბათ ყიზარმებული გაიგონესო. შეე კუკუ-დამალობა-  
ნას თამაშობდა, ხან ნეკე შემოჰყოფდა ჭუჭრუტანაში, ხანაც ერთბა-

შად ყოველმხრიდან შემოწეული განგმირავდა თავის სხივებით ლიც-  
რულს. მერე სულ მთლად გაჭერებოდა, გვიგონებოდათ გარეთ წერი-  
ანი დღეაო. პროკოფი ალიონიდავე ხვნეშოდა და ოხრავდა.

— პროკოფი, ა, პროკოფი!

— ჰმ?

— სადგურზე ბუსურმანების ბუფეტში იქნებ შიხვიდე?

— მატარებლები ალარ დადიან — ბუფეტში ვის რა საქმე აქვს?

— ეგენი ახლა რკინიგზის შოსაშისახურებსა და ახლო-მახლო  
მცხოვრებლებთან გაჭრობენ. სიღოროვმა ოქროს ბეჭედი მაგათთან  
არ გაცვალა? დაგავიწყდა?

პროკოფი გაჩუმდა, პასუხი არ გაუცია, გუშინდელს აქეთ გამუ-  
ტულივით იყო, თითქმის ალარ ელაპარაკებოდა. უთავბოლო ლაპარა-  
კი შესაძლოა არ სიამოვნებდა, მაგრამ საქმეზე ხომ უნდა ეთქვა რა-  
მე? ჩიფურა შეწუხდა და რამან პასუხი ვერ მიიღო, შემპარავად გა-  
ნაგრძო:

— მე წავიდოდი, მაგრამ სად შენი გარეგნობა და საღ მე? მე  
ქურდბაცად მიმიღებენ, არ მენდობიან, ან სულაც დამიჭერენ. შენ  
თუ უძრი გირხეს, არ ეხვეწო, სასწრაფოდ გამობრუნდი და სხვა  
რამეს მოვიფიქრებთ. თუ დღესაც არ მოვიდა მატარებელი, ღამე შე-  
ნი სოფლისკენ გავწიოთ — რაც იქნება, იქნება! მოყლედ, შენ რო-  
გორც იტყვი, ისე ვიზამთ, თუგინდ ქორწილიც ვჭამოთ. — შეეცადა  
გახუმრებას იგი.

პროკოფი ერთხანს კიდევ ჩუმად იწვა, მერე წამოჯდა, ჩიფურასა  
და მის შუა მიწა გაქექა, ტოშისიკა ამოილო, თავი მოხსნა, როგორც  
ქალის შევრივ ძუძუებში ჩაჰყო ხელი, დაუოკებელი ვნებით აურა  
და ააუღრიალა განძი.

— ამოტოლა ფული გეონდეს და მშიერი ეგდო, ტყეში ხომ არა  
ვართ, — დაიგმინა მან, ერთი ოქრო ამოილო, ჯიბეში ჩაიდო, ზონა-  
რით ისევ წაუკრა თავი ტომსიკას, ერთხანს ბოროტი მზერა ჩიფუ-  
რაზე შეაჩერა, კვლავ წააფარა მიწა „აგოჭეს“, წელში ზექვით წამოდ-  
გა, თოფი აიღო, კიდევ გაღმოხედა შეშინებულ ამხანაგს:

— ნუ სულელობ, — დამუქრებით შეაგინა.

ჩიფურას ერთმა აზრშა დაპკრა თავში: „ახლა თუ გადავურჩი —  
მოვკლავ“.

— რატომ ვსულელობ? არ გინდა? მე წავალ, რა მოხდა? —  
მთლად დატკბა იგი.



პროკოფიმ თოლი მიწაზე დადო, კიდევ შეიგინა, თან თქვენი მუსიკის — ვნახოთ, იქნებ ასე აჯობოს, — და წელა გავიღა ფიცილური განადნენ.

ჩოფურამ ღრეჭოდან თვალი გააღევნა მთვრალივით შიმავალ პროკოფის. ირგვლივ არავინ მოჩანდა. „ახლა სჭობს ვესროლო და თავიდან შოვიცილო“, — გაიფიქრა და ხელები აუკანკალდა. ღრეჭო სათვალთვალოდ გამოდგებოდა, სასროლად კი არა. თოვის ლულა გატეოდა, მაგრამ ვერაფერს დაუმიზნებდა, თვალს ვერ გააყოლებდა. „როცა დაბრუნდება, მაშინ... იქნებ საჭმელიც მოიყოლოს“. უცებ „გოჭი“ გაახსენდა, მიწიდან სწრაფად ამოილო, გალიფე ჩაიხადა, ცალ ფეხზე წვიგსაკრავი შემოიძრო და ტომსიკა მუცელზე აიკრა. სისუსტის ოფლშა დაასხა შუბლზე, ყურებში რაღაც შისინებდა, თვალები უბნელდებოდა... მაინც თავს ძალა დაატანა, ფიცრებსა და ფიცრებს შორის სადგურის მხარეს მიმართული ყველაზე მოზრდილი ნაპრალი ამოარჩია, მივიღა, შეათვალიერა ბაქანი, ხომ არ ბრუნდებაო, ერთ-ხელ სასიკვდილოდ თუ ვერ შოარტყა, მეორე გასროლა უზურში რჩებოდა, ახლო არ უნდა მოეშვა, თორემ პროკოფი შოერეოდა, არც ეს ნაპრალი გამოდგებოდა სამიზნედ. ფიცარი კონდახით ძლივს გაამტვრია, მაგრამ იყო მიჭედებული, ქვემოთა პირის ლურსმნები აძვრა, ზემოთ კი ვერაფრით ვერ გამოთხლიშა, ღონე არ ჰყოფნიდა, დაიღალა, მძიმედ სუნთქავდა, მაინც მოითიქრა, გვერდზე მიაბრუნა ფიცარი და არე-მარეც რიგიანად გამოჩნდა. ჩოფურამ პროკოფის თოვი გვერდზე შიახოჩა, მუცელზე დაწვა. „გოჭი“ დამაწყნარებლად მიებჯინა გულს, რომელსაც ზაგი-ბუგი გაჰქონდა. ბაქანს გახედა, თოვი მოიმარჯვა და პროკოფის დაუწყო ლოდინი.

დილის სისხამმა ცოტაოდენ გაამხნევა და წაახალისა ვალიკო, მაგრამ მაინც უგულოდ მიდიოდა სადგურისაკენ. აკი გააფრთხილა მილიციის უფროსმა, მატარებლის იმედზე ნუ იქნებითო?! მაინც საჭიროა თავისი თვალით ნახოს, შეამოწმოს ყველაფერი, აქ სხვისი რჩევა არ გამოდგება. მის საჭმეს უკეთ ვერავინ გააკეთებდა. შერე ნინოსტან მოილაპარაკებს და ერთად აირჩევენ, როგორც აჯობებს. სწრაფად მიაბიჯებდა. თვითონვე გაუკვირდა, ჭერ ადრეა, რას გავრმივარ, სადგურში მოირიგის გარდა აბა ჭინ იქნებაო. მაინც არ გამოცვალა ფეხი, არ შეინელა სვლა. რაც ადრე გაეცნობა მდგომარეობის — მით უკეთესი. სურდა, რაც შეიძლებოდა მალე გასცლოდნენ აქაურობის. ჭალაქს ჭერ არ გაღვიძებოდა, აქაი თუ გაიჭრიალებდა

ჭიშკარი და თავსაფრიანი დიასახლისი ფრთხილად გამოხედავდები ქვე-  
ყანას, როცა სახიფათოს ვერაფერს შეამჩნევდა, ქუჩას გადატანიშენ-  
და, რძისა და კვერცხის სასესხებლად, ჭორისა თუ მართლის გასაგე-  
ბად გადიოდა მეზობელთან. მხრულით გადაკიდებულმა მოხუცმა  
კაცმა გადაუჭრა გზა. მშვიდობიანობისას ეს საქმე დედაკაცს ევალე-  
ბოდა. „წყლით სავსე ვედროები კეთილი ნიშანია“, — გაიხალისა თა-  
ვი ვალიკომ. მოხუცი მის დანახვაზე შეყოვნდა, დაელოდა, მხრული  
ცალ მხარეს გადაზნიქა, ცოტა შეატრიალა ზრდილობის გულისათვის,  
ვითომ არ გამოსდებოდა ფიცხლად მიმავალი მგზავრი, როცა გაუს-  
წორდა, დაღა მშვიდობისა უსურვა, ვალიკოც მიესალმა, ცნობისმო-  
ყვარეობით გადახედა, რაც მოხუცს არ გამოეპარა და ხელადვე უმ-  
დაბლესად მოსაწევი სისხვა, თანაც ეტყობოდა მუსამაფის გაბმას  
აპირებდა. ვალიკომ უარი უთხრა, გზა განაგრძო, მერე ტიუხინის შო-  
ცემული თუთუნი გაახსენდა, მიბრუნდა, ჯიბე ამოიტრიალი და გახა-  
რებულ მოხუცს გამოწვდილ პეშვში გადაუბერტყა. ეკალივით მჩხვლე-  
ტი თვალები ჰქონდა, რაღაც ზესიამოვნოდ ილიმებოდა. მოეჩვენა,  
რომ ნიშნისმოგებით, დამცინავად დაუკრა თავი მაღლობის მაგიერ.  
უფრო მზე კვლავ გამოხტა და ვალიკოს აზრებს უტყუარი ნათელი და-  
ადგა: „დი მაგრამ, რა სისულელეა, რა უნდა სადგურში? შატარებლის  
მოსვლას ვერ დაახქარებს, სხვა რა საქმე აქვს? მირელაშვილთან დი-  
ლით კომიტეტის წევრები მოვიდოდნენ, ან სულაც მეზობლები მიას-  
წავლიდნენ გზა-კვალს... რჩხან წამოვედი, უკან ხომ აღარ დავბრუნ-  
დები?“ სადგურამდის მისვლას ცოტადა აკლდა, როცა ცხენის ფეხის  
ხმა მოესმა, მოსახლეებიდან ორი შედარი გამოჟენდა ვალიკოს გვერ-  
დით ჩაუქროლეს, ეჭვის თვალით გადმოხედეს, რაღაც უთხრეს კი-  
დეც ერთმანეთს, მაგრამ ჩანდა, მისითვის არ ეცალათ, ისე სწრაფად  
მიეფარენ თვალს. სადგურზე კაციშვილი ვერ დაინახა, არც მორიგე  
დახვედრია სამორიგეოში. მოსაცდელ ოთახში გავიდა, აქ ბუფეტთან  
მხოლოდ დამლაგებელი ქალი დაფლატუნობდა, იატაკის მოსარეცხად  
ემზადებოდა. მოპირდაპირე, ღია ბაქნიდან ჯარისკაცმა შემოპყო  
თავი, ქურდულად მიიხედ-მოიხედა, როგორც კი ვალიკო შეამჩნია, ცი-  
ვად მიიხურა კარი. ვალიკო უმიზეზოდ აღელდა, ჯერ არ იცოდა, რა  
უნდოდა მისგან, მაგრამ რა წამსაც დაელანდა, ისე შეუყოვნებლივ  
გაიწია, თოთქმის ნიმოსა და მისი ბედი ახლა ამ ვიგინდარას ხელში  
აღმოჩენილიყოს, ისე აედევნა, გინდაც მოელი ცხოვრება მის ცდაში  
გაეტარებინოს. ღია ბაქანი, ქალაქის მოედანიც ცარიელი დაუჭვდა,

ლიანდეგებისაკენ გავატდი და სულ ახლოს, სადგურის სანახებისაკენ  
მიმავალი ჭირისკაცი დაინახა. გამოჯავულმა თვალმა, უკარწყება, არამე-  
არამყარი ნაბიჯით მიმავალ, არაბუნებრივად მხრებმოხრილ, დეზერ-  
ტირს თავისი უბედურებაც ეყოფოდა, არამოცუ ვალიკოსათვის რჩე-  
ვის მიცემა შეეძლო. აღარც შეეჭმიანა, მიუხედავად იმისა, რომ იქვე  
ორი ნაბიჯით იყო დაშორებული. მოულოდნელად მგონი ღრუბლე-  
ბიდან გამოსტა შეს, სახუში მინათებულმა სხივებმა, როგორც ხელე-  
ბით შეაჩერეს იგი, შეაბორძიკეს...


მირელაშვილის სახლში მისვლა-მოსვლა შეიქნა. სხვადასხვა ღროს  
ცალ-ცალკე მოვიდნენ: რამდენიმე ჰეტროგრადელი თანამგზავრი მა-  
თი აქაური გასპინძლებითურთ, ადგილობრივი ეროვნული კომიტე-  
ტის წევრები, მირელაშვილის ცოლის ნათესავი ქალი, სიმამრი, მე-  
ზობელი. ყოველი მოშველელი რაღაც მოსაზრებას სთავაზობდა ქარ-  
თველებს, წამსვლელი კი რაღაცის დაზუსტებას ჰპირდებოდა. იმის  
შემდეგ, რაც ქალბატონმა შუნიამ განაცხადი, რომ ყველაფერშე და-  
თანხმდება, რასაც კი ბატონი შიხეილი და ირკლი გადაწყვეტილ, გა-  
სამგზავრებელი გეგმის შედგენა შიხეილ მირელაშვილმა იდო თავს.  
ნინო დილიდანგვე არსად გასულა, საუზმეზეც უარი თქვა, ავადმყო-  
ფობა მოიმიზება, ქალბატონ შუნიასა და მისთვის განკუთვნილ ოთახ-  
ში დარჩა. თავი მართლაც უსკდებოდა, ისე სტკიოდა, ნერვებიც და-  
წყვიტაზე ჰქონდა. ყოველ კარის ჭრიალზე ელდანაცემივით წამოვარ-  
დებოდა, გაფაციცებული უსმენდა: — ვინ მოვიდაო: იქნებ ფანჯრი-  
დან ვერ შევნიშნე, გამოშეპარა ვალიკოს დაბრუნება, ან იქნებ სხვა  
გზით მოვიდაო. მერე კვლავ ფანჯარას მიუჯდებოდა, აღლვებული,  
გულდამზრალი ველარაფერს არჩევდა, თვალებზე ბინდად ეფარებო-  
და ის აზრი, რომ სანაზ კარებთან ვიყავი მიყვადებული, აქ ფანჯარას-  
თან შესაძლო გაიარაო. მერე, დრო რომ გადავიდოდა, ეს იმედის ნა-  
პერწყალიც გაპერებოდა და დანგრეულ ბატარა სახლს 'შიაშტერდე-  
ბოდა, საიდანაც უნდა გამოჩენილიყო სადგურიდან მომავალი მგზავ-  
რი. სხვა გზა არ არსებობდა. დილით ქალბატონი შუნია ახალი აძგა-  
რი იყო, როცა ნინომ მისთვის შეუფერებელი ფაცი-ფუცი ასტეხა,  
სრულიად უსარეგებლო თავისი ნივთები მოიძია. სინამდვილეში კი  
ბარგმეს ჩალაგება ისე არ უნდოდა, სანამ დედას არ ეტყოდა ყველა-  
ფერს, სურდა მოსამზადებელი ფრაზები, შორიდან მოვლა თავიდან  
იყცილებინა. ვარაუდობდა დედა ფვითონ დაინტერესდებოდა მისი  
ასეთი უჩვეულო საქციელით. შაგრამ ქალბატონი შუნია ფიქრებში



წასულს ჰეთი და თითქოს არც არაფერმი ეუცხოებოდა. იციდა გალიკო სულ მალე დაბრუნდებოდა, ნინო კი ფერ მზად არ იყო, ამიტომ ისევ ნინოს მოუტდა დაწყება. თავშეკავებულად, ყოველგვარი გრძნობების გამოუცლინებლად, ისე სუბრალოდ, მაგრამ სასტიყად და გარდაუვალად, როგორც სიკვდილი გამოეცხადება ხოლმე ჭირისუფალს, თქვა:

— დედა, მე სახლში აღარ მოვდივარ. — შიუხედავად იმძია, რომ ქალბატონი შუნია თითქოს ყურს არ უგდებდა და თავის ფიქრებში იყო გართული, ნინოს არ გამოპარვია სწორედ ამ სიტყვების მოლოდინით გამოწვეული დაძაგვრა. ახლა მისყდა, რომ დედა ამას ელოდებოდა, მაგრამ მისმა გაქვავებულმა პოზამ ეჭვი გაუჩინა, ვერ დარწმუნდა, დედა ბოლომდე ჩასწერდა თუ არა მის ნათქვამს, ამიტომაც დააზუსტა: — საქართველოში არ მოვდივარ. — არც ამაზე უპასუხია ქალბატონ შუნიას და ნინომ განაგრძო: — ირაკლი უკეთ არის, ღმერთი თუ შეგვეწია, მშვიდობით ჩახვალო სახლში. ქეთის ჯერჯერობით შენ გაბარებ. სხვანაირად არ შემიძლია. წავალო საზღვარგარეთ... ჩვენ ახლავე მივდივართ. როგორც კი ვალიკო დაბრუნდება, თუ მატარებელი გადას, იმას გავყვებით, თუ არა და ფეხით, ახლავე!

ქალბატონი შუნია კიდევ ერთხანს იჯდა პირდამუწული. ნინოს მოეჩვენა, თითქოს მირელაშვილისა და ირაკლის ლაპარაკს უგდებდა ყურს, მაგრამ სიტყვები რომ არ ისმოდა? და როცა ნინომ თავისი ბარგის განცალკევება დაიწყო, წამოდგა, ტაში შემოვკრია, წამოიძახა: „Молодец!“ დათავისებურად, საქმიანად, მაგრამ უსიტყვოდ ნივთების ჩალაგებაში შეიხმარა. სადგურამდე, როგორც თამარმა თქვა, ორი ვერსი ყოფილა. ქუჩაში დანგრეული სახლისაკენ ვიღაც მიემართება. იქნებ სადგურზე შიდის? რამდენ ხანს მოუნდება ნეტა? ნინო ითვლის წუთებს: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი — ხუთი წუთი!“ იქიდან სადგურამდე ილბათ ათვერ მეტი გზაა, დაახლოებით ერთი საათი, საათნახევარი იქით, საათნახევარი აქეთ. ორი საათიც ხომ იქ მოუნდებოდა? იქნებ ვინმეს ცლოდება, ყველაფერი დასაზუსტებელი და გასაგებია?! ადვილი შესაძლებელია, რომ თამარმა, ისე თქვა — სხვათა შორის, ორი ვერსია, პო, ზაფშვება საიდან უნდა იცოდეს, ორია თუ სამი? დრო მაინც არ მართლდებოდა — ვალიკო უსაშველოდ იგვიანებდა... ილბათ ვინმე ნაცნობი შეხვდა, ალბათ ვინმე შეხვდა... ნინოს ტირილი აუგარდა. ქვემოთ ქარმა კარი მოაგახუნა. ოთახში ვიღაც შემოვიდა. ნინომ ქვითინი შეწყვიტა, თავი ასწია, გულისფანცქა-



ლით დააყურადა. თითქოს ვეება სალი კლდე ერთბაშად ჩაიფუნა, ფეხებიც გამოეცალა, მოიტაცა და დედაშიწაში ჩასანთქმელი და დაუკავშირდა. ნინო ქუჩაში გამოვარდა, რაც ძალი და ორნე ჰქონდა, გაიქცა. მტეცებელი ფრინველივით წიოდნენ ვიღაცის ნათქვაში სიტყვები: „სადგურზე არადელი მოჰკლეს“. სადგურისაკენ გარბოდა, მაგრამ იქ მისვლა არ უნდოდა, არა! იცოდა, რომ ეს მირთალი იყო, სადღაც სხვაგან და არა იქ... რაღაც საშველი იქნებ ენახა... ნეტა უსასრულოდ გაგრძელდეს გზა! სურდა ერბინა, ერბინა, ვიდრე ირგვლივ არ გაშავდებოდა ყოველივე, ვიდრე თვითონაც ჩრდილივით არ გაიქნებოდა ბერლ წყვდიადში.

მთელი ქვეყნიერება შემოვარდნილ ნიაღვრად გადადიოდა და ბუუოდა, ზოლებად დასერილი გონება ვერ ინარჩუნებდა მდგომარეობას, ვერ დაეუნჯა მყარად ლიანდაგები. შავი, სარკესავით აპრიალებული ხაზები პარალელურად მისქროდნენ, ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ, მოკაზციები ირიბ წვიმსასავით ტოკავდნენ. სასიამოვნო სიგრილე მოიპარებოდა ქვემოდან, ნელ-ნელა უთვალავ ნემსებად ელიტინებოდა, სულ შალლა და მაღლა ამოდიოდა. ანაზღად ბეუილის შიურუებულ ფონზე გირკვევით ამოტიფტივდა სიტყვები: „Пуля попала прямо в лоб“. „ვიღაც მოუკლავთ“, — გაიფიქრა ვალიკომ. პაერში თავდაყირა დაკიდული ფესვებათოროლებული გაქუცული ხე დაინახა, მშრალმა ცრემლმა აუწვა თვალები. იგივე ხმები ზედ ყურთან კამათობდნენ, მაგრამ შინაარსი ვერ გამოეტანა — რაზე, მერე რაღაც წაშოვიდა და ვალიკოს აღქმას დაუკავშირდა: „მგონი ჩემზე ლაპარაკობენ“... უცებ ის რაღაც მოწყდა, ერთბაშად გაქრა, განუსაზღვრელმა სიმჩატეშ შოიცფა, სასიამოვნო დინებად დაიწრიტა აზრი: „ახლა ნინოც მოისვენებს“...

მიცვალებულის გაპატიოსნების არავითარი საშუალება არ არსებობდა და არმავირის ქართველებმა ვალიკო არადელი იმავე დღეს შებინდებისას დამარხეს. სანიტარული მატარებლის ყოფილი მგზავრების არმავირიდან გასვლის ამბავს კი ასე იგონებს ზურაბ ავალიშვილი: „დადუმებული, წელგაწყვეტილი ვისხედით ჩვენ ქართულ კომიტეტის ბინაზე, უეცრად მოირბინა კომიტეტის ერთმა წევრმა და გადმოგვცა, რომ ჩვენ ვეეძებენ, რომ ჭარისკაცები ლრიალებენ გუშინდელ შეღავთზე — ნამდავილ „კორნილოვცების“ განთავისუფლებაზე და ჩ'ომ ისინი აპირებენ ჩვენ გაგვისწორდნენ, თანაც კომიტეტს

ელის საშიშროება, რაღაც იგიც საეჭვოდ მიაჩნიათ. ერთი სიტყვით,  
საჭიროა არმავის თავი მაღლე დავაღწიოთ. უ-ს მოხერხებითა და მის  
განწყობილებების წყალობით მაშინვე შევასრულეთ შემდეგი „გეგმა“. „ტეპლუშკას“ ჩვენი ბარგით დარაჯად დაუდგებიან სადგურის გზებ-  
ზე უ-ს მილიციონერები. ჩვენ, ყურადღება რომ არ მივიქციოთ, ორ-  
ორი ან თითო წავალთ სადგურზე, როგორც კი შეღამდება, ნაშუა-  
ლამეებს ტიხორეციდან მოვა მატარებელი და ღამითვე წავა სადგურ-  
ზე „მინერალური წყლები“ (უკანასკნელი მატარებელი, რადგან მე-  
ორე დღეს სათბობი მასალის უქონლობის გამო მიშოსვლა უნდა შემ-  
წყდარიყო); აი, ამ მატარებელს, უკანასკნელ წუთში მიაბამენ ჩვენ  
„ტეპლუშკას“, მჭიდროდ დახურულს, როგორც საბარგო ვაგონს და  
ამგვარიც გადავრჩებით არშავირს. როგორც კი შებინდედა, ჩვენ სხვა  
და სხვა გზით გავწიეთ სადგურისაკენ, შევძვერით ვაგონში, დავჭე-  
ჭით ბარგზე და დავიწყეთ ცდა „ყოველი უეფარი შემთხვევისათვის“  
ჩვენთან დაჯდა უ-ს სანდო მილიციონერი თოფით. მეორეს გარედან  
„ეჭირი თვალყური“. საღლაც გადაგვიყვანეს, მერე ყველაფერი მი-  
დუმდა. ვისხედით უსინათლოდ, ვლაპარაკობდით ხმადაბლა, ნაწყვეტ-  
ნაწყვეტად. შილიციონერი უგულოდ გვიამბობდა 39 კაცის დასჭიის  
ამბავს, რომელიც თვითონ წახა. ჯარისყაფებს ვერაფერს მოუხერხებ,  
თქვენც, ეტყობა, გეძებენ. უეჭველია, აქ მოვლენ მატარებლის შე-  
სახვედრიც, მაგრამ არ მგონია, რომ მოგნახონ. კაპიტანშა არ ძურგა  
მიწის თხრა და შას იდაყვი კონდახით გადაუმტკრიეს „... ისევ უბრუნ-  
დებოდა თავის შეწყვეტილ ამბავს ჩვენი დარაჯი. ჩამოვარდებოდა  
შემზარავი, უხმო სიჩუმე. შემდეგ გვიამბობდენ: „წასულ კვირაში მო-  
წყალების დაზე აღმოაჩინეს ტყვიის მფრქვევილი. არტილერისტი  
გვირდში უდგა; მოუქნია ხმალი და მთელი ხსარი ჩაუჩეხა; ქალი კი,  
თითქოს არაფერიაო, განაგრძობდა გზას; მაშინ მეორემ ხელზე შე-  
მოარტყა“ და სხვა. ჩვენი დარაჯი ისე გულგრილად გადმოგვცემდა ამ  
ამბებს, თითქოს სრულიად „ჩვეულებრივი რამ“ ყოფილიყო. — მაგ-  
რამ ეს ხომ მართლაც ჩვეულებრივი ამბავი იყო, გაისმა ვიღაციი  
ქვითინი, რომელიც სასწრაფოდ იქნა ჩაჩუმებული: „საბარგო ვაგო-  
ნი“ ხოზ კრინის არ უნდა სძრავდეს. ხანგრძლივი მდუმარება. შემ-  
დეგ — უეცარი სტევნა, კიდევ სტევნა — მახლობელი მატარებლის  
თქარათქური და მას მეტმე, სადგურის ჩვეულებრივი გუგუნი, რომე-  
ლიც მაღლე წყდება. ხელახლა რაღაც ალიაქოთი, მაღალი ხმები სად-  
გურზე. „თქვენ უნდა გიძებდნენ“ — ჩაგვიფუჩუნა დარაჯმა.



ისმოდა მატარებლის საცდელი მიმოსვლის ხმაურობა. ერთი შემთხვევაში განძრიეს, სადღაც წაგვიყვანეს; რაღაცას მიგვაბეს. 'მალე ვიცანგზა-  
უ-ს ხმა, რომელიც გვერდით ელაპარაკებოდა ერთ-ერთ მილიცი-  
ონერს. შემდეგ ჩვენმა დარაჯმა გააღო „ტეპლუშკას“ კარი და უხმოდ  
დაიშალა 'ბნელ ღამეში; ახალი სტვენა, და მატარებელი დაიძრა არ-  
მავირიდან, სადაც 39 ნაწამები ყდამიანი იყო ჩაგდებული მათგანვე  
გათხრილ ორმოში!“

1980 წ.

මෙවරුවරි ඩ. දෙලනත්

මෙවරුවල රුදාශේරුවරි ඩ. ජේනාන්ඩොලං

උවේනියුරුවරි රුදාශේරුවරි ඩ. රාජමාත්‍ර

ජාරුවේරුවරි ඩ. ප්‍රසාද්‍රාලාවා, ඩ. ප්‍රසාද්‍රාලාවා

ගාමෝම්ප්‍රේඛි ඩ. ප්‍රාතාඡීංචි

ඇඟිල සාක්ෂෙපුරුහුලුව්

ලිඛිතා 5000

පු.ප. 133

ගාමෝම්ප්‍රේමලුව මෙරානි රුස්තාවෝලිස් ඩු. 42. තධිලිස් 1992.

සාක්ෂාත්වෝලිස් රුස්පූඩ්ලියිස් ඩුප්ලිටිති සිංහල සාක්ෂෙපුහුණු දුප්තාමේනත් ඩු. 50  
 න් 1 ස්ථානය, තධිලිස්, තුළඹිනාඡෝලිස් ඩ. 50

14/747

